

კვირის პალიტრა

800 დოლარად ნაშინი  
„კვირვანი“ ლითონი და აფერისტი  
ოქრომჭადლის აღსარება



0 (320) 27/VI  
ნი 60 თ.



### რჩეულები



ჩელაე და გესო  
გულისნადები  
გაამუღანეს

**როგორ იჭერან  
ავთო სპეციბინიკა  
და ხატია უამუგია  
მსხვერპლს**



როგორ მიათხოვან  
მიურატაგა ლავან  
მესროფაშვილს  
ქალიშვილი

„რა ზოდიაქოს ნიშანს  
არ უნდა ყოფილიყო,  
მაინც შემიყვარდებოდა...“

## ჩეული ფანი, დაკარგული სიყვარული და მართველი ნაკომანის მონანიება



**გოგა ხაინდრავა:  
„გვინდა მშვიდობა...“**

## სამართველო ქარიშხლის წინ(?!)

# არ გაემოგრიეთ!

№15(50), 28 ივლისი - 1 აგვისტო, 2006

ფასი 80 თეთრი

# ქართული საქალაქი

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:  
მოთმინება

**ახალი პირობები  
ნაბიჯი სოციალურ  
საპანდემო უბანში**

**გვერდი წმინდა  
ადგილი მათთვის  
მოლოცვილი,  
მგობრამ მსგავსი  
რამ არ მიგრიქნია**

**სამშობლო  
სახარების  
განმარტება**

**ყოველი თქვენ  
მეორე მოწვეული  
სიბერეები  
უფლისთვის  
ზურგის შექცევა,  
მასზე უარის თქვა**

**ნებარია ის,  
ვისაც ყველას  
თანაბრად  
სიყვარული  
უეშქლია**

# ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

საქართველო!



<b>მინიატურები</b>	
ნანატრი საკურორტო სეზონი, ანუ უფასო შვებულებაში	
გასული საქართველო	3
<b>სახალგაიფო</b>	
მოგა ხაინღრაჟა სპეცოპერაციას არასწორად მიიჩნევს	4
<b>ერთი კითხვა</b>	
<b>უსსოური პრესა</b>	
„ქართველი ქორები“ რუსულ ტანკებს „ეკეკლესებიან“	6
<b>ქურნალისტის როლი</b>	
რისთვის იბრკვიან ავთო სქვიტინიკე და ხატია შამუგია	8
<b>ექსპერტი</b>	
„ღმერთმა არ ქნას, გაავებული რუსეთის კლანჯებში აღმოვჩნდეთ“	10
<b>მეუ</b>	
ორგზის ღამოქილ ჩელუს, უაბრონოლ მიტოვებული თამუნა შავსოლა	13
<b>კრიმინალი</b>	
10 წლის ბოგონა სექსუალური კალაღობის მსხვერპლი გახდა	15
<b>გზავნილები</b>	
ღაუგაგაჟი ნაბიჯი	18
<b>საქმე</b>	
პატიმარმა აუქციონზე საკუთარი ნახელაში 3.500 ლარად გაყიდა	22
<b>ფალსიფიკაცია</b>	
ეპეზეთ საბჭოთასიგოლიკიანი ოქროს ნაკეთობები!..	24
<b>თინეიჯერული პონტაჟი</b>	
არაული ფეხი, ღაკარბული სიყვარული და ნარკომანის აღსარება	26
<b>მოდელები</b>	
რა თანხისთვის შიშვლღებიან ქართველი მამაკაცი მოდელები?!	29
<b>ქორწინება</b>	
ქართულ-ფრანგულმა ქორწილმა აყალმაყალის გარეშე ჩაიარა	31
<b>ტრაგედია</b>	
ღიღი მამსტროს აღსასრული	33
<b>ტაიმ-აუტი</b>	
36	
<b>რომანი</b>	
გაგა ვაჩნაჟე. ველური წაბლის ხეივანი (ბაბრეკელება)	38
<b>ტრადიციები</b>	
საღას წარმართული შერწყმია ქრისტიანულს	43
<b>წმინდანები</b>	
წმინდა კვირიკეს ხელის მტეჟანი საქართველოში ინახება	45

# მოგა ხაინღრაჟა: „გვინღა მუჟიღოგა“...



„თუ შენ გაქვს შესაძლებლობა, მოლაპარაკების გზით მოხსნა პრობლემა, აუცილებლად დიპლომატიას უნდა მიმართო. თუ საზოგადოება დაინახავს, რომ ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენე და ყველა შანსი ამოწურულია, ის სპეცოპერაციასაც გაგებით მოეკიდება...“

...მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გასაწირი ხალხი არ გვყავს.“

4

# „ნეგან ბანსკაჟებო, ჩელე უფრო მბრძოლბიარე აღამინია“



„ჩელე მხიარული, თავისუფალი, სიმჟათიური ბიჭია და ყველა ამ თვისების გამო, მჯეროდა, რომ ის მაყურებლის სიმჟათიას დაიმსახურებდა.“

13




# ლომჯის კაკადი ღაინყო

„მონადირე ვარ, მაგრამ ეს თვისება ჩემს პირად ცხოვრებაზე მაინცდამაინც არ აისახა – საკუთარ თავს ბევრის უფლებას არ ვაძლევდი...“

8

# 800 დოლარად ნაყიდი „ქვირფასი“ ლითონი და...



„გაირკვა, რომ 800 დოლარად ღირებული ბეჭედი სპილენძისგან იყო დამზადებული, ხოლო ოქროს თხელი ფენა მხოლოდ ბედაპირზე ჰქონდა გადაკრული...“

24

**ჯანმრთელობა**

- კურორტები 47
- თუ გახლომა გსურთ 48
- კიბოს 9 მიზეზი 48

**იმიჯი**

ლელა ოთარაშვილის სუსტი წერტილი, ოცნებად ქცეული თაფლისფერი თვალები და 50 წყვილი საყურე 49

**ბოჰემი** 50

**ვარსკვლავი**

ელენა პაპარიძე: „საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი ამჟამუნად არავინაა!“ 51

- Juventus – ქრის სკამზე შექმნილი სუპერკლუბი 53
- „სამეფო კლუბი“ რეალური ბარდაქმნა დაიწყო 54

**დოკუმენტური პროზა**

სანამ ცოცხლები ვართ... (ბაბრქელება) 56

**ბესტსელერი**

შიო გვეტაძე. მონანიება (ბაბრქელება) 59

**ავტო** 63

**ბოჰემური მოზაიკა** 64

**ჰოროსკოპი** 66

**გეუსეოგალი**

შენ დამიფარე, თილისგავ ჩემო... 67

**მსახიობი**

„ქუჩიდან ამიყვანეს და 5 თვით სიბებირში მიკრეს თავი“ 68

**ტესტი**

ვინ ხართ თქვენ მისთვის? 71

**სკანდორდი** 71

**და ბოლოს** 72

**„...ცოლად სხანდლის მომენტებს გავეყვები“**



„დილით თავი ძლივს წამოვწიე, მაგარი ნაცემივით ვიყავი და ჩემს საწოლს რომ გადავხედე, გონი დაუკარგე, რადგან იქ სრულიად შიშველი პაატა იწვა და გემრიელად ეძინა...“

26



**რა თანხისთვის უიუკლდებიან ძრთველი მამაკაცი მოდელები?!**

„ვიდაცამ მკითხა – არ გინდა, პოპულარული გახდეთ? პირველი ჩვენება „მეგებსში“ მქონდა, სადაც 50 ლარი გადამიხადეს. მომეწონა სცენაზე დგომა“.

29

**დიდი მამსტროს ალსასრული**



„თურმე ევგენისთვის ყურში ცხელი შანთი გაუყრიათ. ცოგა ხნის შემდეგ კი, მისი დახვრეგის ამბავიც მივიღეთ... ბავშვებს თამარი მრდიდა“.

33

**ვერუჩი წაბრის ხეივანი**



– ესეც მე ვარ?! დედას ვუტირებ! – შეტრიალდა და შინ შევარდა რეზი. ვერიკო უკან გამოუდგა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ყველაფერი აირ-დაირია. სანამ თაზო აზრზე მოვიდოდა, სამი-ოთხი მუშგი უკვე მოხვედრილი ჰქონდა.

ქალები წიოდნენ, კაცები აშველებდნენ. თაზოს არდნის გამოვარდნილი სახელური შერჩენოდა ხელში და იმას იქნევდა გამეგებით.

38

**ბარეკანზე: ირმა ლიპარტილიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება

ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მონადეილები: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49

ტელ: 38-74-44 email: gza@kvirispalitra.com

# ნანაცრი საყურორცო სეზონი ანუ უფასო შვებულებში გასული საქართველო



ეს შვებულება რომ არ იყოს მოგონილი, მე არ ვიცი, რა გვეშველებოდა ქართველებს! მოსახლეობის ის 7%, ვისაც სამსახური აქვს და 11 თვის განმავლობაში ხელფასს იღებს, ხომ საჭიროებს ერთ თვეს, რომ ეს ნაგროვები ფული დახარჯოს და სექტემბრიდან ისევ მიეცეს აზრი მის მუშაობას?! იმ 55%-ს, რომელიც მთელი 11 თვის განმავლობაში სამსახურს ეძებს და ფხვდაფხვს აქვს შემოტყაული ყველა ოფისი თუ ჯისური, ხომ უნდა შვებულება, რომ სამსახურის ძებნისაგან დაისვენოს. ვინც არც მუშაობს და არც ეძებს სამსახურს ანუ სადარბაზოსთან ზის და დომინოს უჭახუნებს, მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ შვებულება, რომ მინერალურ-წყლებიან კურორტებს მიაშურონ და მთელი წლის განმავლობაში, დომინოში მოგებული ლარიანი არყის ნასვამებმა და ცეცხლი რომ ეკიდება, იმ „პეჩენის“ ნაჭამებმა ჯანმრთელობა აღიდგინონ და სექტემბრიდან კიდევ უფრო ომახიანად დაჰკრან „დუ-შაში“...

მოკლედ, ყველას გვჭირდება ეს შვებულება და მთელი საქართველოც უფასო შვებულებაში (აბა,

მაგალითად, მე სიამოვნებით დავეთმობ „გლდანის ნაკრძალის მე-5 სექტორში“ მდებარე ჩემს ოროთახიან ხრუშჩოვის პროექტის აპარტამენტებს, საუკეთესოგამონაბოლქვიანი ჰაერითა და უმშვენიერესი ხედით, ნაგავსაყრელსა და ჭაობზე თავისი კოლოებითა და ბაყაყების „ჭიკჭიკით“, ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს სამსართულიანი ქოხი ბათუმში, ბულვართან.

ასე რომ, თუ თავს გავანძრევთ, დასვენებასაც ისე მოვახერხებთ, რომ ერთი თეთრი არ დაგვეხარჯება. მაგალითად, ქობულეთში ერთი დახეული ქოლგა რომ წაიღო და გააქირავო, საჭმელ-სასმელი არ მოგაკლდება. თუ 15-20 ცალ სიმინდის ტაროსაც გაიყოლებ და გაყიდი, მერე ალებული ფულით ისევ სიმინდს თუ იყიდი და ჩაატრიალებ ამ ბიზნესს, აქედან ფხვით წასული, უკან მანქანით დაბრუნდები...

მოკლედ, ჩვენ თუ კიდევ რამე გვაქვს საწუნუნო, მაშინ მთავრობამ რაღა ქნას?! აგერ, პრეზიდენტს ისე უჭირს, რომ შვებულების მაგივრად ჯარში მიდის კაცი. თავდაცვის მინისტრი კიდევ, კოდორში

დაპატიჟა დასასვენებლად ყოფილმა რწმუნებულმა, არც იარაღი გინდა და არც ჯარი, შენ ოღონდ ჩამოდი და ყველაფერი ჩემზე იყოსო... მერს რაც შეეხება, საერთოდ ვერ მიდის დასასვენებლად: იფიქრა ბიჭმა, ივლისში გავუჭირებ თავს, სტუდენტებს დავიხმარ ქალაქის „დაუბორკებაში“ და აგვისტოში დავისვენებო, მაგრამ აგერ, ჰოლანდიელები გამოჩნდნენ, სასტუმროებს აგიშენებთო და რა თქმა უნდა, მერიც იქ უნდა იყოს. არა, კარგია, მძახლები ასეთ მზითვეს რომ გვაძლევენ, მაგრამ ბიჭი მეცოდება. თუმცა, მაინც კარგია: მერად თუ აღარ აირჩიეს, უმშვევარი მაინც არ დარჩება — ბოლოს და ბოლოს, იმ სასტუმროში კამერდინერად ან შვეიცარად მაინც მიიღებენ...

ყველაზე ცოდვა კი ოპოზიციანთა პარლამენტი შვებულებაში გადის. ოპოზიციანთა კი ამასიც უცხადებს ბოიკოტს და მთელ აგვისტოს სხდომათა დარბაზში გაატარებს...



ფასიანს დაგვიხატავენ) გადის აგვისტოში. კურორტებიც ბლომად გვაქვს, ალბური ზონიდან სუბტროპიკულ სარტყლამდე გადაჭიმული. ჰოდა, ამოირჩიე, სულო და გულო, რომელს ინებებ...

ალბათ იკითხავთ, დასვენებას ხომ ბინის ქირა და ათასი ხარჯი სჭირდება და სად გვაქვს ფულიო?! გიპასუხებთ: საქართველო ისეთი მაღლიანი ქვეყანაა, რომ მისი ყველა ქალაქი და სოფელი კურორტს წარმოადგენს. ასე რომ, რაჭველები რაჭაში დაისვენებენ, აჭარლები — აჭარაში, ბორჯომელები — ბორჯომში, სურამელები — სურამში და ა.შ. ახლა თუ, მაინცდამაინც სხვა კურორტი გინდათ და ბორჯომელს რაჭული უწერა აქვს გამოწერილი, ესეც რა პრობლემაა?! დავიჯერო, ერთი ოჯახი არ მოიძებნება რაჭაში, რომლისთვისაც „ბორჯომის“ წყალია მისწრება?! ჰოდა, ის თავის ბინას დაგიტომბს, შენ შენს გასაღებს მისცემ და სექტემბრამდე დაისვენებთ ორივე.

*P.S. პრეზიდენტის მოხსენება მთავრობის სხდომაზე: — ყურადღებით, ვაცხადებ მინისტრების დასვენების განრიგს. გოკა გაბაშვილი, ბატონ კოტეს უკვე ველაპარაკე, წავა წალვერის მამათა და ბავშვთა სანატორიუმში;*

*ზურაბ ნოღაიდელი წავა სურამში და ციხეს გაამაგრებს;*

*ფინანსთა მინისტრი ალექსიშვილი წავა ურეკში, იქ სამკურნალო ქვიშაა და ეგებ, სახსრებში გვეშველოს;*

*ბ-ნი ალექსანდრე-კახა კი, წავა რაჭა-ლენჩხუმში... — თქვენ სად წახვალთ დასასვენებლად, ბატონო პრეზიდენტო?*

*— თქვენ რომ წახვალთ, მე აქ დავისვენებ...*

**პროპოკატორი**



ხათუნა მაღრაძე

ბატონო გოგა, რამდენიმე დღიანი კონფლიქტის შემდეგ იყო თუ არა აუცილებელი, სპეცოპერაციის დაწყება და რატომ გამოირჩევა ხელისუფლებამ დიალოგი?

ეს არის ხელისუფლების მიერ არჩეული სტილი. ბუნებრივია, ყველა ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია, საკონსტიტუციო წესრიგი დაიცავს. შეიარაღებული დაპირისპირება ასეთ პირობებში, უღარესად სასივთაოა. მაგრამ მე ასე ერთმნიშვნელოვნად, მოლაპატეების იარაღის ნამდვილად არ მივანებებდი: ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ეს არის ხალხი, რომელიც ამ 14 წლის განმავლობაში, გულთ, ხელბით და სინდისით იცავდა ამ კუთხეს ისე, რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონია. გუშინ გაკეთდა განცხადება, თუ რას გეგმავს ხელისუფლება წლის ბოლომდე ამ კუთხეში: ლაპარაკი იყო სკოლების აშენებასა და საავადმყოფოების კეთილმოწყობაზე, მაგრამ რატომ — წლის ბოლომდე?.. ეს ხომ აქამდე უნდა გაკეთებულიყო! იმ ვითარებაში, როცა „ჩვენ გადავთხარეთ 100 ქუჩა“, სვანეთში გზა არ არის გაყვანილი. სამი კილო ასფალტიც რომ გვექონოდა, ამ კუთხისთვის უნდა მიგვეხედა, რადგან ეს არის ფორპოსტი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ძლიერებისა. სვანებმა დაამტკიცეს, რომ ღირსები არიან ჩვენი ყურადღებისა და სითბოსი. ასეთ ვითარებაში, კატეგორიულად ლაპარაკი და მხოლოდ კუნთებზე ყურება, სრულიად გაუმართლებლად მჭეფენება. ეს ის კუთხეა, სადაც ქალი, კაცი, ბავშვი — ყველა გზაზე დანებდა და არ შემოუშვებს საქართველოს მტერს. მე მკითხველს შეგასწავნებ იმ ეპიზოდს, როდესაც კოდორის ხეობაში რუსული დესანტის გადმოსხმა განხორციელდა. მაშინ ისეთ დღეში ჩაადგეს „მონადირეებმა“, რომ გამოცდილი რუსი მეომრები იძულებული გახდნენ, ორ საათში დაეტოვებინათ ტერიტორია!

თქვენი აზრით, „მონადირე“ არ უნდა გაუქმებულიყო?

ორი მხრიდან შევიძლია, ამ თემას მივუდგეთ. სვანეთის მოსახლეობის განიარაღება საუკუნეების განმავლობაში ვერავინ შეძლო და ეჭვი მეპარება, რომ ვინმე მოახ-

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან სულ ახლახან წასული გიორგი ხაინდრავა იმ კაცის მდგომარეობაში იმყოფება, რომელსაც თითქოსდა, ორი თვალთ — როგორც სახელმწიფო მოხელის და ამავე დროს, უკვე როგორც მოქალაქის — პოზიციებიდან შეუძლია შეაფასოს მოვლენები. სწორედ ამიტომ, კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების კომენტარება მას ვთხოვეთ და ვფიქრობთ, არც შეგვეცდარვართ...

საქართველო ქარიშხლის წინ...

გოგა ხაინდრავა: „კვინდა შვილო... გასაწირი ხალხი არ გყავს...“

ერსებს ამას. ორგანიზებული ტიპის დაჯგუფება, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და რომელიმე ქვედანაყოფში ირიცხებოდეს, ჩემი აზრით, აუცილებელია. მას სჭირდება ასევე, სისტემატური კონტროლი, წვრთნა, ურთიერთობა. ამ დაჯგუფების წევრები უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას, რომ არა მარტო საკუთარ ოჯახებს და კუთხეს იცავენ, არამედ — მთელ საქართველოს. როცა სუბორდინაცია იქნება ერთმნიშვნელოვნად დაცული და არა „მოლაპატე“ შერაცხვაზე იქნება ლაპარაკი, რეგიონში პრობლემები აღარ იარსებებს და მათ ვერც ვერავინ აიყოლიებს. პირველ რიგში, მოვუწოდებ ჩემს ყოფილ კოლეგებს, რომ უფრო მეტად შემწყნარებლად იყვნენ გადაწყვეტილებების მიღებისას.

ეი თქვენი აზრით, ისეთ სიტუაციაში არ ვიმყოფებოდით, როცა მოლაპარაკება გამოირჩეული იყო?

მოლაპარაკება „ჰესბოლაჰსა“ და ისრაელს შორის მიმდინარეობს და კაცი-ჭაბუკებსაც ელაპარაკებიან... ამის მცდელობა უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ვიცოდეთ, რას აპირებს ეს ხალხი. ვინმე მივიდა და დაელაპარაკა?.. იქნებ, მზად იყვნენ, გარკვეული დიალოგის შემდეგ, იარაღი დაეყარათ?! მე იმედო მქონდა, რომ ეს რამდენიმე ღამე გამოყენებული იქნებოდა დიპლომატიისთვის, რომ კონფლიქტი ჩამცხრალიყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აერცვლებს აუდიომასალას, რომლის მიხედვითაც, თითქოს დასტურდება ემზარ კვიციანსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის კავშირის არსებობა.

კვიციანს აფხაზებთან კავშირი ყოველთვის ჰქონდა. ეს აუცილებელიცაა, რადგან ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან, იარაღშემართულები. ეს კუთხე წარმოადგენს იმ „ლუკმას“, რომლის გადაყლაპვასაც წლების განმავლობაში ცდილობდნენ როგორც სეპარატისტები, თავიანთი უკანონო შეიარაღებული ფორმირებებით, ასევე რუსები. ამიტომ, ნებისმიერი გონიერი კაცი, ვინც იმ ხეობაში ცხოვრობს, ცდილობს, ეს კონტაქტები არ დაკარგოს. რაც შეეხება აუდიოჩანაწერს, — ჩვენ მოვისმინეთ შეთავაზება, კუპალბას მხრიდან, მაგრამ არ მოგვისმენია კვიციანის პასუხი ამ შეთავაზებაზე. იმისთვის, რომ დაასკვნა, ადამიანი მტერთან თანამშრომლობს თუ არა, აუცილებელია მისი პასუხის მოსმენა. მე საერთოდ, მაგენ პრაქტიკად მიმაჩნია, რომ ოპერატიული მასალები გამოძიების დაწყებამდე გადის ეთერში, როგორც დამამტკიცებელი საბუთები. ეს არ არის სწორი. ყვე-

ლა მასალა უნდა იყოს ობიექტურად გამოძიებული და თუ რაიმე სახის ლალატთან გვაქვს საქმე, ეს მოკვლევის შედეგად უნდა დადასტურდეს.

როცა ხელისუფლებაში იყავით, მიგლიათ თუ არა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ემზარ კვიციანს ჰქონდა რუსებთან და აფხაზებთან, საქართველოს წინააღმდეგ გარეგნის მცდელობა?

მე ასეთი ინფორმაცია არასოდეს მომსიმენია და ვერც დავიჯერებ, რომ კვიციანი რუსეთის აგენტია.

ეი თქვენ ფიქრობთ, საქმე გვაქვს პროტესტის გამოხატვასთან იმ მოვლენების გამო, რომლებზეც თავად ემზარ კვიციანი ლაპარაკობდა?

ძნელი შესაფასებელია, რადგან ამ კონფლიქტის დაწყების შემდეგ, მე არც ერთ მხარესთან არ მქონია საუბარი. ამ შემთხვევაში, კერძო პირის მოსაზრებას გამოვთქვამ



და მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ მძიმე ინციდენტის წინაპირობა მნიშვნელოვანწილად, თავდაცვის სამინისტროს მალაჩინოსნების მოქმედებამ განაპირობა. მე არა მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იგეგმებოდა 27 ივლისს, მაგრამ ის ფაქტია, რომ სვანეთი არ იყო უზრუნველყოფილი ისე, როგორც საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორე, რომ ყველა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება არის მიუღებელი და დასაგმობი. არ შეიძლება, ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მოგწონს ის თუ არა, იარაღით დაუპირისპირდეს ჩემი აზრით, კოდორში მოქმედებები უნდა იყოს მაქსიმალურად „იუველირული“, რომ არ მიეცეთ შანსი ჩვენს მონინააღმდეგეს პროვოკაციის მოსაწყობად. რუსეთი შეიარაღებული აგრესიისთვის ყოველთვის მზად არის.

მოსალოდნელია თუ არა, რომ

კონფლიქტში რუსი და აფხაზი მეზობლები ჩაერთონ? მათ სომ მძიმე ტყვენიკის მობილიზება უკვე მოახდინეს.

— არ არის გამოცხადებული, რუსეთის მხრიდან პროცესებში უშუალო მონაწილეობა, რადგან ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამისთვის დიდი ხანია, ემზადება. ეს არის მათი ოცნება — გამოიყენონ ნებისმიერი დაპირისპირება ჩვენი ქვეყნის შიგნით იმისათვის, რომ აგრესიის საბაზი მიეცეთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამის შიშით, უმოქმედოდ უნდა ვისხდეთ. რა თქმა უნდა, აღვადგენთ კონსტიტუციურ წესრიგს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ სვანების განარაღება საუკუნეების განმავლობაში ვერ სერსდებოდა. რა შედეგს გამოიღებს ეს სპეცოპერაცია ანუ ვის „ეტრება დედა“?

— იმ ფორმატით რაიმე სახის ურთიერთობა, რომელიც „დედის ტირებთან“ არის დაკავშირებული, ჩემთვის ყოველად მიუღებელია. ქართველ დედებს იმდენი უტირიათ და იმდენი ცრემლი უღვრიათ, რომ ამისთვის კიდევ ერთი საბაზი არ უნდა მიეცეთ. სწორედ ეს არის ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა და ის, რასაც საზოგადოება მთავრობისგან ითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ბიჭები, ვინც ამჟამად კოდორის ხეობაში არიან, არ წავლენ საქართველოს წინააღმდეგ. მე, ბუნებრივია, ორივე მხარეს ვგულისხმობ. მათ შორის არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აიძულეს, პროტესტის ამ ფორმისთვის მიემართათ. ზოგი უბრალოდ, გაუგებრობაში მოყვა, მაგრამ მათ ლიკვიდაციასა და განადგურებაზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. ეს არის ქვეყანა, სადაც არ არსებობს სიკვდილით დასჯა — ანუ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ვიღაცას კლავენ, თუ ეს აუცილებლობით არ არის განპირობებული — კანონის დარღვევაა. ვინმეს განადგურება არ უნდა იყოს მიზანი და ბაირალი. ნუ გვაშინებენ, ყველა უმყოფილო ადამიანის ლიკვიდაციას ვერ მოახერხებენ! ნებისმიერი ქვეყნის სიძლიერე არის არა რადიკალიზმში, არამედ შემყნარებლობაში. თუ შენ გაქვს შესაძლებლობა, მოლაპარაკების გზით მოხსნა პრობლემა, აუცილებლად დიპლომატიას უნდა მიმართო. თუ საზოგადოება დინახავს, რომ ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენე და ყველა შანსი ამოწურულია, ის სპეცოპერაციასაც გაგებით მოეციდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დიალოგის მცდელობაზე საუბარი ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად არ ყოფილა. ხელისუფლების სიძლიერე სწორედ მაშინ ჩანს, როცა ის მოლაპარაკებაზე მიდის და თუნდაც შეცდომაში შესულ ადამიანებს გადარჩენის შანსს აძლევს.

— ბატონო გოგა, ვინ შეიფარებს ეზარ კვიციანს იმ შემთხვევაში, თუ ქართული სპეცსამსახურები მის დაკავებას ვერ მოახერხებენ?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გასაწირი ხალხი არ გვყავს, არავინ უნდა აიძულო და არავის უნდა შეუქმნა ისეთი პირობები, რომ მონინაღმდეგის მხარეზე გადავიდეს. ამ სპეცოპერაციით კოდორის ხეობაში კონფლიქტი არ ამოწურება. შეიარაღებული ადამიანები სავარაუდოდ, მთაში გაიხიზნებიან და იქ გაიმაგრებენ პოზიციებს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მოლაპარაკება ჯერ კიდევ შეიძლება...

# „თავისუფლების ინსტიტუტით“ სააკაშვილი ოქრუაშვილს აბალანსებს და — პირიქით“

— საზოგადოების მოთხოვნის მიუხედავად, მერაბიშვილი კვლავ ინარჩუნებს თანამდებობას. რას ნიშნავს პრეზიდენტისთვის შინაგან საქმეთა მინისტრო, რომელსაც ვერა და ვერ შეეღია? პაბატა ზაძარაიშვილი, პოლიტოლოგი:

— იმით, რომ თანამდებობაზე ვანო მერაბიშვილი დატოვა, პრეზიდენტმა ქართველ საზოგადოებას უთხრა: მე მკვლელი მჭირდება. ბოლო მომენტამდე მეგონა, რომ სააკაშვილი მიხვდებოდა, მერაბიშვილის მფარველობით, რა საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს, მაგრამ შევეცდი. პრეზიდენტი ამ შემთხვევაში, ალბათ, სიტუაციის მძევალია. მერაბიშვილი რომ გაუშვას, ამით მთელ მთავრობას აიბუნტებს. თუ აღმოჩნდება, რომ პრეზიდენტი თავისი გუნდის წევრებს ნიშნავს, მაშინ მას აღარავინ ენდობა. სააკაშვილი მათ ბიზნესსა და კეთილდღეობას იცავს, ისინი კი — სააკაშვილის რეჟიმს, რადგან მისი ლეგიტიმაცია დაფუძნებულია არა ხალხის ნებაზე, არამედ იმ კლანებზე, რომლებიც ქვეყანაში სიტუაციას მარ-

თავენ. გარდა ამისა, სააკაშვილმა მერაბიშვილი რომ გაათავისუფლოს, ამით ირაკლი ოქრუაშვილი უფრო გაძლიერდება, თავდაცვის მინისტრის მზარდი რეიტინგი კი, სააკაშვილს სერიოზულად აშფოთებს. თუმცა, საბოლოოდ, გარიგება მაინც მოხდება. შეთანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა, მერაბიშვილის ადგილი სხვას შესთავაზონ. არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტი ამ საკითხს არჩევნების წინ დაუბრუნდეს და მერაბიშვილი გაათავისუფლოს. თუმცა, ამ ადგილს აუცილებლად „თავისუფლების ინსტიტუტი“ დაიტოვებს. „თავისუფლების ინსტიტუტი“ სააკაშვილი ოქრუაშვილს აბალანსებს და — პირიქით; თვითონ კი, ორივესგან თავს იცავს. სააკაშვილს გუნდი აღარ ჰყავს, ამიტომ იძულებულია, ამ ორ ძალას გაუწიოს ანგარიში. მას ზურგს უკან ყველა დასცინის და იყენებს. უკვე ყველა აღიარებს, რომ სააკაშვილი სიტუაციას ვეღარ მართავს, მას ცალკე — ოქრუაშვილი, ცალკე — ბოკერია, ცალკე — მერაბიშვილი და ადგილი კარნახობენ, როგორ უნდა მოიქცეს ის სიტუაციის მძევალია.

# „რეალური შედეგის მისაღწევად, სხვაგვარი მოქმედება საჭირო“

— პარლამენტის დადგენილების შემდეგ, რუსეთის მალაჩინოსნები აცხადებენ, რომ ისინი სამშვიდობო ძალებს არ გაიყვანენ. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სამშვიდობოების გაყვანის პროცედურა როდის უნდა დაიწყო? დავით ზურაბიშვილი,

„დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი:

— ვინმეს სჯერა, რომ ჩვენი პარლამენტი მთავრობას რაღაცას ავალბებს?.. რეალურად, ყველაფერი პირიქით არის. ჯარების გაყვანის საკითხი, სამართლებრივად, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე გადასანყვეტი პრობლემაა, რაც პარლამენტის გასარჩევად არ არის. მერაბიშვილმა, გავადრო, ისევ მოვა წინასაარჩევნო პერიოდი და ხელახლა მიიღებენ რაღაც მსგავს დადგენილებას, რუსეთის გველემპათან მებრძოლ რაინდებად რომ წარმოაჩინონ თავი. რეალური შედეგის მისაღწევად, სხვაგვარი მოქმედება საჭირო. ჩვენ ცხინვალში სამშვიდობო გეგმას ვახორციელებთ, ის მსოფლიომ მოიწონა და მხარს გვიჭერს. მა-

გრამ ამ გეგმაში არ არის გათვალისწინებული რუსი სამშვიდობოების გაყვანა. თუ სამშვიდობო ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ვიღებთ, ჩვენივე მთავრობის მიერ წარმოდგენილ კონცეფციას გადავუხვეით. „გათორეთ, რუსებო, საქართველოდან!“ — კარგი სათქმელია, მაგრამ შედეგი — ნული. ამ ეტაპზე, უფრო რეალური ნაბიჯი იქნებოდა, უფრო იოლად გასაკეთებელი და სამართლებრივადაც გასაგები, დსთ-დან გამოსვლა. იმავე აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა თუ გვაქვს დაგეგმილი, ამ პროცედურასაც გავამართლებდით, რადგან ცისფერჩაფხუტიანები იქ დსთ-ის ეგიდით იმყოფებიან. პრეზიდენტმა დსთ-ის საკითხი კი წამოატივტივა, მაგრამ ესეც პიარის ნაწილი იყო. მან მთავრობას ჯერ კიდევ 5 თვის წინ დაავალა, ამ თემაზე იმუშავეთო, მაგრამ თითი არავის გაუტოკებია. იცოდნენ, რომ ეს ზერელები ნასროლი მითითება იყო. თუ პარლამენტის დღის წესრიგში დადგება ამ საკითხის განხილვა, ოპოზიცია აუცილებლად შევახლოვდება დარბაზში.

# „უამრავი საპარლამენტო წარმომადგენელი მოგვს უსწორობა...“

— პრეზიდენტმა უნივერსიტეტის „მეამბოხე“ პროფესორებს, იგორ გიორგაძის მიერ მოსყიდულ გინოდან. ამის შემდეგ, კიდევ არსებობს შანსი, რომ თქვენი მოთხოვნები შესრულდება?

**თინათინ სანაძე**, უნივერსიტეტის პროფესორი:

— ჩვენ არც ერთ პარტიას არ მივეცი იმის უფლება, რომ უნივერსიტეტის ტრიბუნა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა. პრეზიდენტის ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. ის არაადეკვატურად აფასებს შექმნილ სიტუციას. ჩვენ მივესალმებით ყველა მოქალაქეს, რომელიც მოვას, მხარს დაუჭერს უნივერსიტეტის იდეას და მის გადასარჩენად იბრძოლებს. ეს ერთი ქვეყანა და პოლიტიკური კუთვნილების შესაბამისად ხალხის გამიჯვნა, არასწორად მიმაჩნია. იგორ გიორგაძის მხარდამჭერები აქციაში მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ არც ერთი პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებიათ. ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრა რომ გვქონდა, მას არგუმენტებულად ველაპარაკეთ და ხმა ვერ ამოიღო. ამ დროს, ნოდარ გრიგალაშვილმა თქვა — პოლიტიკური ნება ხომ კანონზე მაღლა დგასო. მაშინ ქალბატონმა ნინომ დატუქსა კიდევ — ასეთ რამეს როგორ ამბობო?!. თუ ამ ლოგიკით უნდათ ჩვენზე გამარჯვება — კი, ბატონო. ცნობილი



ფაქტია, 30-იან წლებში, უნივერსიტეტი გადააკეთეს პედაგოგიურ ინსტიტუტად და ჯავახიშვილიც კი გააგდეს აქედან. მაგრამ უნივერსიტეტი მალევე აღდგა. ეს კანონზომიერებაა. ჩვენ უამრავი სამადლობელი წერილი მოგვდის უცხოეთიდან, სადაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ფიზიკაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში და ა.შ. უფრო მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან, ვიდრე თუნდაც, ამერიკელები. ამის მოშლა და დანგრევა უნდათ. სამწუხაროდ, ჩნდება ეჭვი, რომ პრეზიდენტი უნივერსიტეტის პროფესორებს მხოლოდ იმიტომ არ ხვდება, რომ ჩვენს არგუმენტებზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. მაგრამ ეს ეტაბიცი გაივლის და უნივერსიტეტი მაინც გადარჩება. ■

# „საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებად პოლიტიკაზებული უნდა იყოს“

— რა შეფასებას აძლევთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ გიორგი პაპუაშვილის გადაყვანას?

**ლია მუხამბერიძე**, ადვოკატი:

— დღეს საქართველოსთვის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საკვანძო ადგილებზე ადამიანებს, არა პროფესიონალური, არამედ პოლიტიკური ნიშნით აწინაურებენ. ნაცემობის სხვა წევრებისგან განსხვავებით, გიორგი პაპუაშვილს შესაბამისი სამართლებრივი განათლება აქვს, თუმცა, ის არ არის პრაქტიკოსი იურისტი, გარდა ამისა, ცნობილია თავისი ლიბერალური პოზიციები. ვერ ვიტყვი, რომ პაპუაშვილი სხვაზე უარესი თავმჯდომარე იქნება, უბრალოდ, ვეძიებ, რომ ამ თანამდებობაზე დანიშნის შედეგად, შეეცდება, გაატაროს ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ამ ხელისუფლებას აქვს აღებული. საკონსტიტუციო სასამართლო ის ორგანოა,

რომელიც ნაკლებად პოლიტიკაზებული უნდა იყოს. თუკი მისი თავმჯდომარე გამოხატავს მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებს, თავად ორგანოც ვერ იქნება ისეთი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, როგორსაც მართლმსაჯულების სისტემა მოითხოვს. საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დანაწილებისა და ურთიერთკონტროლის პრინციპი იგნორირებულია. თუ საკონსტიტუციო სასამართლოც გახდება მმართველი გუნდის ნების განმარტოვებელი, მოიშლება დაბალანსების სისტემა და სრულ აბსურდამდე მივალთ. ამიტომ, ვენციის კონვენციას დავარღვევთ, რაც ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოსთვის დაუშვებელია. ბოლო დროს, ჩვენს საკონსტიტუციო სასამართლოს კარგი რეპუტაცია ჰქონდა. ძალიან ცუდი იქნება, თუ საზოგადოება მის მიმართაც დაკარგავს ნდობას. ■

# „ქართული მოკვამი“ ჩუსჩ ტანკვას „მეამბოხე“

რუსულან ლებანიძე

ბოლო დღეებში საქართველოში თუ საქართველოსთან დაკავშირებით განვითარებულმა მოვლენებმა რუსული პრესის განსაკუთრებით ცხოველი ინტერესი მიიპყრო. მიზეზი ადვილად ასახსნელია: ამ მოვლენების უმეტესობასთან რუსეთის სისლსორცული ინტერესებია დაკავშირებული და, ჩვენდა სავალალოდ, ბევრი რამ მისი ირობი თუ ზოგჯერ პირდაპირი ჩარევით ხდება. რაც შეეხება უშუალოდ რუსულ პრესას, ჩემდა გასაოცრად, ის ამჯერად, შედარებით ნაკლებად სცოდავს, რაც არცთუ ისე სწორი მოვლენაა...

## კავკასიური რევანში (Независимая Газета)

როკის გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან, რომელიც რუსეთ-საქართველოს ოფიციალურ საზღვარს წარმოადგენს, რუსეთის შეიარაღებული ძალების ჯავანტეფნიკა თავმოყრილი. როგორც ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა თეიმურაზ





მამსუროვმა განაცხადა, ტანკები იქ „დემონსტრაციულად“ დგანან და საქართველოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთშიც შევლენ.

ამ რაიონში ჯავშანტექნიკის თავმოყრა სამხედრო მანევრების — „კავკასიური მიჯნა“ — დამამთავრებელ ეტაპთანაა დაკავშირებული, — განაცხადეს სწავლების დროებით პრესცენტრში და ისიც დასძინეს, რომ როკის გვირაბთან ტანკები „მხოლოდ სტატიკური დგომისთვის“ როდია თავმოყრილი. გეგმის მიხედვით, სწავლების პერიოდში შემუშავდება სახმელეთო, საჰაერო-სადესანტო და სასაზღვრო ჯარების ურთიერთქმედება მამისონისა და როკის უღელტეხილებისა და საზღვრისპირა დასახლებული პუნქტების — ზემო ლარსისა და ქვემო ზარამაგის რაიონებში საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ჯარის ნაწილები დაამუშავებენ ბანდიტური ჯგუფების ბლოკირებისა და განადგურების, მშვიდობისმყოფელთა დახმარებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ტაქტიკას. როგორც სამხედროებმა განგვიმარტეს, სამხრეთ ოსეთში განლაგებულ სამ-

### სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბაბულობა

(Страна.RU)

მიხეილ სააკაშვილმა მოსკოვში, დსთ-ის სამიტზე ჩასვლა ბოლო მომენტში ანუ მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც კრემლმა ვლადიმირ პუტინთან აუდიენციაზე საბოლოო უარი უთხრა. ამასთან, ის, რომ რუსეთის პრეზიდენტი სააკაშვილთან შეხვედრაზე უარს იტყვოდა, ძნელი ამოსაცნობი სულაც არ იყო. რუსეთი ველარაფერს დაუმატებს იმას, რაც ნორმალური დიალოგის დასაწყებად, საქართველოს უკვე შესთავაზა. კერძოდ, ესაა საზღვრების ჩაუკეტვის გარანტია, საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების უფლებების დაცვა, შიდაპოლიტიკურ საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისგან თავის შეკავება და პროვოკაციების შეწყვეტა. ამ უბრალო სურვილებიდან, ჯერჯერობით არც ერთი არ სრულდება. სააკაშვილმა მოსკოვში ნაუსკვლელობის ფორმალური მიზეზი მოწინაა. ესაა ცვლილებები საკუთარ მთავრობაში, რომელიც საბოლოოდ, მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ხანდრავას გადაყენებით შემოიფარგლა...



Сегодня АБХАЗИЯ

რომ ის თბილისს მხოლოდ მორიგი პიარ-აქციისთვის სჭირდებოდა. მანამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, რომ ეს შეხვედრა „საქართველოს მხრიდან რუსეთთან კეთილმეზობლური და ურთიერთსასარგებლო პარტნიორული ურთიერთობის დამყარების კიდევ ერთი ცდა იქნებოდა“.

შეგახსენებთ, რომ ამ „კიდევ ერთი ცდის“ უმაღლე, საქართველოში დემონსტრაციულად დააკავეს, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მიმავალი, რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი, იური პოპოვი, რითიც ქართულმა მხარემ სხდომა ჩაშალა... „კრემლმა სააკაშვილს თავმონების კიდევ ერთი შანსი აღარ მისცა“, — აღნიშნა Страна.RU-სთან საუბრისას, კავკასიის დემოკრატიის ინსტიტუტის ექსპერტმა...

ახლახან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩაიარა კონსულტაციებმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, მერაბ ანთაძის მონაწილეობით. სწორედ ანთაძე დაინიშნა ხანდრავას თანამდებობაზე. როგორც ჩანს, „სააკაშვილის და ოქრუაშვილისთვის, ანთაძე, როგორც „ტექნიკური“ მინისტრი, ბევრად უფრო მისაღებია, რადგან ის ხელმძღვანელობის ნებას მორჩილად შეასრულებს. შეგახსენებთ — მანამდე, საგარეო საქმეთა სამინისტრო პირდაპირ მოუწოდებდა ხანდრავას გადადგომისკენ...

გაგრძელება იხ. გვ. 12



Сегодня ГРУЗИЯ

ვიდობო კონტინგენტთან ურთიერთქმედებას შემუშავება — „ჯერჯერობით“ (!) — მხოლოდ რუკებზე ხდება...

ერთ-ერთი ქართული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია, სამხედრო სწავლებები, სადაც უნდა, იქ ჩაატაროს, თუ ეს საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს არ სცილდება. „სხვა საქმეა, როცა კეთდება განცხადებები, რომ ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა მეზობელ სახელმწიფოში შეჭრისა და იქ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით მოხდება. ასეთ ნორმებს საერთაშორისო სამართალი არ იცნობს...“

შეგახსენებთ, რომ სამხედრო სწავლება — „კავკასიური მიჯნა“ 13 ივლისს დაიწყო და 27 ივლისამდე უნდა გაგრძელდეს. თუმცა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ინფორმაციისა და საზოგადოებრივი კავშირების სამსახურის უფროსმა, მაიორმა ანდრეი ბობრუნმა განაცხადა, მანევრები შეიძლება, მერეც გაგრძელდეს...

აკაშვილის ხელისუფლებაში დაბაბულობა, ბევრი რამ მეტყველებს. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ თავდაცვის მინისტრი პრაქტიკულად, ყველაფრით — სამხედრო სწავლებებით დაწყებული, ქართული მედიცინით დასრულებული — არის დაკავებული, პარლამენტი კი, ლამისა ყოველდღე იღებს დადგენილებებს, რომლებიც არ სრულდება. იმ აზრს, რომ „ომის პარტია“ საქართველოში თავის ნებაზე მოქმედებდა, მოსკოვშიც იზიარებდნენ, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტს მოლაპარაკებების საშუალებას მინც უტოვებდნენ. თავად პრეზიდენტი კი, დასავლეთში მოსკოვის იმპერიულ ამბიციებზე გაკეთებული ყოველი განცხადების შემდეგ, იმავე მოსკოვის მიმართაც არანაკლებ დეკლარაციულ განცხადებას აკეთებდა — აქაოდა, თბილისი მზადაა, „ტრადიციულ პარტნიორს“ ხელი გაუნოვდოსო.

სანქტ-პეტერბურგის „დიდი რვიანის“ სამიტის წინ, ვლადიმირ პუტინი საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. ამ შეხვედრას არანაირი სენსაცია არ მოჰყოლია. ცხადია,

**სახსება-გახსება**

**შპს „აპრიკა“**

**სახსება-გახსება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.**

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ, არ გაქვთ — მით უფრო დაგვირეკეთ. ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

**მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ). პარკინგის 21მ-4 სართ. (მაკოპალაის სართ.)**

**☎ 95-23-66; 99-69-00**

**899-44-64-60 6160 899-44-64-61 ბიორბი**

ლალი შანი

ქარნალისტი — ხატია შამუგია  
რესპონდენტი — ანთონ ცაქიბინიკა

— ავთო, პირველ რიგში, მინდა დაბადების დღე მოგილოცო (24 ივლისი) და სიამაყით აღვნიშნო ისიც, რომ ხარ ლომის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი, რადგან თავადაც ლომი გახლავარ. იქნებ, გაისხენო დაბადების დღე, რომელიც ყველაზე ტკბილად დაგამახსოვრდა?

— დაბადების დღეებზე მაინცდამაინც არ ვგუჯდები და ასეთი აზრი არაერთი ადამიანისგან მომისმენია. თუმცა, ყველაზე კარგი დაბადების დღე მქონდა შარშან, რადგან ამ დღეს, ჩვენი პატარაც მოვინათლეთ.

— ლომი სამეფო ნიშანია — თორმეტ მმართველ პლანეტას შორის, ისევე როგორც ბუნებაში, ნადირთა მეფე, აქაც მეფისთვის დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა. ოდესმე თვითონ თუ გიგრძნია, რომ მედიდურობა და მმართველის თვისებები გაქვს? — თუმცა, აქ არ ვგულისხმობ იმ სამოძველო სახლს, სადაც ლიდერი შენ ხარ.

— ეს თვისება მხოლოდ ზომიერების ფარგლებში მაქვს და არა ისე, რომ ჩემი მბრძანებლობითა და მედიდურობით სხვები შევანუხო. საერთოდ, ადამიანს უნდა შეეძლოს ერთი სიტყვის თქმა ისე, რომ ზედმეტი კითხვა არავის გაუჩნდეს. ცხოვრებაშიც და სამსახურშიც, საზოგადოებას საკუთარ თავს ისე წარვუდგენ ხოლმე, რომ ზედმეტი პრობლემა და თავის ტკივილი აღარ მიჩნდება.

— რომ გაკვირდები, ვფიქრობ, რომ მშვიდი ლომი ხარ, ყოველ შემთხვევაში, ემოციების მოთოკვა შეგიძლია, რაც ლომებს იშვიათად ახასიათებთ...

— ბევრი მუშაობა დამჭირდა იმიტისთვის, რომ ეს თვისება გამომემუშავებინა. ლომი ყველაზე საშიშია მაშინ, როდესაც მშვიდი თვისებებით გამოირჩევა და თუ აინყვეტს, მისი მსხვერპლის როლში ყოფნას არავის ფურჩევს...

— ლომები ბუნებით მონადირეები არიან. როგორც კი მსხვერპლს ხელში ჩაიგდებენ, სურვილს დაიკმაყოფილებენ, ნანადირევს მაშინვე მიაგდებენ და მორიგ მსხვერპლს ეძებენ ხოლმე... სანამ დაოჯახდებოდით, ასეთი თვისება შენც გახასიათებდა? ანუ, ხარ თუ არა ბუნებით მონადირე?

— მონადირე ვარ, მაგრამ ეს თვისება ჩემს პირად ცხოვრებაზე მაინცდამაინც არ აისახა — საკუთარ თავს ბევრის უფლებას არ ვაძლევდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოდის სფეროში დავინყე მოღვაწეობა და ხალხის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. სულ ცვდი-

23 ივლისს, ზოდიაქოს მეხუთე ნიშნის — ლომის „ბატონობა“ დაიწყო, რომელიც 23 აგვისტომდე გაგრძელდება. ლომი ცეცხლოვანი ნიშანია, რომელსაც მართავს პლანეტა — მზე. მისთვის ბედნიერი რიცხვებია — 1 და 14; ასტროლოგიური ფერები — ალისფერი, მოყვითალო-მოყავისფერი, მენამული და შავი; ასტროლოგიური ქვები — ალმასი, ლალი, ტოპაზი.

ლომი სტაბილურობით დაჯილდოებული, ცეცხლოვანი შტრიხით გამორჩეული ნიშანია. მას ენერგიულობა, სითბო და გულკეთილობა ახასიათებს. მისი ნაკლია — პატივმოყვარეობა და სიამაყე. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები ხშირად არიან ხელმძღვანელები. ამჯერად, უურნალ „გზის“ ფურცლებზე, ერთმანეთის პირისპირ ორი ლომი — ავთო ცეკიტინიძე და ხატია შამუგია აღმოჩნდნენ.



# ლომის პარადი ლაიფსთ

## როგორ იჭარან ანთონ ცაქიბინიკა და ხატია შამუგია მსხვერპლს

ლობდი, რომ პირადული ამბები საამკარაოზე არ გამომეტანა. ისე, საქმეში უფრო ვარ მონადირე, ვიდრე სხვა რაღაცეებში.

— ლომები კარიერისტები და ლიდერები არიან. ამ ნიშნის მქონე ადამიანი, თუ თავის პროფესიას მიზანმიმართულად მიჰყვება, ყოველთვის პროფესიონალი სდება. ლომს ფუფუნება უყვარს, რადგან ნადირთა მეფეა. იქ, სადაც კომფორტი არ არის, თავს ცუდად გრძნობს. სანამ შენს მიზანს მიაღწევდი, საკმოდ რთული გზის გავლა მოგიხდა. ამან დისკომფორტი არ შეგიქმნა?

— ბევრი ისეთი ბარიერი გადავლახე, რასაც ბევრი ლომი ვერ გადაიტანდა, რადგან მათ ძირითადად, მშვიდი ცხოვრება უყვართ. მაგრამ მე ეს შევეძელი — ვიბრძოდი და ვიბრძვი დღემდე იმიტისთვის, რომ კარგად ვიყო და საამისოდ, ძალ-ღონეს არ ვიშურებ. ძალიან რთულია, გახდე საქართველოში ცნობილი დიზაინერი, მაგრამ ჩემი შრომისმოყვარეობისა და თავდადებული მუშაობის შედეგად, ქართველმა საზოგადოებამ მალიარა. თან, ეს პერიოდი საქართველოში შოუბიზნესის აღორძინებას დაემთხვა,

საჭირო გახდა ბიჭი დაიზაინერის არსებობა და ელიტამ ისე მიმიღო, როგორც ეს მეფეს შეეფერება... მოკლედ, ჩემ მიერ გაცემული ენერგია, უკან კარგად დამიბრუნდა.

— გეთანხმები, საქართველოში ძნელია თვითდაპყვიდრება. მიშა ცაგარელს აქვს ნათქვამი, რომ ქართველები ზოგადად, ლომის ნიშნის ქვეშ დაბადებული ერა ანუ არიან ძალიან ამბიციურები და ამაყები — თუ „იამა მოტოს“ ან „შანელის“ პროდუქცია არ არის, არაფერს ჩაიცვამენ. ასეთ საზოგადოებაში კი, დიზაინერისთვის თავის დამკვიდრება, ალბათ, ორმაგად რთულია.

— მოდიდან უკვე გადის ის მოთხოვნილება, რომ ადამიანს ეცვას რომელიმე ცნობილი დიზაინერის სამოსი. უჩნდებათ სურვილი, ჩაიცვან ისეთი დიზაინერის მიერ შექმნილი ტანსაცმელი, როგორც ვთქვით — ავთანდილია.

— ლომს კეთილშობილი მეტალები, განსაკუთრებით კი, ოქრო და ძვირფასი თევლები ხიზლავს. დიდი ხანია, შენთან ვმეგობრობ, მაგრამ არასდროს შემიმჩნევია, რომ ძვირფასი სამკაულები გკეთა.

— ჩემი სამკაული არის ქორწინების ბეჭედი, რომელიც არა ყვითელი, არამედ, თეთრი ოქროა და ძალიან არ ბრწყინავს. საერთოდ, არ მიყვარს ყვითელი ფერი, არადა, როგორც დიზაინერს, თითქოს უნდა მიზიდავდეს; არ მისიზავს ზედმეტი აქსესუარი — მიმაჩნია, რომ ის ქალს უფრო უხდება.

— კლიენტებთან ურთიერთობა მშვიდად გამოგდის. ლომებს კი, კონფლიქტურობა ახასიათებთ...

— ალბათ, ლომების განსაკუთრებულ კატეგორიას მივეკუთვნები — მშვიდი ლომი ვარ. რაც შეეხება კლიენტებთან ურთიერთობას, ისინი ჩემთან იმისთვის მოდიან, რომ რაღაც შეიძინონ, მაგრამ მერე ყველა მიმეგობრდება და ჩვენი სახლის სერიოზული კლიენტი ხდება. ჩვენთან შემოსული ადამიანი კმაყოფილი უნდა წავიდეს და მოსვლა კიდევ უნდა მოუხდეს, მაგრამ თუ კლიენტი ზედმეტად ამბიციურია და მასთან ურთიერთობით შეიძლება დაგვინდებ, ურთიერთობას არ ვაგრძელებ, აღარ ვისარჯები. მას შეუძლია ჩემი ნაწარმი მაღაზიაში შეიძინოს ისე, რომ მე ის არც ვნახო — დღეს, უკვე, საკუთარ თავს ამის უფლებასაც ვაძლევ, ადრე კი, ყველაფერი სხვანაირად იყო.

— შენი მეუღლე ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ არის დაბადებული?

— 18 თებერვალს არის დაბადებული — მერწყულია.

— როდესაც ოჯახის შექმნა გადაწყვიტე, ჰოროსკოპს არ გადახედე?

— არა, არ გადამიხედავს. ჰოროსკოპს მნიშვნელოვან ყურადღებას არასდროს ვუთმობდი. ამ მხრივ, არც ხათუნას შემთხვევაში დავფიქრებულვარ — რა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაც არ უნდა ყოფილ-

ყო დაბადებული, მაინც შემიყვარდებოდა. თუმცა, ალბათ, იმიტომაც შეგიყვარდა, რომ მერწყული ერთ-ერთი საუკეთესო ნიშანია, ყველას ეწყობა და ეგუება.

— ავთო, ვარცხნილობაც ლომის ფაფარით გაქვს...

— ბევრი მეუბნება, რომ ვიზუალურად, ლომს ძალიან ვგავარ და ვარცხნილობაც მორგებული მაქვს (იღიმება).

— შენი სტიქია წესით, ზღვა და მზე უნდა იყოს...

— ძალიან მიყვარს სითბო და ამიტომ თბილ ქვეყნებში მინდა წასვლა. იქნებ, ოდესმე აფრიკაში წავიდე.

— ლომის მთავარი სურვილია — უყვარდეთ. მათ მოფერება ძალიან სიამოვნებთ...

— მომწონს, როცა კარგად მექცევიან. ყურადღება შეიძლება ბევრს აღიზიანებს, მე კი პირიქით, მსიამოვნებს.

— მეც მომწონს ყურადღება... ჩემი კითხვები დასრულებულია, მგონი, ზედმეტიც კი მომივიდა.

**ჟურნალისტი** — ხატია შამუგია  
**რეპორაჟი** — ანთონ სეპტიმიანი

— ხატია, მეც დიდი ხანია, გიცნობ და შენ შესახებ ბევრი რამ ვიცი. შენ, როგორც ლომის მოთხოვნები და სურვილები დაკმაყოფილებულია?

— კი, მიმაჩნია, რომ ტიპური ლომი ვარ და მჯერა, რომ ასტროლოგია ზუსტი მეცნიერებაა. ჩვენთან, სამსახურში მიმა ცაგარელი მოვიდა, რომელსაც მაშინ არ ვიცნობდი. რაღაც ერთი სიტყვა ვთქვი და მითხრა: შენ კლასიკური ლომი ხარო. მართლაც, მას ყველა ნიშან-თვისებით ვგავარ — მაქვს რაღაც ისეთი თვისებები, რომლებიც არ მომწონს, მაგრამ ისინი შენნაირად ვერ გადავლახე. ალბათ იმიტომ, რომ ქალი ლომი ვარ, ემოციური.

— ცნობილი სახე ხარ — ქუჩაში შენი ბილბორდები დგას. ეს გსიამოვნებს თუ პირიქით, გაღიზიანებს? და საერთოდ, შენს ცხოვრებაში რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც „ისი პარის“ სახე გახადი?

— პოპულარობა არ მაღიზიანებს. უკვე ხომ აღვნიშნეთ, რომ ლომებს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვართ და ვინც ამბობს, რომ მას ყურადღება არ სიამოვნებს, ის ალბათ, ყალბია. ხოლო მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე, ცნობილი სახე გახადი, მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა. არ არის ადვილი, ამხელა კომპანიის პიარმენეჯერობა და მისთვის რეკლამის გაკეთება

— არ შემიძლია სახლიდან მოუწესრიგებული გამოვიდე.

— ხატია, საქართველო ის ქვეყანა და ადგილია, სადაც შენ უნდა ცხოვრობდე?

— აბა, რა?! სხვაგან ნამდვილად ვერ ვიცხოვრებდი. საერთოდ, ეს ქართველების სენია — შეიძლება საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წახვიდე, მაგრამ უკან აუცილებლად დაბრუნდები, რადგან სამშობლო ძალიან გეყვარს.

— რისთვის იბრძვის ცხოვრებაში ლომი — ხატია შამუგია?

— მინდა, წარმატებული ადამიანი ვიყო და ვოცნებობ იმ ერთ მშვენიერ დღეზე, როცა ჩემი უკვე ზრდასრული შვილი მოვა და ყველაფრისთვის დიდ მადლობას გადამიხდის. სიმართლე გითხრა, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ მთავარია, იყო იღბლიანი — როდესაც იღბლიანი ხარ, მიზანს ადვილად აღწევ.

— უამრავ ადამიანთან გინევეს ურთიერთობა, შენზე მუდმივად მესმის, რომ არაჩვეულებრივი მეგობარი ხარ. მართლა ყველასთან მეგობრობ?

— დედისერთა ვარ და ამიტომ ხალხმრავლობა მიზიდავს. ძალიან მიყვარს მეგობრები, მათ ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ... საერთოდ, ადამიანთან კონტაქტში იოლად შევდივარ, რადგან გველის ნელში ვარ დაბადებული — სადღაც წავიკითხე, რომ ის ბრძენი და დიპლომატია. ამიტომ, ამბიციურ ლომს გველი ცოტათი აბალანსებს. თუმცა, ნეიტრალური ურთიერთობა არ შემიძლია — ან ძალიან მიყვარს, ან საერთოდ არა.

— ხარ თუ არა მმართველი, თუ პასუხისმგებლობას გაურბინარ?

— ჩემთვის მმართველი ადამიანი ყოველთვის მამაკაცთან ასოცირდება, რადგან ის უფრო ძლიერია.

— როგორი ადამიანი გინდა, გვერდით რომ გყავდეს?

— მინდა გვერდით მყავდეს ზრდასრული ადამიანი, რომელიც გააცნობიერებს იმას, რომ მე ვარ დამოუკიდებელი, მაქვს ჩემი საქმე და არ უნდა შემზღუდოს. საერთოდ, ამბობენ, რომ პირადი ცხოვრება და კარიერა, ერთმანეთს ხელს უშლის — ჩემთვის ჯერ მთავარია საქმე, რადგან შვილის წინაშე პასუხისმგებელი ვარ... ვნახოთ, მეორე ნახევარი მეყოლება თუ არა. ისე, ჩემი შესაფერისი თუ საერთოდ არ გამოჩნდა, არც ეგ არის პრობლემა (იცინის).

— როგორი წარმოგიდგენია ასაკოვანი ხატია შამუგია?

— ისეთ კომპანიასთან ვთანამშრომლობ, რომ ზუსტად ვიცი, ასაკში შესულიც ისეთივე ვიქნები, როგორიც ახლა ვარ. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ვიცი, რომ სული არ ბერდება.



— ავთო, ვარცხნილობაც ლომის ფაფარით გაქვს...  
— ბევრი მეუბნება, რომ ვიზუალურად, ლომს ძალიან ვგავარ



თამარ როსტომიძე

რა კომენტარს გაუკეთებთ ხელისუფლების მიერ გამოთქმულ ვერსიას — რომ პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული რუსეთიდან იმართება?

— ფაქტი ერთია — კვიციანი რაღაცით არის დაინტერესებული, რის გამოც, ეს პროცესი წამოიწყო. აგრეთვე რაღაცით არიან დაინტერესებულნი იგორ გიორგაძის მხარდამჭერები, რომლებიც დღითი დღე მრავლდებიან... ამ „რაღაცის“ დასახელება მიჭირს. მაგრამ მხოლოდ რაღაცის გამო საპროტესტო აქციები არ მიმდინარეობს. ის, რომ გირგვლიანის მკვლელობის პროცესი უსამართლოდ ჩატარდა, უნივერსიტეტში დაპირისპირებაა და ამის გამო, მასობრივი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს, — ეხეც ხომ რუსეთიდან მართალი არ არის?! ამას კი, წინასწარჩვენოდ, შესანიშნავად იყენებს ოპოზიცია. მიმაჩნია, რომ ხელისუფლება თავის შეცდომებზე უნდა დაფიქრდეს და მის გამოსწორებას შეეცადოს.

— ოპოზიციის მტკიცებით, რუსი სამშვიდობოს გაყვანის შესახებ მიღებული დადგენილება მხოლოდ ფარატინა ქალაქია. როგორ ფიქრობთ — მოპყვება თუ არა ამ გადამწყვეტილებას რეალური ნაბიჯები?

— ნებისმიერი დადგენილება შესაძლოა, მხოლოდ ფარატინა ქალაქად დარჩეს, თუ მისი ავტორები გადამწყვეტილების რეალიზაციას არ მოისურვებენ. ოპოზიციის შეფასება გასაგებია იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი დადგენილება სხვადასხვა დროს ცხრაჯერ იქნა მიღებული, მაგრამ რეალურად, ერთხელაც არ შესრულებულა. თუ დადგენილება მიიღეს იმისთვის, რომ შესრულებულიყო, მიმაჩნია, რომ ამისთვის დრო სწორად ვერ შეარჩიეს. სულ ცოტა ხნის წინ, რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა ესპერტმა თქვა, რომ რუსეთი ამჟამად, ძალიან ძლიერია, პუტინი — საკმაოდ თავდაჯერებული და ამერიკის მხრიდან რუსეთისთვის რაიმე სახის პირობების წაყენება არარეალურია. რუსეთთან მიმართებაში, აშშ-ს, როგორც ხელისუფლების, მოქმედების სტილი აღარ გამოადგება. რუსეთმა ბოლო დროს, თავის ენერგომატარებლების ბაზეში გაახვია ევროპისა და აზიის ნაწილი და ამ კონტინენტებზე

კოდორის ხეობაში განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში ისედაც გამწვავებული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის მიერ გადადგმულ ნაბიჯს წინ უძღოდა კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას პოსტიდან გათავისუფლება და მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება; პარლამენტის მიერ რუსი სამშვიდობო ძალების საქართველოდან გაყვანის შესახებ დადგენილების მიღება. როგორ განვითარდება მოვლენები? ამის პროგნოზირება ძალზე ძნელია, მაგრამ ცხადია, სპეციალისტ-ექსპერტებს საკუთარი ვერსიები აქვთ. ამჯერად, პოლიტოლოგ რამბზ საჩხერაძის მიგმართეთ.

„ოქს ჯარში“ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს ანუ ღებრთა არ ქნას, გააუბრული რუსეთის კლანჭები აღმოვიჩნდით

მისი გავლენა საკმაოდ ძლიერია. რუსეთი ძლიერდება, პარალელურად კი, აშშ-ის პოლიტიკის სისუსტე იკვეთება — როგორც ერაყში, აგრეთვე — ავღანეთში. ბოლო ხანებში, ამერიკას პრობლემების გადაწყვეტაში ეფექტური ნაბიჯი არ გადაუდგამს. რუსეთის სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების რეალურად განხორციელების პერსპექტივას სამწუხაროდ, ამ ვითარებაში ვერ ვხედავ. ჩვენი ხელისუფლების დიდი მეგობარი — ამერიკა არ დაუპირისპირდება და არ განაწყენებს რუსეთს იმის გამო, რომ საქართველოდან სამშვიდობოები გაიყვანოს. ამდენად, მიმაჩნია, რომ ამ დადგენილების მისაღებად დრო არასწორად შეარჩიეს.

— თუ არა დადგენილების რეალურად განხორციელება, მხოლოდ ფორმალური აქტის მიღება რა მიზანს უნდა ისახავდეს?

— სხვადასხვა სახის დადგენილების მიღება ყოველთვის მისი რეალურად განხორციელების მიზანს არ ემსახურება. პარლამენტი იმედოვნებდა, რომ პრეზიდენტების შეხვედრისას, სააკაშვილი ამ დადგენილებით, პუტინზე გარკვეულ ზენოლას განახორციელებდა, მაგრამ შეხვედრა არ შედგა. უფრო მეტიც — ისიც კი ვერ გაგივტ, თუ რა იყო შეხვედრის ჩაშლის რეალური მიზეზი. იმისთვის, რომ საქართველოს პრეზიდენტი გარკვეულწილად, დაემცირებინა, სულ ცოტა ხნის წინ, სანქტ-პეტერბურგში პრეზიდენტმა პუტინმა პროტოკოლში ცვლილებები შეიტანა და ამით საკუთარი უპირატესობა გამოკვეთა... რუსეთი ყოველთვის ცდილობს, თავის სიძლიერეს მკაფიოდ გასუფას ხაზი. რუსეთს არ სურს საქართველოსთან დიპლომატიური ენით ლაპარაკი. ის ეცდება, გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანს — იმ მდგომარეობამდე, როდესაც საქართველოსთვის მთავარი, რუსეთის კეთილგანწყობილება იქნება და არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს მიზანი რუსეთის პრეზიდენტს უკვე დიდი ხანია, რაც დასახული აქვს. პუტინმა ისიც კი თქვა — ჩვენ გვინდა, ხალხს დავანახოთ, თუ რას ნიშნავს რუსეთი საქართველოსთვის...

— რუსი პოლიტიკოსების მხრიდან ხშირად ისმის — აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის დაძაბვის შემთხვევაში, „ჩვენს მოქალაქეებს“ დავიცავთო. პარალელურად, როკის გვირგვინთან რამდენიმე ათეული რუსული სამხედრო ტექნიკაა მობილიზებული. ეს ყველაფერი რას მოასწავებს?

— არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა როკის გვირგვინთან კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს, რის შემდეგაც, საზღვარზე მყოფი რუსული ძალა არა მარტო „თავდაცვით რეჟიმში“ ამოქმედდება, არამედ შეტევაზეც გადმოვა. კონფლიქტური ზონიდან თბილისამდე კი, არცთუ ისე შორია. რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობის ფონზე კი, არ არის გამორიცხული, რომ პუტინმა თბილისის სამხედრო დარტყმის საფრთხის ქვეშ დააყენოს. რუსეთს საქართველოში კონფლიქტი, რასაკვირველია, ხელს აძლევს. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან იოტისოდენა წინდაუხედაობამაც კი შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს. იმ შემთხვევაში, თუ თბილისი სამხედრო დარტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება, რუსეთი ულტიმატუმების კასკადს მოაყოლებს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ ძალზე ხშირად იდგმება ისეთი ნაბიჯები, რომლებიც არ იყო ხელსაყრელი სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად. მიჭირს პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება, მაგრამ აღვნიშნავ, რომ რუსეთის პროვოკაციას ქართული მხარი თუ წამოეგება, ჩემთვის გასაკვირი ნამდვილად არ იქნება...

— თუ პროცესები ასე განვითარდება, ფიქრობთ, რომ აშშ და დასავლეთ ევროპა საქართველოს გამო, რუსეთთან დაპირისპირებისგან თავს შეიკავებენ?

— მიმაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევის საკითხში საქართველო აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის იმედზე ნამდვილად არ უნდა იყოს. რუსეთთან ურთიერთობისას, არც აშშ და მით უფრო — დასავლეთ ევროპა თამამი ვერ არის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, მოგესწენებათ, ევროპის ქვეყნების უმეტესობა რუსული ენერგორესურსებით სარგებლობს და რუსეთთან დაპირისპირება, რასაკვირველია, მათ ხელს არ აძლევს. „დიდი რვიანის“ სამიტზე, მის მაგივრად, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან რუსეთის ურთიერთობის საკითხები განხილულიყო, „დიდი რვიანის“ ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ მხოლოდ აღ-

ამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ის-როლა ცალკეული რეპლიკა. დემოკრატიის თემზე ამგვარი რეპლიკების მოსმენა რუსეთს არ აღეგულებს. არსებობს „რუსული დემოკრატიის“ გარკვეული ფორმა, რომლის ფარგლებშიც, ტერორისტების დევნის მოტივით, შესაძლოა, დარბაზში მყოფი ადამიანები ამოხოცონ. ასე რომ, ამ ეტაპისთვის, დასავლეთის იმედით რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან გონივრულ ნაბიჯად არ ჩაითვლება.

— გოგა ხაინდრავას თანამდებობიდან მოხსნა რუსმა პოლიტიკოსებმა „ომის პარტიის“ გამარჯვებულ მიჩინეს. თქვენი აზრით, რა იყო სახელმწიფო მინისტრის დათხოვნის რეალური მიზეზი?

— რუსეთში „ომის პარტია“ ერთ-ერთი უძლიერესია, რომლის სტრატეგიითაც მო-

დაუსახელებია. მიმაჩნია, რომ ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ამ ხელისუფლებას მადლობის გადახდით უნდა გეცელებინა და არა ისე, როგორც რეალურად მოიქცნენ. მან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და მათი სტრატეგიული გეგმები კონფლიქტურ ზონებში რეალიზებული ყოფილიყო.

— მერაბ ანთაძესთან დაკავშირებით რას იტყვით? სახელმწიფო მინისტრად ამ პიროვნების დანიშვნით, მთავრობის მიერ აღებული კურსიც ხომ არ შეიცვლება?

— მერაბ ანთაძე გახლავთ რუსეთთან ურთიერთობის სფეროში უზარმაზარი გამოცდილების მქონე პროფესიონალი, ისეთი მშვიდი ტემპერამენტის მქონე ადამიანი, რომელსაც პრაქტიკულად შეუძლია, განაიარაღოს სეპარატისტული მთავრობები, რაც

გარეშე, რამდენიმე წუთში ერთხმად დაამტკიცეს იმ შეთხვევაში, თუ ამგვარი ვითარება დიდხანს გასტანს, საქართველოში დემოკრატიის არსებობას საერთაშორისო საზოგადოება ეჭვქვეშ ხომ არ დააყენებს?

— იმისთვის, რომ რაიმე დაინახო, უნდა გჭირდებოდეს მისი დანახვა: დღეს საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოში დემოკრატიის არსებობა-არარსებობის გარკვევა არ სჭირდება. იმისათვის, რომ დემოკრატიის ხარისხი გაზრდილიყო, ვარდების რევოლუცია ხომ სწორედ დასავლეთის ხელშეწყობით მოხდა. დასავლეთმა რომ ახლა საქართველოში დემოკრატიის ხარისხის გარკვევა დაიწყოს, გამოდის, რომ საკუთარ შეცდომებზე უნდა აღაპარკდეს. რევოლუციის დამფინანსებელს, რასაკვირველია, არ აძლევს ხელს საქართველოს არადემოკრატიულობაზე ლაპარაკი... ვიმედოვნებ, რომ იგი შეეცდება, ამ პრობლემას მიხედოს — თუმცა, არ ვიცი, ამდენი ჭკუა ეყოფა თუ არა. ბოლო პერიოდში განხორციელებული დასავლური პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, მიმაჩნია, რომ ის ინტელექტუალურად მზად არის იმ მიზნების მისაღწევად, რომლებსაც ხელი მოჰკიდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით დემოკრატიის განვითარება, ერთ-ერთი ამბიციური და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომელიც აშშ-ის მთავრობამ დაისახა მიზნად. სამწუხაროდ, ამერიკელი პოლიტიკოსები სადღეისოდ, არ ტოვებენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად, ინტელექტუალურად მზად არიან. ამას მოწმობს ერაყში თუ ავღანეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. დეკორაციული დემოკრატია საქმეს არ შევლის. დეკორაციული დემოკრატია საქართველოში მხოლოდ ანტიამერიკულ განწყობილებას ჩამოაყალიბებს. თუ დააკვირდებით, ერაყში, სადაც აშშ-ის სამხედრო ძალები მოქმედებს, გაცილებით მეტი ტერაქტი ხდება, ვიდრე იმ ზონებში, სადაც ინგლისის სამხედროები მოქმედებენ. ეს იმიტომ, რომ ამერიკელებისგან განსხვავებით, ინგლისელები მეტი გონივრულობა ახასიათებთ. თუ აშშ-მა დემოკრატიზაციის კუთხით, დასახული მიზნების მიღწევას რეალურად არ შეუწყო ხელი, საქართველო გააგებული რუსეთის კლანჭებში აღმოჩნდება, ეს კი სადამდე მიგვიყვანს — ფიქრიც კი არ მინდა.



ქმედებდა რუსეთის ფედერაცია და სავარაუდოა, რომ ახლაც მოქმედებს. „ომის პარტია“ — ეს ეპითეტი ჩვენი ხელისუფლების გარკვეულმა წრეებმა მას შემდეგ დაიმსახურეს, რაც ღიად განაცხადეს, რომ მათ არ აინტერესებთ, თუ რას ითხოვს ევროპა და თუ საჭირო გახდა, დაკარგული ტერიტორიების აღდგენას ძალისმიერი მეთოდებითაც გადაწყვეტენ. არა მარტო თავდაცვის მინისტრი, არამედ პრეზიდენტიც თავის გამონათქვამებში ძალაზე აქცენტს ხშირად აკეთებს... „ომის პარტია“ თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ თუ ხელისუფლებამ განსხვავებული პოლიტიკით არ დააბალანსა, მაშინ გამოვა, რომ მხოლოდ ძალაზე ორიენტირებული ქვეყანა. საქართველოში „ომის პარტიის“ პოლიტიკის ერთ-ერთი დამბალანსებელი იყო გოგა ხაინდრავა, რომელიც თანამდებობიდან გამომდინარე, ცდილობდა, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით დარეგულირებულიყო. თავდაცვის მინისტრი „ომის პარტიის“ ლიდერია. გოგა ხაინდრავა, ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირებას შეეწირა. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განმარტებისგან თავი შეიკავა. როგორც ხშირად ხდება, ის უსიამოვნო საკითხებზე საუბარს თავს არიდებს და მხოლოდ წარმატებებზე ლაპარაკობს. პოსტიდან ხაინდრავას გათავისუფლების მიზეზი, კონკრეტულად, არც პრემიერ ნოლაიდელს

ძალზე კარგი ინსტრუმენტი რუსეთთან ურთიერთობისას... საერთოდ კი, გარემოს დაცვისა და სახელმწიფო მინისტრების შეცვლით, არა მგონია, მთავრობის სამოქმედო გეგმაც შეიცვალოს. იმ შეთხვევაში, თუკი კონფლიქტურ ზონებში საომარი სიტუაცია შეიქმნება, მერაბ ანთაძემ შესაძლოა, პროტესტი ნაკლებად გამოთქვას, ვინაიდან ის — დიდი გამოცდილების მქონე ჩინოფიკია და სავარაუდოდ, იერარქიას ანგარიშს გაუწევს. ხაინდრავა კი (რასაკვირველია, კვლავ სახელმწიფო მინისტრი რომ იყოს), ატებს ყვირილს, განგაშს, რადგან იგი რეჟისორია, შეიძლება ითქვას — თავისუფალი პროფესიის ადამიანი და მის ბუნებაში ეს ზის.

— ოპოზიციის საპარლამენტო ბიუჯეტის გამო, მნიშვნელოვან საკითხებს მხოლოდ მმართველი პარტია წყვეტს. „ნაციონალურმა“ ახალი მთავრობა, ყოველგვარი განხილვის

Advertisement for 'ფინსი' (FINSI) featuring a list of products: 'ფსიქოლოგიური მედიკამენტი', 'საბრძოლო იმპროვიზებული იარაღები', 'საუკუნოვანი მედიკამენტი', 'საბრძოლო იმპროვიზებული იარაღები'. It also includes contact information: 'სახელი ხაზი: 39 66 03'.

# „ქართული მოკვამი“ ჩვენს სანაპიროს „ქვეყნისთვის“

დასაწყისი იხ. გვ. 6

### ახალ კაბინეტში მხოლოდ ხაინდრაავას ადგილი აღარ მოიძებნა

(Время новостей)

— სამშაბათს საქართველოს პარლამენტმა ხელახლა დაამტკიცა ქვეყნის მთავრობა. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრაავა ის ერთადერთი მინისტრი აღმოჩნდა, ვისი ადგილიც ახალ კაბინეტში აღარ მოიძებნა.

გიორგი ხაინდრაავას დათხოვნის სკანდალურმა ცნობამ ქვეყანაში ისეთი მოვლენაც კი დაჩრდილა, როგორც დსთ-ის ქვეყნების არაფორმალურ სამიტში მონაწილეობაზე მიხეილ სააკაშვილის უარი იყო. როგორც პოლიტოლოგმა პაატა ზაქარაიშვილმა **Время новостей**-ს განუცხადა, ხაინდრაავას გადაყენებით, ნათელი გახდა, რომ „საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში აგრესიულ პოლიტიკურ კურსს ირჩევს... ხაინდრაავას დათხოვნამდე, ამ პროცესის დაწყების ერთ-ერთი ნიშანი, გაეროში საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად, აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის სპეცნარმომადგენლის, ირაკლი ალასანიას გამწესებაც იყო. ამით, კონფლიქტების დარეგულირების პროცესისთვის ყველაზე უფრო ლიბერალური პოლიტიკოსების ჩამოცილება დაიწყო. ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ახალ სამომარ კონფრონტაციამდე მიგვიყვანოს“...

აუღიარებელია რესპუბლიკებმა გიორგი ხაინდრაავას გადაყენება საგანგაშო სიგნალად აღიქვეს. **Время новостей**-ის სსხუმური და ცხინვალური წყაროების აღიარებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრი მოლაპარაკებებზე ყოველთვის თბილისის პოზიციას იცავდა, მასთან, როგორც ჩინოვნიკთან, რომლისთვისაც მიუღებელი იყო დარეგულირების ძალისმიერი მეთოდები, კონსტრუქციული დიალოგის წარმოება მაინც შეუძლებელია.

ქართული ოპოზიციის მტკიცებით, 50 წლის ხაინდრაავა მთავრობაში „ეთერი ყვავივით“ იყო. გასული წლის შემოდგომაზე, მხოლოდ მან დაიცვა სალომე ზურაბიშვილი, რომელიც პრეზიდენტის გარემოცვას-

თან უთანხმოების გამო, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადააყენეს. წელს, ივლისის დასაწყისში, ხაინდრაავამ განაცხადა — შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილას რომ ვყოფილიყავი, გადავდგებოდიო. დაბოლოს, გასულ კვირას, ბატონმა ხაინდრაავამ აღიარა, რომ 16 ივლისს, ცხინვალ-იდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე რუსეთის საელჩოს ავტომობილის დაკავებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დიპლომატების ხელშეუხებლობის ვენის კონ-



ვენცია დაარღვია. იმავე ავტომობილში მყოფ გენერალ ვალერი ევნივიჩს, ხაინდრაავამ „პროვოკატორი“ უწოდა. მაგრამ ამას, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილისთვის მაინც არ შეუშლია ხელი იმაში, რომ უხეშად ერობა ხაინდრაავასთვის — თუ გუნდურ პრინციპებს არ იზიარებ, „ბარგი შეკარი“ და მთავრობა დატოვეო. თავდაცვის მინისტრმა „თალითის მფარველი“ („თალითად“ ოქრუაშვილი ევნივიჩს მიიჩნევს) ხაინდრაავას განცხადება „პოლიტიკურ კვლევებად“ და „პოზიციონებად“ შეაფასა.

ამის შემდეგ აშკარა გახდა, რომ პრეზიდენტს კაბინეტის ორ წევრს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევდა. მიხეილ სააკაშვილმა 33 წლის ირაკლი ოქრუაშვილი აირჩია, რომელსაც საქართველოში „ომის პარტიის“ ლიდერად და „მთავარ ქორად“ მიიჩნევენ. სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრაავას კი, დათხოვნის მიზეზი არ აუხსნეს. მან თავისი გადაყენებისა და იმის შესახებაც, რომ საქმეები ახალი სახელმწიფო მინისტრისთვის — მერაბ ანთაძისთვის უნდა გადაებარებინა, უურნალისტებ-

ისგან შეიტყო. ოქრუაშვილის პოზიციებს ისიც განამტკიცებს, რომ პარლამენტის მიერ 123 მილიონი დოლარით გაზრდილი 2006 წლის ქვეყნის ბიუჯეტიდან, თავდაცვის ხარჯებზე 350 მილიონი დოლარი გამოიყოფა.

თავად გიორგი ხაინდრაავამ, მისი გადაყენების შემდეგ, უურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე ხაზი გაუსვა, რომ მის გადაყენებას კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ხელისუფლების მიერ აღებულ მშვიდობიან კურსში ცვლილებების შეტანა არ მოჰყვება. „მთავრობაში მომხდარი ცვლილება ნორმალური პროცესია, — განაცხადა მან, — მთავრობა, მთავრობის კურსი არ შეიცვალავს. პერსონები დიდ როლს არ ასრულებენ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებული მშვიდობიანი კურსი არ შეიცვლება...“ ხაინდრაავას აზრით, მასთან ერთად თუ მის გარეშე, საქართველოს ხელისუფლება მიიღწევს „საქართველოს ტერიტორიიდან იმ უცხოური ჯარების გაყვანას, რომლებიც ამჟამად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დგანან“... საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, საქართველოს პოზიცია დასაბუთებულია. ჩვენ ჩვენს მიზანს მივაღწევთ“, — დარწმუნებულია იგი.

**Время новостей**-სთვის მიცემულ ინტერვიუში ხაინდრაავამ ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ჯერაც არ მოისურვა მასთან შეხვედრა და დათხოვნის მიზეზის ასანა. როგორც ქართული საინფორმაციო საშუალებები წერენ, პრეზიდენტი სულ უფრო მეტად ხდება საკუთარი გარემოცვის მძევალი. თუმცა, „ამალაშ“ კარგად იცის — „მეფეს“ პირი როგორ მოუქონოს. მაგალითად, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიგა ბოკერიამ, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგიად მიიჩნევენ, დსთ-ის სამიტზე რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ორმხრივი მოლაპარაკებების გეგმების ჩავარდნას არატრივიალური ასანა მოუძებნა. ბოკერიამ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტთან საჯარო დისკუსიებში, რბილად რომ ვთქვათ, დისკომფორტს განიცდის. უფრო ზუსტად კი — ვლადიმირ პუტინს ამ გამოსვლების ემინია...“

**P.S.** ეს მიმოხილვა უკვე მზად მქონდა, როდესაც ყველას მიერ მივიწყებულ და ბედის ანაბარად მიტოვებულ კოდორის ხეობაში კიდევ ერთი ქართული ტყვიანი და უბედურება დატრიალდა და მანამდე მომხდარი ყველა დიდი თუ პატარა მოვლენაც გადაფარა... ცხადია, ეს ამბავი რუსეთშიც უმაღლესი აიტაცა და თავის საინფორმაციო საშუალებებში ლამის პირველ ადგილზე „გამოფინა“... კოდორის მოვლენებით აღტყინებული რუსული პრესა ამ უბედურებაზე კიდევ ბევრს დაწერს და, შიგადაშიგ, ალბათ, ობიექტურადაც... თუმცა, ქართულ საზოგადოებას ამ შემთხვევაში, რუსული პრესის და თუნდაც, მთლიანად რუსეთის ობიექტურობაზე მეტად, საქართველოს ხელისუფლების წინდახედული ნაბიჯები გაახარებდა... მაგრამ როგორც ჩანს, ქართველები არათუ სხვის, საკუთარ შეცდომებზეც ვერაფერს ესწავლობთ...

- სასტუმროების დაჯავშნა
- საწვდარგარეთის კურორტებზე.
- დასასვენებელი და ბიზნეს ტურები.
- საქართველოს კურორტები

E-mail: irili-2005@mail.ru

**სტრიაში**

იკონოლას  
ინოლას

ტელ/ფაქსი:  
26-14-14  
მობ.:  
877 73-36-35  
877 44-80-40  
899 57-10-14

დაპით ალაშვილის 168



**ნათია ქვიცია**

— ჩელე, პროექტში გამარჯვება როგორი შეგრძნებაა?

— ძალიან მაგარია, მით უმეტეს, რომ მე ორმაგად გამარჯვებული ვარ, რადგან 35.000 ლართან ერთად, ქალბატონმა მაია რჩელიშვილმა ბინაც მაჩუქა. გუშინ, იმ ახალი სიურპრიზის შესახებაც შევიტყვე, რომელმაც კიდევ უფრო გამახარა — თურმე, მე და თამუნას, ბინებსაც გვირემონტებენ.

— შუვე იცი, სადაც უნდა იცხოვრო?

— რა თქმა უნდა, ჩემი ახალი საცხოვრებელი „ჯეობარიდან“ გამოსვლის მეორე დღესვე ვნახე — ჩემი და თამუნას ოროთახიანი ბინები, დიღმის მასივში, კინოსტუდიასთან ახლოსაა... ამ სიხარულს ისიც ემატება, რომ ქუჩაში, ხალხი ისეთი სითბოთი და სიყვარულით მხვდება, რომ შესაძლოა, რამდენიმე დღეში გულიც გამისკდეს.

— მე კი მეგონა, რომ გული „ლაივ შოუს“ დროს გაგისკდება.

— იმ დღეს, ძალიან ვნერვიულობდი, ისე ცუდად ვიყავი, რომ მგონი, ცოტაც და გული მართლა გამისკდებოდა. შენ წარმოიდგინე — ვიტყვი კიდევ და ეს გამარჯვებით გამონვეული სიხარულის ცრემლი იყო.

**ბისო:**

— როცა მე გავიმარჯვე, მართალია, არ მიტირია, მაგრამ თვალებზე ცრემლი მომადგა... ჩემგან განსხვავებით, ჩელე უფრო მგრძობიარე ადამიანია.

— ჩელე, გამარჯვებას ელოდი?

— მიუხედავად იმისა, რომ 1300 მინუს-ხმა მქონდა, გამარჯვების იმედი მაინც არ დამიკარგავს. თანაც, ის ხმები იმდენად გადამწყვეტი არ იყო, რადგან მე ყველა მინუსი ერთ „ჩაიში“ ამოვიღე. მაგრამ 78%-ით რომ მოვიგებდი, ამას ნამდვილად არ ველოდი.

— „ლაივ შოუმი“ რამდენიმე დღით ადრე იქადადი — თუ გავიმარჯვებ, ნინო ხოშტარიას ხელში ავიყვან და მთელ დარბაზს შემო-

სულ რამდენიმე დღეა, რაც პროექტი „ჯეობარი 2“ დასრულდა. მისი გამარჯვებული კი, დათო გელაძე, იგივე, ჩელე გახდა, რომელსაც 35.000 ლართან ერთად, საჩუქრად ბინაც გადასცეს. ბოლო კვირას, როცა ფინალისტები — ჩელე და თამუნა ერთმანეთს ბარ-რინგზე ეჯიბრებოდნენ, მათ პიარ-მენეჯერები უნდა აეყვანათ. თამუნამ არჩევანი ტატოსა და ტატაზე შეაჩერა, ჩელემ კი, ნიკასა და ბესოს მიანდო საკუთარი ბედი და არც შემცდარა, რადგან მისმა „პიარშიკებმა“ მართლა მაქსიმუმი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩელე პროექტის გამარჯვებული ყოფილიყო. დღევანდელი ჩვენი სტუმრები „ჯეობარი 1“-ის და „ჯეობარი 2“-ის გამარჯვებულები — ბისო სარჯველაძე და დათო ბელაძე არიან.

**ორგბის დაშოკილ ჩელეს, უპატრონოდ მიტოვებული თამუნა შეეცოდა „ჩემგან განსხვავებით, ჩელე უფრო მგრძობიარე ადამიანია“**

ვატარებო. ქადილი რატომ არ შეასრულე?

— იმ დღეს, იმდენი მოულოდნელი რამ მოხდა, რომ ძალიან დავიბენი — ჩემს თავს ვერ ვცნობდი, რალაც სისულელეებს ვაკეთებდი, დავფრინავდი. ახლა კი, ნელ-ნელა გავაცნობიერე ის, რაც მოხდა.

— ალბათ, ეს ამბავი ყველაზე მეტად შენს დას გაუხარდა...

— რა თქმა უნდა, გაუხარდა და იმიტომ, რომ მას ასეთი სიხარული მივანიჭე, უფრო ბედნიერი ვიყავი. სხვათა შორის, გამარჯვებაში ის მორალურად ძალიან დამეხმარა. პროექტში ყოფნისას, ყველაზე მეტად, ჩემი და მენატრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთხელ „ჯეობარში“ შემოიყვანეს, ყველა „ლაივ შოუს“ ესწრებოდა და წერილებსაც ხშირად მწერდა.

— როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე „ჯეობარმა“? რა იყო იქ კარგი და რა — ცუდი?

— ეს მართლა რეალური ცხოვრება იყო — როგორებიც გარეთ ვიყავით, „ჯეობარშიც“ ისე ვიქცეოდით. ამიტომ, შოუში ცუდი არაფერი იყო — კი ბატონო, ხშირად კონფლიქტური სიტუაციები გვექონდა, მაგრამ მერე რა, ცხოვრებაშიც ხომ გვაქვს ვიღაცებთან კონფლიქტი?!

**ბისო:**

— ჩემი აზრით, „ჯეობარი 2“ არასასურველ დროს გადიოდა ეთერში. გარდა ამისა, ამ თამაშს დაემთხვა მსოფლიო ჩემპიონატი, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები, ზაფხული და ამიტომ, პროექტი ისეთი სერიოზული ვერ გამოუვიდათ... რა თქმა უნდა, ის რეიტინგული იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი ოქტომბერში რომ გაეკეთებინათ, ისეთივე წარმატებული იქნებოდა, როგორიც ჩვენი „ჯეობარი 1“.

— რატომ? მსოფლიო ჩემპიონატი მოთამაშეებს ბარის ამუშავებაშიც კი დაეხმარა...


— კი, მაგრამ მათთვის დიდად არ უშველია, რადგან სწორედ ფეხბურთის გამო, „ჯეობარი“ ლამის პირველ საათზე იწყებოდა, ეს კი, ძალზე გვიანია. თუმ-

ცა, „ჯეობარელებს“ იმაში გაუმართლათ, რომ მსოფლიო ჩემპიონი სწორედ იმ ქვეყნის გუნდი გახდა, რომლის ფანკლუბიც მათთან იყო.

— ბესო, როგორც მახსოვს, შენ თავიდანვე ჩელეს გულშემატკივრობდი...

— მართალია, თავიდანვე, გამარჯვების რეალურ კანდიდატად ჩელე მესახებოდა, მაგრამ ამას არ ვაკონკრეტებდი. ჩელე მხიარული, თავისუფალი, სიმპათიური ბიჭია და ყველა ამ თვისების გამო, მჯეროდა, რომ ის მაყურებლის სიმპათიას დაიმსახურებდა. თუმცა, სიმპათიური გუგაც იყო და სხვა დანარჩენებიც... ჩელემ კარგად ითამაშა, ის კარგი შოუმენია. ჩემი აზრით, ვინმემ ტელევიზიაში გასართობი გადაცემის ნაყვანა რომ შესთავაზოს, ის ამას არაჩვეულებრივად მოახერხებს.

— ჩელე, რატომ გადამწყვიტე, რომ შენი პიარ-მენეჯერი ბესო ყოფილიყო — „ჯეობარი 1“-ის



**გამარჯვებული რომ არის, ამის გამო?**

— არა, ეგ არაფერ შუაშია. ბესო იმიტომ ავირჩიე, რომ ამ საქმეში გამოცდილება ჰქონდა — ეს თამაში, მან ჩემზე ადრე ითამაშა.

**— მაგრამ გამოცდილი ხომ ყველა წინა „ჯეობარელი“ იყო?..**

— ბესომ კარგად იცოდა, თუ რა იყო ჩემთვის კარგი და რა — ცუდი. შესაბამისად, ძალიან მაგრადაც დამეხმარა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხადი. რაც შეეხება ნიკუშას, ის ჩემი ძმა და მეგობარია.

**— ბესო, შენ ელოდი, რომ ჩელე პიარ-მენეჯერად მინცდამაინც შენ ავირჩევდა?**

— არა, მაგრამ ჩელემ რომ დამირეკა, დავთანხმდი, თუმცა, მისთვის იმის პირობა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, არ მიმიცია. უბრალოდ, დავპირდი — ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებ-მეთქი და მე და ნიკუშამ, ფინალისტის გასამარჯვებლად ყველაფერი



ბესო ძალიან მეგობრულია და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს

გაკაკეთეთ.

**— ჩელე, ხომ არ აპირებ, რომ მოგებულნი თანხის ნაწილი ნიკუშასაც აჩუქო?**

— ეგ კითხვა არ უნდა დაგესვა, რადგან ჩემი პირადი საქმეა — ნიკუშას პატივს როგორ ვცემ და რა სახის სიურპრიზს მოვუწყობ.

**— როგორი ადამიანია ბესო? როგორც ვიცი, მას წინა ჯეობარელები მინცდამაინც არ სწყალობდნენ...**

— ბესო ძალიან მეგობრულია და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს. ის გამარჯვებაში ძალიან დამეხმარა... არავის საქმეში არ ვერევი და ცუდად არავინ გამოგოს, მაგრამ თამუნა, ბოლოს ძალიან უპატრონოდ იყო მიტოვებული. შესაძლოა, მან ეს არ აღიაროს, მაგრამ ამის გამო, ძალიან შემეცოდა.

**ბესო:**

— ტატოს და ტატას საქციელის შეფასება, შეიძლება, ვილაცამ უტაქტობაში ჩამომართვას, მაგრამ მათ, ბოლო დღეს თამუნა ნამდვილად არ უნდა მიეტოვებინათ. თან, კარგად ვიცი, რას ნიშნავს ბარ-რინგის დროს, „სტიოკასთან“ მარტო დგომა... არ ვიცი, ალბათ, რაღაც მიზეზის გამო, მათ თამუნასთვის ყურადღების მიქცევა ვერ

მოახერხეს.

**— ბესო, როგორ მოახერხებ, რომ ჩელე ყველა რადიოსა და ტელევიზიაში მიწვივს?**

— ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ჩელეს მეგობრები და ნიკუშაც აქტიურად მესმარებოდნენ. უბრალოდ, ძირითადად, რეგიონულ რადიოებსა და ტელევიზიებზე ვცდილობდი „გასვლას“, რადგან ეს ყველაზე გამართლებულად მივიჩინებ — რამდენიმე მათგანში ვიყავით კიდეც. ბოლოს, გორის ტელევიზიაში უნდა წავსულიყავი, მაგრამ დალილი ვიყავი და ჩამეძინა.

**— ასეთი პიარ-კამპანიის შემდეგ, ალბათ, ჩელეს გამარჯვებაში დარწმუნებული იყავი...**

— სიმართლე რომ გითხრა, გარკვეული შიში მაინც მქონდა, ოღონდ, ეს ბარ-რინგების წაგების გამო არ იყო — მეც წავაგე, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გავიმარჯვე და ამით ვინყნარებდი თავს. თანაც, ბოლო ბარ-რინგი ჩელემ დიდი სხვაობით მოიგო. უბრალოდ, მეგონა, რომ თამუნას ნათესავები და ახლობლები მისი გამარჯვებისთვის დიდ ინვესტიციას ჩადებდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, შევცდი... ჩელეს გამარჯვება ძალიან გამიხარდა.

ჩვენ ყოველთვის ვიმეგობრებთ. გარდა ამისა, ჩვენს პიარ-კამპანიაში კიდეც ერთი ელემენტი იყო, რომელიც ალბათ, დროის სიმციროს გამო ევრანზე არ გამოჩნდა — ბოლო ბარ-რინგზე, ჩვენთან ერთად მომღერლები, მსახიობები და ძალიან ბევრი საპატიო სტუმარი იყო. რა თქმა უნდა, ეს საღამო ჩელეს მხარდასაჭერად გააკეთეთ. სტუმრებს შორის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლდათ, რომელმაც საჩუქრად, ყველას გადმოგვცა მაისურები სლოგანით: „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“.

**— ბესო, ხომ არ შეგშურდა, თქვენგან განსხვავებით ჩელეს და თამუნას ბინებიც რომ უსახსოვრეს?**

— არა, რადგან შურიანი არ ვარ. ეს ფაქტი ძალიან გამიხარდა, რადგან ვიცოდი, რომ ჩელეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა ეს ფული. მაშინ ტატოსთვისაც რომ ეჩუქებინათ ბინა, კარგი იქნებოდა.

**— როგორც ვიცი, მოგებული თანხა შენც ბინის მშენებლობაში ჩადე. 35.000 ერთი სახლის აშენებას ჰყოფნის?**

— არა, ნამდვილად არ ჰყოფნის, მაგრამ ბინა, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობ, უნდა გავყიდო და ალბათ თანხა მშენებარეში ჩადებულს დავამატო.

**— ჩელე, უკვე გადანყობი**

**რაში დახარჯავ მოგებულ ფულს?**

— მოგებაზე ვფიქრობდი, რომ სახლს ვიყიდდი, მაგრამ საბედნიეროდ, ახლა სახლი მაქვს. როცა ადამიანი ახალგაზრდაა, მაშინ უნდა და უხარია ყველაფერი. ამიტომ მინდა, რომ ჩემი ცხოვრება ლამაზი, უზრუნველყოფილი და კარგი იყოს. ჩემი მეგობრები კი, სულ ჩემთან იყვნენ. ამ ფულს დროის ტარებაში ნამდვილად არ დავხარჯავ, რადგან ასეთი შანსი ცხოვრებაში მეორედ აღარ მომეცემა. ჯერ ზუსტად არ ვიცი, როგორ, მაგრამ შევცდები — ეს თანხა ჩემი ცხოვრების უზრუნველსაყოფად გამოვიყენო.

**— როგორც ვიცი, პროექტის დასრულების ღამეს, ყველა „ჯეობარელი“ კიკეოში წავიდა. ბესო:**

— მართალია, მაგრამ ჩვენ იქ არ ვყოფილვართ, რადგან ნიკუშამ ჩელე მამიდასთან წაიყვანა. მერე, როცა ისინი შინისკენ მოდიოდნენ, მე და ჩვენმა მეგობრებმა მანქანები ისე გავაჩერეთ, რომ ფარები იქით ჰქონოდა მიტრიალებული, საიდანაც ჩელე შემოვიდოდა. ეზოში საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ყველა დამალა და როცა „ჯეობარის“ გამარჯვებული მოვიდა, ის აუტსაიდერის სკამზე (რომელიც ბარიდან სამხსოვროდ წამოიღო) დავსვით და მალა ავნიეთ. ამ დროს, ყველა მანქანის ფარი აინთო, სიგნალები ჩაირთო და ხალხი ჟრიაბულით გამოცვივდა. ჩელე მეორედ ჩაგვივარდა შოკში.

**— ჩელე, რაც ბარიდან გამოვყავი, რაიმე საქმიანი წინადადება თუ შემოგთავაზეს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ სულ რამდენიმე დღეა, რაც თამაში დამთავრდა და არც კი ვიცი, რომელს დავეთანხმები.

**— თეატრალური ინსტიტუტი როგორ შეხვდა შენს გამარჯვებას?**

— არ ვიცი, იქ არ ვყოფილვართ, რადგან ახლა, უკვე არდადეგებია. ჩემმა ლექტორებმა დამირეკეს, მომილოცეს და მითხრეს: შენით ძალიან ვამაყობთო.

**— შენს საცეკვაო მონაცემებს მომავალში თუ გამოიყენებ?**

— რა თქმა უნდა. ქორეოგრაფიული სასწავლებელი უკვე დავამთავრე. ბევრი მოცეკვავე და მომღერალი მეგობარი მყავს და მინდა, რომ ეს საქმიანობა განვაგრძო.

**— ბესო, ამას წინათ, ჩემთან ინტერვიუს დროს აღნიშნე, რომ ტატასთან პატარა ინტიმური სცენის შემდეგ, შეყვარებული გაგინანყენდა და დაგშორდა. ახლა, როგორ არის საქმე?**

— ეგ პრობლემა მოვავარე, რისთვისაც მადლობას ვუხდით თქვენს ჟურნალს — ინტერვიუ რომ წაიკითხა, დამირეკა და მითხრა: შენთან შერიგებას ისედაც ვაპირებდი, გეხუმრეო. ვერ გავიგე, რაღას მანერვიულებდა?!



# 10 წლის ბოზონა სასულიერო კლდეების მსხვერპლი გახდა

„ამ დანაშაულისთვის სიყვდილს ვიმსახურებ“, – ორი მცირეწლოვანი შვილის მამამ ჩადენილი სისასტიკე აღიარა

აგრესია, სისასტიკე, სადიზმი, ვანდალიზმი — ეს სიტყვები თითქოს სრულად ვერ ასახავს იმ საშინელებას, რაც ვაჩნაძეების ოჯახში მოხდა და რაც მცირეწლოვან, უმწეო გოგონას, 10 წლის თეონას დაატყდა თავს. ნდობა, რომელიც პატარა გოგონას მამამ თავის მეგობარს გამოუცხადა, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა და გაუგონარი, ერთი გამოუთქმელი დესპოტიზმის სახით მიუბრუნდა.

როცა ფსიქოლოგებმა აღნიშნული საქმის მასალები შეისწავლეს, დამნაშავეს ქმედება მათ პათოლოგიური სექსუალური აგრესიის პიკად შეაფასეს. სპეციალისტებმა აღიარეს, რომ მათი მრავლისმომცველი პრაქტიკის მიუხედავად, ძალადობის უამრავი ფაქტის ფონზე, ასეთი სადიზმი და ვანდალიზმი მათთვისაც კი შოკის მომგვრელი აღმოჩნდა...

ამბობენ, რომ 34 წლის მირიან ტორაძისთვის (გვარ-სახელები შეცვლილია) მანამდე ძალადობისკენ მიდრეკილება არავის შეუძინებია. მოგვიანებით გაირკვა, რომ მის გარშემო მყოფები მწარედ ცდებოდნენ. სასამართლო დარბაზში მსხდომი ახლობლებისა და ნათესავებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა განსასჯელის აღსარება. ტორაძემ მაშინ ყველას წინაშე საჯაროდ აღიარა, რომ სიყმანვილის პერიოდში, მასში აღმოცენებული, დაუოკებელი ლტოლვა გაუკუღმართებული სექსისადმი და გარყვნილი ფანტაზიები თანდათან, რაც დრო გადიოდა, პათოლოგიურ სენში, ძალადობის მოთხოვნილებასა და სადისტურ სურვილებში გადაიზარდა და საბოლოოდ, ის არაადამიანად აქცია...

თუმცა, საინტერესოა, რომ ტორაძე ყოველივე ამის დაფარვას წლების მანძილზე კარგად ახერხებდა, ის თავის აგრესიას არ ავლენდა არც საკუთარ ოჯახში, არც ნაცნობთა წრეში. ჰყავდა ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაც ფინანსურად, ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით, ასე იყო თუ ისე, უზრუნველყოფდა. პროფესიით ელექტრომექანიკოსი, მართალია, თავისი განხრით არა, მაგრამ წლების მანძილზე ატელიეში მუშაობდა, ფესსაცმელს კერავდა და საკუთარი სახ-



ელოსნოც ჰქონდა. ჰყავდა მეგობრებიც; ახლობლებთან კარგ დამოკიდებულებაში გახლდათ და როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ნაცნობები თუ მეზობლები მასზე ყოველთვის დადებითი შეხედულების იყვნენ. თუმცა, დამნაშავემ ისიც აღიარა, რომ თავის მავნე ჩვევებს ის გასაქანს ყველასგან ფარულად აძლევდა...

სხვების მსგავსად, მასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მისსავე უბანში მცხოვრებ 41 წლის ბორის ვაჩნაძესაც. „ერთხელ, სახლში, საუჭნაოში ჩემს ძველ ნივთებში ვიქექებოდი. მოულოდნელად, ფესსაცმლის ახალთახალ ძირებს წაფანჯდი. თურმე, ჩემს სიმამრს მიუცია ჩემი მეუღლისთვის, იქნებ, რამეში გამოიყენო, მას კი საუჭნაოში შეუნახავს. მაშინვე ვკითხე ცოლს, გჭირდება თუ არა-მეთქი? არა, ვერაფერში გამოვიყენე, თუ ვინმეს დასჭირდა, შემოძლია ვაჩუქო. შევთავაზე, რომელიმე სამკერვალოში ჩაგვებარებინა. ისიც დამთანხმდა. მეორე დღეს ძირებს ხელი დავავლე და ჩვენს უბანში მდებარე, ფესსაცმლის სახელოსნოში მივიტანე. მირიან ტორაძე პირველად სწორედ მაშინ ვნახე...“ — წერს ჩვენებაში დაზარალებული ბორის ვაჩნაძე.

ტორაძე იმ უბანში საცხოვრებლად, თავის ოჯახთან ერთად, სულ რამდენიმე თვის გადასული იყო. სახელოსნოც ახალი გახსნილი ჰქონდა. „მანამდე სოფელში ვცხოვრობდით, მაგრამ ბავშვები რომ წამოიზარდნენ, გადაწყვიტეთ, ქალაქში გადავსულიყავით. მირიანიც იქ უფრო შეძლებდა მუშაობას, რაიონის

ატელიეში კლიენტები იშვიათად ჰყავდათ და თითქმის ვერაფერს აკეთებდა... ადრე ის ბინა, მამიდაჩემს ეკუთვნოდა, მარტოხელა იყო და თავისი ქონება ანდერძით მე დამიტოვა, თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ, ბინა წლების მანძილზე დაკეტილი იყო...“ — წერია მსჯავრდებულის მეუღლის — ირმა საჭაპურიძის ჩვენებაში.

ფესსაცმლის ძირები სახელოსნოში მისულმა ბორის ვაჩნაძემ მირიან ტორაძეს აჩვენა და ჰკითხა — შეიძენდა თუ არა? ტორაძემ ძირები დაიტოვა და უთხრა, რომ ფულს მოგვიანებით მისცემდა. ვაჩნაძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს, პირიქით, კმაყოფილიც კი დარჩა და ხელოსანს სხვადასხვა თემაზე საუბარიც გაუბა. რამდენიმე დღეში, ტორაძემ მას თანხა გადასცა. ვაჩნაძემ ამ ფულით ერთი ბოთლი არაყი და დასაყოლებელი შეიძინა და ხელოსანს უთხრა, მოდი, ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთ... იმ დღიდან ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ბორის ვაჩნაძე იმ პერიოდში არსად მუშაობდა. ოჯახს, თბილისის ბაზრობაზე ვაჭრობით, მისი მეუღლე არჩენდა, თავად კი, მცირეწლოვან შვილებს — თეონასა და ბექას ჰპატრონობდა და მეთვალყურეობდა. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა, ამიტომ ახალშეძენილ მეგობარს სახელოსნოში ხშირად სტუმრობდა, ხან უბრალოდ სასაუბროდ, ხანაც — დასალევად...

ბორის ვაჩნაძეს დრო თევზაობითაც გაჰყავდა. ასეთ შემთხვევაში, თუკი სკოლის პერიოდი არ იყო, ბავშვებს დედამისთან — მოხუც ბუბიასთან ტოვებდა ხოლმე. ბუბია — მარიამ ვაჩნაძე სწორედ იმ კორპუსში ცხოვრობდა, სადაც ტორაძე. ერთხელ, ბორისმა მეგობარს სთხოვა — ჩემს გოგონას სკოლიდან ამხანაგის დედა თავის ბავშვთან ერთად წამოიყვანს, დავუბარებ, რომ შენთან მოიყვანოს სახელოსნოში, შენ კი ბუბიამისთან აიყვანეო. მირიან ტორაძემ მეგობარს თხოვნა შეუსრულა და იმ დღეს ბავშვი ბუბიას ჩააბარა. ასეთი ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა. ბორის ვაჩნაძე მეგობარს თვალდახუჭული ენდობოდა და როცა ბავშვებს მასთან ტოვებდა, ფიქრობდა, რომ შვილები საიმედო ხელში ჰყავდა. ერთხელაც, იმედი მწარედ გაუცრუვდა...

სახლისკენ მშვიდად მიმავალს, მამინ ვერც კი წარმოედგინა, თუ საკუთარ ბინაში საშინელი, დაუვინყარი კომპარი ელოდა... იმ დღით, სათევზაოდ ის

ლაღმა დაანვინა. ბავშვს სიცოცხლის ნიშნინაყალი აღარ ეტყობოდა...


„...ხმა არ ამომიღია, არც მიყვირია, არც დამიღრიალია... მთლიანად გამშრალი ვიყავი და ვერაფერს ვგრძნობდი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყურები მიწოდდა, რაღაც გაბმული, გამაყრუებელი წივილის ხმა მესმოდა... ისიც მახსოვს, რომ სხეულში ყველა ძარღვი საშინლად დამეჭიმა და ამტკივდა... არ ვიცო, მეზობლებს ვინ დაუძახა, ალბათ, ბექამ. უეცრად უამრავი ხალხი დამადგა თავს. რამეს ამბობდნენ თუ არა, არ მახსოვს, მათი ნამდვილად არ მესმოდა... ბავშვი ხელში ავიყვანე და მისაღებ ოთახში მდგარ ტახტზე დავანვინე... მალე „სასწრაფო“ და პოლიციაც მოვიდა...“ — ამბობდა სასამართლოში ბავშვის მამა.

პირველი, ვინც მოიკითხეს, რა თქმა უნდა, მირიან ტორაძე იყო. ის არსად ჩანდა... საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი ასე მოხდა:

დილით, ტორაძეს ვაჩნაძემ შეუარა სახელოსნოში და უთხრა, რომ თავის პატარა ბიჭთან ერთად სათევზაოდ მიდიოდა, თეონა კი შინ იყო და ეძინა. სთხოვა, ცოტა ხანში მიეკითხა ბავშვისთვის და ის ბებიასთან წაეყვანა. ტორაძე, როგორც ყოველთვის, უპრობლემოდ დათანხმდა. დაახლოებით ნახევარ საათში, სახელოსნოში მას ნაცნობი მამაკაცები ესტუმრნენ, თან სასმელი მიიტანეს და ტორაძეს დალევა შესთავაზეს. ტორაძეც უყოყმანოდ დათანხმდა. სტუმრების წასვლის შემდეგ გაახსენდა, რომ ბავშვი ჰყავდა წასაყვანი და ვაჩნაძეების ბინისკენ გასწავა. თეონა უკვე ამდგარიყო და ტელევიზორს უყურებდა. მირიან ტორაძის დანახვა არ გაჰკვირვებია, რადგან მამას გაფრთხილებული ჰყავდა, რომ ბებიასთან ის წაიყვანდა. ბავშვმა პარკში ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო. მთვრალი ტორაძე მის მოძრაობებს ადევნებდა თვალყურს. „...იმ დღეს თეონას შავი, პლისე ქვედაკაბა და მოკლემკლავიანი, ყვითელი მაისური ეცვა. მაისურზე წინ კატა ეხატა. კაბა ძალიან მოკლე იყო. ტანსაცმლის ჩალაგების დროს, თეონა წინ რომ გადაიხრებოდა ხოლმე, მე მის ფეხებს თვალს ვერ ვწყვეტდი. ასეთი რამ მასთან პირველად დამემართა. მანამდე გოგონას, როგორც საკუთარ შვილს, ისე უყურებდი. ვგრძნობდი, რომ თანდათან სულ უფრო ვკარგავდი თავზე კონტროლს. თეონას მოკლე კაბამ ძალიან გამაღიზიანა, ვერ მოვითმინე, შემოსასვლელში გავედი და კარი გასაღებით ორჯერ გადავკეტი, შემდეგ ბავშვს უჩინად მივუახლოვედი, ხელში ავიყვანე და მისაღებ ოთახში მდგარ ტახტზე დავსვი. ფერება და კოცნა დაუწყე. ბავშვმა ტირილი დაიწყო...“ — წერს ექვმიტანილის სახით დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში ტორაძე. მის მიერ ჩადენილ სისასტიკეს ის სრულად აღიარებს და დანაშაულის შემზარავ

დეტალებს დანვრილებით აღწერს.

10 წლის გოგონა მან განსაკუთრებული სისასტიკით, სადისტურად, ყველა გაუკუღმართებული წესით გააუპატიურა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბავშვის სასქესო ორგანო როგორც გარეთ, ასევე შიგნით მთლიანად დაფლეთილი ჰქონდა, დაზიანებული იყო სწორი ნაწლავიც, გაუპატიურების კვალი დაფიქსირდა პირის ღრუშიც. ამას გარდა, გვამს ძალადობის სხვა ნიშნებიც ეტყობოდა. ექსპერტების თქმით, ბავშვი სასტიკად იყო ნაცემი, რაზეც სხეულზე, კერძოდ, მუცლის, ზურგისა და სახის არეში დაფიქსირებული სისხლჩაქცევები და ნაჭდევეები მეტყველებდა. ძალად



ობის კვალი დაფიქსირდა კისრის არეშიც. ექსპერტებმა გოგონას სიკვდილის მიზეზად, მექანიკური ასფიქსია დასახელეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ სადისტმა მოძალადემ თავისი ჟინის დაკმაყოფილების შემდეგ, ბავშვი კისერში ხელების ნაჭერის შედეგად მოახრჩო...

საქმის მასალების მიხედვით, მოძალადის ასეთი აგრესიის მიზეზი ისიც გახდა, რომ გოგონა მთელი ძალით ცდილობდა მისთვის წინააღმდეგობის განწევას. დამნაშავე თავის ჩვენებაში წერს, რომ ბავშვი ხელებსა და ფეხებს იქნევდა, თან ყვიროდა და მისგან თავის დაღწევას ცდილობდა. „...მისი ყვირილი რომ ჩამეხმო, ერთ ხელს პირზე ვაფარებდი, მეორეთი მისი სხეულის დამორჩილებას ვცდილობდი. მთელი ტანით მებრძოდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა და ამაოდ ფართხლებდა. მაშინ მივხვდი, რომ ის აუცილებლად იტყოდა, რაც მოხდა და ჩადენილ დანაშაულში უთუოდ მამხელდა. გადავწყვიტე, რომ ის ცოცხალი არ უნდა დამეტოვებინა“, — წერს მკვლელი.

სადისტმა მოძალადემ არა მარტო გაუპატიურების, არამედ მკვლელობის განზრახვაც კი განსაკუთრებული სისასტიკით მოიყვანა სისრულეში. გატანჯულ ბავშვს მან ცემა დაუწყო. თვითონ წერს

ჩვენებაში, რომ პირველად ძლიერად მარცხენა თვალში ჩაარტყა მუშტი, შემდეგ მუცელში. ბავშვი ხმას აღარ იღებდა. მაგრამ ტორაძემ უსუსურ, ნანამებ გოგონას ესეც არ აკმარა და მას ხელები კისერში წაუჭირა. ბავშვმა მოძრაობა და სუნთქვა შეწყვიტა. გოგონასთვის გადაჩრჩინის შანსი რომ მთლიანად მოესპო და ამ უსიამოვნო მოულოდნელობისგან თავი კარგად დაეზღვია, გაცხოველებულმა მკვლელმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო. საბაზანოში შეიხედა, რათა შეემოსმებინა, აბაზანაში წყალი იყო თუ არა. აბაზანა ნახევრად საცხე დახვდა. იმ დილით, ადრე, ბორის ვაჩნაძემ წყალი, როგორც ყოველთვის, მოიმარაგა... მკვლელმა უკვე გარდაცვლილ ბავშვს სისხლიანი ტანსამელი გახადა და ყველაფერი იქვე, წყლიან ტაშტში ჩაყარა, გამიშვებული გვამი კი აბაზანაში პირქვე ჩადირა...

**ტორაძის ჩვენებიდან:**

„...ვიცოდი, რომ ქალაქში არ დამედგომებოდა და მინდოდა, სადმე შორს გავქცეულიყავი. პირველ რიგში, ჭიათურაში წასვლა გადავწყვიტე. სამგზავროდ ფული არ მქონდა და ამის გამო, ვაჩნაძეების ბინის გაქურდვა განვიზრახე. რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი პარკებში ჩავანყვე და სახლისკენ წავედი. ვაჩნაძეების ბინაში ჩემი შესვლა, ისევე, როგორც იქიდან გასვლა, არავის შეუმჩნევია. შინ ცოლი დამხვდა. მკითხა — ეს ნივთები საიდან გაქვსო? ვუპასუხე — სახელოსნოში ჩამომიტანეს შესანახავად და რომ არ მოეპარათ, სახლში წამოვიღე-მეთქი. ის ღამე შინ გავათიე. ცოლისთვის არაფერი მიტქვამს. მოპარული ნივთებიდან სახლში დავტოვე მხოლოდ ლობიო, ვანილი და „სუფის კუბიკები“.

მეორე დილით, სადგურში წავედი, თან წავიღე ნაქურდალი ნივთები და ჭიათურაში, ჩემს დეიდაშვილთან მივედი. ვუთხარი, რომ ფული მჭირდებოდა და ვთხოვე, იმ ნივთებიდან რამე მაინც გაყიდა მეზობლებში. რამდენიმე დღე იქ დავრჩი“.

სამართალდამცველებმა ის იმავე კვირაში დააკავეს. დაკავებისას მკვლელს ვაჩნაძეების ბინიდან მოპარული ტანსაცმელი — შარვალი, ფეხსაცმელი და სპორტული მოსაცმელი ეცვა, ხელზე კი ბორის ვაჩნაძის კუთვნილი მაჯის საათი ეკეთა.

„...ერთ დღეს ბაზარში შევიარე, იქ კი შემთხვევით ჩემი ძმა შემხვდა და მითხრა — სად ხარ, იცი, რომ გექებნენ? იქვე, შორიასლოს, პოლიციის თანამშრომელსაც მოვეკარი თვალი. გაქცევა არც მიცდია. სამართალდამცველებთან თვითონ მივედი და ჩავბარედი...“ — განაცხადა სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა.

ექვთ მირიან ტორაძეზე, როგორც დამნაშავეზე, დანაშაულის დღესვე გაჩნდა. ბავშვის ბეზია ამბობდა, რომ იმ დღეს თეონა მასთან არავის მიუყვანია. „როცა სახელოსნოში მივეარედი,

მაშინ მისგან იმის გაგება მინდოდა, თუ რა მოხდა და როდის ნახა ჩემი შვილი ბოლოს. სახელოსნოს კარი ჩარაზული რომ დამხვდა, ის კი არსად ჩანდა, მივხვდი, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო. დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა, მაშინვე მენახა, სადმე მეპოვა, რომ საკუთარი ხელებით მომეხრჩო...“ — ამბობდა მოკლული **ბავშვის მამა**.

**ირმა საჭაპურიძე**, ბავშვის დედა: „ბაზარში, ჩვეულებრივად, დილით ადრე წავდი. ნაშუადღევს, იქვე მოვაჭრე ქალებმა მითხრეს, შენს საქმეებს ჩვენ მივხვდავთ, დარეკეს, თეონა გამხდარა ცუდად და სახლში უნდა წახვიდეო. ყველაფერს თავი დავანებე და სახლისკენ გავვარდი. კორპუსს რომ მივუახლოვდი, ვნახე, რომ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. არ მესიამოვნა. ჩემს ფანჯრებს ავხედე. ლეიბები გარეთ იყო გადმოდებული. მივხვდი, რომ ჩემი თეონა აღარ იყო... წამიერად ათასმა საშინელმა აზრმა გამიელვა თავში, მაგრამ ასეთი სადიზმის წარმოდგენა, რა თქმა უნდა, არ შემეძლო. ვიდრე სახლამდე მივალწედი, მეზობლებმა მითხრეს, ბინაში ვილაც ცხოველი შეპარულა და ბავშვი გაუუბედურებიაო...“

მოკლულის დედა ამბობდა, რომ მირიან ტორაძეს ის არ იცნობდა: „აღდგომის დღეს სოფლიდან ჩამოვედი. ავტობუსთან ჩემი ქმარი და ვაჟი დამხვდნენ, თურმე ისიც იქ ყოფილა, მაგრამ მე არ შემიძინე. ჩანთების წაღებაში რომ დაეხმარა ჩემს ქმარს, მხოლოდ მაშინ მივაქციე ყურადღება. ჩვენს ოჯახში მოსული ის არასდროს მინახავს...“

მოკლული ბავშვის მშობლებმა სასამართლოს დამნაშავეს უმკაცრესად დასჯა სთხოვეს. იმავე შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს პროკურატურამაც. თავად განსასჯელმა განაცხადა, რომ ის თავს სრულად ცნობდა დამნაშავედ და ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა. „ამ დანაშაულისთვის სიკვდილს ვიმსახურებ“, — თქვა მან სასამართლო დარბაზში, ჩვენების დასასრულს. განსხვავებული პოზიცია არც სასამართლო კოლეგიას ჰქონია. მირიან ტორაძე ერთ-ერთი იმ მსჯავრდებულთაგანი გახლავთ, რომელზეც საქართველოში მოქმედი კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, ბოლოს განხორციელდა. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში სასჯელის ეს უმკაცრესი ზომა ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა. სასამართლო კოლეგიის განაჩენში წერია:

„საქმის სასამართლო განხილვისას გაირკვა, რომ განსასჯელი სექსუალურ ძალადობას ჰეროდოტულად იჩენდა როგორც საკუთარი მეუღლის, ასევე გამოძიებით დაუდგენელი სხვა ქალების მიმართაც... კოლეგია მხედველობაში იღებს ამ პიროვნების დესპოტიზმსა და სადიზმს და მიაჩნია, რომ ის წარმოადგენს საზოგადოებისთვის მოჭარბებული საფრთხის წყაროს, რომლის გამოსწორებაც არ შეიძლება. ამდენად, მის მიმართ გამოყენებული ღონისძიება — სიკვდილი...“

მირიან ტორაძესთან ერთად, განსასჯელის სკამზე მისი ჭიათურელი დეიდაშვილი — თემურ სახვაძეც იჯდა. ის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის გაასამართლეს. გაირკვა, რომ ტორაძე იმ დროს, როცა დეიდაშვილის ოჯახს თავს აფარებდა, მას ჯერ ქურდობაში, შემდეგ კი მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურებასა და მკვლელობაშიც გამოუტყდა. სახვაძე სამართალდამცველებს არ დაუკავშირდა და დეიდაშვილის მფარველობა გადანყვიტა. ამ დანაშაულისთვის მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

## პოლიციის უფროსის მოადგილე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

ჭიათურის პოლიციის უფროსის მოადგილე (გამოძიების დარგში), გოდერძი ჩუბინიძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩუბინიძემ ერთ-ერთი მოქალაქის მიმართ, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 3.800 ლარი აიღო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღძრულია საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

## ავტოავარიას 40 წლის მამაკაცის სისოსხლე შეენირა

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან — „ძველი სახლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოავარია მოხდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე შეენირა. გარდაცვლილი 40 წლის იოსებ აკოფიანი გახლავთ. ის ავტომანქანა „ფოლკსვაგენს“ მართავდა. მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მტკვარში გადავარდა. სავარაუდოდ, „ფოლკსვაგენს“ გზა სანინალმდევო მიმართულებით მოძრაობდა „ბე-ემ-ვემ“ გადაუჭრა. სწორედ, ამის შედეგად, აკოფიანმა საჭე ვერ დაიმორჩილა — დამცავი ჯებირი გაარღვია და მდინარეში გადავარდა. მასთან ერთად, ავტომანქანაში იჯდა მისი შვილი — 14 წლის არტურ აკოფიანიც. მან შემთხვევის დროს, მანქანიდან გადახტომა მოასწრო.

შემთხვევის ადგილზე მისულ სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს, მდინარიდან მანქანის ამოსაყვანად დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა. თვითმხილველების თქმით, „ფოლკსვაგენი“ დიდი სიჩქარით არ მოძრაობდა. არტურ აკოფიანის თქმით კი, მამამისი სრულიად ფხიზელი იყო. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა და გამოძიება მიმდინარეობს.

## მკვლელობა ვაკეში

ვაკეში, სტუდენტური მიმდებარე ტერიტორიაზე, საშინელი მკვლელობა მოხდა. როგორც ამბობენ, დანაშაული ახალგაზრდებს შორის ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, მძიმედ დაიჭრა 25 წლის ბექა კვიციანი. ის თბილისის №9 საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფო ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ სამწუხაროდ, ექიმებმა ახალგაზრდის გადარჩენა ვეღარ შეძლეს. საავადმყოფოს ექიმის — გურამ გვასალიას თქმით, დაჭრილს შინაგანი ორგანოები დაზიანებული, სისხლი კი, დიდი რაოდენობით ჰქონდა დაკარგული. „ოპერაციის დროს, პაციენტს გული ორჯერ გაუჩერდა. მის გადასარჩენად მაქსიმუმი გავაკეთეთ, მაგრამ ასეთი ჭრილობებით, ადამიანის გადარჩენა შეუძლებელია“, — განაცხადა გვასალიამ.

გავრცელდა ცნობა იმის შესახებაც, რომ მოკლული ბექა კვიციანი, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის — ეზარ კვიციანის ახლო ნათესავია. თუმცა, ამ ინფორმაციას არც სამართალდამცველები და არც დაზარალებული ოჯახის ახლობლები არ ადასტურებენ.

პოლიციისთვის ცნობილია სავარაუდო ეჭვმიტანილიც, მაგრამ სამართალდამცველები მის ვინაობას ჯერჯერობით არ ახმაურებენ. მოწმეების თქმით, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ხმა გვიან ღამით გაისმა, დამნაშავემ კი, შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოახერხა. ამჟამად, მასზე ძებნაა გამოცხადებული.

სამართალდამცველების ინფორმაციით, სავარაუდოდ, მომხდარ მკვლელობას, წინ უძღოდა დაახლოებით ერთი კვირით ადრე შექმნილი უთანხმოება ან გარდაცვლილსა და ეჭვმიტანილს შორის. მათივე თქმით, გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან სათანადო ნივთმტკიცებები უკვე ამოიღო. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული. აღნიშნული მუხლი 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# დაუბეგმავი ნაბიჯი

თი მთვრალი ვიყავი, რომ მთასაც კი შევეჭიდებოდი, მაგრამ როცა ჩემი გაკოჭვა მოინდომა, „ტრიფონას“ წინააღმდეგობა ვარ გავუწიე. სააბზანოოდან იატაკის სანმენდი ჯოხი გამოიტანა და ტარი მოაძრო. მერე, ზურგს უკან ხელები შემიკრა, ის ჯოხი ხელებს შორის გამიყარა და გარეთ გამომიშვა. რადგან ცოცხალი გადავრჩი, ალარაფერს ვჩიოდი... დილის 5 საათამდე ასე ვიბოდილალე ქალაქში. გამველევები შეშინებული მივლიდნენ გვერდს, არც მილიცია ჩანდა სადმე, რომ დახმარება მეთხოვა. დილით, როგორც იქნა, ტრამვაიც გამოჩნდა, მაგრამ არ მიჩერებდა. ვინაიდან სხვა გზა არ მქონდა, ტრამვის ხაზზე დავდექი და იძულებით გავაჩერებინე. ვატმანი მიხვდა, რომ გიჟი არ ვიყავი და ჯოხის ტყვეობიდან გამათავისუფლა. ასე დამემართა, როდესაც დაუბეგმავი ნაბიჯი გადავდგი და ლუბოჩკას რიგგარეშედ ვენვიე“.

## „პეი დო დნა“

„დაუბეგმავმა ნაბიჯმა, ლამის სიმწრით ნაშოვნი სამსახური დამაკარგვინა. ერთ-ერთ კარგად მოწყობილ ოფისში ვმუშაობ. ძალზე მკაცრი უფროსი მყავს და ყველა თანამშრომელი თითის წვერებზე დადის. ოთახში 3 გოგონა ვისხედით. თანატოლები ვიყავით და ვმეგობრობდით კიდეც. ერთხელ, ერთმა კლიენტმა შამპანური მოგვართვა და ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ როცა უფროსი სამსახურში არ იქნებოდა, მაშინ დავგვლია. ვინაიდან ოთახში მაცივარი არ გვქონდა, შამპანური კარადაში დავმალეთ და ხელსაყრელ მომენტს დაველოდეთ. ერთ საღამოს, როდესაც შეფი სამსახურიდან ცოტა ადრე გავიდა, ტკბილეული ვიყიდეთ და შამპანურის გახსნა გადავწყვიტეთ. როგორც კი გარედან შემოკრული მავთული მოგხსენით, საცობი ხმაურით

## ფარული კამერა, კახური ჩვევები და ცოლს რომ „უშობი“, სხვაზე რატომ ფიქრობ?

დაუბეგმავი ნაბიჯი შესაძლოა, საბედისწეროც კი აღმოჩნდეს ან ბედნიერების მომტანი იყოს და ხშირად, დაგეგმილსაც აჯობოს. თუმცა, წინასწარ ვერაფერს გაიგებ და ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება ხოლმე. ვფიქრობ, მკითხველებმა საკმაოდ საინტერესო მესიჯები გამოგვიგზავნეს და ჯობს, მათ მოვუსმინოთ:

### მარი ჯაჭარიძე

#### „შენც დაგიჭერენ, მეც დამიჭერენ, ტრიფონსაც დაიჭერენ“

„ჩემი დაუბეგმავი ნაბიჯი საკმაოდ კუროიზულად დამთავრდა. მართალია, ჩემს თავზე ასეთ ამბავს არ უნდა ვყვებოდე, მაგრამ რადგან ამბავი რუსეთში შემემთხვა და აქ ამის შესახებ არავინ იცის, ამის გამო, მოყოლა შეიძლება. მოკლედ, რუსეთში ვმუშაობდი (ქალაქს თქვენი ნებართვით არ დავაკონკრეტებ). იქ ერთი ნაშა გავჩითე, რომლის ქმარიც, მარგალიტას ტრიფონასავით, მატარებლის გამცილებლად მუშაობდა. ჰოდა, გავიდოდა თუ არა „მელიტოპოლის“ მატარებელი, მარტოდ დარჩენილ ლუბოჩკასთან მაშინვე ილიაში ძღვენამოჩრილი გავრბოდი ხოლმე. ერთხელ, ჩემმა „მარგალიტამ“ სამსახურში მომავითხა და მაუწყა, რომ მისი ქმარი 9 მთასა და 9 ზღვას იქით იყო წასული. მეც, სამსახურს თავი მივანებე და მასთან გავიქეცი, რომ ძვირფასი

დრო უქმად არ დამეკარგა. ჰოდა, შუა „საქმეში“ ვართ და კარზე კაკუნი გავიგონეთ. წამოხტა ლუბოჩკა, მაგრამ კართან მისვლაც ვერ მოასწრო, ისე დაგვადგა თავს ჩვენი „ტრიფონი“. ძარღვებში სისხლი გამეყინა — თავზე ო რ მ ე ტ რ ი ა ნ ი მუტრუკი მადგა და ბოროტად ილიმებოდა... არც მოვკვდი და არც გადავრჩი. ოთახიდან გავიდა თუ არა, მაშინვე ნამოვხტი და წასვლა დავაპირე, მაგრამ ვინ გამიშვა? ხელი მომკიდა და მაგიდასთან დამსვა. ცხვირწინ ლიტრიანი, არყით სავსე ბოთლი და 2 ჭიქა დამიდგა. მოკლედ, ის ერთი ბოთლი დავცალეთ და უკვე ისე-



ამოვარდა, ჭალს შეასკდა და იატაკ-ისკენ წამოსული ჭალი ისეთი ხმაურით დაეხეთქა, რომ მთელი შენობა შეზანზარდა. ხმაურზე კაბინეტებიდან თანამშრომლები გამოცვივდნენ და ჩვენს კარზე ბრაზუნი ატყეს. როდესაც გავაღეთ, პირველი, ვინც ოთახში შემოვიდა, ჩვენი შეფი იყო, რომელიც სამსახურში დაბრუნებულიყო. ჯერ ყველამ გულიანად იცინა, მაგრამ მერე, მკაცრი გაფრთხილება მივიღეთ და რა თქმა უნდა, ჭალის ხარჯიც ავანაზლაურეთ. აი, ასე დამთავრდა დაუგეგმავი შამპანურის სმა“.

### „კეთი? – მტრი ოჯახში მავიდაა“

„ერთ ზაფხულს, დასთან და მეგობრებთან ერთად კიკეთში ვისვენებდი და კარგადაც ვერთობოდი. ჭკუის დამრიგებელი არავინ გყავდა, ამიტომ, ხანდახან ღამით საერთოდ არ ვიძინებდით და მხოლოდ წამოსვლისას აღმოვაჩინეთ, რომ თურმე, 2 საწოლით ნაკლები გვქონია... ჩვენს მეზობლად ერთი ოჯახი ისვენებდა. ჭალს სახელად ნანა ერქვა. ის ქალი მთელი დღის განმავლობაში ტვინს გვიბურღავდა: თქვენ ისეთი უზნეო გოგონები ხართ, ოჯახში არავინ შეგიშვებთო. მე განსაკუთრებით მერჩოდა. არადა, მე არც ხმაური მიყვარდა და მეგობრებს სულ იმას ვეხვეწებოდი — მუსიკას ხმაშალა ნუ ჩართავთ-მეთქი. ნანამ იმდენჯერ გაგვლანძოდა, რომ ბოლოს, მის ჯიბრზე მე თვითონ ვაღრიალებდი მაგნიტოფონს. მაშინ უნდა გენახათ მისი მოვარდნა და ლანძღვა-გინება... მალე, ერთი ბიჭი გავიცანით. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ის ნანას შვილი ყოფილა. არ გვესიამოვნა, მაგრამ მაინც დავეშვეთ. გოგონები ამბობდნენ, მაგას ჩვენ შორის ვილაც მოსწონს და აქ იმიტომ დადისო. აღმოჩნდა, რომ მე მოვწონდი. ერთ მშვენიერ დღეს, მან სიყვარული ამისხნა და ცოლობაც მთხოვა, მოსაფიქრებლად კი, ერთი კვირა მომცა... ერთი კვირის შემდეგ, ცოლობაზე დავთანხმდი — სინამდვილეში არ მიყვარდა, მაგრამ დედამისის გამწარება მინდოდა. როდესაც ნანამ გაიგო, რომ მისი რძალი გავხდი, გულის შეტევა დაემართა. მან სანდროს შემოუთვალა: მაგ თავხედს ოჯახში არ შემოვუშვებო. მე და სანდრო მის სანახავად საავადმყოფოში მივედი. რომ დამინახა, ყვირილი დაიწყო — აქედან გაეთრიეო. სანდრომ უთხრა: თუ მასთან ცხოვრება არ გინდა, ცალკე გადავალთო. ნანამ ამაზე უარი განაცხადა და როცა საავადმყოფოდან გამოწერეს, ოჯახში ყველაფერი შეცვლილი დახვდა — მთელი სახლი ჩემი გემოვნებით მქონდა მოწყობილი. მალე, სანდრო უზომოდ შემეყვარდა. ნანა ბრაზობდა, როცა მისი შვილი მეფერებოდა. მეც,

მის ჯიბრზე, სულ ქმრის ფერებაში ვიყავი. „დედას“ იმის იმედილა ჰქონდა — იქნებ, შვილი არ გაუჩნდესო, მაგრამ ქორწინების წლისთავზე ქალიშვილი შემეძინა, რომელსაც ჩემი დის სახელი დავარქვი (ეს ნანას ჯიბრით არ გამიკეთებია, ბავშვობიდან ასე მქონდა, გადაწყვეტილი). მე და სანდრო ძალიან ბედნიერად ვგრძნობთ თავს, 7 თვეში მეორე შვილიც შეგვეძინება და თუ ბიჭი იქნება, აუცილებლად მამაჩემის სახელს დავარქმევ. აი, ასე გავდვი დაუგეგმავი ნაბიჯი და თითქმის უცხო ადამიანზე გავთხოვდი. სოფო“.

### ჭირვეული ხარი

„ეს სევდიანი ამბავი 7 წლის წინ შემემთხვა, როდესაც საზღვარგარეთ პირველად წავედი სამუშაოდ. პირველი ხელფასი რომ ავიღე, გადავწყვიტე, მაღაზიებში გამეგლო და საჭირო ნივთები შემეძინა. რამდენიმე საათის შემდეგ, ტუალეტში შესვლა მომიხდა. სულ იოლად მივაგენი, შუა ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილზე მდებარე კაბინას, რომელზეც სანატრელი „F“ და „M“ ეწერა. ეს ხდებოდა გერმანიაში. მივედი კაბინასთან და დაკეტილი კარის გვერდით არსებულ ჭრილში 50-პფენინგისანი (ასე ღირდა) ჩავუშვი. კარი უხმაუროდ გაიღო. შევედი თუ არა, ჩემს ზურგს უკან კარი ავტომატურად დაიკეტა. შემოვბრუნდი და საკეტს დავეწყე ძებნა — ვერ ვიპოვე. დავინახე, რაღაც სახელური, რომლის ქვემოთ გერმანულად რაღაც ეწერა. დიდხანს აღარ მიფიქრია, მეგონა, რომ ეს საკეტი იყო და მთელი ძალით ჩამოვწიე — კარი გაიღო. მივხედი, რომ სახელური გასვლისას უნდა დამეწია, მაგრამ რაღაც უნდა მექნა? უნდა გავსულიყავი და კიდევ ერთი მონეტა ჩამეგდო. — არა, გერმანელო „ფაშისტებო“, ველარ ეღირსებით ჩემგან ზედმეტ ნახევარ მარკას-მეთქი, გავიფიქრე და კარს ჩავეჭიდე. როგორც იქნა, დიდი ძალისხმევით შემდეგ დავხურე და უნიტაზზე მოკვალათი. არ გასულა რამდენიმე წამი და კარი მთლიანად გაიღო. ამდენი ხალხის თვალწინ, უნიტაზზე „ამხედრებული“, ნირნამხდარი დავრჩი. ხალხმა სიცილი დაიწყო. მე კი, წამოვხტი, ერთი ხელით შარვალი მიჭირავს, მეორეთი — კარის დახურვას ვცდილობ. ორივე საქმე ცუდად გამომდიოდა. შარვალს ხელი გავუშვი და როგორც იქნა, კარი დავხურე. გამოსვლისას კი, ის ოხერი ვერ გავაღე. ბევრი წვალებების მერე, მომესმა ბავშვის ხმა, რომელიც დედას ტუალეტში შესვლის ნებართვას სთხოვდა. კარი მხოლოდ მას შემდეგ გაიღო, როცა მათ მონეტა ჩაუშვეს. შურდულივით გამოვვარდი და გოცნებულ გერმანელებს მზერა გავიყოლე. აი, ასეთი დაუგეგმავი ამბავი შემემთხვა. ჩემი გაოცება

კი, კაბინის მოწყობილობამ გამოიწვია. ტუალეტის ქალაღდიც კი მხოლოდ მას შემდეგ გამოდიოდა ჭრილიდან, როდესაც უნიტაზის ჩასარეცხ ლილაკს ხელს მიაჭერდით, ხოლო ეს ლილაკი მას შემდეგ იწყებს მუშაობას, როცა შესვლისას, მონეტას ჩაუშვებ... ასე რომ, მე ვერც უნიტაზი ჩავრეცხე, ვერც ქალაღდი მივიღე და თავსაც საშინლად ვგრძნობდი“.

### მეხანძრე

„ამ რამდენიმე წლის წინ, დაუგეგმავი ამბავი შემემთხვა. IX სართულზე ვცხოვრობ. ვინაიდან შინ სიგარეტს არ ვწვავი, ყოველთვის სადარბაზოში გამოვივარდო ხოლმე. ერთხელ, ჩვეულებრივად, გარეთ გამოვედი და რას ვხედავ? — ნაგვის ბუნკერიდან კვამლი ამოდის! როგორც წესიერ მოქალაქეს შეეფერება, შინ შევედი, ვედროთი წყალი გამოვიტანე და ბუნკერში ჩავასხი. კვამლი გაქრა. სიგარეტი მშვიდად მოვნიე და ვალმობდი შევედი შინ. ნახევარი საათის შემდეგ, მოსაწვად ისევ გამოვედი. ისევ კვამლი იდგა. ისევ ჩავასხი ერთი ვედრო წყალი. დაველოდე. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ წამოვიდა კვამლი. ისევ ჩავასხი წყალი და ასე, მთელი საათის განმავლობაში ვებრძოდი ხანძარს და როგორც იქნა, ჩავაქრე. მეორე დილით, გარაჟის კარი გავაღე და ის იყო, მანქანა უნდა გამომეყვანა, რომ პირველი სართულის მეზობელი ფანჯრიდან გამომელაპარაკა: გაიგე, გუშინ რა მოხდა? მეგონა იტყოდა — ვილაც მაღლიანმა ხანძარს მთელი კორპუსი გადაარჩინაო. მამიტი სახე მივიღე (მე ხომ თავმდაბალი ადამიანი ვარ) და დავინტერესდი — რა მოხდა-მეთქი? მითხრა: გუშინ „სვარშიკი“ იყო მოსული და ბუნკერში არმატურას ადუღებდა (რად უნდოდათ, არ ვიცი). როგორც კი „სვარშიკი“ შეძვრა და მიდუღებდა დაიწყო, ვილაც იდიოტმა ზემოდან წყალი ჩამოასხა. ცოტა ხნის შემდეგ, ისევ დაიწყო შედუღება და ისევ წყალი ჩამოასხეს. მოკლედ, როგორც კი „სვარკას“ აამუშავებდა, თავზე მამინვე წყალი ესხმებოდა. ხომ არ იცი, ის იდიოტი ვინ იყო? „სვარშიკის“ „ბანაობა“ მოსწყინდა და ისე წავიდა, რომ არმატურები ვერ შეადუღაო. რა თქმა უნდა, გულუბრყვილო სახე მივიღე და მხრები ავიჩეჩე. რაც შეიძლებოდა, სწრაფად დავქოქე მანქანა და სამსახურში რომ მივედი, მხოლოდ ამის შემდეგ წარმოვიდგინე მომხდარი სურათი და ავხარხარდი“.

### იაფი ამანათი

„ამბავი მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ ჰყავს ნათესავები და უფულოების გამო, ვერ ახერხებს მათთვის ამნა-



თის გაგზავნას. მოკლედ, ჩემს მეგობარს ძმა ავსტრალიაში ჰყავს. მისი თხოვნით, რაღაც ქიმიის სახელმძღვანელოები უნდა გაეგზავნა. მივიდა ფოსტაში, შეასრულა ყველა ფორმალა და რა თქმა უნდა, მარკებიც იყიდა, რომელიც ბანდეროლზე უნდა დაეკრა. აღმოჩნდა, რომ ავსტრალიაში ბანდეროლის გაგზავნა ძალზე ძვირი ღირდა. ფული მხოლოდ გერმანიაში ან საფრანგეთში დასაგზავნად ჰყოფნიდა. ადგა და ასე მოიქცა: დააწერა მისამართი — ბერლინი, ფრიდრიხშტრასე, 4. ფინკალცუეკერპუერს (თუ რაღაც ამგვარი). ხოლო უკან დასაბრუნებელი ის მისამართი მიუთითა, რომელზეც ავსტრალიაში აგზავნიდა. ბანდეროლი მართალია, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ, იაფად მივიდა ადრესატამდე. აი, ასე უნდა გააკეთოთ ეკონომია — დაუგეგმავად“.

**პილპილი დაუგეგმავად**

„შარშან ზაფხულს, ჩემი 2 მეგობარი სოფელში დასასვენებლად დავპატიჟე. ძალზე მაგარ დროს ვატარებდით და არც საჭმელ-სასმელს ვიკლებდით. ერთ დღეს გადავწყვიტეთ, რომ ხინკალი მოგვეხვია. საჭირო მასალა მაღაზიაში შევიძინეთ და რა თქმა უნდა, არც პილპილი დაგვევინყებია, რომელიც გამყიდველმა გაზეთის ნაგლეჯში გაგვიხვია. იმ საღამოს კარგად მოვილხინეთ, დილით კი, ბებისა და ბაბუის ლაპარაკმა გაგვადვილა. ბაბუა ცოლს რაღაცას საყვედურობდა, ბებო კი, თავს იმართლებდა: ჩემი ბრალი არ არის, ბავშვები იზამდნენ მაგასო... შემდეგ, ბაბუა ისარივით გავარდა გარეთ, ბებო კი ჩვენთან შემოვიდა და გვკითხა: გოგონებო, ნუხელ პილპილი რომ დახარჯეთ, ის გაზეთი რა უყავით, რომელშიც გახვეული იყო? მას ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა უპასუხა: იქვე, ლუმელთან დავაგდე, რომ დღეს ცეცხლის დასანთებად გამოგვეყენებინათო. ბებოს სიცილი აუტყდა. თურმე, ბაბუა დილით ტუალეტში გასულა და თან, ბუხართან რომ ქალადი დაუნახავს, ის გაუყოლებია. ცოტა ხანში, ერთ ადგილას „ცეცხლი მოჰკიდებია“ და გაგიჟებული დარბოდა... ახლა კი, აბანოში წასულა, რომ „ცეცხლი ჩაქრო“... ასეთი ამბავი დაემართა ბაბუს...“

**ლასტები**

„ჩემი მეგობარი ალიკა ისეთი ტიპი იყო, რომ სხვისი აზრი საერთოდ არ აინტერესებდა. სტუდენტობისას ერთად ვცხოვრობდით — სტუდენტალაქში და მის ოინებზე ძალიან მაგრად ვხალისობდით ხოლმე. მაგალითად, ერთხელ ჩვენს მეგობარს ნაძლევი დაუდო, რომ მესხეთე სართულიდან პირველამდე, კიბეზე

დედიშობილა ჩაირბენდა და მოუგო კიდეც. აი, ასე ნაშოვნი ფულით ვქეიფობდით, მაგრამ დრო რომ გავიდა, უკვე ყველამ გაიგო, რომ ის ყველა ნაძლევის იგებდა და სულ უფრო და უფრო უჭირდა ისეთი ადამიანის მოძებნა, ვისაც ნაძლევზე დაითანხმებდა. ერთ დღეს კი, გამოჩნდა „გეპეიშნიკი“, რომელსაც იმაზე დაენაძლევა, რომ უნივერსიტეტიდან სტუდენტალაქამდე ლასტებით მივიდოდა. მოგეხსენებათ, რომ საკმაოდ დიდი მანძილი უნდა გაევილო. ალიკამ ერთი რამ ვერ გათვალა — ფეხზე გაიხადა, ფეხსაცმელი იმ ბიჭს გადასცა, ვისთანაც ნაძლევი ჰქონდა დადებული და რის ვაი-ვაგლახით, ლასტები ჩაიცვა. ავტობუსის გაჩერებაზე უამრავი ხალხი იდგა. ისინი ალიკას გაოცებულნი უყურებდნენ. როგორც კი ტრანსპორტი ჩამოდგებოდა, მას მაშინვე მიანყდებოდნენ ხოლმე, ალიკას ლასტებზე აბიჯებდნენ და უკან ტოვებდნენ. რამდენიმე მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, მოასწრო და უკანა კიბეზე უკულმა შესტა. მეორე კი, მხარზე გადაკიდებული „ტუფლებით“, ნინა კარიდან შევიდა ავტობუსში. ლასტები ისე გაიჩხინა კარში, რომ მძლოლი დაკეტვას ვერ ახერხებდა და გამოაცხადა, რომ ვიდრე კარს არ დახურავდა, ავტობუსს ადგილიდან არ დაძრავდა. ხალხმა რომ დაინახა, ვილაც ლასტებიანი იდიოტის გამო სახლში აგვიანდებოდა, ყვირილი ატეხა. ალიკა მიხვდა, რომ მისი საქმე ცუდად იყო და ხმამაღლა დაიბღავლა: ხალხო, სპორტსმენი ვარ, ვილაც ვიგინდარამ გასახდელიდან ფეხ-

საცმელი მომპარა და რა მექნა? — შინ შიშველი ხომ არ წავიდოდიო? უცებ, ყველა დაწყნარდა, სანყალი ბიჭი შეეცოდათ და როგორც იქნა, ავტობუსი დაიძრა. ხალხმა გულისხმიერება გამოიჩინა და ალიკას დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორი ფეხსაცმელი დაკარგა, ახალი იყო თუ არა და ა.შ. იმანაც, თავისი ფეხსაცმელი დაწვრილებით აღუწერა და უცებ, ვილაც კაცი აყვირდა: აი, აქ დგას ის ბიჭი, ქურდი! ფეხსაცმელიც მხარზე აქვს გადაკიდებულიო... ვილაცამ მძლოლს მილიციაში წასვლა მოსთხოვა. მან კი, განაცხადა, რომ მილიციაში კი არა, ყველას ფსიქიატრიულში წაიყვანდა და ჩააბარებდა. გაჩერებაზე, კარი გილო თუ არა, მაშინვე, ორივე ამ ამბის გმირი ავტობუსიდან ჩამოვიდა. მერე, მთელი თვის განმავლობაში არჩევდნენ — ვინ მოიგო ნაძლევი და ვინ წააგო. შეთანხმდნენ, რომ „ნიჩიაზე“ მორიგებულებიყვნენ და ამის მერე, ალიკას ნაძლევი აღარავისთან დაუდვია“.

**სტუმრობა პუდელთან**

„გუშინდელ ამბავს გიმეხიჯებთ. კახეთში ვარ, ნათესავთან სტუმრად. თითქოს, კარგი სოფელია, მაგრამ... ჩემმა ჩამოსვლამ, ადგილობრივ მამრობითი სექსის წარმომადგენლებს შორის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თან მყავს წამოყვანილი ჩემი პუდელი, რომელსაც ჯილდა ჰქვია. ერთ საღამოს, სოფლის ორლობეში მივდიოდი, როდესაც 2 ახალგაზრდა მამაკაცი შემხვდა. გზაზე



გადამიდგნენ და გამეცნენ.

— შენ რა გქვია? — ჯიქურ მკითხეს.

— ჯილდა, — გავეხუმრე და გვერდი ავუარე.

— შენა ხო ფიროითანა ხარ, ჩამოსული? — მომამახსენ. მეც თავი დავეუქნიე და გზა განვაგრძე. უკვე კარგა დაბნელებული იყო, როდესაც კარზე დააკაკუნეს. ჩემმა მასპინძელმა კართან ის ბიჭები აღმოაჩინა, რომლებიც შუადღისას გავიცანი.

— ვისთან ხართ?

— ჯილდასთან, — ამყად უპასუხეს დაპატიჟებული სტუმრებით. თინა დეიდა შემობრუნდა და დაიძახა: „ჯილდა!“ — მე სიცილიგან ძირს ვეგდე, ხოლო ჯილდა, ბიჭებისკენ კუდის ქიცინით გაემართა... აი, ასეა, როდესაც დაუგეგმავად მიხვალ სტუმრად...“

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

### „ყველაფერს გაპატიებ“

„ჩემი ყველზე დაუგეგმავი ნაბიჯი, ექოსკოპის კაბინეტში ქალწულობის დაკარგვა იყო. ძალიან ადრე გავთხოვდი და ისე მოხდა, რომ ქმართან თვენახევარი ვიცხოვრე. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ფიზიკური ურთიერთობა არ გვექონია. რამდენიმე ხნის შემდეგ, გადავწყვიტე — ექიმთან მივსულიყავი და უბრალოდ, გამოკვლევა ჩამეტარებინა. ექიმი დაინტერესდა, გათხოვილი ვიყავი თუ არა. გულწრფელად ვუპასუხე, რომ განათხოვარი ვიყავი. პოდა, მოულოდნელად, ექოსკოპის ვაგინალური ინსტრუმენტი ჩემს ორგანიზმში აღმოჩნდა. ჩემს ყურისნამღებ კივილს იქაურობა მიჰქონდა. არასოდეს დამავინწყდება, ექიმის დაბნეული სახე. როცა საქმის ვითარება ავუსხენი, თვითონ გახდა მოსასულიერებელი. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ახლა ოჯახიც მაქვს და მოსიყვარულე ქმარიც მყავს, მაგრამ არასოდეს არავისთვის გამიმხელა, ჩემი „პირველი ღამის“ შესახებ.“

„იქნებ, ეს მესიჯი ნათიამ წაიკითხოს? ორივე საბერძნეთში ვართ. მე ის სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ ისე ამყად დადის, რომ თქმას ვერ ვუბედავ. ყოველ კვირა დღეს ვდარაჯობ, იქნებ შორიდან მაინც მოვკრა თვალი. ნათ, იცი, ვინ ვარ? გახსოვს, რომ დაგეჯახე და ჩანთა დაგივარდა? მე მოგანოდე და ბოდიში მოგიხადე, შენ კი, დამამშვიდე: არა უშავს, ხდება ხოლმე... მარი, ამას თუ დამიბეჭდავ, მესიჯს წავაკითხებ და მიხვდება... სხვაგვარად ვერ ვახერხებ და რა ვქნა...“

„დაუგეგმავად დავკარგე თავი და ქალწულობა. შემდეგ, იმ ბიჭს დაუგეგმავად დავშორდი. ამასი გასაკვირი არაფერია, გარდა იმისა, რომ მე ის მიყვარს და მაინც უარს ვუთხვნი. გიორგი გ-ძე, უზომოდ მიყვარხარ.“

„მარი, იქნებ მიშველო რამე, კახი

კალაქე მიყვარს. 3 თვეა, საავადმყოფოში ვცხოვრობ — სისხლის გათვრება მაქვს. ალბათ, გარეთ რა კარგია, არა? იცი, რა ძალიან მინდა სიცოცხლე? თურმე, რა ტკბილი ყოფილა! თვის დასაწყისში მშობლებს გერმანიაში მიყვავარ. ისე არ მინდა წავიდე ქვეყნიდან ან საერთოდ, ცხოვრებიდან, რომ ჩემ შესახებ კახიმ არ იცოდეს. მისთვის ბევრი რამ მაქვს გადასაცემი და მამა შემპირდა, რომ ამას გააკეთებს. მარი, გვეხვენი, არ დამივიწყო, მესიჯი დამიბეჭდე და იქნებ, ასე მაინც გავიცნო, რადგან მასთან მისვლას ვერ შევძლებ, ძალიან სუსტად ვარ. დამეხმარე, ცოტა დრო მაქვს. მარიაში, 16 წლის“.

„ერთხელ, ძმაცაცებმა მაგრად მოვიღინეთ და მაგრად რომ შევთვერით, ცოლების ქება დავიწყეთ. ერთი ამბობს: ჩემს ირინკას მაგარი ტანი აქვს, უბრალოდ, მარჯვენა თეძოზე დიდი დამწვრობა აქვს და ეს უტეხავსო. მე სპონტანურად წამოვიძახე: ვიცი, ალექო, ვიცი-მეთქი. არადა, მინდოდა მეთქვა — მესმის-მეთქი. გაგიჟდა — შენ საიდან იცი? დამწვრობა საჯდომის ოდნავ ქვევით აქვსო... მოკლედ, ერთი საათის განმავლობაში უშეშედეგად, რომ სხვა გავებით ვუთხარი“.

„დაუგეგმავი ნაბიჯი ჩემმა ბიოლოგიურმა მშობლებმა გადადგეს, როცა გამაჩინეს. მათ 4 შვილი ჰყავდათ და მე ალბათ, ზედმეტი ვიყავი. მშობლებისთვის „ზედმეტი“ ბავშვი ღმერთმა არ გამწირა და ბიოლოგიური დედის ბიძამ მიშვილა. მამიკოს და დედიკოს, საკუთარი 14 წლის ბიჭიც ჰყავდათ, მაგრამ მათთვის ზედმეტი არ ვყოფილვარ. მიმიღეს და საკუთარ შვილზე მეტადაც კი შემეყვარეს. მას შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ჩემმა ბიოლოგიურმა მშობლებმა კიდევ ბევრი შეცდომა დაუშვეს. ახლა, 19 წლის ვარ. ბიოლოგიური მშობლები ჩემი გულის მოსაგებად ძალ-ღონეს არ იშურებენ. ისინი ჩემი გამზრდელი მამიკოს საფლავთან მუხლებზეც კი დავაყენე. ახლახან მანქანაც მიყიდეს, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მათი მადლობელი მხოლოდ იმის გამო ვარ, რომ ასეთ ბრწყინვალე ადამიანებზე გამაშვილეს. ძალიან ბედნიერი ვარ. აჩრდილი“.

„ხალხმრავალ ადგილას მარი უცაბედად ხელში ავიტაცე და გამეზუტა. მერე, დავერევე და ვუთხარი, რომ უნდა დავშორდე-მეთქი. ახლა ვნანობ და დავდივარ „სპონტანურად“, დებილივით“.

„პოროსკოპით ქალწული ვარ და ყველაფერს დაგეგმვა მიყვარს, მაგრამ მამაჩემმა გამაბრაზა, როდესაც შეყვარებულთან შეხვედრა ამიკრძალა და მეც, მის ჯიბრზე, ცოლად სხვას გავყევი. გამიმართლა — 2 შვილი მყავს და ბედნიერი ვარ. ახლა, ამას ღიმილით ვიხ-

სენებ. მაშინ კი, რა იყოოოოო!“

„დათო 1 წლის წინ გავიცანი. პირველად რომ შევეხვი — არაფერი, მაგრამ მეორე შეხვედრაზე მაკოცა და მომეფერა. მერე, შემეყვარდა და მის გარეშე ვვლარ ვძლებდი. ჩვენ დღემდე ვხვდებით ერთმანეთს. ძალიან ლამაზი ვარ, ვიცი, რომ მას სიგიჟემდე ვყვარვარ, მაგრამ მითხრა: ცოლად ვერ მოგიყვანო. ვუთხარი: არც მინდა-მეთქი. ჩვენ ერთმანეთს დღესაც ვხვდებით... იცი, რა მითხრა? — რა პონტია, ცოლს რომ „უშობი“ და სხვაზე ფიქრობო? ძალიან უნდა, რომ ლოგინში ჩამინვინოს, მაგრამ ვერ მივართვი!“

„ათენიდან გიმეხიჯებო. მინდა, ჩემი მესიჯი დაბეჭდოთ. მგზავრობისას გავიცანი კახელი თენგი. ერთმანეთი შეგვიყვარდა და უკვე ერთი წელია, რაც ერთად ვართ. მე კახური ჩვევები შევიძინე, მისი სიყვარულით ვინვი, ის კი, თურმე, „პუტანკას“ ლოგინში ნებიერობს. მინდა, კახელ ქალებს ვკითხო: ყველა კახელი კაცი ასეთი მექალთანეა თუ მხოლოდ მე შემხვდა, ვირი? მაგრამ, თენგი, იცოდე, რომ მაინც მიყვარხარ და ყველაფერს გაპატიებ...“

„მინდა, დაბადების დღე მივულოცო დედას, რომელიც უზომოდ გვენატრება და ველი; და კიდევ, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ვახსო — ეგ რომ არ იყოს, რა მეშველებოდა? ღმერთმა მისცეს ანგარიშზე ბევრი ფული, რომ მოვპარო. ვახო წაქაძე, აბა, შენ იცი, შეივსე ანგარიში... ნინი, ქუთაისი“.

„ამწუთას, ჩემ წინ ულამაზესი პეიზაჟია: ზღვა და ოდნავ შესამჩნევად განათებული ცა. მე კი, ერთი საქმე მაქვს — ვიფიქრო და ვუცქირო ხმელთაშუა ზღვას. დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგი და საკუთარ სამშობლოს სხვისი ვარჩიე. ამ ნაბიჯმა საყვარელი ადამიანი რომ დამაკარგვინოს, ამას საკუთარ თავს არასოდეს ვაპატიებ. ახლა, ჩემი ლაშა წარმოვიდგინე აქ, ჩემთან ერთად. ლაშ, მიყვარხარ! შენი ბარტყი“.

„სალამო მშვიდობისა! მართალია, გვიან გიმეხიჯებ, მაგრამ მუშაობას ახლა მოვრჩი და „გზაჯინილებს“ კითხვას მიყვავი ხელი. ჩემი დაუგეგმავი ნაბიჯი ის იყო, რომ გერმანიიდან საქართველოში ვბრუნდებოდი და ნოემბრის ერთ საღამოს, საბერძნეთში მოვხვდი. ხათო“.

დღეს „გზაჯინილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: არ ენდო ქალს, დაგლუპავს... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომდევნო სუთუბათამდე.





იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საპრობილის ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ორგანიზებით, „ქორთიარდ მერიოტში“ თექვსი იმ ნაწარმის პრეზენტაცია-აუქციონი გაიმართა, რომელიც პატიმრების ხელითაა შექმნილი. ეს იმ პატიმრების ნამუშევრები გახლდათ, რომელთა შესახებაც გადაცემაში — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ — გახდა ცნობილი, როდესაც მსჯავრდებულმა ქალმა, ცისანა ქოთილაიძემ საკუთარი ბიზნესგეგმა წარმოადგინა. ცისანას პროექტი ბიზნესმენებმა — მაია რჩეულიშვილმა, ლაშა პაპაშვილმა და არჩილ გვეგენავამ დააფინანსეს.

## პასიმაჰმა აუქციონზე საქუთარნი ნახელავი 3.500 ლარად პაყილა

### ლალი შანია

პრეზენტაციაზე უამრავი ადამიანი იყო მოსული. ცისანა ქოთილაიძე თითოეულ სტუმარს დიდი სიხარულით ხვდებოდა. აუქციონი მსახიობებმა — დუტა სხირტლაძემ და მალხაზ ქვრივიშვილმა წაიყვანეს. გარკვეული რაოდენობა წარმოდგენილი ნამუშევრებისა გაიყიდა. იქვე საქართველოს მხატვართა ასოციაციამ ქალბატონ ცისანას, სახვით ხელოვნებაში მიღწეული წარმატებისთვის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიანიჭა. პრეზენტაცია-აუქციონის ცისანა ქოთილაიძემ სახელად „თექვა“ დაარქვა, რაც ასე ახსნა: „სულხან-საბას განმარტებით, თაქნაბადი თექნაბადი, კეთილი ნაბადი ანუ თექა — სიკეთა. ჩვენ ვაკეთებთ სიკეთეს იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ ადამიანებს... მართლაც, ამ ქალბატონმა სიკეთის ქმნა ისეთ ადგილას დაიწყო, სადაც ეს — ყველაზე დიდი მადლია. 15 პატიმარი ქალი ციხეში დაასაქმა, ხელობა ასწავლა და ცოცხათი მაინც შეუმსუბუქა საკუთარი ხვედრით გამოწვეული სადარდებელი.

პრეზენტაციის ბოლოს, დიდი ტორტიც გაიჭრა და ეს წარმატება შუშუნა შამპანურითაც დაასველეს. დანკებულ საქმეს მოძღვარმაც დაულოცა გზა, ბიჭუნათა გუნდმა „მრავალუამიერი“ დააგუნგა...

ცისანა ქოთილაიძე პროფესიით მსახიობია. ამიტომაც, დარბაზი მისი კოლეგებით იყო სავსე.

### პაპ ახიანი:

— ცისანა ჩემი ჯგუფელია, ერთად ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში. ის ნიჭიერი მსახიობია. მაოცებს მისი ოპტიმიზმი და საოცარი მიზანსწრაფულობა. ძლიერი შინაგანი სამყაროს მქონე ქალბატონია. მან იქ, სადაც დღეს იმყოფება, თავიც დაისაქმა და სხვებაც დაასაქმა. ხელს რასაც მოჰკიდებს, ყველანაირ საქმე გამოსდის, არა უბრალოდ ისე, არამედ ხუთიანზე. თექაზე მუშაობაც ბრწყინვალედ შეძლო. ცისანა, გიგა ლორთქიფანიძეს, ჩვენს რეჟისორს თეატრალურ ინსტიტუტში, ძალიან უყვარდა. ყოველთვის აქტიური, ცოცხალი, ენერგიული იყო.

### მალხაზ ქვრივიშვილი:

— ცისანას 25 წელზე მეტია, რაც ვიცნობ. ის პირველად მაშინ ვნახე, როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ვაბარებდით. ერთ ჯგუფში ვიყავით. ჩვენთან ერთად სწავლობდნენ: ეკა კახიანი, გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი), თემიკო ჭიჭინაძე, ეკა კონტრიძე, მაიკო

აბიშვილი, გია ბულია, დათო ბახტაძე... საოცარი ჯგუფი გვექონდა... ცისანა უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი იყო თავიდანვე. საუკეთესო მეგობარია. გული მწყდება, რომ გარკვეული დროით, მას თავისუფლება აღეკვეთა. ორი შვილის დედას და 5 დედ-მამიშვილის პატრონს, ნიჭიერ ადამიანს ეს არ უნდა დაჰრთვოდა.

### ეკა მუხამანაძე:

— ერთად ვსწავლობდით. ჩემი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მსახიობი ქალია. სადაც კი ყოფილა, ყველგან გამოუვლენია საკუთარი თავი. საოცარი თვისებები აქვს, გამოჩნეული ადამიანია. ის თვისებები, რომლებიც მას აქვს, გარშემო მყოფებში იშვიათად მეგულება. მან ურთულეს სიტუაციაშიც შეძლო საკუთარი თავის გამოვლენა და რეალიზება, არ დაიკარგა, სათქმელი თქვა. მაგრამ ჩემთვის ის მაინც მსახიობია. მას ყველაფერი წინ აქვს, კარგი როლების თამაში შეუძლია. თბილისის ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა. ამიტომ, მაინც მირჩევნია, რომელიმე სცენაზე ძალიან მაღლე ვიხილო, ვიდრე — თექის დამუშავებას შეჭიდებული.

ამ საუბრების შემდეგ, როგორც იქნა, ცოტა ხნით დავიმართოხლეთ ცისანა ქოთილაიძე. თუმცა, ჩვენი დიალოგი მაინც მისი მეგობრების გარემოცვაში წარმოართა. ჩვენს საუბარს მალხაზ ქვრივიშვილი და ეკა მუხამანაძე ესწრებოდნენ.

### ციანა:

— თელავში დავიბადე და გავიზარდე. იქვე დავამთავრე სკოლა. წარმოშობით თუმი ვარ, ჩემები თუშეთიდან არიან. ხასიათიც თუშური მაქვს (იღიმიება).

— თუში მშობლებისთვის თქვენი მსახიობობა მისაღები იყო? თქვენი ასეთი არჩევანისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ?

— თუშები ჩვეულებრივად ეკიდებიან ასეთ საკითხებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ოჯახში წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ჩვენთან ჯანსაღი აზროვნება იყო და დღემდე ასეა. პირიქით, მამას ძალიან გაუსწარდა, მსახიობობა რომ გადაეწ-

ყვიტე, ყველანაირად დამიჭირა მხარი. სხვათა შორის, ახალგაზრდობაში, მასაც ნდომებია მსახიობობა, უბრალოდ, ვერ შეძლო ამ სურვილის შესრულება, ოცნება არ აუხდა.

— როგორც შეგიტყვე, გაგიმართლათ — კარგ ჯგუფში მოხვედრილხართ, თეატრალურ ინსტიტუტში ბევრი ნიჭიერი მეგობარი გყოლიათ.

— არაჩვეულებრივი ჯგუფი იყო. ამას თან საოცარი პერიოდიც დაემთხვა, საინტერესო ადამიანებმა მოიყარეს ერთად თავი. გვყავდა ასევე, საინტერესო პედაგოგი — გიგა ლორთქიფანიძე.

— როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხეთ, როგორ უყურებდით მომავალს?

— ...ძალიან მიყვარს საინტერესო ცხოვრება. ერთფეროვნება მღლის და ვერ ვეუბები. მიმაჩნია — ის, რაც ცხოვრებაში ხდება, კანონზომიერია, უფლის ნებით ხდება. ამიტომაც, ყველაფერი ჩემთვის მისაღებია — ნუხილი იქნება ეს თუ სიხარული. ცხოვრებაც ეს არის. მსიამოვნებს, როდესაც პირველი შეგრძნებები დიდხანს გრძელდება. ამიტომ, სულ ახალ-ახალ შეგრძნებებს ვეძებ. გამუდმებით რაღაც ახალი მაინტერესებს.

— თქვენ მიერ შესრულებულ როლებსა თუ ნათამაშებ სპექტაკლებს ხომ არ გაიხსენებდით?

— ლილი იოსელიანმა ინსტიტუტში დადგა ჩეხოვის „სამი და“. მასას როლი მქონდა. პაუფტმანის „მშვიდობის დღესასწაულში“ ერთ-ერთი მთავარი როლი მერგო. თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ბასტიონში“ ლელას როლი ვითამაშე. მედეა კუ-



აუქციონის დაწყებამდე





ნიასთან წარვადგინე, მას ძალიან მოეწონა. შემდეგ, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრმა გამოიწვია მოაწყო. მაკა ჯიშკარიანი იქ თქვის ნამუშევრების გამოტანაც სცადა — სინჯა პატიმრების ნამუშევრების გაყიდვა. საინტერესო იყო, გაიყიდებოდა თუ არა. ექსპერიმენტმა გაამართლა, ნამუშევრები მოეწონათ. მოგვიანებით, ჩემი პროექტი სატელევიზიო შოუში — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ — წარვადგინე. პროექტი ბიზნესმენებმა დააფინანსეს.

**— რაში და როგორ გამოიყენოთ ის თანხა?**

— ჯერ ბოლომდე არ გამომიყენებია. ნაწილი წარმოების გაფართოებას მოხმარდა. მოვამზადე ის ეგზემპლარები, რომლებიც დღეს პრეზენტაცია-აუციციონზე იხილეთ.

**— დღევანდელი აუციციონის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

— ეს პრეზენტაცია აუცილებელი იყო, რადგან კიდევ ერთხელ მოხდა ძირძველი ქართული ტრადიციული თქვის წარმოებისთვის თვალის შევლება. ასევე აუცილებელი

ქუხიძის სპექტაკლებში: „თოვლის დედოფალი“ — გერდა ვიყავი, აგატა კრისტის დეტექტივშიც მქონდა როლი... „ჯინსების თაობაში“ გია ტაბიძის ცოლი განვსასხიერე...  
**— მერე რა მოხდა, რის გამო აღიძრა თქვენ მიმართ სისხლის სამართლის საქმე? ტელეგადაცემაში ამის შესახებ არაფერი თქმულა.**

— მაინცდამაინც არც იყო საჭირო ამის ხაზგასმა. ისეთი განსაკუთრებული ამბავიც არა მაქვს მოსაყოლი. თავისუფალი რომ ვიყავი, თქვის წარმოება წამოვიწყე. მერე, წარმოებისთვის ერთი პიროვნებისგან პროცენტური ვალი ავიღე. ყველაფერი ამ ვალის გამო მოხდა — ანუ გაუგებრობა, სრულიად უაზრო. პრობლემა იმ პიროვნებასთან ურთიერთობისას შემექმნა, სხვა მეტი არაფერი ყოფილა, წარმოების საქმე გადასარევიდ მიდიოდა. ასე რომ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აღმოჩნდი გისოსებს მიღმა... პირველად, ჩვენში მე წამოვიწყე თქვის მოდერნიზება. გავაკეთე რეკლამები. მერე სხვებაც ამყვინ, რაც ძალიან მახარებს.

**— მაგრამ, როგორც ვიცო, ეს საქმე თქვენს გვარს უკავშირდება.**

— მთავარია, კარგი და ხარისხიანი რამ შექმნა და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გააკეთებს?! ეს საქმე ხალხურია და მას ვერავინ მიითვისებს, ვერც მე.

**— რამდენი წელი გაქვთ მოსჯილი?**

— სამი.  
**— რამდენი დაგრჩათ?**

— ერთ თვეში გამოვალ.

**— ციხეში წარმოების გახსნა როგორ შეძელით? იდეა როგორ დაგებადათ?**

— იქ ხომ ფიქრისთვის ბევრი დროა. მუდმივად ფიქრობ, ნერ ან კითხულობ.

**— წერთ კიდევ?**

— არა, არა, უბრალოდ, იქ იმდენად საინტერესოა სიტუაცია, რომ... თავისთავად გიჩნდება წერის სურვილი.

**ბალზაჰ ძირივივილი:**

— ვიცი, რომ ციხეში ყოფნისას, პიესები დანერგე. ვინც ისინი ნაიკითხა (რეჟისორებს ვგულისხმობ), ამ პიესების დადგმის სურვილი გაუჩნდათ. მე არ მათამაშებ შენს პიესებში? ქალად გადავიცვამ და როლს ისე ვითამაშებ.

**ცისანა:**

— მე წარმოების ხელმძღვანელი ვარ, არც რეჟისორი და არც სცენარისტი (ილიმეზა)... თავიდან, როდესაც ჩემი პროექტი — წარმოების გახსნის შესახებ — №5 საპრობილის უფროსთან, ქალბატონ მედეა ალა-



პატიმრების ხელით შექმნილი აქსესუარები

იყო, რომ დამატებით შემოსავალი გასჩენოდა ჩვენს წარმოებას: ხელფასებია გასაცემი.

**— სულ რამდენი პატიმარი ქალი დასაქმებული?**

— 15.

**— თქვენი საამქრო ციხის ტერიტორიაზეა?**

— დიახ. ახლა ალბათ, გავარემონტებთ იმ ოთახს, სადაც ვმუშაობთ. ჯერჯერობით ძალიან პატარა ფართობია, მაგრამ იქ მუშაობის მსურველი ბევრია. თანხა იმისთვის გვინდა, რომ საამქრო სამ ოთახამდე გავზარდოთ.

**ბალზაჰი:**

— ციხიდან რომ გამოვხვალ, იმ საწარმოში მაინც იმუშავებ?

**ცისანა:**

— საწარმო იმიტომ დაარსდა, რომ მან ნლების განმავლობაში იარსებოს. მას მე ვუხელმძღვანელებ.

**ბალზაჰი:**

— შეგიშვებენ?

**ცისანა:**

— როგორ არა?! კოლონიასთან ხელშეკრულება გვექნება. ამის საფუძველზე, პატიმრები დასაქმდებიან.

**ბალზაჰი:**  
— არ შეიძლება, რომ რაიმე სხვა საქმეც გააკეთო?

**ცისანა:**

— შეიძლება, მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც ეს იქნება.

**ბალზაჰი:**

— საოცარი და საშური საქმეა, რომ ამდენი ქალბატონი დასაქმდა.

**მაკა მუხამანაძე:**

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ პატიმარი ქალბატონები დასაქმდნენ. როგორც ცისანასგან ვიცი, იქ ბევრია ისეთი, ვისაც ციხიდან გამოვლის შემდეგ, წასასვლელი არსად აქვს, უსაქმოდაც არიან და ისე უკან ბრუნდებიან. რამხელა საქმეა, რომ ისინი ამ ხელობას, საქმეს იქ უუფლებიან. მათ შეუძლიათ, ამ საქმიანობით, მატერიალური მდგომარეობაც გაიუმჯობესონ.

**— ქალბატონო ცისანა, მაინც სად ისწავლეთ თქვის წარმოება?**

— მე თუში ვარ და ამ საქმის სწავლა არ მესაჭიროება — შინაგანად ვიცი...

**— ესე იგი, დღევანდელი დღით კმაყოფილი ხართ.**

— რასაკვირველია. იმედები არ გავუცრუე ჩემს ინვესტორებს, რომლებმაც დამაფინანსეს: მაია რჩეულიშვილს, ლაშა პაპაშვილს, არჩილ გეგენავას.

**— გაუფრთხილას პორტრეტი 3.500 ლარად გაიყიდა. ხომ არ გეცოტავებათ?**

— საქართველოში ნივთის შეფასება რთულია. იმიტომ კი არა, რომ ვერ აფასებენ — უბრალოდ, მატერიალურად ჭირს ცხოვრება.

**— ნაწობთ რამეს?..**

— როგორ შეიძლება, ადამიანს სინანულის გრძნობა არ ჰქონდეს?! სისულელეა.

**— ვფიქრობ, დაამტკიცეთ, რომ ძლიერი ქალი ხართ.**

— არ მიმანია, რომ სუსტი ვარ და არც არასდროს მითქვამს, რომ სუსტი ვიყავი. ძლიერი ვარ — რამდენადაც ეს შესაძლებელია. თუმცა, ჩვეულებრივი ქალი ვარ.

**— გარეთ ვინ გელოდებთ?**

— შვილები, რომლებიც ძალიან მომენატრნენ: 11 წლის ელენე და 4 წლის ბარბარე. მათთან ერთად — უამრავი კეთილი ადამიანი, ახლობელი, ნათესავი, მეგობარი...



ასე გაყიდა ღებამ თქვის პონჩო...



რას არ გაიგონებს კაცი ამ პატარა საქართველოში?! ჯერ იყო და, ყურძნისა და ვაზის ქვეყანაში, ღვინის ფალსიფიკატორები ამხილეს. შემდეგ, ჭიათურაში წამლების გამყალბებლებს მიაგნეს, რომლებიც წამყვანი ევროპული კომპანიების სახელწოდებების მქონე პრეპარატებს ასალებდნენ, ცოტა ხნის წინ კი, ერთი ქალბატონი დამიკავშირდა და შემომჩივლა, რომ „ოქროს აფეროს“ მსხვერპლი გახდა...

## ექვთ საბჭოთასიმბოლოკიანი ოქროს ნაკეთობები!..

800 დოლარად ნაყიდი „ძვირფასი“ ლითონი და აფერისტი ოქრომჭედლის აღსარება

### უმა ტუხიაშვილი

#### ციცინო ქავთარაძე:

— რამდენიმე თვის წინ, ჩემმა ერთადერთმა ვაჟმა ცოლი შეირთო. გადაწყვიტე, პატარძლისთვის ჩემი ოქროს სამკაულები მეჩუქებინა, მაგრამ შვილმა იუარა: ეს ბეჭდები ძველმოდურია, გაყვიდოთ და რაიმე უფრო თანამედროვე შევარჩიოთო. მართალია, გული მწყდებოდა, რადგან ერთბაშად ყველა ის ნივთი უნდა გამეყიდა, რომელსაც დიდი რუდუნებით ვინახავდი მთელი ცხოვრება, მაგრამ უარი არ მითქვამს და შვილთან ერთად, ე.წ. „ოქროს ბირჟაზე“ გავშურე. როცა იქ შეიტყვეს, რომ ძველი ოქროს ნივთები მქონდა გასაყიდი, ვაჭრები ბუზებივით დამესივნენ და რამდენიმე წუთში, მე და ჩემი შვილი, მიღებული 800 დოლარით კმაცოფილი ვიყავით. მისივე გემოვნებით, ჩემი რძლისთვის, ამავე ფასად, მასიური ბეჭედი შევარჩიეთ. იქვე მომუშავე ოქროს ექსპერტისგან დასტურიც მივიღეთ, რომ ჩვენს შენაძენს არანაირი წუნი არ ჰქონდა და საჩუქრით ხელდამშვენებულები მივაღექით რძალს. ბეჭედი ისეთი ლამაზი და მდიდრული იყო, რომ ყველას ყურადღებას და ინტერესს იპყრობდა. იმასაც მეზუნებოდნენ: გაგიმართლა, ასეთი ნივთი ორჯერ უფრო მეტი ღირსო. დღესაც არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემს რძალს, თავდაც მიუტანია ბეჭედი ნაცნობ იუველირთან და მისი შემოწმება უთხოვია. იუველირს უთქვამს: კარგი ფალსიფიკატორის ნახელავია, მაგრამ ერთი შეცდომა მაინც დაუშვიაო. ბეჭედს მცირე მონაკვეთზე, დაუმუშავებელი ნაწიბური ჰქონდა. სწორედ ამან დააეჭვა ნაცნობი იუველირი და გაირკვა, რომ 800 დოლარად ღირებული ბეჭედი სპილენძისგან იყო დამზადებული, ხოლო ოქროს თხელი ფენა მხოლოდ ზედაპირზე ჰქონდა გადაკრული... რა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერაფრით დავამტკიცეთ, რომ ბეჭედი ოქროს სავაჭრო ცენტრში, ერთ-ერთი ქალბატონისგან შევიძინეთ, ნუგეშად მხოლოდ ის დავგრჩა, რომ ოქროს ფალსიფიცირებას საქართველოში მასობრივი ხასიათი აქვს მიღებული და ბევრი ვერც

კი ხვდება, რომ ძვირად ღირებული სამკაული, რომლითაც თავს ინონებს, ყალბია.

ფალსიფიკატორების გამოვლენა შესაბამისი ორგანოების საქმეა, ჩვენ კი შევეცადეთ, „ოქროს აფეროს“ სქემა გაგვეშიფრა და ერთ-ერთი ოქრომჭედელი, სრული კონფიდენციალობის დაცვის გარანტიით, გულახდილ საუბარზე დავითანხმეთ. მისივე თხოვნით, პირობითად მას ედიკას ვუწოდებთ.

— ედიკა რამდენ ხანაა, რაც ოქროს ნაკეთობებს ამზადებ?

— ხელობა მამამ მასწავლა და 15 წელია, რაც უკვე დამოუკიდებლად ვმუშაობ. ოქროს გარდა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ლითონებისგანაც ვაკეთებ სამკაულებს.

— ოქროს გაყალბებაც მამამ გასწავლა?

— მამაჩემმა ეგ რომ იცოდეს, საფლავში გადატრიალდება. მისი თაობის ოქრომჭედლები თბილისში დიდი პატივით სარგებლობდნენ და ისე უყვარდათ თავიანთი საქმე, რომ მცირედი სიყალბეც კი გამოირიცხული იყო. რაც მამაჩემის ხელში ოქროსა და ვერცხლს გაუფლია, ერთი კლიენტისთვისაც რომ ეღალატა, ასეთი სახელით კი არ წავიდოდა ამ ქვეყნიდან. ისე მოაჩუქრთმებდა ოქროში ქარქაშებს, თვალი დაგრჩებოდა ზედ. მაშინ სამუშაოც ბევრი ჰქონდათ ოქრომჭედლებს, ახლა კი, ხალხი ისეთი გაჭირვებულია, ოქროს შესაძენად კი არაა, ზოგს პურის საყიდელი ფული არა აქვს. თვეში ერთ ნაკეთობას თუ გაყვიდი და 3-4 განყვეტილ ძენკვს გავამრთებებ, მაღლობელი უნდა ვიყო. ამიტომაც ვაყალბებთ ოქროს, ხან დამლას ვცვლით და დაბალი სინჯის ოქროს მაღალი ხარისხის ფასად ვყიდით, ხან კი, ვერცხლისა თუ სპილენძის სამკაულს ოქროს გარსში ვახვევთ და მყიდველსაც ტყუვდება.

— ეი. გამოდის,

რაიმე სამკაული რომ მოგიტანო შესაკეთებლად, თვალი არ უნდა მოგაცილო, რომ მის ნაცვლად, ყალბი არ გამატანო?

— რა თქმა უნდა, თუ საამისოდ ნებისყოფა გეყოფა...

— ხარისხის აღმნიშვნელ დამლას სამკაულს შენ აკრავ?

— თუ გინდა, ბიუჯეტურია მომიტანე, ოქროს წყალში ამოგივლებ და 585 „პრობის“ ოქროს დამლას მივაკრავ.

— შენი ნაკეთობების რეალიზაციაში ვინ გეხმარება?

— „ოქროს ბირჟაზე“ ჩემი ხალხი მყავს, ნაკეთობებსაც მათ ვაბარებ. თუ მოხდა ისე, რომ ფალსიფიკაცია გამოვლინდა, ოქროს გამყიდველი ჩემს ვინაობას არ გაამჟღავნებს, რისთვისაც ჩემგან გარკვეულ გასამრჯელოს იღებს. მაგრამ ზოგჯერ, ბედის ირონიის წყალობით, მყიდველი ოქროს შესამოწმებლად ჩემთან მოდის, ნაკეთობა კი ჩემი დამზადებულია. ჰოდა, ხომ არ ვეტყვი — ხელში სპილენძი გიჭირავს-მეთქი!..

**მიხეილ ბაგიაშვილი, ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და ნაწარმთან დაკავშირებულ საქმიანობით დაკავებულ პირთა სამოქალაქო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:**

— სამწუხაროდ, ოქროს ფალსიფიკაციის შემთხვევა ხშირია და მოტყუებული შეიძლება აღმოჩნდეს როგორც მომხმარებელი, ასევე ოქროს ნივთებით მოვაჭრე ადამიანი. სქემა, რომლის გამოიფვრასაც ცდილობთ, საკმაოდ მარტივი



ია: ეს არის ერთი ჯაჭვი, რომლის თავშიც დგანან ფალსიფიკატორი ოქრომჭედლები, ხოლო ამ სფეროში გამეფებული სრული უკონტროლო მათ ხელს უწყობს ჩანაფიქრის განხორციელებაში. საბჭოთა პერიოდში, ქვეყანაში მოქმედებდა სტანდარტები, ხოლო საკავშირო ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული სასინჯი სამსახური ყველა წარმოებული საიუველირო ნივთის კონტროლს ახორციელებდა. მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში 22 საიუველირო ქარხანა-გიგანტი მოქმედებდა, მათ შორის, ერთ-ერთი თბილისის საიუველირო ქარხანა გახლდათ. ამ ქარხანაში წარმოებული პროდუქცია მთელ ქვეყანაში იყიდებოდა, ხოლო წარმოების მოცულობა წელიწადში 3 ტონას აღწევდა. მაგრამ ეს მინც ძალიან ცოტა იყო, მაგალითად, ლენინგრადის საიუველირო



ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით, რომელიც წელიწადში 25 ტონას აჭარბებდა. ეს იყო მილიარდობით ოქროს ნივთი, რომელიც გამოწვლილვით მოწმდებოდა სასინჯი სამსახურის მიერ. ათი დეტალიც რომ ჰქონოდა ოქროს ნივთს, ათივე უნდა შეგემონებინა და სტანდარტებთან მცირედი შეუსაბამობაც რომ ყოფილიყო, ნუნდი უნდა დაგედო.

— ე.ი. იმ დროს, ოქროს ფალსიფიკაცია საერთოდ არ ხდებოდა?

— ძალზე იშვიათად, რადგან საიუველირო მალაზიაში ოქროს ნაკეთობა შესაბამისი სინჯისა და საბჭოთა სიმბოლიკიანი დამლის გარეშე ვერ მოხვდებოდა. ფალსიფიკაციას მაშინაც, ოქრომჭედლები მისდევდნენ და საკუთარი ნაკეთობების რეალიზებას საკო-

მისიო მალაზიების შემდეგობით თუ ახერხებდნენ. დღეს კი, აღარც სტანდარტები მოქმედებს და აღარც ოქროსა და ძვირფასი ლითონების მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო. ამიტომაც, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, პასუხიც არავის მოეკითხება. დღეს ყველაზე ხშირად, ფალსიფიკატორები დამლებს — სინჯებს აყალბებენ. გგონიათ, რომ ნმს სინ-



ჯის ოქროს ყიდულობთ, სინამდვილეში კი, მისი ხარისხი 500-ს არ აღემატება. ასეთი ხერხით ყველაზე იოლია სამაჯურებისა და ყელსაბამების ფალსიფიცირება: ყველაზე კარგი სატყუარა, მასიური ოქროს ნივთებია. მე პირადად, ექსპერტიზის დროს გამომივლენია, თუ როგორ პროფესიონალურად იყო „შეფუთული“ ოქროში ვერცხლის ბეჭედი. სხვათა შორის, ასეთი ფალსიფიკაცია მრავალწლიან მოხმარებაზეა გათვლილი. შეიძლება, ამგვარად გაყალბებული ნაკეთობა მთელი ცხოვრება ატაროთ და თუ ლომბარდში ან ექსპერტის ხელში არ მოხვდება, ვერასდროს გაიგებთ მის ნამდვილ შემადგენლობას. ოქროს ფალსიფიცირების კიდევ ერთი ხერხი, ნაკეთობის დამზადებისას, სხვადასხვა მინარევის გამოყენება გახლავთ. მაგალითად, ნივთისთვის მეტი მხატვრული ღირებულების მისანიჭებლად, ოქროს სხვადასხვა შეფერილობას აძლევენ. წლების წინ, სხვადასხვა მინარევის გამოყენება მკაცრად იყო რეგლამენტირებული. დღეს კი, ვისაც რა დანაშატიც უნდა, იმას იყენებს და საბოლოო ჯამში, გაურკვეველი ლითონის ნაწარმი მიიღება. ასეთი ნაკეთობის ექსპერტიზა კუსტარულ პირობებში სრულიად წარმოუდგენელია.

— ძვირფასი ქვების გაყალბების ფაქტები თუ არის გამოვლენილი?

— შემოტანილია დიდი რაოდენობით ხელოვნური ბრილიანტის თვლები, რომელთა გარჩევა ბუნებრივი ბრილიანტისგან, თანამედროვე ხელსაწყოთა გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ასეთი ხელსაწყო საკმაოდ ძვირი ღირს. ამიტომაც ყველა ექსპერტს როდი აქვს.

— საინტერესოა, შეიცვალა ოქროს ექსპერტიზის ტექნოლოგიები თუ საქართველოში ოქრო ისევ 15-20 წლის წინანდელი მეთოდით მოწმდება?

— ფალსიფიკატორი ყოველთვის ცდილობს, რომ წინ გაუსწროს არსებული შემოწმების მეთოდს და ექსპერტიც მოაწყოს. რა თქმა უნდა, მსოფლიოში უკვე არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგრამ მათი დანერგვა ჩვენს

ქვეყანაში სოლიდურ თანხებს მოითხოვს. ისევე, როგორც წლების წინ, საქართველოში ოქროს ნაწარმი კვლავ სპეციალური ხსნარებით მოწმდება, მაგრამ ასეთი მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც კი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებას. ჩვენმა ორგანიზაციამ ოქროს ფალსიფიკაციის რამდენიმე ფაქტი გამოავლინა და რამდენიმე პირის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგა. მაგრამ ჩვენ, როგორ არასამთავრობო ორგანიზაციას, არა გვაქვს უფლება, ძვირფასი თვლებისა და ლითონების რეალიზაციაზე ზოგადი კონტროლი განვახორციელოთ.

— საინტერესოა, როგორ ხდება ასეთ პირობებში ოქროს ნაწარმის ღირებულების დადგენა?

— საერთაშორისო ბაზარზე ერთი გრამი სუფთა ოქროს ღირებულება 19 დოლარია. სხვათა შორის, საქართველოში ოქროს ნაწარმი აქციზით არ იბეგრება, ამიტომაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენთან ოქრო შედარებით იაფი ღირს. არსებული სტატისტიკით, საქართველოში, კერძო საკუთრებაში 150 ტონა ოქროა, აქედან დიდი ნაწილი ლომბარდში დევს. მოგეხსენებათ, რომ გამოუსყიდავი ოქრო ჯართის ფასად იყიდება, იუველირის ხელში ხვდება, რომელიც მისგან გაურკვეველი შენადნობის ნაწარმს აშაბდებს და ფასსაც ადებს.

— რა შეგიძლიათ ურჩიოთ მათ, ვინც ოქროს ნივთის შეძენას გადანყვეტს?

— პირველ რიგში, მოითხოვოს სინჯის აღმნიშვნელი დამლის არსებობა და თუ ნაკეთობაზე, ნამგალსა და უროს — ანუ საბჭოთა სიმბოლიკის აღმოჩენს, შეუძლია მშვიდად იყოს. ასევე ვურჩევდი, შეიძინოს ჩვენი ორგანიზაციის დამლით — ვერძის თავით დადამლული ნაკეთობები. ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაცია ვართ და არანაირი კომერციული ინტერესი არ გვაქვს. წარმოვადგენთ ნეიტრალურ იურიდიულ პირს, რომელიც ცდილობს, მომხმარებელი ძვირფასი ლითონებისა და თვლების ფალსიფიკაციისგან დაიცავს.



# არაჩინი ფანი, ლაპარაკი სიყვარული და ნაკომანის აღსარება

## „სიყვარულის“ „გასაგრაზებად“, სიძინე სიყვარულის მომზადებას

ამ ბოლო დროს, რედაქციაში უამრავი მესიჯი შემოვიდა, რომელშიც უკვე ზრდასრული ადამიანები, თინათინიერულ ასაკში მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე მოგვითხრობენ. ვფიქრობთ, მოზარდები, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან, ინტერესით გაეცნობიან უფროსი თაობის გამოცდილებას.

### ლიკა ქაჩია

მსხვერპლი, 19 წლის:

„პრივეტ“, ლიკა. შენთვის პატარა ამბის მოყოლა მინდა. სკოლა რომ დავამთავრე, ეგრევე ინსტიტუტში მიკრეს თავი. მე კი, ამისთვის თითქოს მზად არ ვიყავი. თეატრალურ უნივერსიტეტში, თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. იქაურობასთან შეგუება, ჩემი მორცხვი ხასიათის გამო, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მაგრამ ჩემმა ჯგუფელებმა, როგორც თვითონ ამბობდნენ — „აზრზე მომიყვანეს“ და მეც ერთ დიდ ქაობში აღმოვჩნდი ჩაფლული. ლექციების დასრულებისთანავე ბარში ჩავდიოდით, სადაც ბიჭებთან ერთად, ათასგვარ თემაზე, მათ შორის, სექსზეც ვსაუბრობდით. ეს კი, ჩემთვის უცხო ხილი იყო და ამიტომ, ყოველთვის ჩუმად ვიჯექი ხოლმე. მალე, სიგარეტის მოწევა დავიწყე და ასე მეგონა, მაგარი გოგო ვიყავი. ერთხელაც, ჯგუფელებმა (ყველანი გოგონები ვიყავით) ქეიფი გადაწყვიტეს და ერთ-ერთი მათგანის — ნიას სახლში შევიკრიბეთ, სადაც ჩვენ გარდა, სხვა ფაკულტეტის სტუდენტი ბიჭებიც იყვნენ. ოჯახში მართლები ვიყავით, რადგან უფროსები რაიონში იყვნენ წასულები და მოკლედ, „ვეგულაობდით“. ცოტა დავლიეთ, ვიცეკვეთ, ვისუმრეთ და ამასობაში დაღამდა კიდეც. ერთ-ერთი სუფრის წევრი — პაატა, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი, გადამეკიდა, სიყვარულს მეფიცებოდა და სხვასთან ცეკვის უფლებას არ მაძლევდა. როცა სახლში წასვლა გადავწყვიტე, უკვე ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ სიცილისგან „ვიხეოდი“, ფეხი მერეოდა და მან შემომთავაზა — გაგაცილებო. ჩემმა ჯგუფელებმა თავი გაიგიჟეს, არსადაც არ წავა, ასეთ დღეში ქუჩაში ვერ გავუშვებთო. პაატამ ნია გარეთ გაიყვანა და რაღაცას დიდხანს ჩურჩულებდნენ. ჩანთა ავიღე და წასვლა რომ დავაპირე, ორივენი მომცვიდნენ და ლოგინზე მიმაგდეს — არსადაც არ წახვალ, შენებს ჩვენ დავურეკავთ და დაგტოვებენ, ასე გარეთ როგორ უნდა გახვიდეო?! მერე, აღარაფერი მახსოვს. დილით თავი ძლივს წამოვწიე, მაგარი ნაცემივით ვიყავი და ჩემს საწოლს რომ გადავხედე, გონი დავკარგე, რადგან იქ სრულიად შიშველი პაატა იწვა და გმრიელად ეძინა. გონზე წყლის წვეთებმა მომიყვანა, რომელსაც ნია

მაპყრებდა. ვუთხარი: ეს რა გამიკეთეთ-მეთქი?! თითქოს გაბრაზდა და შემომჩვილა: შენ თვითონ ესწავნებოდი პაატას — მეშინია, ჩემთან დარჩიო და ახლა მე რაღას მბრალბენ, ის კი არა, ახლა მითხარი — თეთრულს რა ვუყო, ჩემები რომ ჩამოვლენ, გაგიჟებებიანო. სახლიდან თითქმის გამომავდო. მას შემდეგ, უნივერსიტეტში აღარ წავსულვარ და არც პაატა მინახავს, რომელიც ჩემი გულის გასახეთქად ხმაძალა, სატანასავით ხარხარებდა და იღრმეებოდა და არც ის ალქაჯი. მართალია, მათ სამაგიერო ჯერ ვერ გადავუხადე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მე თუ არა, მათ ღმერთი მაინც დასჯის. ჩემი უბედურების ამბავი ჩემმა უახლოესმა მეგობრებმაც კი არ იციან, სწორედ, ეს „მჭამს“ და მაგიჟებს. ძალიან მინდა, ვინმეს გული გადავუშალო, მაგრამ მეშინია, არ შემიძლონ და კიდეც, ძალიან მეშინია იმ დღის, როცა მშობლები გაიგებენ, რომ მათი სათაყვანებელი გოგო უნივერსიტეტში აღარ დადის — რა მეშველება?.. გმადლობ, დრო და ყურადღება რომ დამითმეთ, მაგრამ თქვენი რჩევა აუცილებ-



დილით თავი ძლივს წამოვწიე, მაგარი ნაცემივით ვიყავი და ჩემს საწოლს რომ გადავხედე, გონი დავკარგე

ბლად მჭირდება და მინდა, ჩემიანი სულელ გოგონებს ვთხოვო, რომ ნუ ენდობიან ახალგაზრდობილ ადამიანებს და ნუ გაიუბედურებენ თავს“.

ბარი, 29 წლის:

„გამარჯობა. მინდა, ჩემი ტკივილი გაგიზიაროთ. ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, სხვებისგან არაფრით გამოვიჩრჩეოდი (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა), მაგრამ რატომღაც, ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, ბიჭები ჩემი გულისთვის ლამის ერთმანეთს ხოცავდნენ. მე-9 კლასში ვიყავი, როცა პირველი სიყვარული მენვია. დათო სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ის კლასელმა ბიჭმა გამაცნო — ჩემი ბიძაშვილიაო. იმ დღიდან მოსვენება დავკარგე, სულ მასზე ვფიქრობდი, ყველგან მისი დიდი, წყლიანი თვალები მეღანდებოდა. არ მეგონა, თუ მასაც მოვეწონებოდი, მაგრამ ერთ დღეს, სკოლაში მომავითხა და სიყვარულში გამომიბყდა. სიხარულისგან ისეთი დაბნეული ვიყავი, რომ როცა გაკვეთილზე გეოგრაფიის მასწავლებელმა მითხრა: აბა, გამოდი და გაკვეთილი მოჰყვიო, წამოვდექი და ლექსი წავიკითხე.. მე და დათო ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, თავისი ძმაკაცები გამაცნო, ყველგან ერთად მივდიოდით ხოლმე. მთელი 2 წელი ისე მივლიდა, როგორც პატარა ბავშვს და ტუჩებში მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ მაკოცა. იმწუთას, უბედნიერე-

არ მეგონა, თუ მასაც მოვეწონებოდი, მაგრამ ერთ დღეს, სკოლაში მომავითხა და სიყვარულში გამომიბყდა







# რატომ თანხის უიჯობიან ქართველი მამაკაცი მოქალაქე?!

ალბათ, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ მოდელი ქალი, თავისი გრძელი ფეხებით თუ ეშხიანი გარეგნობით ყველა მამაკაცისთვის სასურველია, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ საქართველოში, მამაკაც მოდელზე გაცილებით მეტი მოთხოვნაა სუსტი სქესის მხრიდან. TC-Si Tom Hilfiger-ის სამოსის ჩვენებაზე, როდესაც პოდიუმზე წელს ზევით შიშველი მოდელი გამოჩნდა, გოგონებმა ნივილ-კივილი მორთეს...

## სოფო ყარაღაჯიძე

— როგორ მოხვდით ამ „გაუგეზობაში“?

**რაზი დანელია, 22 წლის:**

— მეგობარმა, რომელიც „160 სმ-ია ნახტომში“, მითხრა — „იმიჯ-ცენტრი“ კასტინგს აწყობს, მონაწილეობა უნდა მივიღო და წამომყვიო. სააგენტოში მოდელია მეც შემომთავაზეს. კაი-კაი გოგონებს რომ გადავხედე, უარს როგორ ვიტყოდი?! აქ კარგი სიტუაციაა, მომწონს ეს სფერო.

**გიორგი ლორთქიფანიძე, 20 წლის:**

— მეც მეგობარმა მიმიყვანა. ის გაუშვეს და მე დამტოვეს. ჩემთვის ეს იოლად საშოვნელი ფულია, თან, საინტერესო ადამიანებთან მიხვებს ურთიერთობა.

**არამ ხანთიაძე (სააგენტო „ლიკა ყაზბეგი“), 27 წლის:**

— ვილაცამ მკითხა — არ გინდა, პოპულარული გახდო? პირველი ჩვენება „მეტესში“ მქონდა, სადაც 50 ლარი გადამიხადეს. მომეწონა სცენაზე დგომა — ხალხი მიყურებდა და სურათებს მიღებდა.

**გიორგი ფრიდონიშვილი:**

— მირჩიეს და მოვედი. თავიდან ყველა, გოგონების გამო მოდის.

— საქართველოში მამაკაცი, რომელიც ამ სფეროში მუშაობს, რატომღაც, ბევრს არატრადიციული ორიენტაციის ჰგონია. ეს არ გაკომპლექსებთ?

**გიორგი:**

— თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, მოვიდეს და პირადად მითხრეს.



მოუწესრიგებელი ქუჩაში ვერასდროს გაქაღ.

**არამი:**

— თუ გრძელი თმა გაქვს, კამერას უყურებ და ილიმი, ფიქრობენ, რომ „ცისფერი“ ხარ. მე ოჯახი მაქვს, მეუღლე ძალიან მიყვარს.

**ლავა ჯაფარიძე („ნატალი“), 23 წლის:**

— მოდელი თუ ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საყურით და ბეჭდებით იარო. ბეჭედი თუ გიკეთია, გინდა თუ არა, ქალურად იყურები ხელებზე. შარშან, კიევიდან იყვნენ ჩამოსულები და დამავალეს — მომავალი წლისთვის თმა გაიზარდე... აჰა, გაიზარდე და ვის-ნავლე თმის ნახად, ხელით გადავარცხნა... ნერვები მეშლება. ის კი, ვინც დამავალა, რაღაც არ ჩანს.

**გიორგი:**

— ვილაც რაღაც სისულელეს თუ გაიფიქრებს, მე ნერვები რატომ უნდა ვიშალო?! ვისაც ამის სჯერა, ის მეცოდება. რამდენიმე წლის წინ, შორტი რომ ჩავიცვი, თბილისის ზღვაზე გაოცებულები მიყურებდნენ. მერე ყველამ ასე დაიწყო სიარული, თან ერთნაირი შორტები ეცვათ, ალბათ, ვაგზალზე იყიდეს. თმა რომ გაიზარდე, სტვენა დამიწყეს, ახლა კი, ძველი ბიჭიც კი, რომელიც იარაღით დადის, გრძელ თმას ატარებს. ადრე ნვეტიანი ფეხსაცმელი და შლაქსი შარვალი მხოლოდ „ცისფრებს“ ეცვათ, ახლა ნადი, გაიგე — ვინ რა ორიენტაციისაა.

— ალბათ, ხშირად გინევთ გასახდელში შიშველი გოგონების გარემოცვაში ყოფნა?

**არამი:**

— პირველ ჩვენებაზე გასვლა ამის გამო დამაგვიანდა. მე და ჩემი ძმაკაცი მათ ვეკაიფებოდით — ვჩქმეტდით და ა.შ. ერთ-ერთის დედა შემოვარდა და ისეთი ამბავი დაგვანია, კინაღამ სააგენტოდან გაგვადგეს.

**ლავა:**


— ერთ ოთახში ქალი და მამაკაცი არ უნდა იცვლიდეს სამოსს. ასე ხომ შეიძლება, დაიმოტენტდე?

**რაზი:**

— ერთხელ ვნახე ბევრი გახდილი გოგო ერთად და მერე, ერთი კვირა არ მეძინა.

**გიორგი:**

— „სან-სეტის“ კოლექციის ჩვენება რომ იყო, ჩემთან გოგო მოვიდა და მთხოვა — ბიუსტპალტერი შემი-



რაც მოდელი გავხდი, ვიფიქრე — ესე იგი, მართლა კარგი გიპი ვარ-მეთქი

კარო. მეც ხომ ადამიანი ვარ? თავი დამანებე-მეთქი! — გავეცალე.

**გიორგი:**

— სასიამოვნოცაა და „დამგრუზველიც“. რა მიკვირს, იცი? გასახდელში ტრუსით დგანან და „ჰკიდიათ“, 5 წუთის შემდეგ კი, სხვა ოთახში რამე რომ გამოუჩნდეთ, რცხვნიათ.

— ალბათ, თითოეულ თქვენგანს უამრავი თაყვანისმცემელი გყავთ... როგორ ცდილობენ გოგონები თქვენს მოხიბვლას?

**გიორგი:**

— ინსტიტუტში ვილაცამ დამიძახა და გაქარა. დავინტერესდი და გავიცანი. დღეს, მეგობრები ვართ. მაშინ, ალბათ მოვეწონე. ერთხელ კიდევ, საზოგადოების თავშეყრის ადგილას გოგო რაღაცაზე გამიბრაზდა და ბოთლები დალენა. ამას რა დამავინწყებს?!

**რაზი:**

— რაც მოდელი გავხდი, ვიფიქრე — ესე იგი, მართლა კარგი ტიპი ვარ-მეთქი და თავდაჯერება შემემატა. მალე, ჩემი ტელეფონის ნომერი „გაბაზრდა“ და მართალია, გოგონები სახლში არ მიცვივდებიან, მაგრამ გაუთავებლად რეკავენ. ალბათ, პირადად მოსვლას ვერ ბედავენ.

**არამი:**

— მას შემდეგ, რაც მოდელი გავხდი, თაყვანისმცემელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ერთხელ, ერთ გოგოს, რომელსაც მოვწონდი, ვუთხარი: ერთმანეთისთვის არა ვართ შექმნილი და არ მინდა შენთან გავერთო, მერე კი, მიგატოვო-მეთქი. მეორე დღეს, მისი ძმა ყვირილით მოვარდა ჩემთან: რა უთხარი ჩემს დას ისეთი, რომ ვენები გადაიჭრაო?!

**ლავა:**

— პოპულარობა არ მინდა, რადგან, მერე თავისუფლად ვერც შევჭამ და ვერც დავლევ. ისეთი განსაკუთრებული არა

ვარ, რომ ჩემ გამო ვინმემ რაიმე სისულელე ჩაიდინოს... მაგრამ რატომ-ღაც, ალფონსებს მაინც გვინოდებენ.

**როგორი გოგონები მოგწონთ? როგორ უნდა მოგხიბლოთ ქალმა?**

**არმენი:**

— პირველ რიგში, ქალს, ფეხებზე ვუყურებ. მას ლამაზი ტანი და მიმზიდველი თვალები უნდა ჰქონდეს. ჩემი მეუღლე პირველად რომ ვნახე, მოკლე შორტი ეცვა და ამით მოვიხიბლე.

**გიო:**

— აუცილებელია, რომ ჩემი რჩეული ქრისტიანი იყოს. მას ქალური მანერები უნდა ჰქონდეს. ცანცარა გოგონები არ მომწონს. ჩემთვის მისაღებია, როცა ურთიერთობაში ინიციატივას სუსტი სქესის წარმომადგენელი იჩენს, ოღონდ, არა ზედმეტად. რა სიტუაცია გავცემ, იმის 60% მაინც თუ დამიბრუნდა, უკვე ბედნიერი ვარ.

**ბობი:**

— ვულგარული გოგონები მაღიზიანებს.

**თქვენ თვითონ თუ გაქვთ ქალის შებმის განსაკუთრებული სტრატეგია?**

**ლავა:**

— რატომ უნდა გითხრა?.. თუ ინიციატივას ქალი გამოიჩენს, ვუბნები: რაც შენ გინდა, იმას მიიღებ-მეთქი. „ტეტიას“ რომ სიყვარული ავუხსნა, ჩემთან სახლში მოვა და იტყვის: როიალს აქ დავდგამ, სანოლს — იქო. შეიძლება, ადამიანი, რომელიც მოგწონს, შენი შესაფერისი არ იყოს და ეს ურთიერთობის დასაწყისშივე უნდა გაიზარო.

**რეზი:**

— მიზანში არასდროს არავინ ამომიღია. მგონია, რომ ასე ვერავის შევაბამდი. წინასწარ არასოდეს ვფიქრობ, რა ვუთხრა გოგოს — რაც ენაზე მომადგება, იმას ვუბნები. ვცდილობ, ისინი არ მოვატყუო.

**გიო:**

— პირველ რიგში, მასთან ჩემს პიროვნულ თვისებებს ვამუღავნებ, მერე, ისეთ ადგილას წავიყვან, სადაც თავს კარგად იგრძნობს. თუ არ წამომყვება — კისერიც უტეხია! თუ ქალთან კარგი ურთიერთობა მაქვს და მიმატოვებს — გული მეტკინება.

**არმენი:**

— სიურპრიზები ძალიან მიყვარს. ერთხელ, მანქანა ვიყიდე და ცოლს ისე მივადექი... ქალს ურთიერთობის ყველა ეტაპზე უნდა მოაწონო თავი.

**ბობი:**

— ქალების შებმა ყელში ამომივიდა და ცოლი მოვიყვანე.

**თავს როგორ უვლით და ქართველ მამაკაცებს რას ურჩევთ?**

**არმენი:**

— არაფერზე ინერვიულონ, ბევრი იცინონ. პირველ რიგში, იმისათვის, რომ

კარგად გამოიყურებოდე, აუცილებლად ოპტიმისტი უნდა იყო, საკუთარი თავის გჯეროდეს.

**რეზი:**

— დიდი ხანია, რაც ტრენაჟორების დარბაზში არ ვყოფილვარ. თან ძალიან ბევრს ვჭამ, მაგრამ ფორმიდან არ ამოვვარდნილვარ. როცა დამჭირდება, დიეტას აუცილებლად დავიცავ. საქართველოში, რატომღაც, ყველა მუქი ფერის სამოსს ატარებს — ნეტავ, რას გლოვობენ?! ჩაიცვან ფერადი სამოსი და მათი შეხედვა უფრო სასიამოვნო იქნება.

**გიო:**

— მოუნესრიგებელი ქუჩაში ვერასდროს გავალ. ვცდილობ, ისე გამოვიყურებოდე, რომ მოსაუბრისგან ნეგატიური ემოცია არ ვიგრძნო. რვა თვეა, რაც ჰანტელისთვის ხელი არ მიხლია. დიეტას კი, კარში სულ გვერდულად რომ შევდიოდე, მაინც ვერ დავიცავ.

**ლავა:**

— ვერ ვიტან შამპუნის და სუნამოს სუნს. ქუჩაში თმაგაჩეჩილიც რომ გახვიდე, ყურადღებას ხომ მაინც მიიქცევ? მაისურზე ძაფი რომ გქონდეს მიკრული და ვილაცამ მოგაცილოს — ესეც



ეს ხელოვნებაა. ამიტომ, თანხას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს!

ხოლმე. მან იცოდა, რომ მოსაუბრის ყურადღებას პირველ რიგში, თითები იქცევს და მერე — სხვა დანარჩენი. უბრალოდ, მამაკაცმა ეს ღიად არ უნდა გააკეთო, რადგან კაცი, პედიკურის გაკეთების დროს ცუდი სანახავია... არ მესმის, რისთვის იკეთებენ სვირინგს. რატომ უნდა დაზიანო სხეული ვილაც თიკას ან მიკას გამო? ჩინური იეროგლიფები კი, ჩინელებმა დაიხატონ. მიმანია, რომ სექსუალურობა სვირინგით არ გამოიხატება.

**ბობი:**

— მოდელი ვარ და ამიტომ საკუთარ გარეგნობას სხვაზე მეტ ყურადღებას ვაქცევ. ქართველ მამაკაცებს რა უნდა ვურჩიო?.. ან შავ ტანისამოსს იცვამენ ან სასწაულად აჭრელდებიან ხოლმე. მათ ვურჩევ, რომ გემოვნების დახვეწა-ჩამოყალიბებაზე „იმუშაონ“.

**ასეა თუ ისე, საქართველოში ქალმა მოდელმა კამერის წინ გაშიშვლება დაინცეს. რა თანხა უნდა შემოგთავაზონ იმისთვის, რომ შიშველმა, თუნდაც ფოტო გადაიღოთ?**

**არმენი:**

— ჩვენებაზე, ტრუსით 100 დოლარადაც გამოვსულვარ. სანამ რომელიმე სერიოზული კომპანია კონტრაქტს არ გამიფორმებს, მანამდე არ გავშიშვლდები.

**რეზი:**

— ნახევრად დაბნელებულ სურათს, სადაც ზურგით ვიდგები, 600 დოლარად გადავიღებ. თუ მამაკაცის ტანგას ჩამაცმევენ, მაშინ ძალიან ბევრი უნდა გადამიხადონ.

**გიო:**

— ჩვენებაზე მხოლოდ ქვედა საცვლით არ გამოვალ, იმიტომ, რომ თავს კომფორტულად ვერ ვიგრძნობ. მილიონი თუ გადამიხადეს, გავშიშვლდები, აბა, რას ვიზამ?!

**ლავა:**

— მე არა მაქვს ისეთი აღნაგობა, რომ ვინმესთვის ჩემი სხეული საინტერესო იყოს. თუმცა, თუ დასჭირდათ და თანაც ხარისხიანი ფოტო იქნება, უფასოდაც გადავიღებ.

**ბობი:**

— ეს ხელოვნებაა. ამიტომ, თანხას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს!

**როგორ ფიქრობთ, რა პროფესიის ცოლი უნდა ჰყავდეს მოდელს?**

**ლავა:**

— საერთოდ, მოდელს მატერიალურად ძლიერ პიროვნებებთან აქვთ ხოლმე ურთიერთობა.

**არმენი:**

— ჩემი მეუღლე მხატვარ-დიზაინერია და ერთმანეთის მშვენივრად გვესმის.

**გიო:**

— ნებისმიერი პროფესიის. მთავარია, გიყვარდეს!



„1868 წლის გაზაფხული. სამეგრელოს პრინცესას, სალომე დადიანისა და ფრანგი კეთილშობილი ლეიტენანტის, აშილ მიურატის ქორწილი პარიზში, ტიულორის სასახლის ბაღში, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჩატარდა. ქორწილს ესწრებოდნენ: იმპერატორი ნაპოლეონ III, იმპერატრიცა, ნაპოლეონ პირველის დისშვილი, მათილდა, პრინცის მამა, პრინცი ლუსიენ მიურატი, ანა მიურატი, სამეგრელოს პრინცი, ნიკოლოზ დადიანი, ანდრია დადიანი... ცერემონია საღამოს 9 საათზე გაიმართა. 8 საათიდან სტუმრებმა ეკლესიის ეზოში თავმოყრა დაიწყეს. ეკლესია გარედან განათებული იყო, ახლომასლო ქუჩები — ხალხით გადაჭედელი. ადამიანები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ეზოში მიმდინარე მოვლენებს და ცდილობდნენ, ეკლესიაშიც შეეხებათ. პრინცი აშილი ლეიტენანტის უნიფორმაში იყო გამოწყობილი. პატარძალს თეთრი სატინის კაბა ეცვა, სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული... ცერემონიის მიმდინარეობისას, ეკლესიაში ხალხის ტევა არ იყო, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია ვინროა. მთელი ჯვრისწერის მანძილზე, სტუმრები ფეხზე იდგნენ. საქართველოდან ჩასული სტუმრები უცნაურ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილი. ამ ტანისამოსს ჩოხა-ახალუხი ჰქვია“.



**„უახლეთ, რომონ უჭინავს თაჟი სიძეს, რით ანის თაჟაღა ნაქაჯი?!“  
ქართულ-ფრანგულმა ქორწილმა აყალიბა ახალი მანერა ჩინა...**

**მარი ჯაფარიძე**

ასე გამოეხმაურა მაშინდელი ფრანგული პრესა ქართულ-ფრანგულ ქორწილს. ეს ქორწინება არ გახლდათ სიყვარულზე დაფუძნებული, სალომე და აშილი გარიგებით შეუღლდნენ. ამ კავშირის მიღმა პოლიტიკური მოტივები მოიაზრებოდა. მაშინ საფრანგეთი რუსეთს ებრძოდა და კავკასიაში დამკვიდრება მისთვის ძალზე მომგებიანი იყო.

**პატარძლის მშობლები**



პრინცი აშილი საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენელი და ნაპოლეონ მესამის კარზე მიღებული, მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. სწორედ იმპერატორის მოწადინებით დაქორწინდა ის სალომეზე.

მათ მესამე შვილი, ლუსიენი სამეგრელოში შეეძინათ. შემდეგ, ის ფრანგ მარი დე რუან შაბოზე დაქორწინდა და შეეძინათ ვაჟი, აშილ მიურატი, რომელიც 18 წლამდე, სამეგრელოში ცხოვრობდა. ისიც ფრანგ ქალზე — მაგდალენ დე შასე ლუ ლობაზე დაქორწინდა. მათ 9 შვილი შეეძინათ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ალენი, რომელიც ცოლთან, ვერონიკა დე შაბო ტრანკურთან და 10 წლის მათილდასთან ერთად, 1996 წელს, საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. მთელმა ოჯახმა უზომოდ შეიყვარა საქართველო და ქართული ტრადიციები.


**ძალბატონი ვერონიკა:**

— პირველად ზუგდიდში რომ ჩამოვედით, ხალხმა ძალზე თბილად მიგვიღო. გვეუბნებოდნენ — ეს თქვენი სამშობლოა, თქვენი მინაა და დაბრუნდითო. გადაწყვეტილების მიღება გავიჭირდა, მაგრამ საფრანგეთში ყველაფერი გავყიდეთ და საქართველოში გადმოვედით საცხოვრებლად. ფრანგი ნათესავებისთვის გაუგებარი იყო ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება, ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა გვეცხოვრა აქ და გიჟებადაც კი

შეგვრაცხეს. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდით... მათილდა უკეთ შეეგუა აქაურ ყოფას, ქართული ისწავლა და მეგრულიც. მეც, ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ, უკეთ შევეგუებოდი. ალენიც მშვენივრად გრძნობს აქ თავს და ქართული სადღეგრძელოებიც კარგად გამოისის.

...მატილდას რომ ჰკითხოთ — რატომ გაქვს, მეგრული კილო? გიპასუხებთ — მეგრული ვარ, „მიურატიო“. ზემოთ აღწერილი ქორწილიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ, რამდენიმე დღის წინ, კვლავ შედგა ქართულ-ფრანგული ქორწილი. ამ ქორწინებას მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული უდევს საფუძვლად და არა პოლიტიკური ან ეკონომიკური გარიგება. ლევან მესროფაშვილმა და მათილდა მიურატმა შაბათს, 22 ივლისს, წმინდა სამების ტაძარში დაინერეს ჯვარი. ამ საქორწინო ცერემონიამაც ბევრი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. 3 საათისთვის უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი ეკლესიის ეზოში. მათ შორის, საფრანგეთიდან ჩამოსული 50-მდე ადამიანიც გახლდათ, რომლებიც ინტერესით აკვირდებოდნენ ჩოხაში გამოწყობილ პატარძლის მამას, ალენს და მომღერალ ბიჭებს, რომლებმაც „მრავალუამიერი“ დაავრცულეს. ერთ-ერთ მათგანთან გასაუბრებაც მოვახერხე:

— მოგწონთ ქართული ქორწილი?



ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა

იმ დღეს, სამების ტაძარში, უამრავი წყვილი იწერდა ჯვარს. ერთიმეორეზე უკეთესი პატარძლები მოდიოდნენ. ყველა მათგანს ევროპულად შეკერილი, ბოლო მოდის საქორწინო კაბა ეცვა, გაშლილი ბოლოთი, მოღიავებული გულმკერდითა და ზიზილ-პიპილოებით განწყობილი... მათილდას კი, დედის ხელით შეკერილი, ძალზე სადა საქორწინო კაბა ეცვა და თავზეც ქართული წესით შეკერილი ფატა ეხურა. სიძე ქართულ ჩოხა-ახალუხში გახლდათ გამონწყობილი და მნახველის თვალსა და გულს მართლაც, ახარებდა მშვენიერი წყვილის ყურება. ბედნიერი სიძე-პატარძალი მილოცვებს იღებდა ახლობლებისგან და თან აბეზარი ყურნალისტებისთვის ღიმილს და კითხვებზე პასუხს არ იშურებდა.

**ლევან მისროფაშვილი:**

— მე და მათილდას უკვე დიდი ხანია, გადანყვეტილი გვქონდა დაქორწინება. ერთმანეთი რომ გავიცანით, მალევე მივხვდით, რომ ჩვენი ურთიერთობა აუცილებლად შეუღლებით დამთავრდებოდა. წელს დავამთავრე საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი და ჩავთვალე, რომ უკვე მზად ვარ, ოჯახის შესაქმნელად.

**მატილდა მიურატი:**

— ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. მე მაქვს საკუთარი საქმე, კერძოდ — ყვავილების ბიზნესი და ლევანიც გვერდში ამომიდგება. ერთად გაცილებით უკეთ გავართმევთ თავს.

**ანანა შალუტაშვილი, დედაძე-თილი:**

— დაახლოებით 2 წლის წინ, ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა ფრანგების ჯგუფი. ჩემი ორივე შვილი 5 წლიდან ფრანგულად ლაპარაკობს. ამის გამო, მასწავლებელმა დაგვირეკა და გვთხოვა, რომ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ჩვენთვის მოემარებინა. მაშინ ჩემი მეუღლე სულ 2 თვის გარდაცვლილი

გახლდათ, მაგრამ მინდოდა, რომ ბავშვებს ფრანგულში ენა გაეტეხათ, რომ სიხარულით დავთანხმდი. სტუმარი ჩვენთან თვე-ნახევარი დარჩა. მას ხშირად აკითხავდნენ მიურატიები. აქედან დაიწყო ლევანისა და მათილდას ურთიერთობა.

**— მოგონთ რძალი?**


— რა თქმა უნდა. მისი შეყვარებაც მოვასწარი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შვილმა ასეთი არჩევანი გააკეთა. მათილდა ძალიან თბილი და სათნო აღამიანია. ასევე, კარგი მშობლები ჰყავს და ყველაფერს გააკეთებ საიმისოდ, რომ ბედნიერები იყვნენ.

**ქალბატონი ვერონიკა, სიდედრი:**

— დღეს ძალიან ბედნიერი დღეა. უზომოდ მოხარული ვარ ჩემი შვილის გაბედნიერებით. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვედით და ქართველები გავიცანი, ყოველთვის ვამბობდი, რომ ქართველი სიძე მინდოდა და ჩემს შვილს არჩევანს ნამდვილად ვუნებებ. ჩვენ ყველანიარად ვეცადეთ, რომ ნამდვილი ქართული, ტრადიციული ქორწილი გავკვამრათა და მგონი, შევძელით კიდევც...

ჯვრისწერის შემდეგ, ნეფე-დედოფალი და მყარიონი რესტორნისკენ გაემართნენ. დარბაზში მხოლოდ იმ სტუმრებს უშვებდნენ, ვინც დაპატიჟებულია სიაში ეწერა. თითოეულ მათგანს სუფრასთან განსაზღვრული ადგილი ჰქონდა და არავითარი „ჩანყობა“ არ ჭრიდა, რომ მეგობრის ან ნაცნობის გვერდით მოხვედრილიყავი. ნეფე-დედოფალი სუფრასთან სიმღერით მიაცილეს და ქართულ-ფრანგული ქორწილის მეროდ ნაწილი დაიწყო. სტუმრებმა კარგად მოიხსინეს, საქართველოსა და საფრანგეთის მეგობრობის სადღეგრძელოც შესვეს და გვიან ღამით დაიშალნენ... რაც მთავარია, საქორწინო ცერემონიამ ყოველგვარი შესლა-შემოხლისა და აყალმყალის გარეშე ჩაიარა. არ ყოფილა ფრანგები შარიანი ხალხი...

უმომოდ მოხარული ვარ ჩემი შვილის გაბედნიერებით



...საქართველოში სისხლიანი 1937 წელია. ყოველდღიურად, შინსახკომის იზოლატორში უსასტიკესი მეთოდებით მოიპოვებენ სასურველ ჩვენებებს, ქვეყანაში მოქმედი „კონტრრევოლუციურ-მავნებლურ-ჯაშუშური“ ორგანიზაციის შესახებ. მტრის ხატი შექმნილია და მას უკვე ათასობით ადამიანი ეწირება. „მზილებულნი და დაგმობილნი“ ძირითადად, ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. მათ სახელებს აღარავინ ახსენებს: ეს უკვე საკუთარ განაჩენზე ხელის მოწერას ნიშნავს. „ხალხის მტრის“ სიაში შეიყვანეს ევგენი მიქელაძეც...



# თვალუგანოსრილი და ყურუგუი უანთუგაყურილი დიდი მამუსტროს პასუხსრული

## თამუნა კვინიკაძე

### მიქელაძეების ოჯახი, პირველი დაპირისპირება ცეკას პირველ მდივანთან

საბჭოთა ხელისუფლება ძალზე სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა მიქელაძეების ოჯახის მიმართ. ერთხანს ბაქოში დამკვიდრებული, კულამელი სამხედრო

დახურვის შემდეგ, რეალურ სასწავლებელში სწავლობდა, მერე — სპორტულ საზოგადოება „შევარდენში“ ვარჯიშობდა და სამხედრო-სასულიერო ორკესტრში უკრავდა. მუსიკა მისთვის ყველაფერს ნიშნავდა, მას აბსოლუტური სმენა და ფენომენური მხესიერება ჰქონდა, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედა წარმატების მწვერვალისკენ. მაგრამ... ამავე დროს, იგი დიდგვაროვანი გახლდათ და თან — უპარტიო. ამას დაუმატეთ ისიც, რომ საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ მისი ოჯახის წევრები — ეს კი მაშინდელ ხელისუფლებას არ ეჭაშნიკებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე რეპრესირებული, ყოფილი მაღალჩინოსნის — მამია ორახელაშვილის ქალიშვილი ქეთევანი (ქეთუსია) შეირთო ცოლად, მის მიმართ „ინტერესი“ კიდევ უფრო გაიზარდა.

ევგენისა და ქეთუსიას ქორწინებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ორახელაშვილების სახლთან მანქანით მიმავალ ლავრენტი ბერიას ქეთუსიასთვის მოუკრავს თვალი. მანქანა გაუჩერებია და ქეთუსიასთან ლაპარაკი დაუწყია. ამ დროს, საიდანღაც ქეთუსიას დედაც გამოჩენილა და — ამ გომბემოსთან ლაპარაკი როგორ შეგიძლიაო?! — უთქვამს შვილისთვის. „გომბემოს“ მამინ წყენა ჩაუყლაპავს, მაგრამ დავიწყებით არ დავინწყებია; მკაცრ და შეუვალ ქალბატონს, ეს სიტყვები წლების შემდეგ ათმაგად აზღვევინა...

ქეთუსია, რომელთანაც ბერიას საუბრის უფლება არ მისცეს, მალე ოპერის

თეატრის მთავარი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის ცოლი გახდა. ევგენი ძალაუფლებურად ჩაენერა ხალხის, უფრო სწორად — ცეკას პირველი მდივნის „მტრების“ სიაში.

### ანგარიშსწორების დასაწყისი

ოპერაში კონცერტზე დაგვიანებით მისული ბერიას გამოჩენისას, სამთავრობო ლოჟაში ჩოჩქოლი ატყდა. მიქელაძემ, რომელიც აუდიტორიისგან წესრიგსა და სამარისებურ სიჩუმეს მოითხოვდა, უკმაყოფილება დაუფარავად და მოურიდებლად გამოხატა. ამით უზომოდ შეურაცხყოფილი დარჩა ლავრენტი პავლოვიჩი. მაესტროს ქმედება რესპუბლიკის პირველი პირის დამცირების სურვილს და საბჭოთა წყობილებისადმი შეურიგებლობას მიაწერა. ოპერის შენობაში კონცერტზე ან სპექტაკლზე მისული ნებისმიერი ადამიანი მიქელაძისთვის, რანგის, ჩინისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, რიგითი მსმენელი იყო. ბერიას კი მომხდარით მოთმინების ფილა აევსო. ანგარიშსწორება უნდა დაიწყოს! მაგრამ ჯერ ნაადრევია, რადგან მიქელაძეს მოსკოვში, დიდ თეატრში ელიან — წინ ქართული კულტურის დეკადაა და მიქელაძეს დიდი მისია აკისრია: მან ლეგენდად ქვეულ „დაისს“ და „აბესალომს“ უნდა უდირიჟოროს. მერე კი... სად წავა, სად გაეცევა იგი ლავრენტი პავლოვიჩს?!

დეკადის შემდეგ, 1937 წლის 4 ნოემბერს, ოპერის თეატრში „ლატავრას“ გენერალური რეპეტიციაა. ქალაქში კი გამოკრულია აფიშები წარწერით: „ექლენება რევოლუციის 20 წლისთავს“. ეს დღე საბედისწერო აღმოჩნდა დიდი მაესტროსთვის. გენერალური რეპეტიციას ევგენის ნათესავებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ მიშა მიქელაძე (ევგენის ბიძა) და მარიამ და გიგა ლორთქიფანიძეები. იმ დღიდან — თითქმის 70 წლის შემდეგ — მარიამ ლორთქიფანიძეს დღესაც უჭირს 1937 წლის 4 ნოემბრის უცრემლოდ გახსენება. იგი ერთ-ერთია იმ ადამიანთაგან, ვინც ამ



ევგენი და ქეთუსია

პირის, მეფის ოფიცრის, სიმონ მიქელაძის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებიდან 4, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ უცხოეთში გადაიხვეწა: ქეთევანი ამერიკაში დასახლდა, ანასტასია — პარიზში, კონსტანტინემ და გრიგოლმა ირანის არმიის დანიწყეს სამსახური. კონსტანტინე სრულიად ახალგაზრდა მოკლეს თავრიზში... შაჰის პირადმა ადიუტანტმა გრიგოლმა კი, მოგვიანებით, გენერლის ჩინი მიიღო.

სიმონის ქვრივ მარიამთან მხოლოდ თამარი და ევგენი დარჩნენ. თამარი მედდად მუშაობდა. მასზე ბევრად უმცროსი, 1903 წლის 27 ივნისს ბაქოში დაბადებული ევგენი კადეტთა კორპუსის



ლავრენტი ბერია სკალინის ქალიშვილ სვეტლანასთან ერთად



ქეთევან მიქელაძე, ევგენის და



ანასტასია მიქელაძე, ევგენის და



ევგენი დასთან — თამართან ერთად

დღეს უკანასკნელად ნახა ევგენი მიქელაძე.

— იმ ღამეს, 1937 წლის 4 ნოემბერს, „ლატავრას“ გენერალურ რეპუბლიკაზე მე, გიგა და ბიძაჩემი, მიშა მიქელაძე ვიყავით მისულები. მეორე დღეს, სპექტაკლი უნდა გასულიყო. ევგენი ძალზე აღელვებული ჩანდა, ნამუშევრით უკმაყოფილო იყო... როცა სპექტაკლი დამთავრდა, ჩვენ „ზემელაძე“ გამოგვეყვანა. გვითხრა — ახლა იქ სპექტაკლის განხილვა იქნება, მე კი თანახმა არა ვარ, ხვალ ასეთი ფორმით ჩვენებისო. ბიძაჩემი ამშვიდებდა: არ გინდა, აფიშები უკვე გამოკრულია, ცუდად არ გაიგონო... მას გადამწყვეტილება მაინც ვერ შევაცვლევინეთ: მე ჩემსას ვიტყვი და მოიქცნენ ისე, როგორც სამხატვრო საბჭო გადამწყვეტსო. ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ის ოპერაში დაბრუნდა, ჩვენ კი სახლში წამოვედით. იმ დროს, როცა ევგენი ჩვენ გვაცილებდა, თურმე, ოპერაში მის დასაპატიმრებლად მისულან. შემდეგ, ნადეჟდა სარაძე მიყვებოდა (ნადეჟდა ლატავრას როლს თამაშობდა): შემოვიდნენ და ხმამალა ყვიროდნენ — სად არის მიქელაძე, სად არის მიქელაძე?! — გაპარული ევონათო...

ევგენი მისვლისთანავე აუყვანიათ და ზუსტად იმ დროს, როცა ეს ოპერის შენობაში ხდებოდა, მისულები იყვნენ ევგენის სახლშიც, ქეთუსიას დასაპატიმრებლად. ჩვენ იმ ღამეს არაფერი გავგიგია, მეორე დღით, საერთო ნაცნობი მოვიდა და გვითხრა — ნუხელ ევგენი და ქეთუსია დააპატიმრესო. გავოგნდით. სასწრაფოდ მათ ბინაში მივედით, იქ კი შემზარავი სურათი დაგვხვდა: მთელი სახლი დარბეული იყო, წიგნები იატაკზე ყვარა, უკვე მისული იყო ევგენის და — თამარი. პატარა თინიკო, რომელიც მაშინ 3 წლის იყო, შეშინებული თვალებით გვიყურებდა, უმცროსი — წლინახევრის ვახტანგი გამზრდელს (რომელიც ქეთუსიას გამზრდელიც გახლდათ) ჰყავდა ხელში აყვანილი და ტიროდა. მილიციელებმა ბავშვების ტანსაცმლისა და ნივთების აღების უფლებაც კი არ დაგვრთეს. თამარი მაშინ, ყოფილ საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობდა. მან ძმისშვილების აღზრდა ითავა.

— ათასგვარი ჭორი გავრცელდა მათ შესახებ: ამბობდნენ, ევგენი დააბრმავეს, მერე, დაბრმავებული, ლავრენტი ბერიამ დაიბარა კაბინეტში დასაკითხავად, ევგენის იგი ხმით უცნია და უთქვამს — ლავრენტი პავლოვიჩი ხარო; ბერიას გაპკირვებია, როგორ მიცანიო? — უკითხავს. ხომ არ დაგავინწყდათ, რომ მე აბსოლუტური სმენა მაქვსო, — უპასუხია, რის შემდეგაც, ბერიას ხელქვეითებისთვის უბრძანებია — აბსოლუტური სმენაც დაუხშეთო... თურმე ევგენისთვის ყურში ცხელი შანთი გაუყრიათ. ცოტა ხნის შემდეგ კი, მისი დახვრეტის ამბავიც

მივიღეთ... ბავშვებს თამარი ზრდიდა. ერთხელ, მე და თინა რუსთაველზე მოვდიოდით. ავტობუსი რატომღაც, ოპერის წინ დიდი ხნით შეჩერდა. თინამ ეს შენობა იცნო და მთხოვა — შევიდეთ, მამა ხომ იქ არისო... ასე წარიმართა ამ ოჯახის



ევგენი დირიჟორობის დროს

ბედი. მოგვიანებით, 1951 წელს კვლავ ახალი ტრაგედია დატრიალდა. თამარის სახლში მილიცია მივიდა და ბავშვებთან ერთად, მასაც გადასახლების განაჩენი გამოუტანეს. ნავთლულში იდგა საბარგო ვაგონი, რომელიც თანდათან ივსებოდა გადასახლებული ადამიანებით. მე და გიგა წავედით, მაგრამ ვაგონს მილიცია იცავდა და მათთან ახლოს არ მიგვიშვეს. შორიდან დავინახეთ თამარი, ბავშვებთან ერთად. გიგამ ვახტანგს დაუძახა. მერე ამბობდა — არასოდეს დამავინწყდება მისი ბავშვური, მაგრამ თითქოს დაბერებული სახეო. მილიცია ცუდად არ გვექცეოდა. თუ წერილს დავწერდით, თავაზიანად მიჰქონდათ ადრესატამდე, მერე გვითხრეს — თუ გინდათ, უფრო ახლოდან დაინახოთ, გორაკზე ადითო... მატარებელი დაიძრა. ჩვენ ხელს ვუქნევდით, თამარის და ბავშვების გარდა, იქ უამრავი ჩვენი ახლობელი ვნახეთ... ეს სურათი არასოდეს დამავინწყდება. თინიკო მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. დასაპატიმრებლად მისული მილიციელისთვის უთქვამს — ვერსად ვერ წამოვალ, ხვალ ალგებრაში საკონტროლო წერა მაქვსო...

— სად გადასახლეს?

— ყაზახეთში. დღის განმავლობაში, ორჯერ აჩერებდნენ მატარებელს და პატიმრებს ნებას რთავდნენ, ბუნებრივი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. თინიკო მიყვებოდა: მატარებელი რომ გაჩერდა და დაბლა ჩავვდი, დარაჯი გამომყვავა. ვიუხერხულე და მერე, ლამის ცუდად გავხდიო... ყაზახეთში რომ ჩავვიყვანეს, მინაზე დაგვეყარეს და მიგვატოვეს... მერე ქართველებმა ერთმანეთი არ დაგვპარგეთ, როგორღაც თავის გატანას ვახერხებდით, მინის დამუშავება დავინწყეთ, შიმშილით რომ არ დავხოცილიყავითო.

— ამ დროს ქეთუსიაც ყაზახეთში იყო?

— ქეთუსია გადასახლებიდან გათავისუფლებული იყო, ოღონდ, რამდენიმე ქალაქში ცხოვრების უფლება გაუნუაზღვრეს. როგორღაც, შვილებთან შეხვედრა მოახერხა. ბავშვებს გაუცხოების განცდა მის მიმართ დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ. ნანახსა და განცდილს უკვალოდ არ ჩაუვლია: ვახტანგმა საერთოდ აღარ მოისურვა საქართველოში ცხოვრება, მოსკოვში წავიდა და იქ დასახლდა. მაღალი კლასის კინოდოკუმენტალისტია. თინა საქართველოში დარჩა. მას არც შემდგომ გამართლებია: ნადრევად გარდაცვალა მეუღლე — გურამ ასათიანი. ერთი წლის მანძილზე, ყოველ დილით საფლავზე მიდიოდა და დაღამებამდე იქ რჩებოდა. თავისებური ხასიათი ჩამოუყალიბდა, ან რა გასაკვირია! ადვილი ხომ არ არის, 3 წლის ასაკიდან მუდმივი სტრესის ქვეშ ყოფნა...

**— ქეთუსია ორახელაშვილმა გადასახლებაში ყოფნის დროს, შექმნა ოჯახი. ამბობენ, ამ ფაქტმა გაართულა ურთიერთობა თამარსა და მას შორისო. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— ერთხელ, ქეთუსიამ თამარს წერილი მისწერა: ბავშვების ნახვა მინდა და თუ შეიძლება შენს ბინაში მოვიდეთ? თამარმა ეს წერილი ჩვენს ოჯახში მოიტანა და დედას ჰკითხა, როგორ მოვიქცეთ? დედამ ურჩია, რომ მისთვის შვილების ნახვა არ აუკრძალა და იქვე დაწერინა წერილი, — ჩამოდი, ოღონდ, გამოგზავრებას რომ გადაწყვეტ, წინასწარ გამაფრთხილო. მერე ეს წერილი დედამ მე მომცა და მთხოვა, გამეგზავნა აღნიშნულ მისამართზე. თამარის წასვლის შემდეგ, ვკითხე — ასე რატომ მოიქცევი-მეთქი? მიპასუხა — შეიძლება, წერილის გაგზავნა თამარს გადაეფიქრებინაო. თამარს მიაჩნდა — მისი ძმა ორახელაშვილების სიძე რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, ცოცხალი ჰყოლოდა... ქეთუსიას მეორე ოჯახის შექმნა კი ვეღარ აიტანა... ქეთუსიას საქციელსაც თავისი ახსნა აქვს. მარტო ერთი მხრიდან შეხედვა და გამტყუნება მართებული არ მიმაჩნია. მან დროზდოვთან ქორწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლე შეინარჩუნა. თვითონ მიყვებოდა: ყოველ დილით, ტყეში გაყვავდით, ხერხებით შეიარაღებულნი, და

დიდ ხეებს გვაჭრევენდნენ, თან მილიციელებთან ერთად, ძალღებაც გვდარაჯობდნენ. ცხოვრება არაადამიანურ პირობებში გვიხდებოდაო. ქეთუსია, თამარის წერილის მიღების შემდეგ, შვილთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ბავშვებთან ურთიერთობა ადვილად ვერ აახყო, განსაკუთრებით — თინასთან, მაგრამ წლების შემდეგ, მათ შორის თანდათან გათბა ურთიერთობა. კოლია დროზდოვი (ძმა) და თინიკო დამეგობრდნენ... ის, რაც 1937 წელს მოხდა, იყო დიდი საშინელება, რომელსაც არანაირი გამართლება არ მოეძებნება. ეს ყველაფერი სტალინის ხელმძღვანელობით ხდებოდა. მან იცოდა, რომ ინტელიგენცია არ შეიძლებოდა, დადებითად ყოფილიყო განწყობილი იმ ნყობილების მიმართ, რომელსაც აშენებდა. ოღონდაც, ეს ფენა გაენადგურებინა და უკან არაფერზე იხევდა. პარტიულ და პოლიტიკურ მოღვაწეებს ჯერ ერთმანეთი დაახოცვინა, შემდეგ კი, ვინც გადარჩა, მათაც გაუსწორდა. ევგენი მიქელაძის ბედი ასეულათასობით ადამიანს ენია.

მაესტროს საიდუმლო აღსასრულიდან 2 წლის შემდეგ, მიქელაძეებმა საქართველოს პროკურატურას საგამოძიებო საქმის გადასინჯვა სთხოვეს. პროკურორის მოადგილე სუბერაშვილმა მათ ამცნო, რომ „სამულის“ გადაწყვეტილება სამართლიანი იყო და ევგენი შორეულ ბანაკში იხდიდა სასჯელს.

სტალინმა მიქელაძის მკვლელობის თვითმხილველისგან ანონიმური წერილი მიიღო. წერილის ავტორი მკვლელობაში ლავრენტის ადანაშაულებდა. სტალინმა ბერია თავისთან დაიბარა და — „პასუხი მოსთხოვა“. ლავრენტი პავლოვიჩმა თავი იმართლა — ასე იმიტომ მოვიქცევი, რომ თქვენ აუგად გახსენებდათო. სტალინმა ჩაიციინა და უთხრა: შენ ვერ მიმიხვდი, მხოლოდ ერთ რამეს გასყვედურობ — თვითმხილველი არ უნდა დაგეტოვებინაო...

1975 წელს, ახალგარდაცვლილი დედის პირად არქივში თინათინ მიქელაძემ მემუარებს მიაგნო. იგი 23 წლის რეპრესირებული ქალის განცდებს ასახავდა. მას ხომ ყველაფერი წაართვეს — სახლი, რომელთანაც ბავშვობის მოგონებები აკავშირებოდა, მეუღლე, რომელმაც უშიშ

როების ჯურღმულებიდან ვერ ამოაღწია, მშობლები, რომლებიც წამებით მოუკლეს (დედას მკვრივ მოაჭრეს და ჭრილობაზე მარილი დააყარეს...), შვილები, რომლებსაც დაამორეს და — თავისუფლება... ქეთუსია ნერვიულობს დაპატიმრებულ მშობლებზე და საკუთარ თავს ეკითხება — რა შეიძლება ჩაედინათ ან უფრო სწორად — რაში შეცდნენ? მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ მშობლების



ევგენი ოჯახთან ერთად

ბედს თვითონაც გაიზიარებს... მემუარებში დაპატიმრების ღამეს ასე იხსენებს: „ყურში გამზრდელის ჩუმი, მაგრამ შემადრწუნებელი ხმა ჩამესმის: „ქეთუსია, ქეთუსია!“ ოთახში სამი უცნობი მამაკაცია — არა, ისევ სიზმარია. მაგრად ვხუჭავ თვალებს იმ იმედით, რომ თავიდან გადახელ და მოჩვენებები გაქრებიან... არ ქრებიან, ისევ დგანან საწოლის გვერდით. 3 საათი და 45 წუთია.

მე ვატარებ უკანასკნელ საათს ჩემს სახლში, რომელიც ჩხრეკის შემდეგ, გადაბრუნებულ ხომალდს დაემსგავსა. ვეხვევი შვილებს ნაჩქარევად, ზერეულედ, რადგან ვიცი, რომ ყველაფერს უკანასკნელ ძალებს ვახმარ. ვერც ვტირი, ვერც ვყვირი... თუმცა ძალიან მინდა, რომ ვიტვირო. რატომღაც მეჩქარება, ძალიან მეჩქარება...

უკანასკნელად ვწერდები კართან, ვიცვამ ქურქს და შვილის გულგამგმირავი ტირილი მაცილებს კბებზე, სადარბაზოში, ქუჩამდე...“

ქეთუსია ორახელაშვილი, ლანა დოლობერიძემ გადაიღო ფილმში — „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სადაც მას, გადასახლებიდან დაბრუნებული, რეაბილიტირებული დედის როლის შესასრულებლად განსაკუთრებული არტიტიზმი არ დასჭირვებია...

მიქელაძეების ოჯახური ტრაგედიის მაგალითზე აიგო თენგიზ აბულაძის „მონანიების“ სცენარიც, რომლის მთავარი გმირი სანდრო ბარათელის ერთ-ერთი პროტოტიპი — ევგენი მიქელაძეა, ხოლო ცალკეულ ეპიზოდებს ქეთუსია ორახელაშვილის ბიოგრაფიის დეტალები უდევს საფუძვლად...

**ყაზახეთში რომ ჩავიყვანეს, მიწაზე დაგყარეს და მიგვაცოცხლა...**



# გონების საქარაიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის  
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„კასუსების“ სვინსკაენ არ გაგაქცათ თავლი.

1. დაასრულეთ კოტე ყუბანეიშვილის სიტყვები: „ცხოვრება არის ნეტარი, როცა ხარ ...“

2. რა არის დიუბეკი?

3. ორივე მსოფლიო ომში, იტალიელების ლალატის შემდეგ, გერმანელებმა გარკვეული დასკვნები გააკეთეს — ნეოფაშისტების პლაკატზე გამოსახულია იაპონელი და გერმანელი ჯარისკაცი, რომლებიც ერთმანეთს ხელს ართმევენ. რა წარწერა ამშვენებს პლაკატს?

4. ქართლის ეს მეფე, შაჰ-აბასის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით დაახრჩვეს.

5. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის სიტყვები: „დღეა უ რუსკის ზა სტრანუ ბალიტ ვეჩრომ...“

6. დაასრულეთ მაქსიმ გორკის სიტყვები: „ბავშვებისათვის ისევე უნდა წერო, როგორც დიდებისათვის, ოღონდ ...“

7. „ღმერთმა „ეს“ იმისთვის გამოიგონა, რომ ირლანდიელებს ქვეყნიერება არ ემართათ,“ — ამბობენ თავად ირლანდიელები. რაზეა ლაპარაკი?

8. „ჭამაში ზომიერებას, მე ჩემმა აღმზრდელმა ლეონიდად მიმაჩვია. იგი ხშირად ხსნიდა ჩემი ქვეშაგებისა და ტანსაცმლის სკივრს და გულდასმით ათვალეიერებდა — დედაჩემს ტკბილეულობა ან სხვა ზედმეტი რაიმე არ ჰქონოდა ჩადებული“, — ვინ არის მთხრობელი?

9. ეს მწერები ცხოვრობენ და ერთნაირად კარგად გრძნობენ თავს სარდაფებში, სანავთობე კოშკურებში, ატომურ წყალქვეშა ნაგებობა და კოსმოსურ სადგურებში.

10. „ეს ქვეყანა დიდი კულტურისა და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სახელმწიფოა და ჯარით იქ შესვლას ნუ იკადრებთ“, — სწერდა ვოლტერი ეკატერინე მეორეს. რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი?

11. ამ უდიდესი ქართველი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის მთავარ ნაშრომში, ხშირად შეხვდებით ბარბარიზმებს: ფეჩი, სტოლი, შკოლა, კარანდაში, სტაქანი, მელი, კრავატი. დაასახელეთ ეს ადამიანი და მისი მთავარი ქმნილება.

12. დიოგენე სინოპელი დღისით-მზისით ანთებული ფარნით დადიოდა. რატომ?

13. ვინ დაუბეჭდა სტალინის სიყმანვილეში დაწერილი, საყოველთაოდ ცნობილი ლექსი — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“?

# ანეკდოტები

\* \* \*

დედა ეკითხება ქალიშვილს:  
— ეს კაცი ვინ არის?  
— ჩემი მომავალი პირველი ქმარი!

\* \* \*

ლოგინში ქალი საყვარელს ეუბნება:  
— აჰ, რა კარგი ხარ, კარლ!  
— მე კარლი კი არა, ჰეროლდი ვარ!  
— როგორ, განა დღეს ხუთშაბათი არ არის?!

\* \* \*

მამა სამი წლის ვაჟთან ერთად სასეირნოდაა გამოსული. მათ, მოკლე კაბაში გამოწყობილმა ქერა ქალმა ჩაუარა გვერდით.  
— ნახე, რა „ბლანდინკა“ იყო! — ამბობს მამა.  
— „ბლანდინკა“ კი არა, „ბრუნეტკა“ იყო, ქვევიდან უკეთესად ჩანს! — უთხრა შვილმა.

\* \* \*

ორი მეგობარი მამაკაცი საუბრობს:  
— ცოლი მომყავს!  
— ვინ მოგყავს?  
— მელიტოპოლელი ტატიანა.  
— რას ამბობ, ხომ არ გაგიყვდი? გათახსირებული ქალია. მაგასთან მთელი მელიტოპოლის მამაკაცები იწვნენ...  
— ორი თვის შემდეგ, მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს:  
— რა ქენი, დაქორწინდი ტატიანაზე?!  
— ჰო.  
— რატომ, შე კაცო, ხომ გითხარი მაგის ამბავი!  
— მოიცა რა, ვიყავი იმ მელიტოპოლში და... ერთი მოცუცქნული ქალაქია!

\* \* \*

მიხოს (ოთხი ბიჭის მამას) ეჭვები გაუჩნდა:

— მარო, მართალი მითხარი, შაქრუა ჩემი შვილია?

— იი, მეხი კი დაგაყარე მაგ უტვინო თავზე, — აღშფოთდა მარო, — შაქრო სწორედ რომ შენი შვილია!

\* \* \*

მეგრელი თავის უფროსთანაა სტუმრად და უნდა, რომ მასპინძლის ჭკუასუსტი შვილი შეაქოს:

— რამდენი წლის ხარ, გენაცვალე?  
— მეე?  
— ექვსის, არა, ნიე?  
— არა, შვიდის ვარ.  
— აი, ბავშვი! მალადეც! იმათ კი არ ჰგავს, ზოგი როა ხუთის და ოთხის.

\* \* \*

კაცი ეუბნება საყვარელს:  
— ძვირფასო, მოდი, უსაფრთხო სექსით დავკავდეთ!  
— პრეზერვატივები იყიდვ?  
— არა, ცოლი გავუშვი სიდედრთან.

\* \* \*

გაკვეთილზე დაგვიანებულ მოსწავლეს მასწავლებელი ეკითხება:  
— სად ბრძანდებოდი?  
— შეიარაღებული ბანდიტი დამესხა თავს.  
— ღმერთო ჩემო, საწყალი ბავშვი!.. ნაგართვა რამე?!  
— კი, საშინაო დავალება!

\* \* \*

ქუჩაში ბავშვი ზის და ტირის. მასთან გამვლელი მიდის და ეკითხება:

— რატომ ტირი, ბიჭუნავ?  
— დედამ კნუტები წყალში დაახრ-



ჩოოოო!

— რა საშინელებაა?!  
— ხოოოო, შემპირდა — შენ დაგახრჩობინებო და მომატყუააა!..

\* \* \*

ცოლი ეკითხება ქმარს:  
— რას იზამდი, ძვირფასო, მდინარეში რომ ვიხრჩობოდე?  
— დახმარების სათხოვნელად სოფელში გავიქცეოდი.  
— სოფელი რომ შორსაა?  
— მერე რა, შენი გულისთვის უფრო შორსაც გავიქცეოდი.

\* \* \*

— გული მიკვდება, როცა ამ დასპირტულ ცხოველებს ვხედავ!



— რას ამბობთ, აქ ხომ სულ სამი ბაყაყია.  
— საქმეც ეც არის — სამი ბაყაყია, სპირტი კი, ათ ლიტრამდე იქნება.

\* \* \*

— ნანა, როგორ არის შენი ნივრის დიეტა?  
— ძალიან კარგად — მოვიშორე სამი კილოგრამი და ყველა ნაცნობი.

\* \* \*

ჯარისკაცი პოსტზე დგას. უცებ, აკრძალულ ზონაში ვილაცას მოჰკრა თვალი.  
— პაროლი მითხარი, თორემ, გესერი!  
— იდი ნა ხ...! — ისმის პასუხი.  
— ვააა, — უკვირს ჯარისკაცს, — უკვე ორი წელიწადი სრულდება, რაც ვმსახურობ, პაროლი კი, არა და არ იცვლება.

\* \* \*

— ჭიჭიკია, შენმა ბიჭმა „ჟიგული“ მოიპარა!  
— ვერაფრით დავიჯერებ, სულ იტახდა — „მერსედესი“ მინდაო!

\* \* \*

სომხურ რადიოს ეკითხებიან:  
— მართალია, რომ ამბობენ, სტაფილო პოტენციას ზრდისო?  
— პრინციპში კი, მაგრამ ცოტა ძნელი მისამაგრებელია.

\* \* \*

ცხინვალში სამამულო ომზე იღებენ ფილმს. ნაწყვეტი ფილმიდან:  
კარზე კაკუნია:  
— რომელი ხარ, სენი ნირიმე?  
— გესტაპა!  
— ვინ გინდოდა?  
— ჩქარა უთხარი, ზოია კოს-მოდემიანსკაია სად არის?  
— სახლში არ არიან, სენი ნირიმე, ქალაქში წავიდოდნენ, პროკლამაციები უნდა გააკეთონ ბოქებზე და ხიდები უნდა ააფეთქონ.  
— მაშინ გადაეცი, რომა გესტაპა იყო მოსული, ძალიან გაბრაზებული და იგინებოდა-თქო!

\* \* \*

ავიამზიდი შორეული ნაოსნობიდან ბრუნდება. ერთ-ერთი მეზღვაური ცოლს წინასწარ უგზავნის დეპეშას: „ექვსი თვეა, სექსის გარეშე ვცხოვრობ. შენს ინტერესებში შედის, მოხვიდე ნავსადგურში და პირდაპირ ტრაპთან დამხვდე“. მეზღვაურმა მიიღო პასუხი: „ექვსი თვეა, სექსის გარეშე ვცხოვრობ. შენს ინტერესებში შედის, ტრაპიდან პირველი ჩამოხვიდე!“

\* \* \*

— უყურე ჩვენი ნაკრების თამაშს?  
— არა!  
— ააა, ისევ „სვარკას“ უყურებდი?!

\* \* \*

ახალგაზრდა გოგო ეუბნება მეგობარ მამაკაცს:  
— შენ მე ქალიშვილობა დამაკარგვინე.  
— არა უშავს, ახალს გიყიდი.

# გონაგონს სსსსსსსსსსსს

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (პასუხები)

1. „... პარლამენტარი“.
2. დიუბუკი უმაღლესი ხარისხის მაკედონური თამბაქოა.
3. პლაკატზე არის წარწერა: „ამჯერად, იტალიის გარეშე!“
4. ლუარსაბ მეორე.
5. „... ა გალაფა უტრომ“.
6. „... უფრო უკეთესად“.
7. სპირტიან სასმელებზე.
8. ალექსანდრე მაკედონელი.
9. ტარაკნები.
10. საქართველოზე.
11. იაკობ გოგებაშვილი — „დედაენა“.
12. როცა ეკითხებოდნენ — ფარანი რად გინდაო?... — ადამიანს ვეძებო, — უპასუხებდა დიოგენე.
13. ეს ლექსი სტალინს ილია ჭავჭავაძემ დაუბეჭდა.



აპოპოტოზის რეგულაცია

უკომენტაროდ



# veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-29

ამერიკიდან დაბრუნებული არ-  
ქატექტორი ნიკა ბერიძე თბილის-  
ში დარჩენას გადაწყვეტს და  
ბიზნესსაქმიანობას იწყებს. მისი 13  
წლის ქალიშვილის, თეონას დედა  
— ნატო უძრავი ქონების ფირმა-  
ში მუშაობს და თბილისის სახ-  
ლოვეს დიდ ნაკვეთს აყიდვინებს.  
ნიკა უკვე ოფისსაც ხსნის და  
აქტიური მუშაობისთვის ემზადება.

ნიკამ ყურადღებით გადახედა ნატოს მიერ  
დატოვებულ საბუთებს და გვერდზე გადა-  
დო.

ელისომ დაურეკა.

— დიას... ერთ საათში. ან საათ-ნახევარ-  
ში... გასაგებია, ელისო. ნაყიდი მაქვს და  
მანქანაში მიდევს. ჰო, წამალი. კი, მესხიერე-  
ბის... სოლომონი? ვერ უთხარით, ერთ საათში  
ჩამოფრინდება-თქო?... კარგი, კარგი. დაანე-  
ბეთ თავი, ცოდოა. ერთ საათში მაინც დაფი-  
წყდება... არა, არა, სახლში მოვდივარ... კაი,  
ვმუშაობ.

ყურმილი დადო და თანამშრომლობის  
მსურველთა სი-ვი-ების კითხვას მიჰყო ხელი.

— ლეილა გელაშვილი... ტექნიკური უნი-  
ვერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი...  
კაფე „არტისტის“ ფასადი აბაშიძის ქუჩაზე...  
სილაშხის სალონი „ვენერა“ ნერეთლის გამზი-  
რი. ფსადი. საჩუქრების მაღაზია „მზის შვილე-  
ბი“... ახლა მეორე სი-ვი აიღო გიორგი  
საბაძე. სტუ. გამოთვლითი ტექნიკის ფაკულ-  
ტეტი. „ავტოკადი“, „არხიკადი“, „ქორელი“...  
გვერდზე გადადო. სხვა აიღო. ზურაბ თვალ-  
ჭრელიძე. სტუ. სატრანსპორტო. „ა“ კატე-  
გორიის მძღოლი... ნელი ლომოური... გელა

## ზაზა პანინაძე

სიხარულიძე...

ოფისში უცნობი მამაკაცი შემოვი-  
და. ნიკამ თავი აიღო.

— ნიკა ბერიძე თქვენ ბრძანდებით?  
— იკითხა უცნობმა.

— დიას. დაბრძანდით, — მიანიშნა  
სავარძელზე ნიკამ.

— მე გახლავართ ქალაქის მერიის  
თანამშრომელი გურამ ჭავჭავანიძე, —  
მოახსენა მამაკაცმა.

— ძალიან კარგი. გისმენთ, — მოსასმენად  
მოემზადა ნიკა. — დაბრძანდით.

— დაბრძანებით კი დავბრძანდები, მა-  
გრამ მთავარი ის არის, აქედან როგორ  
წავბრძანდები... — რატომღაც წარბი ასწია  
მერიის თანამშრომელმა გურამ ჭავჭავანიძემ.

— თუ კარგ რამეზე მობრძანდით, ალ-  
ბათ, კარგ სასიათზე წაბრძანდებით... — მი-  
უგო ნიკამ.

— როგორ გგონიათ, კარგ საქმეზე მო-  
სულ კაცს, ამხელა შესავალი დასჭირდებო-  
და?... — თქვა მერიის თანამშრომელმა, შარ-  
ლის გატკიცებულ ნაკეცებს თითუბი მო-  
ჰკიდა, ზემოთ ასწია და სავარძელში ფრთხ-  
ილად ჩაჯდა.

— კაცსაც გააჩნია... — არ მოეწონა სტუმ-  
რის ნათქვამი ნიკას.

— მართალი ბრძანდებით, არც უმაგისო-  
ბაა, — თქვა გურამ ჭავჭავანიძემ. — ძალიან  
ცუდ დღეში ვარ, ცუდ დღეში... „ის“ არ  
არის... სულ რაღაც ერთი დღით  
დაგვასწარით...



— მერიას დავასწარი ერთი დღით? —  
მაგრად გაუკვირდა ნიკას.

— არა, მერია არაფერ შუაშია, — დაი-  
წყო სტუმარმა. — იქ უბრალოდ, სამშენებ-  
ლო სექტორის გამგე გახლავართ. ისეთ ამ-  
ბავში ვარ ჩაჭრილი, ერთ ძალიან, ძალიან  
დიდ კაცთან, რომ თუ უარით გამისტუმ-  
რეთ, ყელში დანა უნდა გამოვისვა ჩემი ხე-  
ლით და თავი მოვიკლა...

— თქვენ ფიქრობთ, რომ უარით გაგის-  
ტუმრებთ? — მაინც შეეკითხა, თუმცა ძალიან  
არ მოეწონა მერიის თანამშრომლის ლაპარ-  
აკი ნიკას.

— არა, ჯერ მხოლოდ ეჭვი მაქვს...

— იმედია, ოტელო არა ხართ და დახრ-  
ჩობას არ მიბირებთ... — გაეცინა ნიკას.

— არა, როგორ გვეადრებთ?! ოტელსოვან  
ძალიან შორს ვარ, მით უმეტეს — ბალეტის-  
გან... — თქვა გურამ ჭავჭავანიძემ.

— და რა გნებათ მაინც? მე ცოტა მეჩ-  
ქარება... — დააჩქარა ნიკამ.

— მე როგორც მითხრეს, ქსნის ხეობაში  
ნაკვეთი რომ იყიდებოდა, თქვენ შეგიძენიათ  
თურმე... — დაიწყო სტუმარმა.

— დიას, — უპასუხა ნიკამ.

— ჰოდა, უნდა დამითმეთ ეგ ნაკვეთი,  
— მიახალა სტუმარმა.

— დაგითმეთ? ნაკვეთი? დათმობა გამი-  
გია — გზის, სკამის და რა ვიცი... — გაიკვირა  
ნიკამ.

— მომკლავენ! — თქვა გურამმა.

— მოგკლავენ?! — განცვიფრდა სტუმ-  
რის ნათქვამზე ნიკა. — ნაკვეთი ჩემია და  
ქალაქის მერიის თანამშრომელი ჩემი ნაკვე-  
თის გამო რატომ უნდა მოკლავ?

— მოსაკლავი ვარ და იმიტომ, — შუბ-  
ლზე ხელი იტვიცა სტუმარმა. — მაგ ნაკვე-  
თის ყიდვა მე მქონდა დავალეულები, მე უნდა  
მეყიდა ეგ ნაკვეთი. ისეთმა ვინმემ დამავალა,  
ისეთმა დიდმა კაცმა...

— ვინ, ქალაქის მერმა?

— მერზე ბევრად დიდმა ვინმემ... ერთ  
დღეში დაფინვი... — ნიკასკენ გადაინია სტუ-  
მარი და თვალეებში მიაშტერდა. — არა,  
სადაც ხელს დავგიდებ, ვყიდულობ... მაგ თანხ-  
აში... უკან არ დავიხვე, ცოტას წავამატებ  
კიდევ... ცუდი სიტყვაა? ისე, რომ წაგებაში  
არ დარჩე... თუ გაყიდი, მაგაზეც მოვდივარ...  
ათ პროცენტს ზემოდან ვადებ. ცოტა ფულია,  
ორ-სამ დღეში? — ხელი დაურტყა მაგ-  
იდაზე სტუმარმა ნიკას.

— არ გამოვა ეგ საქმე, — სკამის ზურგს  
გადაანვა ნიკა.

— არ გამოვა? ათსაც ვამატებ... ოცი იყოს,  
ოცი პროცენტი, რა ამბავია, ბიჭო! შენ გგონია,  
ოც პროცენტზე მეტს მოაგებინებ?! — უე-  
ცრად გაცხარდა სტუმარი.

— არ ვაპირებ მე არც მოგებას, არც  
წაგებას, არც გაყიდვას და არც დაგირავებას.  
მე ცოტა სხვა მიზანი მაქვს, — გამალა ხელე-  
ბი ნიკამ.

— სხვათა შორის, გაგიკვირდება: ის კაცი  
შენი მოგვარეა, ვინც მე ეს საქმე დამავალა...  
— შეცვალა ტაქტიკა სტუმარმა. — ჰო, ჰო,  
მართლა, ისიც ბერიძეა.

— ბერიძე? რა ჰქვია? — გაუკვირდა  
ნიკას.

— არა მგონია, იცნობდე: რუსეთში ის





კაცი, იქ მოღვაწეობს. დიდი კაცია. სულ ცოტა ხნით არის ჩამოსული, ლადო ჰქვია, — თქვა სტუმარმა.

— ლადო? — საშინლად არ ესაიამოვნა ნიკას. — იმან სხვა რატომ მომიგზავნა? თვითონ ვერ მოვიდა?

— ლადო?... ის დიდი კაცია, აქ რატომ მოვიდოდა?! — „მოხია“ უცებ სტუმარმა.

ნიკა, რაც ჩამოსული იყო, პირველად ავარდა ასე ნაშობდა. გაშლილი ხელი წაიღო დაუპატიჟებელი სტუმრისკენ, მაგრამ ვერ მისწვდა.

— შენ... შენ, პატარა ვირთხა ხარ, ხომ? ავადმყოფი „ჩამოსხმა“, ნაგავსაყრელის ვირთხა, არა?!. აახვიე აქედან! დროზე! გამასწარი!.. მიდი, მიდი! — დაიღრიალა ნიკამ.

— ჰო, კაი, მივდივარ... ვინ ვინ არის, ბოლოს გამოჩნდება... — ღია კარიდან მიიძახა გაქცეულმა მერიის თანამშრომელმა. — ვირთხოზა მოგენატრება!

— შეაყოლე! — რომ ვერაფერი ნახა მაგიდაზე, ქაღალდის ასლები ჩაბლუჯა და მისკენ ისროლა ნიკამ.

ნიკას უკვე თავისი გასაღები ჰქონდა. კარი გააღო და სახლში შევიდა. მაგრამ სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, სამზარეულოში რომ შევიდა, ელისო და ვერიკო შემფოთებულნი მიაშტერდნენ.

— რას ჰგაფხარ, შეილო?! მიდი, სარკეში ჩაისხედე. ორი დღეა, ქუჩაში გახვედი და ისეთი შემოდინარ, ადამიანს ეგონება, ხმაღს აიღებს და ამოგვხოცავსო, — უთხრა ვერიკომ.

და ნიკას თვალები ელისოს შემინებულ თვალებს შეეფთა.

— გაგიჭირდება, შეილო, ძალიან. თუ ამით აპყვევი, ძალიან გაგიჭირდება, — უთხრა ელისომ. — გულს გაიხეთქავ და ამით დამთავრდება. დაჯექი, დაწყნარდი, დაისვენე. რა არის, უსამველოა? არ ეშველება?.. მოეშვი, თქვი, თუ გინდა, ამოილე გულიდან... — ვის ფუთხრა, თქვენ? — უფრო გაბრაზდა ნიკა.

— ჰო, რა მოხდა?! აქ ისეთი საქმეები გარჩეულა ამ წლებში... — ნააქეხა ვერიკომ.

— დასალევი გვაქვს რამე? — იკითხა ნიკამ.

— კი, როგორ არა. ვისკი, ბრენდი, ჭაჭა... რომელი მოგართავთ, რას ინებებ? — ნახევრად ხუმრობის კილოთი ჰკითხა ელისომ.

— ჭაჭა, — მოჭრა ნიკამ.  
ელისომ ჯამით ჩახოხბილი დაუდგა. ვერიკომ ჭიქა და ბოთლი გადმოიღო და დაუსხა.  
— ჯერ ჩაყლაპე ერთი ლუკმა, — უთხრა

ვერიკომ.  
— არ ჩამივა, — თქვა ნიკამ და არაფერ გადარა.

— გამიბრანებს მხეცებმა ჩემი პატარა ბიჭი, ჩემი ნიკუშკა! — მოეფერა შვილს ვერიკო. ნიკას, დედის ალერსი ესაიამოვნა. ხელზე აკოცა.

ამ დროს, შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და თაზოს ხმა გაისმა.

— აგოიე! — დაიძახა თაზომ. — გამოდით ყველანი გარეთ, გამოეფინეთ! ჯიგრებო, ჯიგრის ყაურმებო,

გამოდით, გამოეფინეთ! — და თაზოს ხმას არღნის მუსიკის ხმა მოჰყვა. ყველამ გამოიხედა. სოლომონიც კი გამოვიდა თავისი ოთახიდან. კარში ორნი იდგნენ — თაზო და რეზი. თაზო არღნის სახელურს ატრიალებდა, რეზი კი ცხვირსახოცს აფრიალებდა და „კინტაურს“ უვლიდა.

— ჰა, როგორი ვარ შენთვის, ნიკა?! — გაუხარდა თაზოს, ნიკას დანახვა. — ნახე, რა მოვიტანე. ერთი კვირით მათხოვეს... მტკვარზე, ტივზე უნდა გაქეიფო ხვალ, მოსულა? რეზიმ პარკი ესროლა ნიკას. ნიკამ დაიჭირა.

— სამწვადეა. მიეცი ელისოს, ააშიშინოს. აბა, შემოლაგდით მისაღებში ყველანი! აქეთ, აქეთ! — ხელი დაუქნია თავისიანებს რეზიმ მისაღებისკენ.

ნიკას, როგორც იქნა, გაეღიმა. პარკი ელისოს მიანოდა.

— არ მოგანყენს ეს კაცი, არ არსებობს... — ჩაილაპარაკა ვერიკომ და ელისოსთან ერთად, სამზარეულოში შებრუნდა.

— რამდენს ითხოვს მუარლენე? — იკითხა სამზარეულოში შესულმა სოლომონმა.

— რა? — მიაჩერდა ქმარს ვერიკო.

— რამდენს ითხოვს მუარლენე ფულს, რამდენი უნდა მისცეთ? — კითხვა გაუშვიორა სოლომონმა.

— ჯერ არ ვიცით. — რა უნდა ეპასუხა ვერიკოს?..

— როგორ, კაცი მოგყავთ და არ ეკითხებით, რამდენი უნდა გადაუხადოთ?! — შეიცხადა სოლომონმა. — იქნებ, ასი თუმანი დააბრუნებო, საიდან უნდა მისცეთ?

— დააბრუნებო, ბატონო, გადაუხადით, შენ ხომ არ უხდი, არა?! ჩვენ ვუხდით, შენ რატომ ნერვიულობ?! — აუხსნა ვერიკომ.

— სანყენია, უბრალოდ: მუარლენე მოგყავთ და მე არაფერს მეკითხებით?! — ნაწყენი იყო სოლომონი.

— კარგი, რა, თავი დამანებე, გამომიხვდი შენც აქ ყარაჩოხელი!.. — ხელი აუქნია ქმარს ვერიკომ.

— მიიტა მამინ, ჩემი ჭიქა და მეც კაცებთან გავალ, — უთხრა სოლომონმა.

— რა ჭიქა? — გაუკვირდა ვერიკოს.

— ჩემი ჭიქა, თავი რომ აქვს გადახერხილი, — უთხრა სოლომონმა.

— როდინდელ ჭიქას მთხოვე, გესმის? — მიუბრუნდა დედას ვერიკო.

— ის ჭიქა ხომ გაგიტყეს, სოლომონ, აღარ გასოვს? — ჰკითხა სიძეს ელისომ.

— გამიტყეს? — ვერ დაიჯერა სოლომონმა.

— ჰო, ბიჭებმა არ გაგიტყეს დაბადების

დღეზე? როცა მიგიხვდნენ მაგ ემბაკობას, რომ დაბალი ჭიქით სვამდი, — განუმარტა ელისომ.

— მამინ, სხვა ჭიქა მომეცი! — ბრძანა სოლომონმა.

— წადი, დაჯექი სუფრასთან, წადი და მოგიტან! — სთხოვა ქმარს ვერიკომ.

როცა სოლომონი მისაღებში შევიდა, დაინახა, რომ ნიკა და რეზი ხელიხელგადახვეულები, „კინტაურს“ უვლიდნენ. სოლომონმა ცხელი გაშალა და დაუარა. ბიჭებმა მამა შუაში ჩაიყენეს. ვერიკო შემოვიდა და ისიც ლანგრით ხელში შეუერთდა მოცეკვავეებს. რეზიმ ლანგარი გამოართვა და თავზე დაიდგა. თაზო თავის ჩვეულ ამბლუაში იყო. შეძახილებით ამხნეებდა მოცეკვავეებს და არღნის ტარს ატრიალებდა. ელისოს, ყველას გასაოცრად, დღისის ბოთლი დაედგა თავზე და ისე შემოგოგმანდა.

— აბა, გახურდა, გახურდა „კინტაური“! — მაგრად „გაუსწორდა“ თაზოს, ასეთ ამბლუაში ელისოს დანახვა. — ჰოპ, ჰოპ, ჰოპ, ჰაპ! ტაში-ი! — სიღედრს სოლომონმა ჩაუბუქა.

— გზა მიეცი, გზა! კინტო მოდის, კინტო! ტაში! ტუში! — მთლად გადაირია, სიმამრის ჩაბუქვანზე, თაზო...

ცეკვა რომ დამთავრდა, ვერიკომ თაზოს ჰკითხა:

— რა არღანია ეს, ბიჭო, საიდან მოათრიე, ვინ გაჩუქა?

— მოვათრიე?! — პირი დაალო თაზომ. — კი არ მოვათრიე — ციმ-ციმ შემოვაბრძანე, ქალბატონო სიღედრო! ეს იცით, რა არღანია?.. ლამის ამ სახლის ფსი აქვს ხელწერილით გამომატანეს მუხუფმიდან, სულ ერთი კვირით, აბა! ა, აქ შეხედეთ, აქ, რა ანერია: „პარიო“!.. ფრანგულად. ათას ცხრაას პირველი ნელი! საუკუნისა და როგორი ლაპლაპი გაუდის, ხედავთ?! აი, ეს „ფრანცუჟენკები“, „ტანგოს“ რომ უბერავენ, ფრანგი „ბარიშნები“ არიან... პარიზელები, მამ! ნახეთ, რა მინანქარშია ჩასმული. თუნდაც, სახელური ნახეთ მარტო — ხელოვნების ნიმუშია ნამდვილი... შედევრი! ყველას კი არ ატანენ. ეს რომ იქიდან წამოიღო, იცი, რა დამსახურება უნდა?..

მოკლედ, ამ ცეკვა-ცეკვაში, ვერიკომ და ელისომ პატარა სუფრა განწყვეს. ნიკამ ჭიქას მოჰკიდა ხელი.

— თაზო, შეიძლება, მაგ შენი „რეჩის“ შუაში ერთი პატარა სადღეგრძელო „ჩავდგა“? — სთხოვა ნიკამ თაზოს.

— შენ გენაცვალე! გაიღვიძა, აი, გაიღვიძა კაცში ქართულმა გენმა! — მაგრად გაუსწორდა თაზოს.

— აბა, სიჩუქე! ნიკას მოეფსინოთ, მეგობრებო, ნიკას! — ბრძანა რეზიმ.

— იცით, რა?.. — ღრმად ამოისუნთქა ნიკამ. — თბილისი მინდა ვადღეგრძელო. უფრო სწორად — თბილისური სიგიჟეები... აქ რომ კაცი თავს მოიგიჟიანებს, არა მგონია, სადმე დედამინაზე ხდებოდეს... მოკლედ, ჩემს თბილისში ჩემს დაბრუნებას გაუმარჯოს. რას იტყვით?

— „მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთვარი და მსურს აქ მოკვდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემ კუბოს“, — მიაგება ტიცვიანის სტროფი ნიკას სიტყვებს თაზომ.



— მაგრამ ერთი პატარა შენიშვნა მაქვს: აბა, უხდება ეგ ჭიქა ამხელა სადღვეგრძელს?... აბა, დამიჭი ეს ყანნი! — და თაზომ ნიკას ყანნი ესროლა. ნიკამ დაიჭირა.

— მაგდებთ სუფრიდან?... — ხელები გამა-  
ლა ნიკამ. — ეს თუ დავცალე, დავდო უნდა  
თავი და დავიძინო, არა?... კაი ერთი! — და  
ყანნი გვერდზე გადადო.

— მესროლე აქეთ! მაგით მე დავლევ შენს  
ნათქვამ სადღვეგრძელს, — ხელი გაუშვირა  
მას რეზი. — მე გამოვცლი მაც ყანს.

— აუ, რა მოუვლის ამდენ გიქს!.. —  
ესროლა ნიკამ ყანნი რეზის და დაჯდა.

— მე ჩემს ძმას, ერთი-ორი სიტყვა მინდა  
ფუთხრა, — დაიწყო სახე ყანნით ხელში  
რეზი. — თუ გახსოვს, ვერ კიდევ კომუ-  
ნისტები ტრანზახობდნენ, საქართველოში  
სამოცდასუთი ეროვნების ხალხი ცხოვრობ-  
სო... ასე არ იყო? ჰოდა, შენ ეს ქვეყანა  
შტატები არ გეგონოს, ნიკუმ. ჰო, ჰო, აბა,  
მიიხედ-მოიხედე, გარშემო ერების „ცენაა“...  
მოკლედ, ფულკანია, რა. სად, როდის, რა  
ამოიფრქვევა, არავინ იცის... ოსი, შენი ლუკ-  
მით რომ სულდგმულობს და მინც ყელში  
ხელს ნაგიჭერს, ერის ისტორიამ ყველაზე  
კრიტიკულ მომენტში... რა დროს რომანტი-  
კაა, თუ ძმა ხარ!.. სამშობლოში დაბრუნება  
და „მუმილი მუხასა“... ორი „გროში“ გიშო-  
ვია?... ნადი, რა, თავს უშველე!.. გაბუტუავენ!  
ჰო, გაგნენავენ! აი, მე მითქვამს და დაიმას-  
ოვრე! — რეზი ყანნი დაცალა და მაგიდაზე  
დააპირქევა.

— მაგრად მადღვეგრძელა... — ჩაილაპარ-  
აკა ნიკამ.

სოლომონი თაზოს მიუწოჩდა.

— რამდენი უნდა გამოართვა ამ ხალხს,  
როგორა ხარ მორიგებული?

— რა? — ვერ მიუხვდა თაზო.

— ფული, ფული — რამდენში ხარ  
მორიგებული, რამდენია შენი „სტავკა“? —  
შეეკითხა სოლომონი.

— რა? არა, გენაცვალე, ფულს არ ვიღებ.  
როგორ გეკადრებთ?! ფული რად მინდა?  
ხელის ჭუჭყია!.. ჩემი ფული — ეს არლანია.  
ჭიქა ღვინო და დაუყვედრებელი ლუკმა... მე  
ამ ქალაქის ერთი ტუბილი მუხამბაზი ვარ,  
მეტი არაფერი. საიათნოვა გაგიგონია? ან  
იეთიმ გურჯი? — შეეკითხა სიმამრს თაზო.

— კაი კაცი ყოფილხარ, ძველი, — ხელი  
დაჰკრა „მეარღნეს“ მხარზე სოლომონმა.

— შენ მუხამბაზი კი არა, მატრანაზი ხარ!  
— უთხრა თაზოს რეზი, რომელიც სიძე-  
სიმამრის დიალოგს ისმენდა.

— იცი, რა?... მატრანაზი ხარ, თითლი-  
ბაზიც და ყომარაზიც, — არ დაუთმო თა-

ზომ. — დაგიღვია?... შეირგე, რა! ჰო,  
რა იყო, რას მომჩერებხარ? თუ არ  
შეგიძლია, ნუ დალევ, გაძალბებს ვინმე?!

— ბიჭო, მე რომ დამიღვია, შენ  
არც დაგესიზმრება, — რეზიმ სცადა,  
საყელოში ხელი ჩაველო თაზოსთვის.

— ბიჭო კი არა — გასნი ხელი  
იქით! — ხელი აუკრა თაზომ.

— მეგობარო, რა გინდათ ამ მეარ-  
ღნისგან? — ხელი დაუჭირა სოლომონ-  
მა რეზის. — არა ხართ მართალი.

— ღვინო კი არ უნდა მოერიოს კაცს,  
კაცი უნდა მოერიოს ღვინოს. აცალეთ,  
დაუკრას, გაამხიარულოს სუფრა... ჰო, ჰო,  
დაბრძანდით და წესიერად მოიქეცით! —  
დაქაჩა სკამისკენ რეზი სოლომონმა.

— აუ, ეს „თქვენობით“ მელაპარაკება კიდევ  
— სკამზე დაეხეთქა რეზი. — ვინა ვარ აბა,  
მე?! — მიაჩერდა ის მამას.

— ვინც არ უნდა იყოთ, მართალი არა  
ხართ! — გაბრაზდა სოლომონი. — სულ  
რომ ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი  
ბრძანდებოდეთ!

— ვინა, ვინა? ბრიტანეთის თემთა პალა-  
ტის წევრი?... აუ, ეს საიდანაა მოხვი, მამაჩემო!..  
მე შეილი ვარ შენი, შეილი. რეზი ვარ, კაცო,  
რეზი, ვერა მცნობ? — შეეცადა, თავი გაეხ-  
სენებინა მამისთვის.

— არა-ა, — იუარა სოლომონმა. — არ  
არსებობს, მე ასეთ შვილს არ გავზრდიდი.  
— როგორს?... — გულში მოხვდა რეზის.

— ასეთი ვარ და შენი შეილი ვარ სწორედ.  
— რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რას გადაამეი-  
და? — ჩაილაპარაკა სოლომონმა.

— წამოდი, რეზი, ჩემთან, ყურადღებას  
ნუ მიაქცევ, — ხელი მოჰკიდა რეზის ვერ-  
იკომ, რომელიც მთელ ამ სცენას დაძაბული  
ადევნებდა თვალყურს.

— სად უნდა წამოვიდე, ქალო?! დამანე-  
ბეთ, რა, ყველამ თავი! ვზივარ, არა, ჩემთვის...  
— ხელი აუკრა დედას რეზიმ.

— მამინ ნუ შვოთიფოთობ! — მკაცრად  
უთხრა ვერიკომ.

თაზომ არღნის სახელური დაატრიალა  
და ახლა „შალახო“ „შეუბერა“.

— ტამ, ტამ, ტუმ! აბა, ნავიდა, ოთხი  
დოლი! ტამ, ტუმ, ტამ! — როგორც  
ყოველთვის, თავის ჭიქას ახარებდა თაზო.

— ამოატრიალო უნდა მაგიდა და დაის-  
ვენო... — თქვა რეზიმ და ისევ თვალბის  
ბრიალი დაუწყო თაზოს.

...ნიკას ღვინო მოჰკიდებოდა. იჯდა და  
ჩაფიქრებული დაჰყურებდა სუფრას. გაახ-  
სენდა, ბავშვობაში ცეკვის წრეზე რომ დაჰყა-  
დათ; ცეკვის მასწავლებელი, გოგლიკო  
ნიკლაური, ღვი მუხლებამდე რომ ეკიდა და  
მუდამ ღვინის სუნი ამოსდიოდა. „არადა,  
მაგარი სახელი ჰქონდა. მიხრა-მოხრაც —  
კაცური... — გაიფიქრა ნიკამ. — სად არის  
ნეტავ, ახლა, რას აკეთებს?... ან — ცოცხალია,  
ნეტავ?...“ ფიქრიდან ტელეფონის ზარმა გა-  
მოარკვია. მის უკან, სანერ მაგიდაზე იდგა და  
წკრიალებდა. სუფრის კაკოფონიში ეტყო-  
ბა, მისი ხმა არავის ესმოდა. „ვინ იცის, რა  
ხანია, რევას?“ — გაიფიქრა ნიკამ, წამოდგა,  
მივიდა და ყურმილი აიღო. „კარში გამ-  
ოიხედე, რა, რომელი ხარ?“ — და გაითიშა.  
ბავშვის ხმა იყო. ნიკას რატომღაც, არ ესია-

მოვნა. მინც ნავიდა და კარი გამოაღო. კარის  
სახელურზე დამხრჩვალნი კატა ეკიდა...

ნიკამ კატა ჩამოსხსნა და ბუნჯურში ჩაუძახა.  
შინ შებრუნდა. სააბაზანოში შევიდა. ხელები  
გადაიბანა. ერთხანს, საკუთარ თავს უმზირა  
სარკეში. უნდოდა, თავიდან ამოეგდო მკვ-  
დარი კატა. ვერ მოახერხა. თუმცა, ფიქრე-  
ბიდან გამოერკვა. გამოვიდა და სამზარეუ-  
ლოში შევიდა, სადაც ელისო ტრიალებდა.

— ელისო, ჩვენს სადარბაზოში ბავშვები  
ცხოვრობენ? ბავშვები, ასე ათი-თორმეტი  
წლის.

— როგორ არა?! ანუკის ჰყავს ბიჭი,  
სანდრო. ქვემოთ, შავიშვილებს ჰყავთ გიგო...  
რა არის?

— არა, არაფერი. როგორი ბავშვები არი-  
ან? — ჰკითხა ნიკამ.

— ჩვეულებრივი, რა ვიცი... სანდრო უფრო  
ჭკვიანია, გიგო — უფრო ცელქი. რატომ  
კითხულობ? — დაინტერესდა ელისო.

— არა, არაფერი. წელან მოკვარი თვალი  
და მაინტერესებდა, — არ თქვა, რაც ანუხ-  
ებდა.

— რალაცას მიმალავ. მითხარი, მოხდა  
რამე? — შემფოთდა ელისო.

— არა, რა უნდა მომხდარიყო?... რა დაგე-  
მართა, რა პანიკაში ცვივდებით ყველა სი-  
ტყვავზე?! — ცოტა მოჰკიდებოდა ღვინო ნიკას.

— მამ, რატომ ადექი სუფრიდან? —  
მინც ჰკითხა ელისომ და ვერიკომ შემოვი-  
და.

— წამოდი, რა, დაექვი სუფრასთან. რეზის  
უკვე მეტი მოუვიდა, მგონი... — ხელი მოჰ-  
კიდა ნიკას ალელვებულმა ვერიკომ.

...სუფრა არეულიყო. თაზო არღნის სახ-  
ელურს რატომღაც, გაბრაზებული ატრიალებ-  
და. რეზი ამღვრული თვალებით თაზოს  
მიშტერებოდა. თაზომ ითმინა, მაგრამ ბო-  
ლოს, მინც ავარდა.

— რას მიბრიალებ თვალებს, ვერ გავიგე!  
რამე მმართებს, შენი? — შეუღრინა მან რეზის.

— გიყურებ, თორემ, შენც დიდი ვინმე  
მყავხარ! — წამოუხტა რეზი იმწამსვე. — არ  
მევასება, „პროსტა“, მარცხენათი რომ ატრი-  
ალბს სახელურს...

— შენ შარზე ხომ არა ხარ, ტო?! პურ-  
მარილი ჩემია, არღანი ჩემია. გაქეიფებ, გამ-  
ღვრებ — სხვა რა ბებიაშენისა გინდა?! —  
არ დაუთმო თაზომ.

რეზიმ ჭიქა ხელში „მოჭმუჭნა“. ვერიკო,  
რომელსაც ნიკა შემოჰყავდა, იმწამსვე მოჩ-  
უბრებთან გაჩნდა.

— წამოდი, რეზი! — ხელი მოჰკიდა ვერ-  
იკომ რეზის.

— ოჰ, კაი, რა, დედაჩემო, ორი სიტყვის  
თქმის უფლებაც აღარა მაქვს ამ ოჯახში?! —  
ენყინა რეზის.

— წამოდი, წამოდი! — მთელი ძალით  
მოქაჩა ვერიკომ შვილი. — ჩემ გვერდით  
დაჯდები.

— მე შენ ჩემთან ლაპარაკს მინც გასწავ-  
ლი! — შეუღრინა თაზოს.

— დაუკარი არღანი, რატომ აღარ უკრავ?  
— უთხრა თაზოს ვერიკომ.

— რა ვიცი, ზოგს მწვადის გემო არ  
მოსწონს და „ქაშები“ როგორ მოეუხარმო,  
იმას ვფიქრობ! — გადაუკრა შვილზე თა-  
ზომ.



— მე გასწავლი „ქაშების“ მოხარშვას. ფლაგების მოხარშვასაც გასწავლი, ერთიორი დღე დამატად! — დაემუქრა რეზი თაზოს და დედას უხეშად გააშვებინა ხელი.

— მიდით, აბა, რომელი იტყვით ბოლო სიტყვას, მიდით! — ნამუსზე შეაგდო ბიჭები ვერკომ.

— შეიძლება, ნავიდე? — შეეკითხა დედას რეზი.

— მაგას არ აფერია აჯობებს, ნაბრძანდი! — გაუსწარდა ვერკომს.

— ნავალ... ვიცო, მაინც თვალეში გეჩხირებით ყველას... — ზიზღით თქვა რეზიმ.

— პირდაპირ შინ წახვალ, არსად არ გაუხვევ, გთხოვ! — შეეხვეწა ვერკომ.

— ვერ დაგპირდები, — უპასუხა რეზიმ და კარი გამოაღო. კარზე დამხრჩვალ კატა ეკიდა.

— ყველას დედა მოვ... თქვენი! — აყვირდა უცებ რეზი. — ვინც ეს კატა დაკიდა, ყველასი, ყველასი!

— ჩუ, ბიჭო, სირცხვილია!.. — გაგიჟდა ვერკომ.

— მაინც ვიგრიანებო, შეგმურდეთ ყველას! — კატა ჩამოგლიჯა და ფეხი ამოუქნია. კატა ეზოსკენ გაფრინდა. — მიაუ! — მთელი ხმით მიაკნავდა რეზიმ.

სადარბაზოში ვიღაც ქალი ამოდიოდა, გაჩერდა და დედა-შვილს შეეკითხა:

— თაზო რომელ ბინაში ცხოვრობს, ბანქელაძე?

— აქ, ჩვენთან, — ცერით უკან, კარზე მიანიშნა რეზიმ.

— დიას, ჩემი სიძეა, — დაუდასტურა ელისომ.

— ეს, არლანია? — მუსიკის ხმა გაიგონა ქალმა.

— დიას, — უპასუხა ელისომ. — თაზომ მოიტანა.

— მერე ეგ ნორმალურია?! ეროვნული მუზეუმიდან არლნის წამოღება გაგონილა?! თუ არ შევიშლებოდი, არ მეგონა!.. — მოაჯირს მიესვენა ქალი.

— ესეც მე ვარ?! დედას ვუტირებ! — შეტრიალდა და შინ შევარდა რეზი. ვერკომ უკან გამოუდგა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ყველაფერი აირ-დაირია. სანამ თაზო აზრზე მოვიდოდა, სამი-ოთხი მუშტი უკვე მოხვედრილი ჰქონდა.

ქალები ნიოდნენ, კაცები აშველებდნენ. თაზოს არლნის გამოვარდნილი სახელური შერჩენოდა ხელში და იმას იქნევდა გამეტებით.

— არლანი, არლანი! არლანი არ გამიტყხოთ!.. სახელური, სახელური!.. ინდური სპილოს ძვალია, ინდური სპილოს ძვალი! — კიოდა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი ქალი.

...არლანი გადარჩა. თაზო კი, მთელი კვირა, საჭმელს ვერ ჭამდა: ყბა ჰქონდა ამოვარდნილი. სტკიოდა. რეზის თავი ჰქონდა გატყეხილი. ალბათ, ინდური სპილოს ძვლის სახელური მოხვდა. „ყველანი მარტო მე მიჭერდნენ, — მიუტანა ცოლს ამბავი თაზომ,

— თორემ, მე ვიცოდი, როგორ დაგილილავებდი მაგ შერეზის...“ მოკლედ, მისიანებს ნათესაურ მიკერძობაში სდებდა ბრალს.

ნიკას ოფისი ორი ოთახისგან შედგებოდა. პირველში, რომელიც თანამდროვე ტიპის საპროექტო ოთახს

მოგაგონებდათ, მხოლოდ ორი მაგიდა იდგა, კომპიუტერებით. კედლის გასწვრივ, ვიტრინებით დიდ პლანშეტებზე სარეკლამო სურათები იყო, ნეონის შუქით გაჩახჩახებულნი და ამის წყალობით, ქალაქის ხედები გარეთ ლამაზად იკითხებოდა. მეორე — სასტუმრო ოთახი ანუ მისაღები იყო, თავისი საშუალებით, დივანითა და სავარძლებით. მისაღებში მხოლოდ საპროექტო ოთახიდან შეიძლებოდა შესვლა.

ოფისში მხოლოდ ეკა იმყოფებოდა, რომელიც ნიკას მოსვლამდე, ტელეფონზე ჭორაობდა.

— ნათი, გაგიუდები ადამიანი, — უყვებოდა ეკა მეგობარს. — დღეს, პირველი დღეა. შემოვედი და ვიღაც ტიპი არ შემომყვა?! ამაზრზენი!.. ჰალსტუხიანი, თვითგაყოფილი იდიოტი. ვინ გნებავთ-მეთქი? — და იცი, რას მეუბნება?.. რევიზორი გახლავართ მერიდან, თქვენი შეფი მნებავსო... პირველსავე დღეს, დილაადრიან, რევიზორი დამადგა! თუ გული არ გამისკდებოდა, არ მეგონა... ნიკა რომ მოვა... ჰო, ნიკა ჰქვია... რა უნდა ვუთხრა?! ამ დილას გამოვედი პირველად და პირდაპირ მივხახალი, — რევიზორი იყო და გკითხულობდათ-მეთქი?! აუ, რა საყვარელი ტიპია, იცი?.. მე ვფიქრობ, ქრისტეს ასაკის, ოცდაცამეტის უნდა იყოს, მეტის — არა... ჯერ მხოლოდ თვალეში ვუფუფუნებ, შიგადაშიგ, მეტს ვერ ვებედავ... ჰო, ძალიან საყვარელია... არა, რეკლამებით ვარ დაკავებული... კი დავგზავნე, სი-ვები პრესაში... ჰო, იცი, ვინ არის ჩემი შეფი?.. ანი ბერიძის ძმა... გაგიუდები. ჰო, არც მეტი, არც ნაკლები — კოლეზიის უნივერსიტეტი, შენ წარმოიდგინე! როგორ და „ავტოკადის“ ცოდნამ მიშველა და წლოვანებამ, ალბათ... გადავთვალე რე შემოსული სი-ვები და სულ ბებრები მოხვეტილან, ორმოცდაათზე ნაკლებს არც ერთი არ არის... კაი, მოვიდა, მერე დაგირეკავ.

ნიკა შემოვიდა და ეკას მიესალმა.

— გამარჯობა, ეკა... აღარ ვიცი, როგორ ჩავიცვა თბილად ჩავიცვამ — ცხელა, გრილად ჩავიცვამ და ისე აცივდები...

— ბატონო ნიკა, იცით, რა მოხდა?.. — შეანყვეტინა ეკამ.

— არ ვიცი, — გაუღიმა ნიკამ.

— შემოსული არ ვიყავი, რომ რევიზორი შემომყვა, ზუსტად ცხრა საათზე...

— რევიზორი? — ვერ დაიჯერა ნიკამ.

— დიას, მერიიდან ვარო... — თვალეშს ახამამებდა ეკა.

— არ უთხარი, დღეს პირველი დღეა, ოფისი გაგხსენით-თქო? — გაუკვირდა ნი-

კას.

— არა, მე ვერაფერი ვუთხარი, თქვენ გკითხულობდათ, — მიუგო ეკამ.

— გასაგებია: ეტყობა, ვერთხამ კიჭები გამოაჩინა. ჩათვალე, რომ მაგრად შევიგინე... — და მართლაც, შეიგინა ნიკამ.

— ნამდვილად ვერთხას ჰგავდა, გეფიცებით, — ალაპარაკდა ეკა. — მეც ვერ გამოვიდა, იცით, რა პონტია?!. როგორი გახარებული მოვდიოდი და უცბად, თავხარი დამეცა. იცით, როგორ ვინერვიულე?!

— ეკა, გენაცვალე, შენ ხარ ჩემი თანამშრომელი, ხომ?.. ჰოდა, უჩემოდ, უფრო სწორად, სანამ მე არ დაგრთავ ნებას, ნურაფერზე ინერვიულებ. შეეთანხმდით? — ნიკამ ვიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და კომპიუტერს მიუჯდა.

— დიას, ამის შემდეგ მეცოდინება, — გაუღიმა ეკას.

— და არც ამდენი თვალეშის უფუფნია საჭირო; დღემი ორჯერ-სამჯერ სასვებით საკმარისია... — სერიოზულად დასძინა ნიკამ.

— გავიგე, — ტუჩი მოიკვინტა ეკამ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა ერთი ყავა მომიდულე, თუ არ გენყინება და შემდეგ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი, კარგი?

— დიას... თქვენ ალბათ, აქ ამერიკულ სტილში აპირებთ მუშაობას... — შეეხუმრა ეკა.

— ქართულ-ამერიკულ სტილში, ასე ვთქვათ, — გაუღიმა ნიკას.

— მაშინ, თურქულად მოგიდულებთ ყავას. ტკბილი გიყვართ თუ ნახევრად ტკბილი? — შეეკითხა ეკა.

— კაი, ნახევრად ტკბილი იყოს, — აირჩია ნიკამ.

— ბატონო ნიკა, არ განიტერესებთ, ბარში რა ხდება? — მისაღებისკენ მიანიშნა ეკამ.

— კი, ჰო, მართლა, როგორ არ მაინტერესებს!.. შეგიძლია, ნიკა დამიძახო — „ამერიკულ სტილში“... — და ნიკა სასტუმრო ოთახში გავიდა. ეკაც შეჰყვა.

— მისტერ ნიკა? — ჰკითხა ეკამ.

— ჩაგეთვალა, — გაეცინა ნიკას.

— ერთი-ორი დღე მიჭირს და ძალიან მალე გადმოვალ „ნიკავეტ“ და „შენობით“ ლაპარაკებუც, ალბათ, — უთხრა ეკამ.

— ჰოდა, ძალიან კარგი... — თქვა ნიკამ.

— აი, ეს ჟალუზები ხომ მოგნონო? — დაიწყო ნათესავი ეკამ. — აი, ეს ნახატი, აბსტრაქციაა. ვიცი, რომ ამერიკელებს მაგრად ევასებათ...

— ამერიკელებს? ამერიკელებს ილუსტრაციები უკიდიათ კედლებზე და ჰგონიათ, რომ ორიგინალები აქვთ, — თქვა ნიკამ.

— და ჩვენი ბარი, — განაგრძო ეკამ. — ჯერ სასმელები — ყველანაირი. ჩვენი შამპანურები, შოტლანდიური ვისკი, ბრენდი...

— გასაგებია, გასაგებია... — შეაჩერა ნიკამ.

— ჩაი — სხვადასხვანაირი: სიცილიური, ინგლისური, ინდური... ყავა: ნალექიანი, ყველაზე ძვირიანები, იტალიურ შეფუთვამა... უნალექოებიც, რამდენიმენაირი. რძის ფხვნილი...

— ერთი ბარმენიც ხომ არ აგვეყვანა? — იხუმრა ნიკამ.

— არა, არ არის აუცილებელი. მე რაღა

ვაკეთო, მისტერ ნიკა?! — გაეცინა ეკას. — ნამცხვრები მაქვს მაცივარში, გვერდით კაფეტერია და ნებისმიერ დროს შეიძლება ყიდვას... მოკლედ, პრეზენტაციისთვის სრულ მზადყოფნაში ვარ...

„ცდილობს ეს ბავშვი, რა გინდა?“ გაიფიქრა ნიკამ.

ბოლოს და ბოლოს, ნიკამ მინც დაუფერა ანის და როგორც დამ დაარიგა, ა-ლა-ფურშეით, პატარა პრეზენტაცია მოაწყო. სულ რაღაც ხუთი-ექვსი სტუმარი ჰყავდა და ორიოდე ახლობელი. მათ შორის, ვერიკო და ანი, ტელეჟურნალის ერთად. ნიკას განსაკუთრებით დედამისის სადღეგრძელო დაამახსოვრდა.

ვერიკომ ჭიკა შეივსო და სიტყვა ითხოვა. — სტუმრებს ერთი წუთით ვთხოვ ყურადღებას, — თქვა მან. — მე მინდა, ჩემს ნიკას მივულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო, მუდამ გამარჯვებით ევლოს. მინდა, ყველას ვუსურვო, ყველას, ვინც კი საქართველოდან წასულია, სასწავლებლად თუ სამუშაოდ, დაბრუნებულიყვნენ და, ტრაფარეტული სიტყვებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მოკლედ, დამთავრებულიყოს ქართული ტვინისა და ნიჭის გადინება უცხოეთში, დანებებულიყოს მოდინება, აქეთ, ჩვენკენ... თუნდაც, როგორც გალაკტიონი ბრძანებს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“, თორემ, თუ ყველამ მხოლოდ საკუთარ ტყავზე იფიქრა მხოლოდ და მეტზე არაფერზე, ამდენი შინაური და გარეული მტრის ხელში კაი დღე რომ არ დაგვადგება, ჩემზე უკეთ მოგესვენებათ. დაე, ყველა დედას გაესაროს, ჩემსათვის, შვილის დაბრუნებით.

— ვუერთდები სადღეგრძელოს, — როგორც ყოველთვის, ახლაც გადარბენაზე იყო ანი. — ვადღეგრძელებ ჩემს ძმას და გელოდებით, ბატონო ნიკა, ზუსტად სამ საათზე, ტელევიზიაში. ახლა გავიქეცი მე... — ანიმ ძმას აკოცა და ოპერატორთან ერთად, მისაღებიდან გავიდა. სწორედ ამ დროს, ვიღაც უცხო მოვისის კარი შეაღო.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?.. პრეზენტაციაზე, ალბათ? — ლამაზად გაუღიმა ანიმ მამაკაცს.

— არა, მე რევიზიაზე ვარ, მერიდიან... — ზემოდან გადმოხედა უცხოში.

— რევიზიაზე?! — სახტად დარჩა ანი. — ჯერ ხომ არც კი გახსნილან! დღეს დაიწყეს მუშაობა.

— ჰოდა, მით უმეტეს: აუცილებლად უნდა გაკონტროლოდეს — რა ხალხია, ვინ არიან, რას აბრუნებენ... მოკლედ, დოკუმენტაცია მინდა გადავათხოვო... თქვენ ანი არ ბრძანდებით ბერიძე? დიქტორი? — იცნო რევიზორმა ანი.

— მე დიქტორი არა ვარ, ტელეჟურნალისტი ვარ, — შეუსწორა ანიმ. — ერთი წუთით აქ დაბრძანდით, — და ოპერატორს მიუბრუნდა. — მამუკა, შენც დაჯექი, რა, ერთი წუთით. — ანიმ მისაღებში შეიხედა და ეკას თითოთი ანიშნა, გამოსულიყო. ეკა გალიმებული სახით გამოვიდა, მაგრამ უცნობის დანახვაზე შეცბა.

— მე გავიქეცი. აი, თქვენთან სტუმარია, — მიუთითა ანიმ რევიზორზე და ოპერატორთან ერთად, საპროექტო დატოვა.

— აა, თქვენ ბრძანდებით?.. ერთი წუთით, — იცნო ეკამ დილის სტუმარი და კარი მაშინვე შეიკვტა. მივიდა ნიკასთან და ყურში უჩურჩულა:

— ნიკა, ის ვირთხაა, მერიდიან. — კაი, მე ვიცი... — თქვა ნიკამ და საპროექტოში გავიდა. — აქეთ შემობრძანდით! — შეიპატიჟა შეგნით, დაუპატიჟებელი სტუმარი.

უცნობი მისაღებში შევიდა და ამდენი ხალხის დანახვაზე, ცოტა შეცბა. ნიკამ კი ხელი მოჰკვდა და ოთახის შუაგულსკენ წაიყვანა.

— მობრძანდით, მობრძანდით! სტუმარი ღვთისაა... ერთი წუთით, აქეთ მოიხედეთ ყველამ. მე მინდა გაგაცნოთ ბატონი...

— გოგი ლომიაძე, — ამოღერდა უცნობმა და მაშინვე მიხვდა, რომ კარგს არაფერს უპირებდნენ.

— ვინ ბრძანდებით? რა გაინტერესებთ? — შეეკითხა ნიკა უცნობს.

— რევიზორი ვარ მერიდიან, — გამო-



აცხადა სტუმარმა. — და რატომ მობრძანდით? — აგრძელებდა გამოკითხვას ნიკა.

— დოკუმენტაცია უნდა შევათხოვო, — თქვა უცნობმა ანუ გოგი ლომიაძემ.

— თქვენ, ჩემო ბატონო, რევიზორი კი არა, პატარა ნესვის ტომარა ბრძანდებით. ახლა მიბრძანდით და იმ დიდი ნესვის ტომარას, ვინც თქვენ აქ გამოგიშვით, მოახსენეთ, როგორ დაგვხვდით!.. თავისუფალი ხართ! — მსუბუქად უბიძგა ხელი კარისაკენ სტუმარს ნიკამ.

რევიზორმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნიკამ ხმა ჩაკვნიდინა:

— წადი, რა, წადი! — ხმას აუწია ნიკამ. რევიზორი ჩქარი ნაბიჯით წავიდა კარისკენ... იქ კი, გაჩერდა და უკან მიბრუნდა.

— მაინც შეგამოწმებთ, მაინც! არ გაპატიებთ!.. — ნიშნის მოგებით მიახსა და კარი გაიჯახუნა.

ყველას გაეცინა. მისი ვიზიტიდან ნიკამ შემდეგი დასკვნები გამოიტანა: ან ცრუობდა ქვეყნის მთავრობა, რასაც ტელევიზიიდან ეუბნებოდა ხალხს, ან უნებურ შეცდომას უშვებდა, როცა ბრძანებდა, რომ ყველაფერი „გამოსწორებ-

დია“, რადგან ის თაობა, რომელმაც ხელისუფლებაში თანამდებობები დაინანილა, იმ თაობის აღზრდილი იყო, ვისთვისაც მთლიანად გაუკუღმართებული იყო ადამიანთა მოდემის ისეთი ფასეულობები, რომლებიც ასე კარგადაა ჩამოყალიბებული „ბიბლიის“ ათ მცნებაში. „ამ ჯუნგლებში, როგორც ჩანს, მორალზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია. მორალი კი არა, არ არსებობს თვით მორალის ცნება, ალბათ. — ფიქრობდა ნიკა. — ახლები, იმ ძველების აღზრდილები არიან და იქნებ, ცოტა უარესებიც მათზე“, — დასკვნა ბოლოს და იმასაც მიხვდა, რომ მომავლის პროგნოზირება, „ტელემთავრობის“, „ტელეპრეზიდენტის“, „ტელეხელისუფლების“ და „ტელეპოლიტიკის“ პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

როცა საპროექტოში მხოლოდ ორნი დარჩნენ — ეკა და ნიკა, — ეკამ გაუბედა და ჰკითხა:

— იმ ვირთხას ზედმეტად მკაცრად ხომ არ მოექცით?

— არა მგონია, — უპასუხა ნიკამ.

— და რომ შეგვიმოწონოს?

— რა, ლიცნია?.. მიბრძანდეს და სამინისტროში წახოს. ჯერ თითი არ გამიტოვებია!.. — მშვიდად უპასუხა ნიკამ.

— იცით, მამაჩემმა ავტოსკოლა გახსნა თუ არა, პირველსავე დღეს შეამონმეს და რვაასი დოლარი ააფცქენეს, — თქვა ეკამ.

— პირველსავე დღეს?! მე გვრავის, ფულს ასე უმისამართოდ ვერ მივცემ. მე არ ვაპირებ, რაიმე დავარღვიო. სახელმწიფოს ყველა თეთრს პატიოსნად გადავუხდი. ჩვენ გვეყოლება აუდიტი, რომელიც ნებისმიერი დარღვევისთვის თავად აგებს პასუხს... — ჩამოუყალიბა ნიკამ.

— მაშინ, „მიგვეტავვენ“, ნიკა, თან — ძალიან მალე... — ჩაილაპარაკა ეკამ.

— „მიგვეტავვენ“? რატომ? — შეეკითხა ნიკა.

— აბა, რა! თუ მაგათ უხდი, სახელმწიფოს, თუნდაც, არაფერი უხადო ან სულ რაღაც ორი „გრომიც“ რომ გადაუგდო, შეგიძლია მშვიდად იყო. არ გადაუხდი მაგათ — არ გამოუშავებენ... პირველად გესმის? ელემენტარულად, ჯისურები აიღე: სახელმწიფო გადასახადი სულ რაღაც თხუთმეტი ლარია, სინამდვილეში, რამდენს იხდიან, იცი?.. სამოც ლარს — ოთხჯერ მეტს!.. თუ ჩემი არ გვერა, გაიკითხე, კი, ბატონო... — უთხრა ეკამ.

კარი გაიღო და ოფისში პირველი დამკვეთი შემოვიდა. მალალი, ლამაზი ქალბატონი...

— შეიძლება?.. საპროექტოში მოგვხვდი, ხომ? ხომ სწორად მოვედი? — იკითხა სტუმარმა.

— დიახ, დიახ, მობრძანდით, დაბრძანდით. — მიიპატიჟა ეკამ.

— ბოდიში, მაგრამ ვის მივმართო?

— ჯერ ალბათ — მე, — უპასუხა ეკამ. — გააჩნია, რა საკითხზე ბრძანდებით. თქვენ ქალბატონი ნანა მელაქე არ ბრძანდებით, პარლამენტარი?.. მე იმნამსვე გიცანით... შეგიძლიათ, პირდაპირ ბატონ ნიკას ესაუბროთ... — მიანიშნა ნიკაზე ეკამ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ფშავში, ლაშარობაზე თითქმის ყოველ წელს დადგინდებიან ადგილობრივი თიანეთის ლაშარში იქაურ მეგობრებთან ერთად, სალოცავში სანთელს აანთებენ, გაშლიან უზარმაზარ სუფრას. თამადა პირველ სიტყვად აუცილებლად იტყვიან: ლაშარის ჯვარი შაგენიოთო, მერე მთის და ბარის სალოცავებს ადიდებენ, შნოს სადღეგრძელოსაც მიაყოლებს და იწყება ფშაველების ლხინი: სიმღერა, ცეკვა, გალექსება, ქალივობა. ნამდვილი ხევისბერიც პირველად სწორედ ლაშარში ვნახე, წლების წინ, პავლე ერქვა, გავესაუბრე და ცოტა დამიფრთხა. წელს ბიორბი შჩრუმიშვილს უკვე შინ ვესტუმრე, მითხრეს: ხევისბერობს ხოლმეო. სტუმარი ღვთისააო, — უკან სომ არ გამოიბრუნებდა და საუბარზეც დამყაბულდა.



# საქან წარმოშობაშია შიშვენია ქრისტიანულს „უძლიაქვენიკაჟი“; „სახელოვანი“ მოხუჩის თამაჯანსაჟი და ხალ-მხარნასაჟი ხევისბერის ღაღოცაჟი

## ირმა ხარშილაძე

— ყველა სალოცავის ნიშია თიანეთის რაიონში — ლაშარი, თამარ მეფე, ლომისა და სხვები — ყველა არაგვის ხეობიდანაა გადმოტანილი, ლომისა არის მთიულეთიდან. იქ ოთხშაბათობით იკვლება საკლავი, სხვაგან ოთხშაბათს და პარასკევს საკლავი არ იკვლება.

— რადგან მარხვის დღეებია?

— ჩვენთან ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევია მარხვა. ორშაბათს, მარტო აღდგომის მეორე დღეს, სასაფლაოზე იკვლება საკლავი — ბატკანი.

— ლაშარში, მაგალითად, სანთელსაც ანთებენ და იქვე ცხვრების სასაკლავოა. თქვენი აზრით, ეს წარმართულია თუ ქრისტიანული?

— მე უფრო ქრისტიანულადა მნამს ეს ყველაფერი. ლაშარიც, უკანა ფშავის თუ თიანეთის სალოცავებიც — ყველა ქრისტიანულია. ასე მასწავლეს, ასე ვიცი. ჩემს „მოსწრებაში“ სხვა არაფერი გვინამებია. საკლავიც იკვლება ყველა სალოცავში, კურატიც, ძროხასაც ავასახელებთ ხოლმე.

— ასახელება რას ნიშნავს?

— ბოჩოლა რომ განდებდა, ვიტყვით ხოლმე: ამა და ამ სალოცავისთვის დაგვკლავთო. შუბლსაც ავუტყუავთ ხოლმე.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— სანთელს ნაწვსავით შუბლზე. ფშაველები, საერთოდ, პირველ ბოჩოლას არ ვზრდით, არც ვყიდით — ვკლავთ, ზვარას (ზვარაკს. — ავტ.) ვქვამთ მაგას. გადმოცემით, თურმე, ოდესღაც პირველ შვილს კლავდნენ ადამიანები, ღმერთს სწირავდნენ. ერთხელ მამამ გაზარდა შვილი და ვეღარ იმეტებდა მოსაკლავად. შვილს უთქვამს: წყალი დუღს და ქვაბი შრება, სამართალი არა ჩნდება; დამკალ, მამი, რაღას ელი? ჩვენ,

ხო, ჩვენი არ აგვცდებო. ამ დროს იესო ქრისტეს ჩამოუვლია და უთქვამს: ეგ წესი შეიცვალოსო, საქონლის პირველი შვილი დაკალიო. აქედან დანესდა ბოჩოლას დაკვლა. ეს ჩვენი — ფშაური წეს-ჩვეულებაა და არცა ვლაღატობთ. ფური რომ განდებდა, ვაბრებო, მაგას ვქვამთ ბერ-ზვარას, დაბრებულს მერე სახლში ვკლავთ. ძროხას ზოგი „ხახმატას“ ქვამდა, ზოგი — „ღვთისმობელას“, „ხახმატა“ ხახმატის სალოცავისთვის უნდა შეგენიო, — ეს ხევესურების სალოცავია, მაგრამ ჩვენთანაც არის ნიშები, „ღვთისმობელა“ — ღვთისმშობლის სალოცავისთვის.

— მინახავს, ლაშარობაზე სალოცავში კარვებით ადიან ადამიანები და მთელი კვირით რჩებიან. მარტო ფშაველები დღესასწაულობთ?

— „პეტრე-პავლობას იცოდნენ თამარობა და ლაშარი, ფშაველების დიდი დღეობა, აქ თავს იყრიდა ქალ-რძალი“... ე.ი. ფშაველების დღეობა იყო, ბევრი კახელიც მოდიოდა, მთელი თვე არის ახლაც მიდმოდი. ჯერ მიდიან თამარ მეფის სალოცავში, ლაშარის ქვემოთ, ერთ ღამეს იქ ათევენ, მერე ლაშარის გორზე ადიან და რჩებიან.

— ანუ ეს ხდება პეტრე-პავლობის მარხვის დღეებში, თუ გახსნილების მერეც დღესასწაულობთ?

— მაგ დღეებში ლოცულობს ხალხი.

— ხევესურებიც გადმოდიან?

— ხევესურებიდან აქ არ ჩამოდიან. თიანეთში სულ ფშაველები და ხევესურები არ არიან? თითო-ოროლაა მთიული და სხვა კუთხეებიდან „შემოპარული“.

— ძირითადად, ლაშარშიც ასეთი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ ხატობას?

— იქ კახელები არ მიდიან, ძალიან შორსაა, უკანა ფშავშია. ის, ხალხი აქ უფრო მეტია.

— ფშავში, როგორც ვიცი, სხვა-

დასხვა გვარის ადამიანები სხვადასხვა ხატის ყმებად იწოდებიან...

— ფშავი თემებად იყოფოდა, თითო თემს თავისი გვარი და სალოცავი ჰყავდა. მერე გამოვლდნენ გვარები და ახლა თითო სალოცავში ბევრი გვარია. ჩემი სოფელი — ცაბაურთა უკანა ფშავშია, ნასოფლარია ახლა. იქაურ სალოცავს (ჩემი სალოცავია) ჰქვია მთაწმინდის მთავარანგელოზი. სხვათა შორის, ვაჟა ფშაველაც ცაბაურთა თემიდან იყო. ისე მაღლაა მთაწმინდა, მთელ ფშავ-ხევესურეთს გადააჭყურებს. კაი მაგარი ხევისბერი გვყავს იქ, ხეთისო პატარაშვილი, მაგარი კაცი, ჭკვიანი, თავისი საქმის მცოდნე.

— დღეს რას აკეთებს ხევისბერი?

— ხევისბერი უვლის წმინდა ადგილს — ხატის ტერიტორიას. მან უნდა ადიდოს ხატი, დალოცოს მრევლი, ყველა მლოცველი, ქადაც უნდა დაუჭრას, სანთელიც აუთოს, საკლავი დაუკლას. ეგეთი „დაბრძინილი“ ხევისბერები, მთაწმინდის სალოცავში რომ არიან, არსად მინახავს. ხეთისოსთან ერთად იქ სოლომონიც არის. სოლომონი კლავს საკლავს, კიდევ მოაკმევს ხოლმე... მოკმევა, ხო იცი, რას ჰქვია? — სუფრას რო გააკეთებენ, სანთელს აანთებენ და წასულელებს იხსენიებენ. მაღლა სალოცავში ხეთისოს ოთახი აქვს, სადაც დროშაა დაბრძინებული.

— რა დროზე?

— ხატს რასაც შესწირავენ — თავსაბურავი იქნება თუ სხვა ნივთი, ადამიანებს უხარიათ, ხევისბერი თუ დროშაზე დაამაგრებს. ამ შესწირის მერე საკლავიც უნდა მიაყოლო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იმ საკლავის სისხლით უნდა გაინათლოს ნივთი, რაც ხატს შესწირე, რომ წმინდა, სუფთა იყოს.

— თვითონ დროშა როგორია?

— სხვადასხვა სახისაა, ჯვარი აქვს წვერზე, ძირს შუბივით აქვს ნაწვეტებული რამეზე დასარქობად, პატარა ზანზალავი ჰკიდია და ახმაურებს ხოლმე ხევისბერი.

— ადრე ხევისბერს მთელი თემი უსმენდა...

— ვისაც სწამს, ახლაც უსმენს, ზოგი კი, გასართობად მოდის, ასეთებს ჩემი ძმობილი ხეთისო — გადით, გადით იქითო, — ეუბნება. ხევისბრის სამყოფელი შემოფარგლულია ქვებით. იქ ქალი ვერ გაჭაჭანდება. ახლოსაც არ უნდა მივიდეს იმ ადგილთან, სადაც ხატი და დროშა ასვენია.

— **ლაშარზე რომ მიდიან?**

— იქ მიდიან და სანთელსაც თვითონ ანთებენ. ეს არასწორია. ბევრისთვის მიმიცია შენიშვნა.

— **ხევისბერი მკაცრია?**

— ყველანიარად სამართლიანია.

— **როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, რომ ხევისბრის რისხვა არ დაიმსახუროს?**

— ხევისბერი ყოველთვის ხომ ვერ ხედავს ადამიანის ცხოვრებას? ის რჩევებს იძლევა: სინდისიერად იცხოვრეო, არ იქურდო, არ იყაჩაღო, ალალი ლუკმა სვი და ჭამე, იშრომე და იცხოვრეო. სალოცავზე „ფინით“ სიტყვაც კი არ უნდა თქვა, წყეული რომ წყეულია (იგულისხმება ქვეწარმავალი. — ავტ.) არც ფეხი უნდა დააბიჯო, არც მოკლა.

— **რატომ?**

— იაროს მაგან. ეგაც ღმერთის გაჩე-

რქა და გაიქცა. გამოეკიდნენ ჩემები. იორის წყალსაცავთან გაჩერდა. დაიჭირეს, გრძელი ჯოხი შაბებს და შეაგდეს ადიდებულ წყალში, თან მიჰყვებიან ნაპირ-ნაპირ. მე და ჩემი ბიძაშვილები მეორე მხარეს გაუწყვიტეთ: ეგებ, მაინადინოს გამოსვლა და დავიჭიროთ-მეთქი. არ გამოვიდა. ბოლოს, როგორღაც მაინც დავიჭირეთ.

— **რატომ ტანჯავდით იმ მოზვერს?**

— აბა, სალოცავში უნდა მიგვეყვანა და დაგვეკლა... მერე წითელცხენიან კაცს გამოვუბით და იმან გადაიყვანა ადიდებულ მდინარეზე. ისევ აინყვიტა, გაქანდა, კინალამ ადამიანები იმსხვერპლა. ძლივს გავაჩერე. ვეღარ დავკალით ის კურატი. იმ მკითხაგმა მითხრა: თოფი ესროლე და მოკალიო. გაველანძლე, რაც კი შემეძლო: შენ რო გაზრ-

მერე წითელცხენიან კაცს გამოვუბით და იმან გადაიყვანა ადიდებულ მდინარეზე



და ეზო აღწერა და მერე მითხრა: ხო გაეაბრაზე და ვანიე კაცზე კაციო. ვანიე, იცი, რა არის? — კაცისკენ რო გაიწევეს.

— **ჰოდა, ვინ იწევსო?**

— მოზვერს გულისხმობდა, თითქოს ვილაცის სიტყვებს იმეორებდა ხმამაღლა. მერე თქვა: ის მოზვერი, სადაც გყავდათ „ასახელებული“, იქ წაიყვანეთო, თან დანახანჯლის მეტი თუ რამე დასჭირდეს იმას, მოდი და ჩემს სახლში იმაზე მეტად გამლანძლე, ხატში რო მკითხავი გალანძლეო. მოკლედ, წაყვანეთ ეს მოზვერი, სხვა საკლავიც და წავედით მთაში. ვიდრე ცოტა ხნით შუაფხოში ვისვენებდით, წაუძღვა მოზვერი დანარჩენ საკლავს და ასე დანყობილები ავიდნენ წვერაკანაზე.

— **წვერაკანა სახელია?**

— არა, წვერაკანა მთას ნიშნავს, იმ მთას მთაწმინდა ჰქვია. მოზვერი რომ წამოვანვინეთ, ხელ-ფეხი შეფუკარით, მაინც განყვიტა თოკი და მერე სულ მშვიდად იწვა, ვიდრე ხევისბერი ხანჯალს გამოუსვამდა ყელში. ღმერთმა მიიღო, როგორც იქნა, ჩვენი შესანიერი. იმ ევეგენასი დღესაც მწამს.

— **თიანეთის ლაშარში რომ პავლეა — მკითხაობს კიდევ და ხევისბერობს — ასე შეიძლება?**

— კი, შეიძლება, როცა ხილვები აქვს, მაშინ მკითხაობს — პავლე სანთელშიც ხედავს, სასმელშიც, ბევრს ეუბნება სიმართლეს.


— **ხატის კარზე მკითხაობა შეიძლება?**

— შეიძლება, თუ ღმერთი ნებას დაგრთავს.

— **ეს ხომ არაქრისტიანულია. შევესწარო, ლაშარობაზე ქალები ხევისბერ პავლეს ეუბნებოდნენ, ეკლესიაში მღვდელს აღსარება ჩავაბარეთო, ვუთხარით, აქ რომ დავდივართ და არ გვაზიარაო. თქვენ რაც მოჰყვით, ეს ხომ წარმართულია — მკითხავთან სარულს მართლმადიდებლური ეკლესია კრძალავს.**

— საქრისტიანო კრძალავს მაგას? 70 წლის კაცი ვარ, სულ ქრისტიანულად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ.

— **ქრისტიანი ეკლესიაში დადის, სანთელს იქ ანთებს. შეიძლება, ალბათ, როგორც ბრძენ, გამორჩეულ კაცთან, ხევისბერთანაც მისვიდე რჩევისთვის, მაგრამ სამკითხაოდ... იქ**



იმ საკლავის სისხლით უნდა გაინათლოს ნიფთი, რაც ხატს შესწირე, რომ წმინდა, სუფთა იყოს

ნილია.

— **დღეს რა შემთხვევაში მიმართავენ ხევისბერს?**

— ბევრს სჯერა მისი. მე მკითხავისაც მჯერა. დედაჩემმა „ასახელა“ საგვარეულოსთვის კურატი — მთელი გვარი უნდა წავსულიყავით ხატში. მესამე წელში იყო ეს მოზვერი, დედაჩემი რომ დაიღუპა. გულით მიწოდდა, როგორც დედამ „ასახელა“, ისე დამეკლა, რადგან ნათქვამია, სხვა შემთხვევაში გვარი დაიტანჯებაო. ჩვენი გვარის კაცებმა თქვეს: მოდი, ჯაბანიანების ნიშში დავკლიათო, არადა უნდა წაგვეყვანა უკანა ფშავში, ცაბაურთაში. ჩემი ქალი (ცოლი. — ავტ.) გაგზავნეს მკითხავთან, რომელიც ხევისბერობდა და, რომელმაც ურჩია, ჯაბანიანებში დაკალით და შნო რო დავადევროთ. მეც წამიყვანეთო.

— **„შნოს დადევნება“ რას ნიშნავს?**

— ნორმალურად შხვეწნებას, ხატი რომ არ განყრეს. იმ წელს — მგონი (1962 წელს) წყალდიდობები იყო. წაიყვანეთ ეს მოზვერი. გზაში გაგვიჯიუტდა, აინყვიტა, დამეტაკა მუცელში, წამაქცია, კარგად ამამკრა

დი, ის დაკალი თოფით-მეთქი.

— **მკითხავის რა ბრალი იყო?**

— იმან გვითხრა, ნიშში დაკალითო, არადა მთავარ სალოცავში უნდა დაგვეკლა.

— **ფიქრობთ, რომ მაგიტომ გაგიჯიუტდათ?**

— კი არ ვფიქრობ, მაგის გამო მოხდა. იმ ზამთარს გამოვკვებეთ ის მოზვერი და ზაფხულში წავედით ორხევში სხვა მკითხავთან — ევეგენასთან. ჯერ იუარა: ხატობები და არა ვმკითხაობ ახლაო, ჩემი ბიძაშვილი „მალარიჩს“ დაჰპირდა, ეგეც იუარა, ბოლოს ძალიან რო ვთხოვეთ, გვითხრა: შევალ ოთახში და გავიგებ — თუ „ანგელოზი მოგყვით“, მაშინ გიმკითხავებთო. ცოტა ხანში დამიძახა. სანთლები შევიტანე, სახლიდან მქონდა წამოღებული. თვითონაც გააკეთა სამი ცალი და აანთო.

— **საკლავის სანთელი გქონდათ თუ ჩვეულებრივი?**

— ჩვენი, შინაური სანთელი, კაცო, ფუტკრის სანთელი იყო, ნატურალური. მოკლედ, დანთო და დაიწყა: ჩემი ოჯახის ყველა წვერის სახელი წარმოთქვა, სახლი

# წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი საქართველოში ინახება

28 ივლისს, მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა მონამეებს — კვირიკეს და ივლიტას იხსენიებს. წმინდა კვირიკეს წმინდა ნაწილი (კერძოდ — ხელის მტევანი) საქართველოში, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია დაცული და იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოდ წარმოადგენს.

## შორენა მერკვილაკე

წმინდა მონამენი — კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ლიკონის ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ. ივლიტა დიდგვაროვანთა შთამომავალი იყო. მშობლები მას თავიდანვე ქრისტიანული აღმსარებლობით და სიყვარულით ზრდიდნენ. იგი სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა და ერთადერთ ვაჟს, ჩვილ კვირიკეს კეთილმისაღებობით ზრდიდა.

იმხანად, იმპერატორმა დიოკლეტიანემ ქრისტიანებს სასტიკი დევნა დაუწყო, მრავალი მათგანი ტანჯვით დახოცა კიდევ. ივლიტამ, იმის შიშით, რომ ქრისტიანული სჯულის აღიარებისთვის მასაც დასჯიდნენ, დატოვა სიმდიდრე, მშობლიური ქალაქი და თავის მცირე ეკლესიას შეიქმნა და ორ მხევალთან ერთად, სელევკიაში წავიდა. იქიდან კი, ტარსუს მიაშურა, სადაც ლარიზ-ლატაკთა შორის დასახლდა. გარეგნულად თითქოს მდაბიოთაგან ვერავინ გამოარჩევდა, მაგრამ ვიღაცამ მაინც შენიშნა ლარიზ-ლატაკთა შორის მცხოვრები ქრისტიანი ქალი, შეიტყო, რომ ჯვარცმული ქრისტეს მიმდევარი იყო და მხარის მმართველთან, ალექსანდრესთან დასამინა. მან ივლიტა თავისთან დაიბარა. როდესაც მმართველის წინაშე თავის 3 წლის კვირიკესთან ერთად წარდგა და ალექსანდრემ ვინაობა ჰკითხა, მიუგო: „მე ქრისტიანი ვარ! ეს სიტყვა მეტყველებს ჩემს ვინაობაზე და კეთილშობილებაზეც. ჩემი სამშობლო კი, ზეციური იერუსალიმია“.

სალოცავში ვნახე, რომ მართლმადიდებლური ხატებია დაბრძანებული, იქვე კი ფერად-ფერადი ნაჭრებით შემკული ნატყვის ხეობა და ცხვრების სისხლიანი თავებია დაყრილი.

— მერე, ეგ ქრისტიანული არ არის?  
— ამ ჩამონათვალში მხოლოდ ხატია ქრისტიანული.  
— იმ ხატზე არ ვლოცულობთ, კაცო?  
— მერე, როგორ ვლოცულობთ, როგორ ილოცება ხევისბერი?

— მოკლედ ვიტყვი — ჯერ ღმერთს ადიდებ და სთხოვ: უშველე ერსა შენსა, მრევლსა შენსა, ღმერთმა გაუმარჯოს ძალასა ღვთისასა, სამართალს კვირეისასა, ხატებსა ფშავ-ხევსურეთისასა, დასავლეთ საქართველოსასა, მთიულ-გუდამაყრისასა და ასე შემდეგ. მერე სთხოვ: ღმერთო, დიდებულო, ღმერთო ქვეყნიერების გამაჩინო, შენი გაჩინილია მკვდარი, ცოცხალი, ორფეხ-ოთხფეხ-ქუდოსან-მანდილოსანი, უშველე, შეენიე ყველას, დაიფარე, ამორე გასაჭირი, ხელი მოუშართე მგზავრობაში, მიეცი შინ — მშვიდობა, გარეთ — გამარჯვება, ბარაქა მიეც ნახნავ-ნათესაში, ნანველ-ნადღვებში, მტრის ხელი ამორე, მგლის კბილი ამორე, თუ რამე ცუდი ემართებოდეს, სიკეთით შეუცვალე...

— ამ დალოცვაში ცუდი არაფერია, მაგრამ... თქვენ ეკლესიაში ყოფილხართ?

— კი, ვყოფილვარ, ისე არ დავედივარ.  
— მონათლული ხართ მართლმადიდებლურად?  
— რა თქმა უნდა, ოჯახის ყველა წევრი.  
— მაშინ, რატომ არ დადიხართ ეკლესიაში?

— ჩემს „ნამოსწრებაში“ ეკლესიები აღარც იყო, ახლა დაინწყეს ჩვენებურებმა სიარული. მე, იცი, რატომ არ დავედივარ?

— რატომ?  
— ცოტა სხვანაირი შეხედულების ვარ ახლანდელ ეკლესიაზე.

— ძველში არ დადიოდით, ახლანდელს „სხვანაირად“ უყურებთ?

— ეკლესია არ გვქონდა, მაგრამ დედაჩემს თავისი დამზადებული სანთელი ყოველთვის ჰქონდა ოთახში. იმ ოთახში ქალები ყოველთვის არ შედიოდნენ. დე-

დაჩემი ღმერთს რომ ასხენებდა, იქვე იტყოდოდა: აქ რომ გახსენე, ნუ გამინაწყენებო. ახლა ეკლესიაში შედის ყველა ქალი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ქალი არ უნდა შევიდეს ეკლესიაში?

— ყოველთვის არ უნდა შევიდეს.  
— ყოველთვის არც შედის, მაგრამ ლოცვის უფლება ყოველთვის აქვს. თუ იცით ეკლესიის აგებულება, აღსავლის კარის იქით, კანკელის იქით, ქალს საერთოდ არა აქვს შესვლის უფლება.

— სუფთა ადგილებში ქალი, მით უმეტეს, ყოველთვის არ უნდა შევიდეს, თორემ გაბუჭული კი არ ვარ ეკლესია-სთან. ჩვენ — ფშავლები და ხევსურები ეგეთი ქრისტიანები ვართ. ავი გითხარით, ოთხშაბათს და პარასკევს საკლავს არ ვკლავთ. ჩვენთან, ხატში ღორის ხორცი არ უნდა ყოფილიყო. ბევრი ისეც არ ჭამდა. ერთხელ ჩემმა ცოლმა ღორის ხორცის ხინკალი ჩაბიჩა ისე, რომ არ იცოდა, რისი ხორცის იყო და მაშინვე გრძნობა დაკარგა — ეტყობა, ენიშნა რაღაც. საერთოდ, ფშავ-ხევსურეთის ნამდვილი ხევისბერები ღორის ნავალზეც კი არ გაივლიან.

— ისე, ხევისბერს ვინ ირჩევს?  
— თვითონ გეძლევა ნიშანი, რომ ხევისბერი უნდა გახდეს. ძალიან სწყინს ბევრს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, კისრულობს ამ საქმეს. ხევისბერი რომ გახდეს, თან რაღაც საკლავი უნდა გყავდეს დაკლული.

— ვთქვით, რა საკლავი?  
— ცხვარი, კურატიც კი. მერე, ხელმხარი უნდა ინაცვლო.

— ეგ რას ნიშნავს?

— რასა და საკლავს რო დაკლავ, სისხლით ჯვარი უნდა გაიკეთო, ანუ გაინათლო. ამას ეძახიან ხელ-მხარის ნათლობას.

— ვთქვით, მოვიდა ვიღაც ამბოხს, მენიშა, ხევისბერი უნდა ვიყო, კლავს საკლავს, სხვამ როგორ უნდა ირწმუნოს მისი?

— ის თუ ტყუის და სასაცილოდ გვიგდებს ან ჩვენ, ან ხატსა, ის არი „აბუჩაი“.


— ანუ ხატი მას დასჯის?

— დასჯის, მა რა?! ზევით, მთაწმინდაზე დიდი ოთახია აშენებული, იქვეა საზარე — დიდი ზარი ჰკიდია კოხტად გაკეთებულ გუმბათში, ჰოდა, ის გააკეთა ხევისბერმა ხეთისომ, იმ სიმაღლისაა, რომ „ვერტალიოტი“ მიიტანა იქ სამშენი მასალა და ტომრებით ჩამოყარა ზემოდან. იანვარში ბულაჩაურში იყო, თურმე, ძილში ზარის ხმა ჩაესმა, მეორე დღესვე წავიდა, ავიდა მთაზე და ზარი ჩამოვარდნილი დახვდა. ახლა, იმისას როგორ არ ირწმუნებ?!  
— ისე, ცრუხევისბერობისთვის თუ დაუსჯია ვინმე ხატს?

— მასსოვს, ჩემზე სამი წლით პატარა იყო კაცი, „ნახევისბრდა“ ეგრე და მეორე თუ მესამე წელია, რაც დაიღუპა, სულ 2 წელი იხევისბერა.

— ფიქრობთ, რომ დაიბრალა ხევისბერობა?

— შეიძლება. თუ მასე იყო, იქ — იმ ქვეყნად მოვიტოვებ.



ხევისბერი რომ გახდეს, თან რაღაც საკლავი უნდა გყავდეს დაკლული... (გიორგი ჭყრუმიშვილი შვილიშვილთან ერთად)

ამ პასუხმა მმართველი განარისხა და ბრძანება გასცა — ივლიტასთვის მცირე-ენლოვანი შვილი წაერთმიათ, თვითონ კი, ხარის ძარღვებით ეცვამათ...

ივლიტა ჯალათებმა წაიყვანეს და ბრძანებისამებრ, ხარის ძარღვებით გვე-მა დაუწყეს. ამის შემყურე პატარა კვირი-კე ტიროდა და ცდილობდა ჯალათებს ხელიდან დასხტომოდა. ბავშ-ვის სილამაზემ მმართველიც კი მოხიბლა, თავისთან მიაყვანინა და მოფერება დაუწყო. მაგრამ პატარა ვერაფრით დაამშვიდეს — ალექსანდრეს სახეს უკანრავ-და და კვლავ დედისკენ მიიწე-და, თან გაიძახოდა — „მეც ქრისტიანი ვარ!“ განრისხებულმა ალექსანდრემ კვირიკეს ხელი მო-ჭვიდა და მიწაზე დაანარცხა, შემ-დეგ კი ფეხი წაჭრა. ბავშვი კი-ბიდან დაგორდა და სული უფალს შეჰვედრა...

როდესაც ივლიტამ შვილის აღსასრული იხილა, მადლობა შესწირა უფალს. ამან კიდევ უფრო განარისხა ალექსანდრე და ბრძანება გასცა — ივლიტას წამება გაეგრძელებინათ. მტარ-ვალებმა რკინის წვერბასრი იარ-ალი მოიტანეს და იმით დაუწ-ყეს სხეულის გვემა, ჭრილობებ-ში კი, ცხელ ფისს ასხამდნენ. მმართველი დროდადრო მიმა-რთავდა ივლიტას, რომ დაენ-დო თავისი ყმაწვილქალობა და მსხვერპლი კერპებისთვის შეენირა, მა-გრამ ის მტკიცედ იცავდა თავის რწმე-ნას და პასუხობდა: „მე მხოლოდ ჩემს უფალს, იესო ქრისტეს ვეთყავანები...“ ბოლოს, ალექსანდრემ, ივლიტას თავის მოკვეთის ბრძანება გასცა. ვიდრე ბრძა-ნებას სისრულეში მოიყვანდნენ, მონამემ ლოცვისთვის მცირე დრო ითხოვა. მას თხოვნა შეუსრულეს. ივლიტა მუხლებზე დაეცა და უფალს შეჰლაღადა: „მად-ლობით შენ, უფალო, რამეთუ ჩემს ძეს უწინარეს ჩემსა მოუ-ნოდე და ამას მინიერი ცხ-ოვრების წინ საუკუნო სუფე-ვა დაუმკვიდრე, ან შეივედრე სულიც ჩემი უღირსისა მხე-ვლისა შენისა და ღირს მყავ ბრძენ ქალწულთა თანა შესე-ვლად ქორწილისა მას დაუს-რულებელსა“.

ლოცვის დასრულებისთა-ნავე, ივლიტას თავი მოკვეთეს. შემდეგ, წმინდა მონამეთა (კვირიკეს და ივლიტას) ცხედრები ქალაქ-გარეთ გაიტანეს და მხეცვებს საჯიჯგნად მიუყარეს. ღამით, მათი წმინდა ცხედრები ქრისტიანებმა მოიპარეს და უსაფრთხო ადგილას დაკრძალეს.

წმინდა კვირიკეს და ივლიტას ნან-ილები მოციქულთა სწორის — კონ-სტანტინე დიდის ზეობისას, V საუკუნე-ში, სამარხიდან ამოაბრძანეს და კონ-სტანტინოპოლის მახლობლად დაარსე-

ბულ, კვირიკესა და ივლიტას სახელო-ბის მონასტერში დააბრძანეს.

როგორც აღვნიშნეთ, წმინდა კვირი-კეს ხელის მტევანი საქართველოში ინ-ახება. ეს უდიდესი ქრისტიანული სინ-მინდე, ამჟამად, ზუგდიდის ისტორი-ულ მუზეუმშია დაცული. იგი სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად, ვერცხლით მოჭედ-



ილ პატარა ზომის ლუსკუმშია ჩაბრძა-ნებული, რომელიც სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის დაკვეთით დაუმზადებიათ. ლუსკუმას მხედრული წარწერა ამშვენებს. წმინდა კვირიკეს ხელის მტევანთან ერთად, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა გიორგის წვივის ძვალი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძვალი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის

სამეგრელოში — ჯუზეზე მარია ძამპი, რომში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენება-ში, როდესაც ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში არსებულ სინმინდე-ებს აღწერს, აღნიშნავს: „ამ ხალხს ბევ-რი რელიკვია აქვს, რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ, საქართველოში ქრისტიანობა ყვაო-და (V საუკუნეში) და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერა-ტორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიკვიას უგზავნიდ-ნენ საჩუქრად. შემდეგ, ეს რე-ლიკვიები მიიღეს აგრეთვე, ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდი-ლობდნენ, ეს ხალხი ღვთის-მოსაობაში განემტკიცებინათ. და ბოლოს, რელიკვიები მი-იღეს იმ წმინდა მამათაგან, რომლებიც თურქეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, მაჰმადიანთა ტირა-ნიისგან თავის დასაღწევად, სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყ-ნებში“... ეს უკანასკნელი, XV საუკუნეში, კონსტანტინოპო-ლის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ (1453წ.) მოხდა. არსე-ბობს მოსაზრება, რომ იმ პე-რიოდში, თურქთაგან შევი-წროებული წმინდა მამები მათ რისხვას გამოერიდნენ და თან წამოიღეს კონსტანტინოპოლში არსებუ-ლი ქრისტიანული სინმინდეები, რათა ისინი უსჯულოებს არ ჩავარდნოდან დათ ხელში და არ გაენადგურებინათ. რო-გორც აღვნიშნეთ, წმინდა მამები სხვა-დასხვა ქვეყანაში გაიხიზნნენ, მათ შორის იყო საქართველოც. სწორედ საქართველოში მოხვედრილ წმინდა მამებს ჩამოუტანიათ ღვთისმშობლის კვარ-თი, წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი და სხვა სინმინდეები.

P.S. წმინდა კვირიკე და ივ-ლიტა საქართველოში ძველთა-განვე უდიდესი და გამოჩენილ-ლი სიყვარულით სარგებლობდ-ნენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ივლისის თვეს, კვირი-კობის თვეს უწოდებდნენ. წარ-სულში, საქართველოში წმინ-და კვირიკეს და ივლიტას სახ-ელობის მრავალი ეკლესია აიგო. რამდენიმე წლის წინ კი, მათ რიგს კიდევ ერთი — საბურ-თალოს წმინდა კვირიკეს და ივლიტას ტაძარი შეემატა, სადაც ყოველკვირულად (ოთხშაბათობით), პარაკლისი აღევლინება. წმინდანები ბავშვების მფარველებად არიან მიჩნეულნი, ამიტომ, პარაკლისე-ბზე დასასწრებად, ბავშვებიც მიჰყავთ და წმინდა კვირიკეს და ივლიტას მათ შემწეობასა და მეოხებას შესთხოვენ.

წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი



სარტყლის ნაწილი და კვართი (პერან-გი). ეს სინმინდეები 1923-36 წლებში გადაუბრძანებიათ მუზეუმში. მანამდე, ისინი ხობის ღვთისმშობლის მიძინებ-ის ეკლესიაში ინახებოდა.

წმინდა კვირიკეს ხელის მტევნისა და ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაც-ული სხვა სინმინდეების საქართველოში მოხვედრის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. თეატინელთა მისიის პრეფექტი



# კურორტები

## რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

საკურორტო სეზონი უკვე დაიწყო და ყველა ოჯახში აქტიუ-ალურია საკითხი — სად დავისვენოთ? რომელი კურორტი მოუტანს მეტ სარგებლობას ჩვენს ჯანმრთელობას? როგორი ჰავა მოუხდება ამა თუ იმ ქრონიკული პათოლოგიის დროს ჩვენს ორგანიზმს? ამჯერად, ზღვის სანაპიროს და მთის კლიმატურ კურორტებზე გიამბობთ.

### ზღვის სანაპირო კურორტები

ქობულეთი აჭარაში მდებარეობს. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ზომიერად თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავა, რომელსაც დღე-ღამის და სეზონების ტემპერატურის თანაბარი რხევები, ინტენსიური, სისტემატური ზღვის ბრიზები ახასიათებს. ბანაობის სეზონია მაისი-ოქტომბერი.

ურეკი ოზურგეთის რაიონში მდებარეობს. განთქმულია მაგნიტური ქვიშით, რომელსაც ძვალ-სახსროვანი სისტემით დაავადებული ბავშვებისთვის სამკურნალო დანიშნულება აქვს.

ანაკლია ზუგდიდიდან 30კმ-ის დაშორებით მდებარეობს, მისი სამკურნალო ჩვენებები იგივეა, რაც შავი ზღვის სანაპირო კურორტებისთვის.

### მთის კლიმატური კურორტები

მათ რიცხვში, უმთავრესად სასუნთქი გზებით დაავადებულთა სამკურნალო კურორტები შედის. აღნიშვნის ღირსია, ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო კურორტები:

**ლიკანი** — ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე, ზღვის დონიდან 1368 მეტრზე მდებარეობს. იქ უმეტესად ნათელი, მზიანი დღეებია. ჰავა ზომიერად ნესტიანია, არის წინვოვანი ტყეები. მკურნალობა მთელი წლის განმავლობაშია ნებადართული.

**აბასთუმანი** ბორჯომიდან 75 კმ-ის მოშორებით, აჭარა-იმერეთის ხეობაში, ზღვის დონიდან 1250-1600 მეტრზე მდებარეობს. კურორტი ხასიათდება მთის ჰავით. ზაფხული მშრალი და გრილია, ზამთარი — მცირეთოვლიანი. მკურნალობა მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

ამ კურორტებზე, ფილტვის ტუბერკულოზის ღია და დახურული ფორმის დაავადებულები ისვენებენ, თან მკურ-



ნალობენ.

**კოჯორი** თბილისიდან 18 კმ-ის მოშორებით, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მდებარეობს. კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მთის ჰავა, რომელიც განსაკუთრებით, მოზარდთა ჯანმრთელობაზე მოქმედებს. აქ იმ ბავშვებს გზავნიან, რომელთაც აქვთ:

- ბრონქადენიტი;
- ლიმფადენიტი;
- ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი;
- ბრონქული ასთმა;
- ჰიპოქსოზული ანემია;
- რაქიტი;
- ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობები.

ამავე პათოლოგიებს უხდება თბილისის ირგვლივ მდებარე სხვა კურორტებიც. **მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ტაბახმელა, შინდისი, ოქროყანა.**

### სად დაისვენოს მომავალმა დედამ?

ორსულობის პერიოდში, ქალს დასასვენებელი ადგილის შერჩევას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს — გარემო პირობები უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ესთეტიკურ და სულიერ მოთხოვნებს, არამედ, ის ერთნაირად სასარგებლო უნდა იყოს დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობისთვისაც.

არსებობს საუკუნეებით გამოცდილი ოქროს წესი — დასასვენებლად ისეთი ადგილი უნდა შეარჩიოთ, სადაც თქვენთვის ჩვეულებრივ კლიმატურ პირობებია. კლიმატის შეცვლამ, უჩვეულო საკვებმა და სასმელმა, შეიძლება ცუდად იმოქმე-

დოს თქვენს ჯანმრთელობაზე.

### გავირუჯოთ თუ არა?

ორსულთათვის მზის სხივების სიჭარბეც და უემარისობაც თანაბრად არასასურველია.

ჩვენს კურორტებზე მზე საკმაოდ აგრესიულია. სამხრეთის ქვეყნებში — კიდევ უფრო მეტად: ეს კი, ბუნებრივია, ერთიორად ტვირთავს ორსულის ისედაც გადატვირთულ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებს. შედეგად, შეიძლება გადახურდეთ და გულიც კი წაგივიდეთ.

გარდა ამისა, მზეზე დიდხანს ყოფნამ შეიძლება შინაგანი სისხლდენა ან პიგმენტური ლაქები გამოიწვიოს, ამიტომ ორსულებს მზეზე გარუჯვას არამც და არამც არ ვურჩევთ.

მეორე მხრივ, მზის სხივების ნაკლვანება D ვიტამინის დეფიციტს იწვევს — მისი ძირითადი მარაგი ხომ ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისას კანში წარმოიქმნება. ხოლო D ვიტამინის ნაკლებობას დაქანცულობა, კბილების დემინერალიზაცია, კარციისა და ოსტეოპოროზის სწრაფი ჩამოყალიბება, მენჯის ძვლების და კუნთების ტკივილი მოჰყვება. ასე რომ, მზე საჭიროა, მაგრამ შეზღუდვით.

### პრაქტიკული რჩევები

- მზეზე გასვლა სასურველია შუადღისას 12 საათამდე და საღამოს 16-17 საათის შემდეგ.
- მზეზე აუცილებლად მზის ქუდი-თა და სათვალე-თა გამოყენება.
- სანამ თქვენი პატარა ქვეყნიერებას არ მოველინება, დაივიწყეთ სოლარიუმი, აბანო და საუნა.

### ბანაობის შესახებ

ცურვა ორსულის ორგანიზმს უმეტესად რგებს. ამ დროს უმჯობესდება სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა და კუნთოვანი სისტემების მუშაობა.

წყალში მოძრაობა ადვილია, რადგან მომატებული წონის შეგრძნება იკარგება. ყურადღებით შეარჩიეთ საბანაო ადგილი — არ იბანოთ წყალსატევებში (არც ბუნებრივსა და არც ხელოვნურში). უმჯობესია, ზღვაში ან აუზში გაგრილდეთ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ორსულთათვის არც ზღვაში ან აუზში ცურვა ნებადართული, სახელდობრ მამინ, როცა გაქვთ:

- საშვილოსნოს ყელის ეროზია;
- სისხლდენისკენ მიდრეკილება;
- ორსულთა ტოქსიკოზი;
- რომელიმე ინფექცია.

### რით ვიმგზავროთ?

ორსულობის ადრეულ პერიოდში, როცა შორ მანძილზე გამგზავრება საჭირო, თვითმფრინავი განსაკუთრ-

ბით მოსახერხებელია, მაგრამ აფრენისა და დაფრენის დროს, წნევის მკვეთრმა ცვლილებამ, შეიძლება მდგომარეობის გაუარესება, სისხლდენა, პლაცენტის მოცილება და ნაადრევი მშობიარობაც კი გამოიწვიოს.

მატარებლის უპირატესობა ის არის, რომ იქ შეიძლება გაიარ-გამოიაროთ, მაგრამ მეორე მხრივ, ხანგრძლივი ხმაური, ვიბრაცია — მგზავრობას დამლ-ლელს და აუტანელს ხდის.

ავტომობილში უსათუოდ უკანა სავარძელზე მოთავსდით, ის უფრო უსაფრთხოა. ზურგი რომ არ გეტკინოთ, ბალიში ამოიდეთ. ავტომობილი

დროდადრო შეაჩერეთ, გადმოდით და გაგრილდით.

ავტობუსით ხანგრძლივი მგზავრობისაგან კი, აჯობებს თავი შეიკავოთ, რადგან ძალზე დამლელია — ხშირად გარყევთ, თანაც სუფთა ჰაერზე პერიოდულად გადმოსვლას ვერ შეძლებთ.

დაბოლოს, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

● თუ ყველაფერი რიგზე გაქვთ, მგზავრობა საშიში არ არის.

● მგზავრობისთვის ოპტიმალური ვადაა ორსულობის მეორე ტრიმესტრი (მესამედი). პირველ და ბოლო თვეებში უმჯობესია, უარი თქვათ ხანგრძლივ,

დამლელ მგზავრობაზე.

● გამგზავრებამდე ექიმს უთუოდ სთხოვეთ კონსულტაცია.

● თუ ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობს, მე-20 კვირამდე მგზავრობა ნებისმიერი ტიპის ტრანსპორტითაც შეიძლება.

● 26-28 კვირის შემდეგ, თვითმფრინავით მგზავრობა სასურველი არ არის, ხოლო 36-ე კვირის შემდეგ — არც სხვა ტრანსპორტით.

**გასსოვდეთ:** სრულფასოვანი და ჯანსაღი დასვენება თქვენი და თქვენი პატარის ჯანმრთელობის საწინდარია.



### თუ გახლომა გსურთ...



რამდენიმე ბრიტანულმა გაზეთმა ერთდროულად დაბეჭდა ინფორმაცია გახდომის ახალი მეთოდის შესახებ, რომელიც ლონდონში საოცარი სისწრაფით იკიდებს ფეხს.

ქალაქის ლამის ყოველ კუნჭულში

გაიხსნა ჰიპოქსიის ცენტრი, სადაც რამდენიმე ათას გირვანქა სტერლინგად შეგებლებათ, კვირაში სამჯერ, თითო საათით ისუნთქოთ გაიშვი-ათებული ჰაერი და შეიგრძნოთ მაღალი მთის კლიმატი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ხსენებული ხერხი მხოლოდ ზოგიერთისთვისაა ახალი, ზოგმა კი (მაგალითად, სპორტსმენებმა), კარგა ხანია იცის, რაოდენ ეფექტურია გაიშვიათებულ ატმოსფეროში ვარჯიში. ასეთ გარემოში, გული იწყებს სისხლის გაძლიერებულ ქაჩვას და ეს, თავის მხრივ, ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს, მაღლა სწევს ჰემოგლობინის დონეს და კუნთოვანი ტონუსის ნორმალიზებას ახდენს.

თუმცა, ამ მეთოდსაც ჰქონია გვერდითი ეფექტი — თუ უანგზადის შემცველობა მხოლოდ 10 პროცენტია (ეს კი, ნორმაზე გაცილებით ნაკლები გახლავთ), ადამიანი წონის ინტენსიურ კლებას იწყებს.



### კიბოს 9 მიზეზი

ერთ-ერთმა წამყვანმა სამედიცინო ჟურნალმა „ლანცეტმა“ გამოაქვეყნა თანამედროვე გამოკვლევის მონაცემები, რომელთა თანახმად, კიბოთი ავადობის შემთხვევათა მესამედი არარაციონალურ კვებასა და ჭარბ წონას უკავშირდება. გარდა ამისა, კიბოს გამომწვევ მიზეზთა შორის, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიგარეტის მოწევა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება. ჯანსაღი ცხოვრების წესს კი შეუძლია, იმ გენთა გავლენის ნეიტრალიზება, რომლებიც ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებისადმი წინასწარგანწყობას იწვევს. თავის მხრივ, გარემოს დაბინძურებამ და მავნე ჩვევებმა შეიძლება გამოიწვიოს გენეტიკური ცვლილებები, რომლებიც ჩვენს შთამო-

მავლობას გადაეცემა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კიბოთი სიკვდილიანობის 35% განპირობებულია რისკის 9 ფაქტორით, რომელთა შორისაა: სიმსუქნე, ფიზიკური აქტიურობის დაქვეითება, ხილითა და ბოსტნეულით ღარიბი დიეტა, ალკოჰოლი, დაბინძურებული ჰაერი, თავისუფალი სექსი და დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტები. რისკ-ფაქტორთა შორის კი, ლიდერობს სიგარეტი და ალკოჰოლი, რომლებიც მამაკაცთა ავადობის უმთავრეს მიზეზებს წარმოადგენს. ქალები ხშირად ხდებიან პაპილომის ვირუსის მსხვერპლნი. ეს ვირუსი სქესობრივი გზით გადაედება და საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოქმნას იწვევს.



### მოაკვალი თაობა ახლომხედველი იქნება

რუსეთის წამყვანმა ოფთალმოლოგებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში, 1-1,5 დეკადამდე ხარისხის ახლომხედველობა, შეიძლება ნორმად იქცეს.

მათი თქმით, უფალს თვალები ახლო მანძილზე სამუშაოდ არ შეუქმნია. ჩვეულებრივ პირობებში, ადამიანმა ინფორმაციის 20% არცთუ ისე შორი მანძილიდან უნდა მიიღოს, დანარჩენი 80% კი, საშუალო და შორეული დისტანციიდან.

წერილების, წიგნების, ტელევიზორის,



კომპიუტერის, ხელოვნური განათების გამოგონების უმეტეს ნაწილს, ახლო მანძილიდან ვიღებთ და ამის გამო თვალის დატვირთვა მტკიცემეტად დიდია.

როგორც თვალის დაავადებათა კლინიკის დირექტორმა აღნიშნა, მცირე ხარისხის ახლომხედველობა ორგანიზმის თავისებური საკომპენსაციო რეაქციაა. ამ ადაპტაციური მექანიზმის ჩართვა, ახლო მანძილზე მდებარე საინფორმაციო წყაროსთან ხანგრძლივი მუშაობის ჩვევამ გამოიწვია.





### სოფო ჭონიჭვილი

— თითქმის ყოველ დღით მ საათზე ვიღვიძებ და ვიღებ შხაპს. ყოველდღიურად ვცდილობ, რაც შეიძლება ბუნებრივად გამოვიყურებოდე, არ მიყვარს ზედმეტად გამომწვევი ტანსაცმლის ჩაცმა, რადგან მინდა, შეუმჩნეველი ვიყო. ამიტომაც, ჩემი მეგობრები მესუბრებიან ხოლმე — შენ ნამდვილი სისადავე ხარო.

— დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს არ აკეთებ ხოლმე?

— საერთოდ, მთელი ცხოვრება ვვარჯიშობ და ვცდილობ, სპორტული ცხოვრებით ვიცხოვრო, მაგრამ ამას მარიაჟობის გამო არ ვაკეთებ — ყოველ დღით აუზზე მივდივარ, აკვა ვარჯიშებს ვაკეთებ. ბოლო დროს, საკუთარ თავს მკაცრად აუჯვრისაღე მანქანით სიარული — ვგრძნობ, რომ მანქანამ საშინლად გამაზარმაცა. დღით ადრე, მეგობრებთან ერთად ქუჩაში გავდივარ და ფეხით ვსერილობთ. თუ კარგ ხასიათზე ვარ, ხანდახან „დაფუქნა“ კიდევ.

— როცა სადმე წასვლას აპირებ, ბევრს ფიქრობ — რა უნდა ჩიცვა?

— საერთოდ, ვცდილობ, სიტუაციიდან გამომდინარე ჩავიცვა, ამიტომ ამაზე საკმაოდ დიდხანს ვფიქრობ.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებ?

— მკვეთრ მაკიაჟს მარტო კონცერტის ან კლიბის გადაღების დროს ვიკეთებ. ყოველდღიურად კი, მხოლოდ ტუჩის უფერულ საცხს ვხმარობ, რომლის გარეშე სახლიდან თითქმის არასდროს გავდივარ.

— სახის კანს მოვლის რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი თუ გაქვს?

— ბავშვობიდანვე ვაცნობიერებდი, რომ სახის კანს ქალმა ყურადღება უნდა მიაქციოს. მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურად საკმაოდ კარგი კანი მაქვს, თინეიჯერობის ასაკიდანვე დავიწყე სახის კანზე ზრუნვა — 16-17 წლიდან მოყოლებული, დღემდე მკვებავ კრემს ვხმარობ.



ჩვენი არანორმალური მუშაობის გრაფიკიდან გამომდინარე, დასვენება მართლაც მჭირდება

„ჩემი დევიზია ვიყო ძალიან ბუნებრივი, როგორც შინაგანად, ასევე ვიზუალურად“, — მისხრა ჯგუფ „რონდოს“ წევრმა ლელა ოთარაშვილმა, რომელისთვისაც მთავარი საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. მას არ უყვარს გამომწვევად ჩაცმა და ცდილობს, სისადავე, ბუნებრიობა ყოველთვის და ყველგან შეინარჩუნოს.

## ლელა ოთარაშვილის სუსტი წერტილი

— ოცნებად ქსეული თადლისფერი თვალები და 50 წყვილი საყურე „ყოველ დღით აუზზე სიარულმა ხანი საშინლად გამომიშრო“

— რა ფირმის კრემს იყავი?

— ჩემმა კანმა, ძვირად ღირებული კრემები და ნიღბები რატომღაც ვერ მოხდინა, მაგრამ მათ მაინც ვყიდულობ. მყავს საკუთარი კოსმეტოლოგი, რომელიც სპეციალურ კრემს მიმზადებს. ადრე, მარტო ლამის მკვებავ კრემს ვხმარობდი. ახლა კი, დღის კრემის გამოყენებაც დავიწყე.

— ბუნებრივ ნიღბებს არ იკეთებ ხოლმე?

— ბუნებრივი ნიღბების გაკეთებას ხშირად ვერ ვახერხებ, რადგან ის დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ როცა დრო მაქვს, მაშინ მჭადის ფევილის, მაიონეზისა და მანენის ნიღბებს ვიკეთებ. წელიწადში ორჯერ კოსმეტოლოგთან მივდივარ და მთელი პროცედურების გავლით, სახის კანს ვისუფთავებ.

— ტანის სურნელოვან ლოსიონს არ იყენებ?

— ყოველ დღით აუზზე სიარულმა, ქლორიანმა წყალმა, კანი საშინლად გამოიშრო და დამიჭიმა. აუზიდან ამოსვლისას ხელების გაზაფხუვ კი მიჭირს ხოლმე. ამიტომ სპეციალურ ტანის ლოსიონს ვხმარობ, რომელსაც დამარბილებელი ეფექტიც აქვს.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— იყო პერიოდი, როცა თმის დასავარცხნად სალონში სისტემატურად დავდიოდი, მაგრამ ახლა, ამისგან თავს ვიკავებ, სტილისტებს მხოლოდ მაშინ ვაკითხავ, როცა კონცერტისთვის ვმზადდები. საერთოდ, თმას ძალიან ვუყვლი და ვუფრთხილდები, რადგან ვფიქრობ, რომ ქალი თმით და სახის კანით ფასდება და არა იმით, თუ როგორი ტანსაცმელი აცვია. ხშირად, საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ვატარებ — ყველანაირი

ვარცხნილობა მქონია. ერთხელ თმა „ნულ-ზეც“ კი დავიყენე.

— მასსოფს, ერთი პერიოდი დახვეული თმა გქონდა...

— ქიმიური დახვევა 3-ჯერ გავიკეთე და მინდა გითხრა, რომ ის, რაც არ უნდა მალახარისხიანად გაგიკეთონ, თმას მაინც საშინლად წვავს. საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შამპუნს ხმარობ. ამიტომ მასში ფული არასოდეს დამანებია.

— რა შამპუნს ხმარობ?

— ძირითადად, გერმანულ შამპუნებს ვიყენებ... ისე, თუ შინაგანად ჯანმრთელი ხარ, თმაც ჯანმრთელია.

— თმაზე ნიღბებს არ იკეთებ?

— როცა ქიმიისგან თმა საშინლად დაზიანებული მქონდა, მაშინ სისტემატურად, ყოველი დაბანის წინ ნიღბს ვიკეთებდი — აბუსალათინის ზეთის და მაიონეზის ნიღბებს ერთმანეთს ვუნაცვლებდი. თმის ცველის შესაჩერებლად ძალიან კარგია „გაქყელტილი“ ნიერის ნასმა, რომელიც მართალია არასასიამოვნო პროცესია, მაგრამ შედეგი ნამდვილად აქვს.

— თმას ხშირად იღებავ?

— ჩემი თმის ბუნებრივი ფერი მუქი ნაბლისფერია. ახლა ცოტა გავიღიავე — ლია ნაბლისფერ ტონში გადავიყვანე. თმას წელიწადში სულ 2-ჯერ ვიღებავ ხოლმე.

— მანიკურს და პედიკურს შენ თვითონ იკეთებ თუ სალონში მიდიხარ?

— თვითონ ვიკეთებ, რადგან სალონში ჯდომის ნებისყოფა არ მაქვს — სკამზე დიდხანს ვერ ვჯდები, ვერ ვისვენებ და სტილისტებს „ვაგიჟებ“ ხოლმე. ძალიან მიყვარს ფერმკრთალი მანიკური, პედიკური კი — შედარებით მუქი.

— სასცენო გრიმსაც შენ თვითონ იკეთებ?

— არა, მყავს სტილისტი, რომელსაც თვალდახუჭული ვწვდობი.

— სარკის წინ ტრიალი გიყვარს?

— თუ სადმე განსაკუთრებულ ადგილზე მივდივარ, სარკის წინ დიდხანს მაშინ ვტრიალებ ხოლმე. ისე, ჩვეულებრივ დღეს, მხოლოდ სახლიდან გასვლისას და მანქანაში ჩაჯდომისას ვიხედები — სულ გადარბენაზე ვარ და ამისთვის ვერ ვიცლი.

— როგორია შენი ჩაცმის სტილი?

— საერთოდ, ძალიან მომწონს, როცა ადაპინის გემოვნებით აცვია. ყველანაირი

სტილი მიყვარს, რადგან ნებისმიერ სამოსს უპრობლემოდ ვიხდენ.

— უფრო ხშირად, რა ფერის ტანსაცმელს იცვამ?

— ჩემს გარდერობში ყველაფერი ფერის ტანსაცმელია, მაგრამ ამ ბოლო დროს შევამჩნიე, რომ ჩემი საზაფხულო ბლუზების უმეტესობა ვარდისფერი და სალათისფერია. ისე, ტანსაცმლის ფერს ხასიათის მიხედვით ვირჩევ — ხან ისეთ ხასიათზე ვარ, მირჩევნია, მუქი ფერები ჩავიცვა, ხან კი, ისეთი მხიარული და ბედნიერი გახლავართ, რომ ეს ჩაცმაც მტყუბობა — აჭრელებული ვარ ხოლმე (იცინის).

— სამკაულებს ყოველდღიურად ატარებ, თუ მხოლოდ გამოსასვლელ დღეებში?

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად საყურეებზე ვფიქრობ — ეს ჩემი სუსტი წერტილია. ძალიან ბევრი განსხვავებული დიზაინის ბეჭედი მაქვს. ყელსაბამებიც მომწონს, მაგრამ იმის გამო, რომ საყურეს ყოველთვის ვატარებ, ყელსაბამის გაკეთება უკვე ზედმეტად მიმაჩნია.

— სამკაულებს სად ყიდულობ ხოლმე?

— ძირითადად, საზღვარგარეთ. საყურეების ძალიან დიდი კოლექცია მაქვს. ახლა, ჰოლანდიიდან 50 წყვილ საყურეს ველოდები — მეგობარი მიგზავნის. ეს ამბავი ძალიან მიხარია და „პასილკას“ სულ-მოუთქმელად ველოდები.

— თვალის ლინზები თუ გარმოცემა რაზე უფრო ადვილად მოგიხდება?

— რატომღაც ყოველთვის მინდოდა, რომ თაფლისფერი თვალები მქონოდა. მთელ ჩემს საგვარეულოს ასეთი ფერის თვალი აქვს, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც მე გამომყვა ყავისფერი თვალები. მიუხედავად ამისა, ლინზების გაკეთების სურვილი არასდროს გამჩენია. უპირატესობას ბუნებრიობას ვანიჭებ და თავს ზედმეტი რალაცებისაგან ვიკავებ.

— შესს გარეგნობაში რაიმეს შეცვლა თუ გიფიქრია?

— არა, არასდროს მიფიქრია, თუმცა, პლასტიკურ ოპერაციებს მიფიქრობდი. თუ ქალს საკუთარ გარეგნობაში რაღაც არ აკმაყოფილებს, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბედნიერი გახდეს, თავი ნამდვილ ქალად იგრძნოს. კურიოზია, მაგრამ ხშირად მეხვეწებიან: გეთხარა, ცხვირის ოპერაცია ვისთან გაიკეთო (იცინებს).

— იმიჯის შეცვლას ხშირად ცდილობ?

— ერთი და იგივე რალაცები ხშირად მბეზრდება, ყოველთვის ახლის და პარგის ძიებაში ვარ. ასევე, ვცდილობ, სიახლეები შევიტანო საკუთარ გარეგნობაშიც: ძირითადად, იმიჯის შეცვლას ვარცხნილობით ვახერხებ. ჩემი ცხოვრების დევიზია — ვიყო ძალიან ბუნებრივი, როგორც შინაგანად, ასევე ვიზუალურად.

— ამ ზაფხულს დასვენებას სად აპირებ?

— ძალიან მინდა აჭარაში წასვლა, რადგან ჩვენი არანორმალური მუშაობის გრაფიკიდან გამომდინარე, დასვენება მართლაც მჭირდება. იმედია, ამას მოვახერხებ.

# ანჯელინა ჯოლი დენიელ პეტლჯი გადაღმრთული ტელევიზიის იტალიაში



ბრიტანელი რეჟისორი მაიკლ უინტერ-ბოტომი ახალი ფილმის — „ძალგულოვანი“ — გადასაღებად ემზადება. სურათი მოგვითხრობს ამერიკელი ჟურნალისტის (Wall Street Journal-ის ბიუროს ხელმძღვანელი სამხრეთ აზიაში) დენიელ პეტლჯის ტრაგიკულ აღსასრულზე. დენიელ პეტლჯი, 2002 წლის იანვარში, კარაჩში (პაკისტანი) ექსტრემისტების ისლამური დაჯგუფების წევრებმა ტყვედ აიყვანეს. ექსტრემისტებმა მას ბრალი დასდეს აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობაში და მოგვიანებით თავი მოჰკვეთეს. 38 წლის ჟურნალისტის ცხედარს იმავე წლის ზაფხულში მიაგნეს და აშშ-ში გადაასვენეს.

ფილმს საფუძვლად დაედო ჟურნალისტის მეუღლის — მარიან პეტლჯის მე-მუარევი, რომელშიც აღწერილია ის ტანჯვა-წამება, რომლის გადატანაც მას ქმრის ხანგრძლივი ძიებისას მოუხდა. მარიან პეტლჯის როლს სურათში ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი შეასრულებს. „ძალზე მოხარული ვარ, რომ ჩემივე წიგნის მიხედვით გადაღებულ ფილმში, ჩემს როლს ანჯელინა ჯოლი იტალიაში იტალიაში, — თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას მარიანმა. — აღფრთოვანებული ვარ ამ მსახიობის შემოქმედებით და იმ საქმიანობით, რომელსაც ის გაეროს სამშვიდობო მისიის ელჩის რანგში ეწევა“.

მაიკლ უინტერბოტომი გახლავთ რეჟისორი სამხედრო თემაზე გადაღებული ისეთი გახმაურებული ფილმებისა, როგორებიცაა: „კეთილ იყოს თქვენი მობრძანება სარაევოში“ და „გზა გუანტანამოსკენ“.

ფილმ „ძალგულოვანი“ ნათამაშები როლი 31 წლის ჯოლისთვის პირველი ნამუშევარი იქნება, რომელსაც ის ბავშვის გაჩენის (2006 წლის 27 მაისი) შემდეგ შეასრულებს. ანჯელინას მეგობარი და მისი შვილის მამა, 42 წლის ბრედ პიტ კი, ამ ფილმის პროდიუსერად მოგვევლინება. სურათის გადაღება ერთ თვეში დაიწყება.

## ჯასტინ ტიმბერლეიკმა პოპულარობა ატარებს



ამერიკელმა მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ პოპულარობა არ ხიბლავს, რადგან ამის გამო, ის გოგონებთან ნორმალურ ურთიერთობას მოკლებულია. პიტის — Cry Me A River-ს შემსრულებელი და ჰოლივუდის კინოვარსკვლავ კამერონ დიასის ბოიფრენდი მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარულია და მას თითქმის ყველგან და ყოველთვის ცნობენ. მომღერალი მისტირის იმ დროს, როცა მართალია, ნაკლებად პოპულარული გახლდათ, მაგრამ ქალებთან ნორმალურ ურთიერთობას მოკლებული არ იყო. „შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საპირისპირო სექსის წარმომადგენლებთან ადამიანურად გამოლაპარაკებასაც ვერ ვახერხებ. ჩემს დანახვაზე მათ საოცარი რეაქცია აქვთ, მოდიან და სხეულზე ხელით მეხებიან, თითქოსდა თვალს არ უჯერებენ, რომ მათ წინ ჩვეულებრივი, ხორციელი ადამიანი დგას, — ამბობს ბრიტნი სპირსის ყოფილი საქმრო. — მართალია, მათი ასეთი ქმედება აღმაფიქრებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საშინლად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები“.

მოკლე ხანში მომღერალს მსოფლიო ტურნე ელის წინ, რომლისთვისაც ის საკმაოდ სერიოზულად ემზადება. მაგრამ, როგორც ჩანს, ხანდახან არც განტვირთვაზე ამბობს უარს. ამას წინათ, ჯასტინი კამერონთან ერთად ლონდონის ცნობილ რესტორანს — Nubus — ესტუმრა, სადაც მათ თავდავიწყებით მოიხსინეს და ზომამზე მეტადც გამოთვრნენ. როცა გვარიანად შეზარხოშებული წყვილი რესტორნის უკანა გასასვლელიდან ბანცალით გამოვიდა, სათადარიგო კართან ჩასაფრებულ პაპარაცებს გადააწყდა. ფოტოგრაფებთან მოულოდნელი შეხვედრით დაბნეულმა ვარსკვლავურმა წყვილმა სახეზე ჩვეულებრივ, სერიოზული გამომეტყველების აღებჭვავა ვერ მოასწრო და კამერების წინ მთელი „მშვენივით“ წარდგა.





### პოლ მაკარტინი ძველმოდურად მითდინი გაუცტყა

საქველმოქმედო სადილმა, რომელსაც ორგანიზაცია Adopt-A-Minefield ყოველწლიურად მართავს, ამჯერად ყოფილი „ბიტლზის“ მონაწილეობის გარეშე ჩაიარა. პოლ მაკარტინი უარი თქვა საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობაზე, რადგან მის ორგანიზატორებს უშუალო

კავშირი აქვთ მის ცოლთან, ჰიზერ მილზთან, რომელთან გაყრაც მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, გასულ წელს პოლ მაკარტინი „ჰიზერის ორგანიზაციას“ 3.060.000 დოლარის მოგროვებაში დაეხმარა. საქველმოქმედო ორგანიზაციამ ეს თანხა მთელ მსოფლიოში ქვეითსანიანალმდეგო ნაღმების გამოყენებასთან ბრძოლას მოახმარა. „კომპანია Adopt-A-Minefield-ს ყოველმხრივ მხარს ვუჭერ იმ რთულ საქმეში, რომელსაც ის ემსახურება, მაგრამ ამჯერად, ამ ღონისძიებას ვერ დავესწრები“, — ნათქვამია პოლ მაკარტინის ოფიციალურ განცხადებაში. ერთ-ერთი სანდო წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, ისეთი-მა საქვეყნოდ სახელგანთქვლმა ადამიანებმა, როგორებიც არიან: მაიკლ დუგლასი, ჯეკ ნიკოლსონი და ორლანდო ბლუმი საქველმოქმედო საღამოს ბილეთებში 900-900 დოლარი მხოლოდ იმიტომ გადაიხადეს, რომ ლეგენდარული მუსიკოსის კონცერტს დასწრებოდნენ.

### ჯესიკა სიმფსონის სადნებო მამაკაცი

მომღერალმა და მსახიობმა ჯესიკა სიმფსონმა ჟურნალისტთან საუბრისას გულწრფელად აღიარა, რომ ნიკ ლეინთან განქორწინების გადატანა ბრედ პიტზე ოცნებამ შეუშუსუბუქა. ფილმის — „შაზარდელი შერეილები“ — ვარსკვლავი გამოტყდა, რომ მას ბრედ პიტი განსაკუთრებულად ესიმპათიურება სურათში — „მებრძოლთა კლუბი“. „ამ ფილმის ყურებისას აშკარად ვგრძნობდი, რომ ბრედის დანახვაზე განქორწინებით გულდამძიმებულს სევდა და ტკივილი მიმსუბუქებოდა, — ამბობს ჯესიკა. — ბრედი იმდენად მომწონს, რომ ამქვეყნად მასზე უკეთესი არავინ მეგულება. ვოცნებობ მის სრულყოფილ სხეულზე“.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, მაშინ როდესაც ჯესიკა სიმფსონი თავდავინყებით ოცნებობდა ბრედზე, მისმა ყოფილმა მეუღლემ ჯენიფერ ენისტონმა საიდუმლოდ გაუმხილა მეგობრებს, რომ ქმართან სექსუალური ურთიერთობით დიდად მოხიბლული არ გახლდათ.



### კეტრინ ზეტა-ჯონსი ლაიგა მინელის შეცუას აპიდემს

კეტრინ ზეტა-ჯონსი, რომელმაც 3 წლის წინ, მუსიკალური ჟანრის ფილმში — „ჩიკაგო“ — ნათამაშები როლისთვის „ოსკარი“ დაიმსახურა, აღფრთოვანებით შეხვდა შეთავაზებას ახალ მიუზიკლში მონაწილეობის თაობაზე. მსახიობს მართლაც მომხიბლავი წინადადება შესთავაზეს — მან მთავარი როლი უნდა ითამაშოს მარტინ სკორსეზეს უკვე კლასიკად ქცეული მიუზიკლის — „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი“ — რიმეიქში. შეგახსენებთ, რომ ფილმის სკორსეზესეულ ვარიანტში მთავარი პერსონაჟები ლაიზა მინელმა და რობერტ დე ნირომ განასახიერეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ძალზე საუკეთესოა ის, რომ ზეტა-ჯონსმა ამ იდეის განხორციელება მოკვლე ხანში მოახერხოს — მას ხომ გადაღებების გრაფიკი მთელი წელიწად-ნახევრის მანძილზე უკვე წინასწარ აქვს განერილი. ამ გრაფიკის მიხედვით კი მსახიობს წინ ელის შემდეგ პროექტებში მონაწილეობა: Rachel's Holiday, Stompanato, Death Defying Acts და Coming Out.

## ელენა პაპარიზუ: „საკუთარ თავზე მნიშვნელოვანი ამქვეყნად არავინაა!“




ევროპელი კრიტიკოსები მას მადონას მსგავს კარიერას უწინასწარმეტყველებენ. ელენას ამაზე ეცინება: კარგი იქნებოდაო, ამბობს. სიმღერით — „ნომერი 1“ „ევროვიზის“ კონკურსზე გამარჯვების შემდგომ, ეჭვი არ ეპარება, რომ ჯგუფ ABBA-ს, სულიო იგლესიასა და სელინ დიონის ბედს გაიზარებს, რომელთა მსოფლიო კარიერაც სწორედ „ევროვიზის“ კონკურსიდან დაიწყო.

ელენა პაპარიზუ 1982 წლის 31 იანვარს შვედეთში დაიბადა. მისი მშობლები წარმოშობით ბერძნები არიან. ოჯახი შვედეთის გეტებორგში უკეთესი მომავლის იმედად დასახლდა. ელენა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მიხვდა, რომ ყველაფერზე მეტად მსახიობობა იტაცებდა, ამიტომ ბუნებით მიინიჭებული მრავალმხრივი ნიჭის განვითარებას მიჰყო ხელი — სწავლობდა სიმღერს, ცეკვას, სამსახიობო ოსტატობას. 17 წლისამ მეგობართან ნიკოს პანაგიოტიდისთან ერთად ჯგუფი „ანტიკი“ ჩამოაყალიბა. მეგობრებს მუსიკალურ სტილზე

ბევრი არ უფიქრიათ — რადგან ორივე შვედეთში გაზრდილი ბერძენი იყო, სიმღერებში უბრალოდ ორივე ქვეყნის მუსიკალური კულტურა შეაჯვარეს. ამ მიქსმა მაყურებლის მონონება დაიმსახურა. მათი პირველი სინგლი — „ოპა-ოპა“ ევროპის ყველა ქვეყანაში პიტად იქცა. წარმატებით ფრთაშესხმულმა მეგობრებმა პირველი სადებიუტო ალბომი ჩაწერეს, შემდეგ კი 2001 წელს, „ევროვიზიის“ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა, სადაც სიმღერამ — „შენთვის მოვედები“, ჯგუფს მე-3 ადგილი მოუტანა. ჯგუფმა ევროპაში ტურნე გამართა, პლატინის დისკები გამოუშვა და ცნობილ ბერძენ და უცხოელ მსახიობებთან ერთად, კონცერტებში მონაწილეობდა, მაგრამ 2003 წელს „ანტიკმა“ არსებობა შეწყვიტა. „ჩვენ მოვასერხეთ ის, რომ „ანტიკმა“ საკუთარი სახელი გაამართლა და ანტიკვარიატად გადაიქცა, — ხუმრობს პაპარიზუ. — ჩვენ დროულად ვიგრძენით, რომ ზრდა შეწყვეტიტე და მივხვდით, თითოეულ ჩვენგანს დამოუკიდებლად განვითარება ესაჭიროებოდა“. თავყანისმცემელთა იმედგაცრუების მიუხედავად, ჯგუფი დაიშალა. სულ მალე ელენამ მსხვილ ხმის ჩამწერ კომპანიებთან კონტრაქტი გააფორმა. 2003 წლის დეკემბერში მისი პირველი სოლო სინგლი — Anapandeees Klisis („უპასუხო ზარები“) გამოვიდა, რომელმაც ოქროს სტატუსი მიიღო. 2004 წლის გაზაფხულზე ელენამ პირველი სოლო ალბომი — „პრიორიტეტები“ გამოუშვა. ამ ალბომით შვედეთის მოქალაქე ელენა პაპარიზუმ საბერძნეთში პოპულარობის ოლიმპი დაიპყრო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბერძნებმა ტრადიციული კენჭისყრაც კი აღარ ჩაატარეს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გაემგზავრებოდა მათი ქვეყნიდან „ევროვიზიის“ კონკურსზე. ელენას კონკურენცია ვერავინ გაუწია: კენჭისყრის პროცედურა მხოლოდ სიმღერის შესარჩევად გაიმართა. ელენასთვის 100-ზე მეტი სიმღერა დაინერა და მათ შორის მსმენელმა დღეს ყველასთვის კარგად ცნობილი My number one შეარჩია.

კონკურსისთვის სამზადისს ელენამ და მისმა ხმის ჩამწერმა კომპანიამ 900.000 დოლარი შეაღიეს. პაპარიზუმ ტურით მოიარა ევროპა, ჟურნალების კორესპონდენტებს უამრავი ინტერვიუ მისცა; საბერძნეთის ერთ-ერთ ნამყვან გამოცემაში მისი ეროტიკული სურათებიც კი დაიბეჭდა, რომლებმაც მალე ინტერნეტის ქსელშიც გადაინაცვლეს. ელენას სარეკლამო კამპანია იმდენად აქტიური იყო, რომ სიმღერის კონკურსზე სპეციალიზებული ბუკმეკერები მასზე ფსონების მიღებას ვერ აუდიოდნენ. თავად მომღერალიც, ინტერვიუებში საკუთარ ტრიუმფს ეჭქვეშ წუთითაც არ აყენებდა. „ევროვიზიის“ კონკურსზე გამარჯვებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე პაპარიზუმ გამარჯვების ცეკვა მაგიდაზე შეასრულა. რამდენიმე ასეული ბერძნისგან შემდგარი მხარდამჭერთა გუნდი საკუთარი კერპის გამოსვლას დროშების ფრიალითა და ბერძნული შეძახილებით ელოდა.



ელენა პაპარიზუ — საბერძნეთის გურიზმის სამინისტროს ელჩი

ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი შეკითხვის პასუხად, იმის შესახებ, თუ ვინ არის ის — შვედი თუ ბერძენი, პაპარიზუ ამბობს, რომ მასში ორივე ხალხის თვისებებია თავმოყრილი: „შვედების მსგავსად, მეც კანონმორჩილი და ზრდილობიანი ვარ. ბერძნებს გულლია ხასიათითა და ემოციურობით ვენათესავეები“. საკუთარ გამარჯვებას კი ორივე ერს თანაბრად უნანილებს.

დღესდღეობით ელენა პაპარიზუ ბერძნულ შოუბიზნესში №1 მომღერლის სტატუსით სარგებლობს. ამის გარდა, მას კიდევ ერთი საპატიო მისია აკისრია — ელენა საბერძნეთის ტურიზმის სამინისტროს ელჩია. „ამ სამუშაოს უკვე დიდი ხანია ვასრულებ — ყველა ჩემს ახლობელსა და ნაცნობს ვუამბობ, თუ როგორი შეასანი-

შნავი ქვეყანა საბერძნეთი. საკუთარი ქვეყნის ქება ბერძნებს სისხლში გვაქვს გამჯდარი. უძველესი ნანგრევებისა და ანტიკური კულტურის შესახებ მონათხრობს უცხოელი ტურისტები აღფრთოვანებაში მოჰყავს. ასე რომ, ჩემი ახალი თანამდებობის შესრულება, სულაც არ მიმძიმს“.

უკანასკნელი 3 წელიწადი ელენამ ათენში გაატარა და ძალზე განიცდის იმას, რომ სახლში ყოფნა იშვიათად უხდება. შვედეთი და ოჯახი ძალიან ენატრება. განსაკუთრებით ენატრება დედა, რომელიც მის მისწრაფებებს მუდამ მხარს უჭერდა და ამხნევებდა. „მთელი ჩემი ოჯახი მხარში მიდგას და მგულშემატკივრობს, განსაკუთრებით ერთ ჩემს ნათესავ ბიჭუნას ვუყვარვარ — ყოველთვის, როდესაც ტელევიზორში მხედავს, ელოდება, რომ ბოლოს და ბოლოს, ეკრანიდან ვისკუებ და მასთან აღმოვჩნდები, მაგრამ მოლოდინი მუდამ უცრუვდება. იმედგაცრუებული პატარა, ტელევიზორის ეკრანთან მირბის და ჩემს გამოსახულებას კოცნის“. ელენა გაცილებით ნაკლებ ემოციას ამჟღავნებს მაშინ, როდესაც ის თავის ბოიფრენდზე — ტონი მავრიდისზე ლაპარაკობს. პაპარიზუ გათხოვებას ჯერ არ აპირებს. ამბობს, რომ ამისთვის ჯერ კიდევ პატარაა (ელენა 23 წლისაა) და ამ ეტაპზე მისთვის უმთავრესი, კარიერაა. „ყოველთვის მეცინება, როდესაც მეკითხებიან, რა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის — ოჯახი თუ კარიერა? მე სომ შვედეთში გავიზარდე, სადაც ფემინიზმმა განვითარების უმაღლეს სტადიას მიღწია. ასე რომ, ჯერჯერობით ქორწილზე ფიქრისთვის არ მცალია“. მართლაც, დიად სიყვარულზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა იქ, სადაც შეკითხვაზე: „ვინ არის თქვენთვის №1?“ — ელენა მუდამ დაუფიქრებლად პასუხობს: „საკუთარ თავზე უფრო მნიშვნელოვანი, ჩემთვის ამქვეყნად არავინაა!“



„ევროვიზია-2005“-ის გამარჯვებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ელენამ გამარჯვების ცეკვა მაგიდაზე შეასრულა

# JUVENTUS – ქაჩის საბოჲა შაქმნილი სუჲარალუბი

## ბიოლოგია:

სრული დასახელება: Juventus Football Club S.p.A.

დაარსების თარიღი: 1897 წლის 1 ნოემბერი

დაარსების ადგილი: ტურინი

სამინაო არენა: Stadio Delle Alpi (ტევა-ლობა 71012 კაცი)

## ბილწაგვამი:

„სკუდეტი“ — 29-ჯერ

იტალიის თასი: 9-ჯერ

იტალიის სუპერთასი: ოთხჯერ

თასების მფლობელთა თასი: 1984-1985 წწ.

უფეას ჩემპიონთა ლიგა (ევროპის ჩემპიონთა თასი): 1984-1985, 1995-1996

ევროპის სუპერთასი: 1985, 1996

უფეას თასი: 1976-1977, 1989-1990, 1992-1993

„ტიოთას“ თასი (საკონტინენტთა შორისო თასი): 1985, 1996

ინტერტოტოს თასი: 1999



და. ასე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „იუვენტუსი“, რაც მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვინ იდგნენ მის სათავეებში: „იუვენტუსი“ ხომ ლათინურად, „ახალგაზრდას“ ნიშნავს. „იუვენტუსს“, რომლის პირველ პრეზიდენტად ენრიკო კანფარი იქცა, იმხანად, უფრო გამოცდილ და ორგანიზებულ კლუბებთან უზღებოდა კონკურენცია. მაგრამ უკვე 1905 წელს, მან თავისი პირველი ტიტული მოიპოვა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ტურინელებმა ისეთი კლუბები დაჯაბნეს, როგორებიც იმდროინდელი „მილანი“ და „გენუა“ იყვნენ. პირველი სტადიონი, რომელზეც „იუვე“ სამინაო მატჩებს ატარებდა, დ'არმის მოედანზე მდებარეობდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში, „იუვენტუსის“ მაისური ვარდისფერი იყო. ეს ის ფერი გახლდათ, რომელიც თავდაპირველად, კლუბის დამაარსებლებმა დაამკვიდრეს. შავთერ ფერზე გუნდი 1903 წელს გადავიდა, რაც სრულიად შემთხვევით მოხდა: შეცდომა დაუშვა ფორმამ, რომელიც კლუბის შეკვეთაზე მუშაობდა. იმ პერიოდში, გუნდს სხვა ფორმა არ გააჩნდა, ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ „იუვეს“ შავ-თეთრი მაისურით ეთამაშა.

პროგრესის მიუხედავად, „იუვენტუსი“ დიდხანს რჩებოდა უფრო ძლიერი გუნდების ჩრდილქვეშ. თუმცა, ასეთი ტენდენცია მხოლოდ პირველ მსოფლიო ომამდე შეინიშნებოდა. ამის შემდეგ, კლუბმა სწრაფად განვითარება დაიწყო, ხოლო შავ-თეთრი ფერის მაისური ტყავის ბურთის ნამდვილმა ოსტატებმა მოიარგეს: მეკარე ჯაკონე და მცველებმა — ნოვოი და ბრუნო. ისინი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში პირველი მოთამაშეები იყვნენ, რომლებიც იტალიის ეროვნული ნაკრების ლიდრებასაც იცავდნენ. ახვე დროს, ტურინულ კლუბს პრეზიდენტი შეეცვალა. ამ ძალზე საპასუხისმგებლო პოსტზე შემოქმედებითი ნიჭის მქონე კაცი, კორადო კორადინი აირჩიეს. სწორედ მან შექმნა „იუვენტუსის“ პირველი ჰიმნი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ოფიციალურად მიიჩნეოდა.

1923 წელს, „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ჯამპიერო კომბის დებიუტი შედგა, რომელიც ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნევა. კლუბის ახალ პრეზიდენტად „ფიატის“ დამფუძნებლის ვაჟი შვილი, ედუარდო ანელი აირჩიეს. ტურინული გუნდის ქობინათა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა,

ამიტომ მალე, კლუბი იძულებული გახდა, რომ უფრო სოლიდურ არენაზე გადასულიყო, რომელიც მარსილის ქუჩაზე მდებარეობდა. უნგრელი ჯენო კროლი (მან მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჰირცერი შეცვალა) იყო პირველი არაიტალიელი, ნამდვილად ძლიერი საფეხბურთო სპეციალისტი, რომელიც „იუვეს“ თავაყადა დაინიშნა. მან გუნდში ისეთი ცნობილი ფეხბურთელები მიიწვია, როგორებიც იყვნენ: კომბი, როზეტა, მუნერატი, ბიგატო და გრაბი. 1925-1926 წლების სეზონში, როდესაც ტურინელები თითქმის ყოველ მატჩში შესანიშნავ თამაშს უჩვენებდნენ, „იუვემ“ ყველა კონკურენტი უკან მოიტოვა და მეორედ გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში. ეს კლუბისათვის მართლაც დიდებული პერიოდი გახლდათ. 1930-1935 წლებში, „იუვენტუსი“ სუთჯერ იქცა იტალიის საუკეთესო კლუბად. რა თქმა უნდა, ამგვარი ჰეგემონია იმითაც იყო განპირობებული, რომ გუნდში იმ ეპოქის ნამდვილი ვარსკვლავები თამაშობდნენ: ორსი, კალიგარისი, მონტი, ჩეზარინი, ვარჯილენი, ბერტოლინი, ფერარი და ბორელი. ისინი „იუვეში“ ახალმა მწვრთნელმა, კარლო კარკანომ მიიწვია. იტალიის ნაკრების შემადგენლობაში კი, მათ 1934 წელს, მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვეს. მაშინ, ტურინულმა კლუბმა საერთაშორისო გამოცდილებაც შეიძინა, როდესაც საკლუბო დონეზე ევროპის თასის გათამაშებაში (ამჟამინდელი ჩემპიონთა ლიგა) ოთხჯერ მიაღწია ნახევარფინალს. 1933 წელს, „იუვენტუსმა“ კვლავ შეიცვალა სტადიონი: ქალაქში უნივერსიადისთვის ახალი არენა აშენდა. შემდგომში ამ მოედანზე ტურინული გრანდი გასული საუკუნის 90-იან წლებამდე თამაშობდა, ვიდრე 1990 წლის მუნდიალისთვის „დელე ალბი“ არ ააგეს.

1947 წელს, „იუვენტუსის“ პრეზიდენტი, ჯოვანი ანელი გახდა. იმ პერიოდში გუნდის ყველაზე ცნობილი მოთამაშეები — კარლო პაროლო და ორი დანიელი — ჯონ ჰანსენი და პრაესტი იყვნენ. რა თქმა უნდა, იმდროინდელი გუნდის გმირად, მთელი ტურინის საყვარელი ფეხბურთელი, ჯამპიერო ბონიპერტი მიიჩნეოდა. ის „იუვეს“ მაისურით ჩატარებული შეხვედრების (444) რაოდენობის მიხედვით, კლუბის რეკორდსმენია. ამ ფეხბურთელებთან ერთად, 1950 და 1952 წლებში, „იუვე“ კვლავ ჩემპიონი გახდა. 1955 წელს, უმბერტო ანელიმ უფროსი ძმისაგან კლუბის თავაყაცის პოსტი ჩაიბარა. 1958, 1960 და 1961



ალესანდრო დელ პიერო

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას წინ უსწრებდა იტალიურ ფეხბურთში აგორებული დიდი სკანდალი, რომელიც „ჩანკობილ“ მატჩებთან იყო დაკავშირებული. ამის შედეგად, რამდენიმე კლუბი მკაცრად დაისაჯა, მათ შორის, ყველაზე მეტად, „იუვენტუსი“ დაზარალდა, რომელიც სერია B-ში დააქვეითეს და მოგებული „სკუდეტოს“ გარეშე დატოვეს. ამიტომ, მომავალი სეზონიდან, ფაქტობრივად დაშლილ „ბებერ ქალბატონს“ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს.

...ლეგენდის თანახმად, 1897 წლის შემოდგომაზე, ტურინში, დე უმბერტოს ქუჩაზე მდგომ ერთ-ერთ სკამზე ადგილობრივი ლიცეუმის, „დე ანგელიოს“ მოსწავლეები ისხდნენ და უსაქმურობის გამო, ათასგვარ თემაზე ლაზლანდარობდნენ. აბა, რა უნდა ექნათ, იმ წუთში გასართობი არაფერი ჰქონდათ და ქუჩებში უაზროდ სტილილიც ეზარებოდათ. როგორც ჩანს, ასეთ დედგომარეობაში ყოფნა ადამიანისთვის ყოველთვის უსარგებლო არ არის, რადგან სწორედ მაშინ, მათ სპორტული კლუბის შექმნის იდეა დაუბადათ, რომელიც წლების შემდეგ, ნამდვილ საფეხბურთო იმპერიად გადაიქცა. ფეხბურთი იმ პერიოდში აზერინის ნახევარუნძულზეც პოპულარობას იხვეჭდა და ამ დისციპლინით სულ უფრო მეტი ტემპერამენტია იტალიელი ინტერესდებო-



ნლებში, „იუვენტუსმა“ კვლავ გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში. პირველად იტალიური ფეხბურთის ისტორიაში, გუნდმა სპეციალური საპატიო ვარსკვლავის ტარების უფლება მოიპოვა (ჩვეულებრივ, იმ კლუბს უნდა ეტარებინა, რომელიც ჩემპიონატში 10-ჯერ გაიმარჯვებდა).

1967 წელს, „იუვენე“ ვიტორ კატელას ხელმძღვანელობით, კვლავ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. უფრო ხანგრძლივი წარმატებული პერიოდი ტურინელებს 1971 წლიდან დაუდგათ, როდესაც კლუბის პრეზიდენტის პოსტი ჟან-პიერ ბონიპერტიმ დაიკავა. მაშინ ნამდვილად დიდებული გუნდი ჩამოყალიბდა. შემდგომი 15 წლის განმავლობაში, 1972-დან



დინო ძოფი

1986 წლამდე, „იუვენე“ 9-ჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, გარდა ამისა, თითო-თითოჯერ ყველა ევროპული ტურნირიც მოიგო.

ვიჩალევი, პაროლა და ჟან-პიერ ბონიპერტი გუნდს ავარჯიშებდნენ, მაშინ, როდესაც მოედანზე ისეთი ვარსკვლავები ბრწყინავდნენ, როგორებიც იყვნენ ძოფი, სკირვა, ტარდელი, კაბრინი, კაუზიო, როსა, ჯენტილე, ფურინო,

ანასტაზი და რობერტ პეტე-გა (ამჟამად ის „იუვენე“ ვიცე-პრეზიდენტია) გარდა ამისა, ტურინულ გრანდში იმხანად, ლეგიონერებიც თამაშობდნენ — მაგალითად, მიშელ პლატინი, რომელიც გუნდთან ერთად, ორჯერ დაუფელა „სკუდეტოს“, ორჯერ — ევროპულ და ერთხელაც — საკონტინენტთაშორისო თასს. ამასთან, ის სამჯერ დააჯილდოეს, როგორც საუკეთესო ბომბარდირი. პლატინის



ჯამპურო ბონი პეგე

აგრეთვე, სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ გადაეცემოდა „ოქროს ბურთი“. 1990 წელს, „იუვენტუსმა“ დინო ძოფისა (მთავარი მწვრთნელი) და ვიტორიო ჩუიზანოს (პრეზიდენტი) ხელმძღვანელობით, უფას თასი და იტალიის სუპერთასი მოიგო, 1993 წელს კი, წარმატება გაიმეორა და უფას თასს ისევ დაუფელა.

1994 წელს, „იუვენტუსს“ ხელმძღვანელობა შეეცვალა: კლუბს, ჯირაუდოს, ბეტეგას და მოჯის ტრიო ჩაუდგა სათავეში. მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი, მარჩელო ლიპი მიიწვიეს, რომელმაც 9-წლიანი პაუზის შემდეგ, „იუვენე“ კვლავ მოაგებინა ეროვნული ჩემპიონატი. 1994-1995 წლებში, ტურინელებმა იტალიის სუპერთასი მოიპოვეს, მაგრამ უფას თასის გათამაშების ფინალში წააგეს. მანამდე კლუბს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოგებული ჩემპიონთა ლიგა — იმ ავადსახსენებელ დღეს — 1985 წლის

29 მაისს, როდესაც ბრიუსელის „ეიზელზე“ 60 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, ყველაზე პრესტიჟული ევროპული თასისათვის ტურინულ კლუბს ინგლისური „ლივერპული“ ეპაექრებოდა. ინგლისელი ფანების არაადამიანურ საქციელს, რასაც სტადიონის კონსტრუქციის ჩამოგრევაც დაერთო, 38 იტალიელისა და ერთი ბელგიელის სიცოცხლე შეენირა. მიუხედავად ასეთი დიდი ტრაგედიისა, მატჩი მაინც გაგრძელდა და მინიმალური უპირატესობით, „იუვენტუსის“ გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი „ლივერპულის“ კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმით, მიშელ პლატინიმ გაიტანა. მეორედ კი, ევროპის ჩემპიონთა თასი ტურინელებმა 1996 წელს მოიპოვეს, როდესაც რომში შემდგარი ფინალური დაპირისპირებისას, „აიაქსი“ დაამარცხეს. ამ შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დასრულდა, ხოლო პერუცის, ფერარის, პესეტოს, პადოვანოსა და იუგოვიჩის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმების შედეგად გამარჯვება ტურინელებს დარჩათ. მომდევნო წელს, „იუვენტუსმა“ ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო, გარდა ამისა, იტალიის ჩემპიონატშიც არავის დაუთმო პირველობა.

## „სამეფო ხალხში“ რეალური გარდაქმნა დაიწყო

მადრიდის „რეალში“ დიდი ცვლილებები შეინიშნება. ჯერ კიდევ „სამუნდიალო ციებ-ცხელებისას“, გუნდის პრეზიდენტის პოსტი ფლორენტინო პერესმა დატოვა. ცოტა ხნის წინ კი, კლუბის ახალ თავაჯცად რამონ კალდერონი დაამტკიცეს. იგი „სამეფო კლუბში“ 2010 წლის 3 ივლისამდე იმუშავებს.

„რეალის“ ახალმა პრეზიდენტმა 8344 ხმა მიიღო, ხოლო მის მთავარ კონკურენტს, ხუან პალასიოს 8098-მა „სოსოსმა“ (კლუბის ნევრმა) დაუჭირა მხარი.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი ვისენტე დელ ბოსკემ დატოვა, თავაჯცის რანგში გუნდმა რამდენიმე სპეციალისტი გამოიცვალა, მაგრამ მას არც ერთი მათგანის ხელში არ მიუღწევია წარმატებისთვის. სუმრობა ხომ არ არის — დელ ბოსკეს თაოსნობით, 2000-2003 წლებში, „რეალმა“ ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, ორჯერ — პრიმერადივიზიონში, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა მწვრთნელის მუშაობით მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ერთი სიტყვით, დელ ბოსკე გაუმეცს, მაგრამ მისი ღირსეული შემცველის პოვნა ვეღარ შეძლეს. გუნდის ფანები კი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამაოდ

ელოდნენ ტიტულების მოპოვებას და ეს მაშინ, როდესაც „რეალის“ შემადგენლობა მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავებით იყო დაკომპლექტებული.

ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დან-



ფაბიო კაპელო

რამონ კალდერონი

ყებამდე, იტალიურ ფეხბურთში დიდი სკანდალი აგორდა, რამაც ყველაზე მეტად ალბათ, ტურინის „იუვენტუსი“ დაზარალა. „რეალის“ ხელმძღვანელობა რომ ფაბიო კაპელოთი იყო დაინტერესებული, ეს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში გახდა ცნობილი. თუმცა, ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთის სპეციალისტი, „ბებერი ქალბატონი“ რომ არ

დაეშალათ. ტურინული გრანდისთვის ასე სავალალოდ განვითარებული მოვლენების შემდეგ კი, სინიორ კაპელოს ისლა დარჩენოდა, რომ ახალი კლუბი მოეძებნა, თუმცა, რალა მოძებნა იყო საჭირო, როდესაც მას თვით მადრიდში ეპატიუებოდნენ?!


სხვათა შორის, რამონ კალდერონისთვის ფაბიო კაპელო თავიდანვე, ერთ-ერთი კოზირი გახლდათ. ეს უკანასკნელი 1996-1997 წლებშიც მუშაობდა „რეალის“ მთავარ მწვრთნელად. მაშინ კაპელომ გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

საერთოდ, იტალიელი, უნიკალურ სპეციალისტად მიიჩნევა. ის წარმატებას ნებისმიერ გუნდთან აღწევდა, რომელშიც თავისი ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში უმუშავია. 60 წლის კაპელომ სხვადასხვა გუნდთან ერთად, ეროვნულ ჩემპიონატებში რვაჯერ, ხოლო ერთხელაც — ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. როგორც ფეხბურთელმა, მან 1964 წელს დაიწყო კარიერა. სამი წლის შემდეგ, იტალიის დედაქალაქის გუნდში — „რომაში“ დაიწყო ასპარეზობა, მაგრამ ნამდვილ წარმატებას ტურინის „იუვენტუსში“ თამაშისას მიაღწია. ის ეროვნულ ნაკრებში სწორედ ამ კლუბიდან მიიწვიეს. ფეხბურთე-



ლის კარიერა კაპელომ 1980 წელს, „მილანში“ დაასრულა. იქვე დაიწყო მისი სამწვრთნელო კარიერა. 1990 წელს, სინიორ ფაბიო ნერთინდა „მილანს“, რომელშიც არაერთი ვარსკვლავი ბრწყინავდა. ეროვნულ პირველობაში ზედიზედ ოთხჯერ და ერთხელაც — ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება, იტალიელის სამწვრთნელო აღმასვლის შესანიშნავი დასაწყისი იყო. გარდა ამისა, იმ პერიოდში, „მილანმა“ შთამბეჭდავი რეკორდით დაამყარა — სერია A-ში ზედიზედ 58 მატჩი ჩაატარა წაგების გარეშე. შემდეგ, კაპელო „რეალს“ ჩაუდგა სათავეში და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესპანეთის ჩემპიონატში გაამარჯვებინა. მოგვიანებით კი, „რომასთან“ ერთად, იტალიის სერია A-ში მიაღწია წარმატებას.

„მადრიდის „რეალი“ ყოველთვის იყო ჩემს გულში. სასიამოვნოდ მახსენდება 1996-1997 წლების სეზონი, რომელიც მართლაც, ფანტასტიკური გახლდათ. სწორედ მაშინ შეიყვარდა მადრიდი. ცოლთან ერთად, მარბელაში სახ-



რონალდო

ლის შექმნაც მსურდა. აქ დაბრუნებაზე ყოველთვის ვოცნებობდი. მას შემდეგ, „რეალი“ ძალიან შეიცვალა. უბრალოდ, აქ შესანიშნავი პირობებია შექმნილი. კლუბი მუდმივად ვითარდება. ეს ჩემთვის და ჩემი თანამშენებელისთვის ბრწყინვალე პროექტია. მოთამაშებს მოტივაცია, გუნდურობის შეგრძნება და ბრძოლისუნარიანობა უნდა დაეფუძრუნოთ. ამისთვის, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით, მძიმე შრომაა საჭირო. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია გუნდური შედეგიც. უკვე რამდენიმე წელია, რაც მადრიდის „რეალს“ ტიტული არ მოუპოვებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვებების ტრადიციას დავიბრუნებთ. ახალი მოთამაშების ტრანსფერებზე ვმუშაობთ. უნდა კარგად გავრკვეთ იმაში, თუ რა გვჭირდება. ისეთ ფეხბურთელებს არ შევიძინებთ, რომლებიც გუნდს ვერაფერს მოუტანენ. ისეთები გვჭირდება, რომლებიც სულითა და გულით ითამაშებენ. მსოფლიოში საუკეთესონი უნდა გაგზავნოთ და კლუბისთვის დამახასიათებელი ტრადიცია ავადორძინოთ. როდესაც ადრე ჩაუუდევნი გუნდს, გამომართლა, რომ მასში 2-3 ლიდერი თამაშობდა. ისინი დიდ დახმარებას მიწვედნენ გასახდელში. სამი წლის განმავლობაში, არაფერი მოგვიგია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქმე უკეთესად წაგვივა“, — დასძინს კაპელო და ხაზს უსვამს იმასაც, რომ გუნდის გასაძლიერებლად, რამდენიმე ფეხბურთელს შეიძინეს: „4-ს ფეხბურთელს ვიყიდით, რომელიც გუნდს შეცვლიან. ისეთი ხალხი უნდა დავიმატოთ, რომელსაც წაგება არ უყვარს, გუნდისთვის თავს არ ზოგავს და 110%-ით იხარჯება. ამიტომ, ფიზიკურად და მორალურად მზად უნდა ვიყოთ. საქმეს ახალავე უნდა შეუდგეთ. ზოგი-

ერთი ფეხბურთელი შევბუღებაში 2 თვე იმყოფებოდა. ეს ბევრია. ზოგიერთი მათგანი დასუსტებული დაბრუნდება, ზოგიც — სახედამრგვალეული. რაც შეეხება მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელებს, ისინი 25-დღიან დასვენებას იმსახურებენ. ჩემი ასისტენტები — გალბიატი და კორადინი იქნებიან. გარდა ამისა, აქ ფიტნესისა და მეკარეთა მწვრთნელებიც ჩამოვიყვანე“.

არავისთვის სიახლე არ უნდა იყოს ის, რომ ფაბიო მკაცრი მწვრთნელის იმიჯით სარგებლობს. „დისციპლინა ძალზე მნიშვნელოვანია. ამბობენ, რომ მოთამაშების მიმართ მეტისმეტ სიმკაცრეს ვიჩენ, მაგრამ ჩვენ კიდევ გავგიჟართლა, რომ დღეში 2 საათს ვვარჯიშობთ. ენერგიულად და სიამოვნებით უნდა ვიმშრომოთ. ეს არ ნიშნავს სიმკაცრეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ენერჯია გონივრულად უნდა გავანაწილოთ. ფეხბურთი შეიცვალა, ეს მსოფლიო ჩემპიონატზეც კარგად გამოჩნდა. დიდი გამოცდილება მაქვს და მსურს, რომ ეს გუნდი დიდ გამარჯვებებს

ვაზიარო. თავდაუზოგავად ვვარჯიშობთ, რათა ახალი გუნდი ჩამოვყალიბოთ, რომელსაც ტიტულების დაუფლება შეეძლება. რათქმა უნდა, უფრო ადვილია ლაპარაკი, ვიდრე შესრულება. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ. სხვათა შორის, გასულ სეზონში „რეალის“ ყველა მატჩი ვიხილე. გუნდში ლიდერები უნდა მოეძებნოთ, რათა შედეგს მივაღწიოთ. აქ არავის დაფტოვებთ, ვინც გუნდისთვის სულითა და გულით არ დაიხარჯება, მანამდე, ვიდრე ინდივიდუალურად იაზროვნებენ, მათ კოლექტიური აზროვნება უნდა ისწავლონ“, — ამბობს მადრიდელთა თავკაცი, რომელ-



რამონ კალდერონი

იც ზოგიერთი ფეხბურთელის თემასაც ეხება: „ბექშემთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არა გვაქვს. ის მადრიდის „რეალს“ სჭირდება. განსაკუთრებული ფეხბურთელია რონალდო. ის კარგად მოქმედებს კარის წინ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია გამარჯვების მისაღწევად. უნდა გადავწყვიტოთ ის, თუ როგორ ავამუშავებთ გუნდს. მწამს რაულისაც. იგი 29 წლისაა. მას მალდინის ვადარება. ორივე მათგანმა 17 წლის

ასაკში დაიწყო თავთავის კლუბში თამაში. ამაჟამად კი, მალდინი 38 წლისაა, მაგრამ მან შესანიშნავად ჩაატარა გასული სეზონი. დარწმუნებული ვარ, რაული თავის ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს. იგი ჩემი გუნდის უმნიშვნელოვანესი მოთამაშე იქნება. ბევრ ფეხბურთელს სურს „რეალი“ ასპარეზობა. ამის სურვილი კრიტიკიანულ რონალდუმაც გამოთქვა. ჩვენ გუნდს ვაშენებთ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ამ ეტაპზე კი, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით“.



რაული

ახალი ფეხბურთელების შექმნა აქვს განზრახული „რეალის“ ახალ პრეზიდენტს, რამონ კალდერონსაც. მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გუნდის კრიზისიდან გამოყვანას შეძლებს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, „სამეფო კლუბმა“ თითქმის 200 მილიონი ევრო დახარჯა (140 მილიონი გირვანქა სტერლინგი) და პრაქტიკულად, არაფერი მოუგია. პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ გუნდის გასაძლიერებლად, კაპელოს საკმარისი თანხა გამოეყოფა: „კლუბს საკმარისი თანხა აქვს საიმისოდ, რომ ჩვენივე საჭირო მოთამაშეებთან კონტრაქტები გავაფორმოთ. რამდენიმე ფეხბურთელს შევიძინებთ. კაპელო ზუსტად იცის ის, თუ რა სჭირდება კლუბს. მალე შესანიშნავი გუნდი გვეყოლება, რომელიც თავისი ასპარეზობით ქომაგებს ალაფრთოვანებს. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში მინიმუმ, ერთ ტიტულს მაინც დავეუფლებით“.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, კალდერონი აცხადებდა, რომ დაინიშნებდა მოლაპარაკებებს კავასთან, ფაბრეგასთან და არიენ რობენთან. „ფაბრეგასი მზადაა, ჩვენთან წაიღიანი კონტრაქტის გასაფორმებლად, მაგრამ „არსენალთან“ შეთანხმებისთვის ჯერ არ მიგვიღწევია. კავას ჩვენთან შემოერთება ჯერ კიდევ 3 თვის წინ უნდოდა და ამაჟამად, მოლაპარაკების გამართვას ვაპირებთ. მასში 50 მილიონი ევროს გადახდასაც არ მოვერიდებით“.

ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მადრიდელელები სერია B-ში დაქვეითებულ „იუვენტუსს“ დაუკავშირდნენ და აცხადებენ, რომ ფაბიო კანავაროს, ჯანლუკა ძამბროტასა და ემერსონის შეძენით არიან დაინტერესებულნი.

„სამეფო კლუბელთა“ ახალმა პრეზიდენტმა ისიც დაადასტურა, რომ იკერ კასილასის გაყიდვა არ იგეგმება. ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რეალის“ გოლკიპერის მიმართ „მანჩესტერის“ თავკაცი, ალექს ფერგიუსონი იჩენდა ინტერესს. „ფაბიო კაპელოს, კასილასის გაყიდვა არ სურს, ხოლო პრეზიდენტი გააკუთებს იმას, რასაც მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს საჭიროდ“, — დასძინს კალდერონი.



ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრები:

1. წუა პატარა ჩიტია.
2. „ნაცილი“ და „ტყუილი“ სინონიმებია.
3. ბუსნარი მალაღალახიანი კორდია.
4. ზღვის გოჭს, ინკები სახორცედ ამრავლებდნენ.



5. მიუხედავად კუზისა, აქლემს სწორი ხერხემალი აქვს.  
6. გაველურებული შინაური ძაღლი ყვეფის უნარს კარგავს.

7. „იხშიოლ“ — ღვინის სმაში „ალავერდის“ საპასუხო თანხმობის სიტყვაა.

8. როდენის ქანდაკება — „მოაზროვნე“, იტალიელი პოეტის, დანტეს პორტრეტი.

9. „ლომი ბრჭყალებით იცნობა, ვირი — ყურებით“, — ლაღადებს ძველი რომაული ანდაზა.

10. მსოფლიოში პირველი სათვალე 1317 წელს, ფლორენციელმა საღვინოდელმა არმატიმ დაამზადა.

11. მეცნიერებს, რომელიც ამა თუ იმ ენაში წარმოქმნილ ახალ სიტყვებს შესინაველის, ნეოლოგია ჰქვია.

12. „ეტაჟე ნადო ბილო რაზაჩერავატსა ვ ლიუდიას, შტო ბენზოპილუ ნაზვატ „დრუჟბოი“, — არ ისვენებს მიხაილ ზადორნოვი.

13. ტოკიოს ზოოპარკი წელიწადში ერთხელ, ორი თვის ვადით იხურება, რადგან ცხოველებმა ადამიანებისგან დასვენება შეძლონ.

14. ორმოცდაათიან წლებში, პარიზში, საღამოს შედი საათამდე, შავ კოლგოტებს მხოლოდ მძაფრები იცვამდნენ.

15. „ეს აორმაგებს, ასამმაგებს არმიას და ციხესიმაგრეთა აღებაში ეხმარება“, — ამბობდა სუფოროვი მუსიკის შესახებ.

16. „იესლი უ ნას ნე ბილა ბი კრიზისა, მი ბი ევო ვიდუშოლი. კაგდა ნამ ტრუდნა, ჟიზნ სტანოვიტსა ლეგჩე ი ვესელეე!“ — ამბობენ რუსები.

17. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, გაერთიანებულმა ერების ორგანიზაციამ, ადამიანთა ცხოვრებისათვის საუკეთესო ქვეყნად კანადა ოთხჯერ აღიარა.

18. მსოფლიოში არსებული ყველაზე ასაკოვანი ხე, იაპონიის უძნძულ იაკუსიმაზე იზრდება. ეს კედრის ჯიშის ხე

sanam cocxlebi vart...

60 - iani wlebi

მანანა იაშვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-29.

ახალი სახელები

არ მინდა, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, თითქოს 60-იანელთა ანტისაბჭოთა ჯგუფების სიფრთხილე გადამეტებული იყო. ხალხში რეპრესიების შიში კვლავ მძლავრობდა, არც 9 მარტის ტრაგედია იყო დავინწყებული, ხოლო „ოტტეულით“ გამოწვეულმა, მოჩვენებითმა ლიბერალიზმმა საბჭოთა რეპრესიული მანქანის ისეთი მასშტაბის საშინელება ამოატივტივა, რომ ადამიანები დაფრთხნენ, რადგან არავინ იცოდა, ხვალ რა იყო ასეთი ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი. ამავე დროს, ყურმოკვრით გაგებული, ნოვოჩერკასკის ტრაგედია, გულაგიდან დაბრუნებული რეპრესირებულიების მონათხრობი, 9 მარტის მსხვერპლთა დაუდგენელი რაოდენობა, კა-გე-ბეს, მისი უძლეველობის მითის დამკვიდრებაში ეხმარებოდა.

ამ დროს, საბჭოთა უშიშროებაში რეფორმების პერიოდი იდგა. სტალინური მუშაობის სტილს ახალი ცვლიდა, დაიწყო კომკავშირული საგზურებით, სუკის თანამშრომელთა რიგების ზრდა. კანდიდატურებს სკოლის მოსწავლეებიდან ირჩევდნენ და ამ საქმეში თავისდა უნებურად, კლასის დამრიგებლები იყვნენ ჩაბმული. პირველი კლასიდანვე, დამრიგებელი ყოველი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან ერთად, სასწავლო წლის ბოლოს, ბავშვის პიროვნების შესახებ დანვრითი ანალიზს წერდა. აქ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, განხილული იყო ბავშვის მიდრეკილებები, ფსიქოლოგიური დახასიათება და ფსიქოტიპი. ამ მხრივ ვრცელი ანალიზი კეთდებოდა მეოთხე და მეხუთე კლასების ბოლოს და დამამთავრებელ კლასში, სადაც სკოლის ექიმის დასკვნაც კი იყო საქმეში „ჩაკერებული“. როგორც ჩანს, ეს მასალა შემდეგ, განათლების განყოფილების მეთოდისტებს გადაეცემოდა,



რომლებიც გადარჩევას ახდენდნენ და პირველი გასაუბრებაც შესაბამის პარტიულ და სხვა ორგანოებში, მე-9, მე-10 კლასებში ტარდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, სუკი ახალ აგენტს ან ახალ თანამშრომელს იძენდა, რომელსაც კომკავშირული საგზურიც უმაგრებდა ზურგს. სუკი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმ ბავშვებით, რომლებიც შერეული ქორწინების შედეგად გაჩნდნენ ან ობლად იზრდებოდნენ და კარგად სწავლობდნენ. ყურადღება ექცეოდა საზღვრისპირა რაიონებსა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერისა და აღმსარებლობის ახალგაზრდებს...

არ მასსოვს, ამის შესახებ ვინმე მიაბო, თუ რომელიმე „თვითგამოცემამი“ ნავიკითხე. სუკის რიგების შევსების ამ მოდელს ზღაპრად მივიჩნევდი, მაგრამ მეთუ კლასში სწავლის დროს, მე და ჩემს მეგობრებს შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში მთელი კლასის პირადი საქმეები, ასე ვთქვათ — ფარული დოსიე. იგი იმდენად განსხვავდებოდა უმაღლეს სასწავლებელში წარსადგენი ტრაფარეტული დახასიათებისაგან, რომ შოკში ჩავგავადო. ჩვენი საყვარელი დამრიგებლები ვილაცხას დანვრითი მოახსენებდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც გვექონდა, რა გვიჭირდა და რა გვიხინდა, რაზე ვოცნებობდით და ვდარდობდით, რა მოგვეწონდა და რა გვეზიზღებოდა... რეკომენ-

**თენგიზ მურაშვილი  
პიონერთა სასახლის  
გემოთ ცხოვრობდა  
და სასახლეში დამის  
ღარაჯად  
მუშაობდა**



დაციებში კი, ჩვენი მომავლის მოდელირებას და შესაძლო ბედსაც განსაზღვრავდნენ. ნანახსა და ნაკითხულს ვერავის ვუმხედლით — სასჯელის გვეშინოდა და ისევე ერთმანეთში ვცდილობდით, გადაგვეზარმა შემთხვევით მოყენებული, მძიმე სულიერი ტრავმა.

სხვების რა მოგახსენოთ, ჩემში კი, მწარე რეალობის პრაქტიკულმა გაკვეთილმა საბოლოოდ დაანგრია უფროსებისადმი ნდობა, მასწავლებლების ავტორიტეტი და იმ პროფესიის სიყვარულიც, რომელსაც ბავშვობიდან, ოჯახში მინერგავდნენ. ამავე დროს, ბევრ „რატომს“ პასუხი გაცეცა — თუნდაც იმას, რატომ არ მიმიღეს კომკავშირში...

სანამ სუფი კადრების განახლებით იყო დაკავებული, ჩვენი დაუმორჩილებელი მეგობრებიც დროს უქმად არ ხარჯავდნენ. ფრთხილად და შერჩევით, ისინიც ცდილობდნენ ახალი თანამოაზრეების შემოკრებას. ვიქტორ რცხილაძე, ბეგო ბეგიაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი და გულაგიდან ახალდაბრუნებული გიორგი სამხარაძე — ზვიად გამსახურდიამ ახალი „განდობილები“ შეიძინა. ჯერ გზისა და ფორმის ძიებაში იყვნენ. მათზე ცოტა უმცროსები — გოგი ხოშტარია, გიზო კორძაძე და სხვები — უნივერსიტეტის ბალსა თუ რომელიმე სტუდენტურ ლუდხანაში გაფაციცებთ უსმენდნენ საინტერესო ამბებზე და გამოცდილებით დატვირთულ მეგობრებს.

ამასობაში, ავთო იმნაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიკომში დაიბარეს და მკაცრად გააფრთხილეს, რომ ან შეწყვეტილიყო უმსგავსო შეკრებები, ვითომდა სტუდენტური თეატრის დასის თავშეყრის საბაზით, ან ყველას დაიჭერდნენ. მაშინ ეს, პარტიკომის მხრიდან, ჰუმანური საქციელი იყო, რადგან იმას მოასწავებდა, რომ მას უშიშროებისთვის ჯერ არაფერი შეუტყობინებია. ავთომ მეგობრები გააფრთხილა და მათ სხვაგან დაიწყეს შეკრება. მალევე, ავთომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი მიატოვა და თეატრალურში ჩააბარა, სადაც ბიძინა ჩხეიძესთან (თამარიკო ჩხეიძის ძმა) ერთ კურსზე სწავლობდა. მალე დაახლოვდნენ, ბიძინამ თავისი ოჯახი გააცნო. ასე დაიწყო თამარიკო ჩხეიძისა და ავთო იმნაძის მეგობრობა, რომელიც ბიძინას მოსკოვში სასწავლებლად გადასვლის შემდეგაც გაგრძელდა.

ამ პერიოდში, ირაკლი შენგელაიასა და გივი ყორღანაშვილის ჯგუფი თენგიზ ზურაშვილთან იკრიბებოდა.

**ბედის ირონია**

თენგიზ ზურაშვილი პიონერთა სასახლის ზემოთ ცხოვრობდა და სასახლეში ღამის დარაჯად მუშაობდა. მაშინ, სტუდენტობაში ღამის დარაჯობა და საქვაბეში მორიგეობა ფრიად გავრცელებული მოვლენა იყო, რასაც გარკვეულწილად, საბჭოთა ცხოვრების წესი განსაზღვრავდა: ოჯახების უმეტესობა ვი-



ლიოიკო ქავთარაძე

წროდ ცხოვრობდა და ადამიანს განმარტოების საშუალება არც შინ ჰქონდა და არც გარეთ. ოჯახის კონტროლი გაღვიძებზე, ძილზე, ჭამა-სმაზე, სწავლაზე ყმანვილკაცისთვის მძიმე ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენდა, რადგან გარეთ, საზოგადოებრივი კონტროლი ისედაც საკმაოდ მეტად ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას. ხელფასს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, დარაჯად მუშაობა კი სახალისო იყო: გინდოდა — ნამონებოდი და ნიგნს ნაიკითხავდი, გინდოდა — მეგობრებს შეკრებდი, დილაზე სასაუბროდ, გინდოდა — ახალ ფილოსოფიურ კონცეფციებზე იოცნებებდი. თენგიზიც ასე მუშაობდა, ყოველ მესამე დღეს მორიგეობდა და კვირაში ერთხელ, გვიან საღამოს, სასახლეში მეგობრებს იღებდა. სხდომის გასამართავად, დიდი არჩევანი ჰქონდათ, დაწყებული სარკვებიანი დარბაზით — დამთავრებული დირექტორის კაბინეტით, სადაც ჯერ კიდევ იდგა რუსეთის მეფისნაცვლის ძველი ავეჯი. სხდომას, როგორც წესი, გივი თავმჯდომარეობდა:

— აბა, დავინყოთ, ყურადღებას ვითხოვ. ერთმანეთში სხვაგანაც ვილაპარაკებთ. რა გვაქვს დღის წესრიგში?

— „ერის შესახებ“ დავაკონსპექტე და სტალინის „ეროვნების საკითხსაც“ შევადარე. კარგი მასალები ვნახე: როგორ შეიჭრა ლევან-დოვსკის არმია აზერბაიჯანში, ჯავშნოსანი მატარებლით საზღვარი გადაკვეთა და იქაურ კომუნისტებს მერე დაანერინა — მოდიოთ, რუსებო, დაგვემხარეთო, — პასუხობს მუდამ მშვიდი და მუყაითი გურამ ოდიშარია.

— აუუ, რაღა დროს ეგენია, ჭურში ზიხართ?! — ნერვები ეშლება ირაკლის.

— შენ სად ზიხარ, ლათინური რომ ისინად? — ესარჩლება გურამს გივი.

— პოლიტიკოლოგიის შესასწავლად, ლათინური აუცილებელი პირობაა, საერთაშორისო ენა გახლავთ, — პასუხობს ირაკლი.

— იმიტომაც, როცა შენ ლაპარაკობ, აღარავის ესმის, — ბუზღუნებს თენგიზი.

ირაკლი მხრებს იჩქეს, გიუები ხართო და ემზარ ჩიკვაიძესთან აგრძელებს საუბარს სოციალისტური ეკონომიკის მახინჯი ფორმების შესახებ. „გუზ-გუზ ზახარიჩი“ ვერ ითმენს და საუბარში ერევა: — სოციალიზმი მაინც წინგადადგმული ნაბიჯია, კაპიტალიზმთან შედარებით. — სწორედ მაგას გვასწავლის „ძია ლენინი“, — ხუმრობს ირაკლი და ემზარს თვალს უჯრავს.

— ზოგჯერ ლენინიც არ ტყუოდა, — თენგიზი კამათის ხასიათზეა და ირაკლის

**ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი**

ეონი ღვალის უბის ნიგნაკიდან:

7200 წლისაა.

19. მსხვილი მეფრინველების მეურნეობაში, გარკვეული წესით გამოზრდილ სახორცე ჯიშის ვარიას, ბროილერი ჰქვია.



20. პატარაობისას, უოლტ დისნეიმ ბუ დაიჭირა და მას წამებით ამოხადა სული, რის გამოც, მთელი ცხოვრება სინდისი ქენჯნიდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დიდმა მულტიპლიკატორმა საკუთარ ქმნილებებში ცხოველები გააცოცხლა.

21. ვირჯინიის შტატში 1933 წელს დაარსებულ თეატრს, ბარტერულ თეატრს ეძახიან. ამერიკაში, ენ. დიდი დეპრესიის დასასრულს დაარსებულ თეატრში, ღარიბებს უფლებას აძლევდნენ, ბილეთის საფასური პროდუქტის სახით გადაეხადათ.

22. გალილიემ ვერაფრით დაუმტკიცა ფლორენციის აკადემიის პროფესორებს პლანეტა იუპიტერის თანამგზავრთა არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვევით ჩანდნენ გალილის მიერ გამოგონებულ ტელესკოპში. ყველა პროფესორმა კატეგორიული უარი განაცხადა გახეხვად გალილის მიერ დამზადებულ ხელსაწყოში.

23. იაპონელებს ყველა ერისგან განსხვავებული იუმორი აქვთ. ერთი იაპონელი, საყოველთაოდ ცნობილ ანეკდოტზე, სადაც რელსზე მჯდომ კაცს მეორე ეუბნება — ჩაიჩოჩე, მეც ჩამოვჯდებიო — დიდხანს ხარხარებდა. მას ჰკითხეს: ასე ძალიან რამ გაგამხიარულაო? რა ემზავი იყო ის კაცი, გამთბარ ადგილზე უნდოდა დაჯდომაო — სიცილს უმატა იაპონელმა.

24. რომაელები მეგობრებს ქურდებს ეძახდნენ, რომლებიც მათ ყველაზე ძვირფას რამეს — დროს ჰპარავდნენ.

25. ქალაქ დეტროიტში მცხოვრებმა ვინემ ჯონ ილიმ, ერთხელ, საიუველირო მაღაზია გაძარცვა, დანაშაულის ადგილზე კი, სრულიად შემთხვევით, საკუთარი ძალი დატოვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ძალს მარტივი ბრძანება მისცეს: „სახლეში, ჩქარა, სახლში!“. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ პოლიცია დამნაშავეზე ადრე მივიდა მის ბინაში, მშვიდად დაელოდა მძარცველის შინ დაბრუნებას და იგი დააპატიმრა.

გამონწევას ცდილობს, მაგრამ ტყუილად ირჯება. — მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შეიძლება ადამიანი ზნეობრივი არსება გახდეს.

— ზედმეტად ზნეობრივად ხოცავდნენ, არა, კომუნისტები ხალხს? თუ პავლიკ მოროზოვი იყო ზნეობრივად ალზრდინი? — ველარ ითმენს ირაკლი.

— ჩვენ არ ვიცით, რა არის ზნეობა. ზნეობა არ არსებობს და ამის მაგალითი აგერ შემოდის, — კარში შემოსულ ნემო ბურჭულაძეს ასე ესალმება თენგიზი.

— რა უნდა ამ ახალგაზრდა სტალინელს ჩემგან?! ცოტა შემაგვიანდა, დაიქცა ქვეყანა თუ უჩემოდ დაანგრეთ საბჭოთა კავშირი?

— მართლა, ნეტავ, რომელი დარბაზის აივანზე ახარა ნოე ჟორდანიამ ხალხს დამოუკიდებლობის გამოცხადება — აქ თუ ქუჩის მხარეს? — უეცრად იკითხა ირაკლიმ, რომელიც სასახლის ჩაბნელებულ ბაღს გაჰყურებდა.

— ალბათ, ქუჩის მხარეს. მაგრამ ახლა და ახლო მომავალში, ამის გამეორებას ჩვენ ვერ მოვესწრებით... — პასუხობს გივი.



ლიზიკო ქავთარაძე (მარცხნივ) გადასახლებაში შეძენილ მეგობარ ცოლ-ქმართან ერთად

— სასწაული რომ მოხდეს კიდევ, ანდერძს დავეტოვებ, ნემო დარბაზში არ შეუშვან, — „გუზ-გუზ ზახარიჩს“ ნემო ნაღდად ქრონიკულად აღიზიანებს.

— შენ ნუ დარდობ, მაინც დაიგვიანებს, — დააწყინარა გივიმ მეგობარი და იქ მყოფთ რამდენიმე მიმდინარე საკითხი შესთავაზა განსახილველად.

ცხოვრებამ კი სხვაგვარად განსაჯა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, მაშინ სასახლეში მყოფთაგან, სწორედ მხოლოდ ნემო ბურჭულაძემ მოაწერა ხელი და როგორც მასსოვს, სხდომაზე წუთითაც არ დაუგვიანია.

### ანყო, შობილი წარსულისაგან

ლიზიკო ქავთარაძე — ეს სახელი ეროვნულ მოძრაობაში არაერთხელ, სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების

ადამიანებისაგან მსმენია. გია ჭანტურიას თავის პირველ მასწავლებლად მიიჩნევდა, ირაკლი შენგელაია მის სახელს უდიდესი პატივისცემით ახსენებდა და თუ არ ვცდები, პირველად მან მიაშო ლიზიკოს შესახებ. შემდეგ, სხვების ნაამბობმა ამ საოცარი ქალის საერთო პორტრეტი შექმნა და გული მეტყინა, რომ განგებამ მასთან არ შემახვედრა. შეხვედრა კი, შესაძლებელი იყო — ის ხომ 1988 წელს გარდაიცვალა.

დასანანია, რომ ლიზიკო ქავთარაძეს ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს და თითქმის არაფერ იცის მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. შეიძლება, ასეთი მიჩუმალება ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ბრალია, რადგან ლიზიკო სიცოცხლის ბოლომდე, მარქსისტი იყო და სწამდა, რომ გამარჯვებულმა ბოლშევიკებმა მისი იდეები დაამხინჯეს, ფეხქვეშ გათელეს და სათავისოდ გამოიყენეს. არადა, ეროვნულ მოძრაობაში, მარქსი და მისთანანი მტრის ხატად და იარაღად იყვნენ სახელდებულნი და ჩვენი მეგობრებიც ერიდებოდნენ აქტიურ მარქსისტთან თავისი ურთიერთობის საჯაროდ გამხელას. იყო კიდევ ერთი, არცთუ ისე უმნიშვნელო ფაქტორი: ლიზიკოს არ მოსწონდა მხარგრძელები კი, სომხები იყვნენ და არსებობდა რაღაც გაუგებარი „სომხურ-ქართული სამეფო“, რომელსაც ისინი მართავდნენ. ლიზიკომ სასწრაფოდ დაწერა რუსულად კრიტიკული სტატია, მანქანაზე დაბეჭდა და გაავრცელა. ხელიც მოაწერა: „ელისაბედ ქაიხოსროს ასული ქავთარაძე“, თან, მისამართი და ტელეფონიც მიუთითა. სტატიას საჯაროში გავრცენით, ძალიან მრისხანე და დაუნდობელი წერილი იყო, ზუსტი და მწარე. მაშინ სანთლით იყო საქმეარი ასეთი უშიშარი ნაბიჯის გადამდგმელი ადამიანი. ძალიან დაგვიანდებოდა, არც ვაციეთ და არც ვაცხელეთ და ამ მისამართზე სტუმრად მივადექით. მაშინ ორთაჭალაში ცხოვრობდა მარტო, სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი ჰქონდა. კარგად მიგივლო, გვიანობამდე ვისაუბრეთ და ასე დაიწყო ჩვენი ახლოობა. ჩაფარდნის პერიოდი გვექონდა, სურვილი იყო, მაგრამ არ ვიცოდით, რა გავგვეტეებინა. ლიზიკოს ცხოვრების საოცარი სკოლა ჰქონდა გავლილი და თვითონაც საოცარი ქალი იყო. ძალიან ბევრ რამეს გვასწავლიდა და გვიჩვენებდა. შემართული, მოუდრეკელი იყო, საზიზღარ დღეში გვაგდებდა, დაგვეპირავდა ხოლმე — არაფერს აკეთებ, უსაქმურობთ, არაფრის მაქნისები ხართ, ტყუილად იბრალებთ პატრიოტობას, თქვენგან არაფერი გამოვაო. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ პირველნომრიანი მანდატი რომ მივუტანეთ, სახელში იწვია, ავად იყო. მანდატი გულში ჩაიხუტა და გვიტხრა — ახლა მჯერა, საქართველო დამოუკიდებელი იქნებაო. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, 1988-ში გარდაიცვალა“.

აზრის გამოსატვის თავისუფლების პრინციპი ლიზიკო ქავთარაძისათვის უზენაესი იყო, რის გამოც, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედით, შეება წითელ ურჩხულს. 28 წელი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში ამ საშინელ, ბოროტ ურჩხულთან ბრძოლაში გაატარა. ბოროტების კომუნისტ-ჩეკისტმა ადვოკატებმა მას ვერც ღირსება შეუღალეს, ვერც ადამიანობა წაართვეს, ვერც აზროვნება დაუბინდეს, ვერც იდეალები გაუთელეს, ვერც მოყვასის თანადგომა დაავიწყეს, ვერც სამშობლოს სიყვარულს გადააჩვიეს. ასე, ორგზის ნატანჯი, დაბრუნდა სახლში გამარჯვებული და გაუტყველი. ავადაც იყო, მაგრამ არც ფიზიკურ სნეულებას ეუბებოდა, არ იყო მორჩილებას დაჩვეული.

სამშობლოში პრობლემებს რა გამოლევს, თუ ოჯახის და ნათესაობის, თუ საყოფაცხოვრებო წვრილმანებს, თუ საზოგადო გასაჭირს?.. წლები თავისას

ითხოვდა, ძალაც აღარ ერჩოდა, საქმე კი ბევრი იყო — ასე გრძობდა და ხედავდა... ჩემმა დახასიათებამ არ შეგაცდინოთ — სულიერ კატეგორიებს აღვწერ, ფიზიკურად კი, მომცრო ტანის, გამხდარი ქალი იყო, შეიძლება, ქუჩაში ვერც შეგეჭმნიათ. როგორც ვთქვი, პირველად, ირაკლი შენგელაიამ მიაშო ლიზიკოსთან ურთიერთობის შესახებ:

„ბი-იანი წლები იწურებოდა. ჩვენ, თუ სადმე რამე გაფაჩუნდებოდა, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავით. მოგესხენებოდა, ინფორმაცია მაშინ „დაკეტილი“ იყო, მაგრამ როგორღაც, მაინც ვახერხებდით მსოფლიოსა და აქაური ამბების გაგებას, სტრიქონებს შუა ვკითხულობდით, ჰაერში ვიჭერდით ცენზურის მიერ გაპარულ აქცენტებს. საჯარო ბიბლიოთეკა ინფორმაციის მიღების მხრივ, შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან მეგობრული ურთიერთობა გვექონდა, კარგი ხალხი იყო, თანაგვიგრძობდნენ და პატივს გვცემდნენ, ზოგჯერ რარიტეტულ წიგნებს და „თვითგამოცემებსაც“ ვცვლიდით.

გამოვიდა ვინმე გიორგი ვერმიშევის წიგნი „ამირსპასალარი“, რომელშიც საზიზღრად იყო აღწერილი თამარ მეფის დროინდელი საქართველო. ისე გამოდიოდა, რომ მხარგრძელები მართავდნენ ქვეყანას და ქართველები ქეიფობდნენ. მხარგრძელები კი, სომხები იყვნენ და არსებობდა რაღაც გაუგებარი „სომხურ-ქართული სამეფო“, რომელსაც ისინი მართავდნენ. ლიზიკომ სასწრაფოდ დაწერა რუსულად კრიტიკული სტატია, მანქანაზე დაბეჭდა და გაავრცელა. ხელიც მოაწერა: „ელისაბედ ქაიხოსროს ასული ქავთარაძე“, თან, მისამართი და ტელეფონიც მიუთითა. სტატიას საჯაროში გავრცენით, ძალიან მრისხანე და დაუნდობელი წერილი იყო, ზუსტი და მწარე. მაშინ სანთლით იყო საქმეარი ასეთი უშიშარი ნაბიჯის გადამდგმელი ადამიანი. ძალიან დაგვიანდებოდა, არც ვაციეთ და არც ვაცხელეთ და ამ მისამართზე სტუმრად მივადექით. მაშინ ორთაჭალაში ცხოვრობდა მარტო, სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი ჰქონდა. კარგად მიგივლო, გვიანობამდე ვისაუბრეთ და ასე დაიწყო ჩვენი ახლოობა. ჩაფარდნის პერიოდი გვექონდა, სურვილი იყო, მაგრამ არ ვიცოდით, რა გავგვეტეებინა. ლიზიკოს ცხოვრების საოცარი სკოლა ჰქონდა გავლილი და თვითონაც საოცარი ქალი იყო. ძალიან ბევრ რამეს გვასწავლიდა და გვიჩვენებდა. შემართული, მოუდრეკელი იყო, საზიზღარ დღეში გვაგდებდა, დაგვეპირავდა ხოლმე — არაფერს აკეთებ, უსაქმურობთ, არაფრის მაქნისები ხართ, ტყუილად იბრალებთ პატრიოტობას, თქვენგან არაფერი გამოვაო. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ პირველნომრიანი მანდატი რომ მივუტანეთ, სახელში იწვია, ავად იყო. მანდატი გულში ჩაიხუტა და გვიტხრა — ახლა მჯერა, საქართველო დამოუკიდებელი იქნებაო. სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, 1988-ში გარდაიცვალა“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მონანიება

## შიო გვებაძე

ნაოპერაციები კრიმინალი საშუა ჩერქეზი განაგრძობს გამოძიებელ ლევან მინდელისთვის თავისი ცხოვრების შესახებ თხრობას. რუსეთში გადახვენილი, ორჯერ მოხვდა პატიმროში, რამდენიმე დიდ ძარცვაში მონაწილეობდა, შემდეგ, ვილნიუსში გადავიდა საცხოვრებლად და ძალზე ფრთხილად იქცეოდა, ჯგუფთან ერთად, სულ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა. ამ ქალაქში გატარებული 5 წლის შემდეგ, თამაზს გულმა მშობლიური ქალაქისკენ გამოუწია.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-29)

ის თბილისში ჩამოვიდა, გარდაცვლილი დედის საფლავიც მოინახულა. რუსეთში დაბრუნების შემდეგ კი, ერთ-ერთი ძარცვის დროს დაიჭრება და კვლავ დააპატიმრებენ. ციმბირის კოლონიაში მას ერთ-ერთი ტუსალი გაქცევას შესთავაზებს და ვინმე გიორგაძესთან დაკავშირებასაც შეჰპირდება.

მეორე დღეს გიორგაძეს შევხვდი, არც მისთვის გამიძებნა, ქართველი რომ ვიყავი. გაქცევის მეტად მარტივი გეგმა შევიმუშავეთ. როგორც წესი, პატიმართა ენ. ამოკითხვა დილით ადრე და დანოლის დროს წარმოებდა. ე.წ. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ბარაკებში მიმავალთ, უნდა მოგვეხერხებინა და რაზმს ჩამოვრჩენდით, შემდეგ თავი უნდა მოგვეყარა გაჭირვებასთან, სადაც იაკუტი დაგვედებოდა; გამოგვეყენებინა ამოკითხვამდე დარჩენილი 4 საათი და სადარაჯო ზონა გაგვევლო. რაზმისგან ჩამორჩენა არ იყო ძნელი. რამდენიმე ასეულ პატიმარს ორი-სამი კაცი ბადრაგობდა, ისიც ფორმალურად, რადგან კოლონიის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, პატიმრების გაქცევა ყოველად შეუძლებელი იყო. გავიდა ერთი კვირა, გასაქცევად ყველაფერი მზად იყო. მერვე დღეს ცაცია შემხვდა და გამაფრთხილა, რომ ზუსტად სამი დღის შემდეგ, საღამოს, დანიშნულ ადგილზე იაკუტი გველოდებოდა.

„თუ ვერ გავდით, სხვა შემთხვევა აღარ გვექნება. იაკუტი ერთ საათსაც არ დაგვიცდის“, — მითხრა მან.

შევთანხმდით, მაგრამ დილით გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: ვილაც პატიმარი, ისიც ქურდი, პაპაშას აუხირდა თურმე. პაპაშას ცაცია გამოექომაგა, მონინალმდეგეს — რამდენიმე თავისი ამხანაგი. ჩხუბი ნამდვილ ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა. გიორგაძემ მძიმედ დაჭრეს, ცაცია კი, ბარი ჩაარტყეს და წელს თეძო-მოგდებულივით ითრევადა.

„მინც უნდა ნავიდეთ! — მითხრა ცაცია. — ახლა აქ გამოძიება დაიწყება და

შეიძლება ორი დღის შემდეგ საერთოდ გარეთაც აღარ გამოიყვანონ“.

„პაპაშა?“ — ვკითხე მე.

„პაპაშა ვერ წამოვა. სიკვდილს თუ გადაურჩა, რამდენიმე თვე საერთოდ არ ივარგებს“.

„გაგვეცმს!“  
„ვინ, პაპაშა? გუშინდელი ხომ არ გგონია?“

„მინც, ნახე“.  
„ვნახავ“, — შემიპირდა ცაცია.

დადგა გაქცევის დღეც. დილით ჩვეულებრივად გაგვიყვანეს სამუშაოზე. თერმომეტრი 18 გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ. რატომღაც სულ არ ვვლავდი და მოთმინებით ველოდი სამუშაოს დამთავრებას. როგორც იქნა, ეს დროც დადგა, ბარაკებში მიმავალ კოლონას მშვიდად ჩამოვრჩი და ტყისკენ გაუხვიე. არავის გამკვირვებია, რადგან ამაში არაჩვეულებრივი არაფერი იყო. ათიოდე წუთის შემდეგ, კოლონამ ჩაიარა თუ არა, ახოზე გამოვიდი. რამდენიმე წუთში ცაცია გამოჩნდა, სიარული უჭირდა, მაგრამ არ იმჩნევდა. უხმოდ, ცალ-ცალკე, ადრე შესწავლილი ბილიკით გავემურეთ იაკუტთან შესახვედრად. სულ რაღაც ნახევარი კილომეტრიდა გვექონდა დარჩენილი. ცაცია ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდა, სადღაც მარცხნივ უნდა ყოფილიყო. ყინავდა, მე კი ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე. ახლა სულ რაღაც ორასიოდე მეტრი თუ მამორებდა იაკუტთან შესხვედრის ადგილს. უეცრად, ტიპგამი გამეფებული სიჩუმე შეძახილმა დაარღვია, ჩემს მარჯვნივ შაშხანა გავარდა, ერთხელ, მეორედ... კიდევ ერთხელ და თოფის ხმას ცაცია გამწარებული გინება მოჰყვა... თოვ-

ლს გავეკარი, მაგრამ იმნამსვე ნამოხტი და თავგამეტებით გავიქეცი. „რა კარგია, რომ ადრე დავათვალე ბილიკი“, — ვფიქრობდი გახარებული და უფრო ვუმატებდი სისწრაფეს. აგერ დიდი ნაძვიც. ორჯერ ვიყავით ამ ადგილზე მე და ცაცია. ნაძვის წინ, ორ მოჭრილ ხეს შუა, პატარა, თავისუფალ ადგილას, თოვლში დავეცი, გული მკერდიდან ამოხტომას ლამობდა.

„ცაცია?“ — მომესმა ნიავით ნუნარი ჩურჩული და თავი ავნიე.

ნაძვთან, ბენვის ქურქში გახვეული, ტანდაბალი კაცი იჯდა და ყურადღებით მათვალეობდა.

„იაკუტი ხარ?“, — გავეპასუხე ჩურჩულითვე.

„ჰო, ცაცია სად არის?“

„ცაცია მოკლეს ან შეიპყრეს, პატრული შემოეყარა“.

იაკუტს არ უპასუხია, უხმოდ ნამოდგა.

„ნავიდეთ! ალბათ აქაც მოვლენი!“, — მითხრა და უხმაურად გაძვრა ნაძვებში...

მთელი ღამე ვიარეთ. იაკუტი ერთხელაც არ შეჩერებულა გზის საქებრად, ეტყობოდა, კარგად იცნობდა ამ მხარეს. გამთენიისას რომელიღაც ფულუროს შევფარეთ თავი. იაკუტმა ზურგზე მოგდებულ ტომარა გახსნა და მოხარული ხორცი და ორცხობილა ამოიღო. უხმოდ დავინწყეთ ჭამა. იაკუტი კვლავ ყურადღებით მათვალეობდა. მივივრდა მისი საქციელი. მთელი ღამე ხმა არ ამოუღია და ის ორიოდ სიტყვა რომ არა, რომლითაც შეხვედრისას შემეხმინა, უთუოდ მუწვი მეგვებოდა. საუზმე დავამთავრეთ. იაკუტმა ახლა მათარა გადმოშვდა.

„გავფრთხილდეთ, მეტი არ არის!“ — მითხრა მან.

მათარა სპირტი იყო სახვე. მოვსვი, სითბომ სააოდ დამიარა ძარღვებში.

„დაიძინე!“ — მოკლედ მომიგო იაკუტმა და თვალები დახუჭა.

არ ვიცი, რამდენ ხანს გვეძინა, შეიძლება ერთი საათი, შეიძლება — სამიცი. ძილმა სწრაფად აღმიდგინა ენერგია, თამაზად გამოვქვირი დედას.

„ბევრი აღარ დაგვრჩა, მალე მივალო“, — გამამხნევა იაკუტმა.

უხმოდ დაგვექით გზას. დაახლოებით 5 საათის სიარულის შემდეგ იაკუტი გაჩერდა.

„მოვედით!“ — მითხრა მან.

მიმოვიხილეთ, ტყეში ვიყავით. ირგვლივ თვალუნვედნილი, თოვლის სიმძიმით ტოტებდაზნეილი ნინვარი ჩანდა მხოლოდ.

„აქ იყავი!“ — მოკლედ მომიჭრა იაკუტმა და ტყეში გაუჩინარდა.

მარტო დავრჩი. „რა მოუვიდა ცაცია, ნეტავ მოკლეს თუ ცოცხლად შეიპყრეს? ვაითუ, გამცა?“ — გამიელვა თავში.

„ადექი, ნავიდეთ!“ — ხელი წამავლო იაკუტმა.

უცნაური კაცია ეს იაკუტი, როდის მოვიდა, რატომ ვერ გავიგე? ნამოვედი. იაკუტმა ტომარა გადმოშვდა.

„აქ შაქრის რაფინადია, — მითხრა მან. — კიდევ 100 კილომეტრი გაქვს გასავლე-





ლი, გზაზე გაგიყვან, შემდეგ კი ერთმანეთს უნდა დავეშორდეთ. გახსოვდეს, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ტაიგიდან ერთადერთი გზა მიდის დასახლებულ პუნქტამდე. იქ თუ ჩააღწიე, შემდეგ არა გიმავს. ღამით, დასახლებაში მარცხნივ მდებარე პირველსავე ქოხის კარზე ოთხჯერ დააკაკუნე. გაგიღებენ, ჩემს სახელს ეტყვი, მოგივლიან და გაგამგზავრებენ. ალბათ გეცებენ კიდევ უკვე. ფრთხილად იყავი!”

„რა სახელს?“  
„იაკუტს! სხვა სახელი საჭირო არ არის, — მომიჭრა მან და წამოდგა. — წავიდეთ, გზას გიჩვენებ.“

ტომარა ავიღე და უკან მივყვედი წინ მიმავალ იაკუტს. რამდენიმე წუთის შემდეგ გზაზე გავვდიეთ. იაკუტი შეჩერდა.

„აი, შენი გზა!“ — მითხრა მან და წინ გაიშვირა ხელი.

სიბნელეში თეთრად მოჩანდა გატყეპნილი თოვლის ვინრო ზოლი. იაკუტი შემობრუნდა.

„ახლა ისევ ტყეში შევიდეთ, რამდენიმე საათის დასვენება საჭირო.“

უკანვე შევედით ტყეში. სამიოდე მეტრი გავიარეთ და ერთ ბუბერ ფიჭვთან შევჩერდით. იაკუტმა ისევ გახსნა თავისი ტომარა, ვიკახშმეთ. „ვინ არის ეს კაცი, რატომ არაფერს მეკითხება?“ — გავიფიქრე და იაკუტს მივაჩერდი. ის მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს.

„იაკუტს!“  
მან თავაუღებლივ შემომხედა.  
„მითხარი მაინც, ვინ ხარ? თუ გავედი, ის მაინც ვიცოდე, ვისი მადლობელი უნდა ვიყო.“

„საჭირო არ არის, მე ცაცისა თხოვნას ვასრულებ! — მითხრა მან, შემდეგ უბე მოიქექა. — აი ეს ქალაღი, ცაცია მადმომცა, როცა ბანაკიდან გავთავისუფლდი. მე ამისი არაფერი გამეგება, არ ვიცი, რა არის, ცაცის ვუნახავდი, იქნებ შენ გაარკვიო.“  
ოთხად მოკეცილი ქალაღი ჩამოვართვი, და ჯიბეში მექანიკურად ჩავიდე.

„აბა, მე წავედი! ათ წუთზე მეტხანს ნუ დააყოვნებ, შენც წადი! გზა მშვიდობისა!“

იაკუტი წამოდგა და გამოუშვიდობებლად წავიდა. წავიდა, მაგრამ თურმე შორს წასვლა არ ენერა. ის იყო, ტომარა ზურგზე მოვიგდე, რომ იმ მხრიდან, სადაც იაკუტი თვალს მიეფარა, საშინელმა ჭახანმა შეძრა ტაიგის მღუმარება. შევვრთი, შემდეგ ტომარა დავაგდე და იაკუტის კვალს მივყვე. ორმოცდაათი ნაბიჯიც არ მექნებოდა გავლილი, რომ საშინელი სურათი ვიხილე: თოვლისგან დამძიმებული, ცალკე მდგომი მოხრილი ფიჭვი გადატეხილიყო, თავში დასცემოდა იაკუტს და ქვეშ მოეყოლებინა. დაკლული ქათამივით, ის ჯერ კიდევ იქნევდა ფეხებს. შევეცადე, ხისგან გამეთავისუფლებინა იაკუტის სხეული და როცა ხე გვერდზე გადავართიე, უთავო ცხედარილა შემრჩა ხელში: დარტყმის ძალას მისთვის თავი მოეგლიჯა. იაკუტის ასეთ ტრაგიკულ ბედს ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ის იყო, წასვლა დავაპირე, ერთმა აზრმა გამიელვა: შევჩერდი, სწრაფად გავაძვრე იაკუტს თბილი ბუნვის ქურქი და კოლო-

ნიაში მიღებული, ჩემი ცხვრის ტყავის ქურქი ჩავაცვი. „თუ კვალს მიაგნეს, ძებნას აღარ დამინწყებენ. მგლებისგან დაჯიჯგინე გვამს ვერ ამოიცნობენ“, — გავიფიქრე თითქმის კმაყოფილმა. შემდეგ უთავო ცხედარი მჭიდროდ მივაბჯინე გადატეხილ ხეს და სწრაფად გავშორდი იქაურობას. ორიოდე წუთის შემდეგ ტაიგიდან გავედი და იაკუტის ნასწავლებ გზას დავადექი. აღარ მოვყვები, როგორ მივალნი დასახლებულ პუნქტამდე — ეს შიმშილის, გაჭირვებისა და არაადამიანური ტანჯვის გრძელი ჯაჭვია. ჩემი სიცოცხლე ბევრჯერ ბუნებზეც ეკიდა, მაგრამ ყველაფერი დაძლიე და მშვიდობით მივალნი ქოხამდე. იაკუტი მართალი გამოდგა: მიმიღეს, მომიარეს. მთელი ერთი თვე მათთან დავეყვი. როდესაც კარგად მოვზაგრადი, გამახსენდა იაკუტის მიერ გადმოცემული ოთხად მოკეცილი, სქელი, ნაცრისფერი ფურცელი. გავშალე. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ქართულ ენაზე ნაწერი შემრჩა ხელში. ჩვეულებრივი წერილი იყო, პატიმრის მიერ ცოლთან მიწერილი. გამიკვირდა, წუთო ცაცია ქართველი იყო? მაგრამ როდესაც ხელმოწერას დავხედე, ყველაფერს მივხვდი. წერილი პაპაშას დაენერა და ცოლს სთხოვდა, კარგად მიელო ბარათის მიმტანი. სულ ბოლოს ადრესატის მისამართი იყო მიწერილი. წერილის გადაგდება დავაპირე, მაგრამ არ ვიცი რატომ, გადავიფიქრე და ხალათის ჯიბეში ჩავიდე. ჩემს მასპინძელს ერთხელაც არ უკითხავს, ვინ ვიყავი, არც იაკუტის სიკვდილი უდარდია მაინცდამაინც. წასვლისას 5.000 მანეთი მომცა. გაკვირვებით შევხედე.

„ორივეს ნილია, — ამისხნა მასპინძელმა, — ახლა დიდ დფასი აღარა აქვს ოქროს, ძნელად იყიდება.“

ყველაფერს მივხვდი. აი, თურმე რატომ ზრუნავენ ასე ჩემზე. გამახსენდა: გაქცევამდე სამიოდე თვით ადრე ცაცისა მიმართ კოლონიაში საქმე აღიძრა ოქროს დამალვის თაობაზე. ვილაცამ დაასმინა. მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ცაცის ვერაფერი დაუმტკიცეს. ძნელი დასაჯერებელი იყო, პატიმარს ოქროს დამალვა მოეხერხებო-

ნა. ან რად უნდოდა, რაში შეეძლო მისი გამოყენება? ახლა ისიც ნათელი გახდა, რისთვის დადიოდა იაკუტი წელიწადში ერთხელ ვეებერთელა ფიჭვთან.

...ორი თვის შემდეგ, უკვე სამშვიდობოს ვიყავი. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მოსკოვში ჩვენი ხალხისაგან სასესებით საიმედო საბუთი ვიშოვე, ჩარგიევის გვართ. საცხოვრებლად ამჯერად ტაშკენტი ავირჩიე, ფორმალურად მოვეწყვე ტაქსოპარკში დისპეტჩერად და ჩემი ხალხის ძებნას შევუდექი. ერთი თვის შემდეგ, ნაცადი ქურდების პატარა, მაგრამ საიმედო ჯგუფი შევკარი და ძველ საქმიანობას მივყავი ხელი. ივანისელმა ტაშკენტში მომძებნა, ისე შევხვდით, თითქოს გუშინ დავშორდით ერთმანეთს. მალე აზარტულ მოთამაშეთა ბუნგას მივაგენი, მთელი ღამეები ვთამაშობდით, უმონყალოდ ვფცქვინდი პარტნიორებს. კარგად ვიცავამდი. თუ ქურდების წრეში არ ვიყავი, ჟარგონს ვერავინ გაიგებდა ჩემგან. ერთი სიტყვით, ეჭვს ვერ შეიტანდნენ ჩემს პიროვნებაში. გასულ წელს, ერთ საუკეთესო რესტორანში, ბასაკოვა გავიცანი. წინათ არც ერთ ქალს არ ვუახლოვდებოდი, ბასაკოვას კი შევეჩვიე. მხოლოდ შევეჩვიე, რადგან შეყვარება უკვე აღარავისი შემეძლო. ასე გადიოდა დღეები... ერთ საღამოს ივანისელი ჩემთან დარჩა ღამის გასათევად. მე უკვე გითხარდი, რომ მას შემდეგ, რაც ივანისელმა არ გამომეგება და ჩემს გადასარჩენად დიდი რისკი გასწია, ისე ვეპყრობოდი, თითქოს ძმა ყოფილიყო ჩემი. ისიც გრძნობდა ამას და თავი მოჰქონდა. რატომღაც ძილი გავეტიყდა, დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს ჩემი დაჭრის ამბავიც გავისხენეთ.

„ერთი გამაგებინე, რას მივანერო მაშინდელი შენი თავგანწირვა?“ — ვკითხე ივანისელს.

მან დაკვირვებით შემომხედა.  
„შენ შეგიძლია, არ მიპასუხო, — განვაგრძე მე, — მაგრამ თუ მეტყვი, მხოლოდ სიმართლე უნდა მითხრა.“

„კარგი, — მიპასუხა ივანისელმა — მაგრამ მხედველობაში იქონიე, რომ ეს საუბარი შენ თვითონ წამოიწყე, მე არაფერი მი-



ბული, ისეთი რამ გავიგო შენი წარსულ-  
იდან, რისი თქმაც შენ არ გასურს“.

„სახელდობრ?“

„აი, თუნდაც, რა ეროვნების ხარ; გყავს  
თუ არა შობილები, და-ძმა ან...“

„მე სრულიად მარტო ვარ ამქვეყნად.  
რაც შეეხება ჩემს ეროვნებას, აქ დასამალი  
არაფერია. მე მგონი, შენც იცი — ჩერქეზი  
ვარ. თუმცა, არ მესმის, რა მნიშვნელობა  
აქვს ამას შენთვის. იმის თქმას ხომ არ  
აპირებ, რომ ქართველი გეგონე და ამიტომ  
არ გამიძებნე მოსაკლავად?“

„რა თქმა უნდა, არა. თუმცა ასეც რომ  
იყოს, შენ იცი, ეგ ხელს ვერ შემიშლიდა  
იმის გაკეთებაში, რასაც ჩემს ადგილას შენ  
ჩაიდენდი... მაგრამ ჩემს წარსულში არის  
ერთი ეპიზოდი, რამაც მაიძულა, ტრადიცი-  
ისათვის მელაღა და ნაცვლად იმისა, რომ  
ტყვია დამეხალა შენთვის, რისკი გაწიე და  
გადაგარჩინე“.

მიუხედავად იმისა, რომ ივანისელები დიდი  
გავლენა მქონდა, ქურდობის დაუნერულ  
კანონს მტკიცედ ვიცავდი. ეს კანონი უფლ-  
ებს არ მძლევდა, ივანისელების წარსულით  
დავინტერესებულყავი. ივანისელი მიხვდა ჩემი  
სიჩუმის მიზეზს და ჩაეცინა.

„მე ეს ეპიზოდი იმიტომ ვახსენე, რომ მან  
ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და ცოტაც  
რომ დამცლოდა, იქნებ ქურდობაზეც კი  
ამელო ხელი. თუმცა ისე არ გამიგო, თითქოს  
ვნანობდე — არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია:  
ჩემი წარსულის ამ ფრაგმენტმა, იმ მომენ-  
ტში, როდესაც შენ ნაიქეცი და მილიცია  
სულ რაღაც ერთ ნაბიჯში იყო, მაიძულა,  
გადაგარჩინე ან შენთან ერთად ჩავვარდ-  
ნილიყავი.“

„მან რა იყო ასეთი?“ — დამძლია  
ცნობისწაღილმა.

„გეტყვი“, — ივანისელი ჩემკენ გადმო-  
ბრუნდა და სიბნელეს შეჩვეული თვალით  
შევაშჩინე, როგორ ელიმებოდა მას.

„დიდი ხნის წინათ — დაიწყო მან —  
ერთ კოლონიაში ვიჯექი, რუსეთის შორეულ  
მხარეში. ვინ გინდა, იქ რომ არ მჯდარიყო,  
მაგრამ უმეტესობა მანც ჩვენი ხალხი იყო.  
შენც იცი, კოლონიაში ცოტა როდია ისეთი,  
რომელიც იოლად ეგება აგიტაციის ჩანგალს  
და კოლონიის ადმინისტრაციის სიტყვებით  
რომ ვთქვათ — აღზრდილი უბრუნდება  
საზოგადოებას. ჩემზეც სცადეს ამ ხერხის  
გამოყენება, მაგრამ შენც ხედავ, რა გამოვი-  
და აქედან. კოლონიის ადმინისტრაცია მალე  
დარწმუნდა, ჩემგან „კომისარი“ არ გამოვი-  
დოდა, მაგრამ თავი მანც არ დამანებებს და  
დაჟინებით ცდილობდნენ ჩემს მორჯულე-  
ბას. ერთხელ, ბარაკში ოციოდე პატიმარი  
მოიყვანეს, მათ შორის — ორი ქურდი.  
დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ახალმო-  
სულელებმა რამდენიმე ქურდი გადაიბირეს და  
სხვა ქურდების დამორჩილებას შეეცადნენ.  
მათი ცდა ჩხუბითა და დანების ტრიალით  
დამთავრდა. ერთი ახალმოსული გამოვიგნეს.  
ამას, რამდენიმე ქურდის ხელახლა გასა-  
მართლება და სასჯელზე სასჯელის დამატე-  
ბა მოჰყვა. თუმცა ჩხუბის დროს ბარაკში  
არ ყოფილვარ და დღემდე არ ვიცი, ვინ  
ჩაიდინა მკვლელობა, რატომღაც სხვებთან  
ერთად მიმცეს პასუხისგებაში და ალბათ

სასჯელსაც ვერ ავცდებოდი, ერთ გარემოე-  
ბას გადამწყვეტი როლი რომ არ ეთამაშა:  
ჩვენს კოლონიაში სასჯელს იხდიდა ერთი  
ქართველი კაცი, რომელზეც პატიმრები ერთ-  
მანეთის სანინაღმდეგო, მაგრამ საინტერესო  
ამბავს ჰყვებოდნენ. ერთი ამბობდნენ, რომ  
ის მეცნიერი იყო და დაპატიმრებამდე დიდი  
თანამდებობა ეკავა; სხვების თქმით, მან რაღაც  
მანქანა გამოიგონა და საზღვარგარეთ გაყ-  
იდა. ზოგიერთის აზრით კი, ის არავითარი  
მეცნიერი და გამომგონებელი არ იყო და  
ჩვენთანაც მხოლოდ გაფლანგვისათვის იჯდა.  
თვით ის პატიმარი არავის უშლიდა გულს,  
სხვებივით მუშაობდა და ყველასთან ერთ-  
ნაირ დამოკიდებულებაში იყო — არც უახ-  
ლოვდებოდა და არც გაუბრბოდა ვინმეს.  
ხანდახან საღამოს ჩამოჯდებოდა, ახალგაზრ-  
და პატიმრებს გვესაუბრებოდა და გვარი-  
გებდა, ხელი აგველო ქურდობაზე. საოცარი  
იყო, რომ ის არავის მიაჩნდა ადმინისტრაცი-  
ისგან გამოგზავნილ კაცად და თუმცა აგიტ-  
აციას გაფურბოდით, მას ყოველთვის სიამ-  
ოვნებით ვუსმენდით ხოლმე. ამ პატიმარს  
ვიღაცამ „უპარტიო კომისარი“ შეარქვა და  
მთელი „ლაგერი“ ამ სახელით იცნობდა. აი,  
სწორედ ეს „კომისარი“ გამოვიდა მონმედ  
ჩემს საქმეზე და იმდენი იბრძოლა, იმდენი  
წერა და იარა კოლონიის უფროსთან, რომ  
ბოლოს, ჩემ მიმართ საქმე მოსპეს და  
კარცერიდანაც გამიშვეს. მე ახლაც არ ვიცი,  
როგორ ახერხებდა ამას, მაგრამ ფაქტია,  
რომ პატიმრებიც და კოლონიის ადმინის-  
ტრაციაც პატივისცემით ეპყრობოდნენ. ჩემი  
კარცერიდან გამოსვლის შემდეგ, დიდი დრო  
არ გასულა, რომ მკვლელობის ჩამდენი ქურ-  
დები გაასამართლეს და სხვა კოლონიაში  
გაგზავნეს, ხოლო ჩვენს კოლონიაში მყოფ  
ქურდებს შორის, ვიღაცამ ხმა გაავრცელა,  
— ბიჭები ფირუზამ ჩააგირავაო. ჭორი ბევ-  
რმა დაიჯერა, რადგან მე, ჩემდა უნებურად  
დავუახლოვდი „უპარტიო კომისარს“ და  
მასთან ერთად ვიძინებდი ტახტზე. როგორც  
შემდეგ გაირკვა, ეს გარემოება ქურდებმა  
ლაღაზად მიიჩნიეს და ჩემი მოკვლა გადან-  
ყვიტეს. ერთ ღამეს, მე და „კომისარი“ ბარ-  
აკის ეზოში, ხის ქვეშ ვისხედით და ჩვეუ-  
ლებრივად ვსაუბრობდით. საკმარისი იყო,  
ეს კაცი ვინმეს თუნდაც ერთხელ გასაუბრე-  
ბოდა, რომ უმალ თავისი გავლენის ქვეშ  
მოაქცევდა. მეც ასე დამეპართა და გვრძობ-  
დი, რომ კიდევ ცოტა ხანიც და უეჭველად  
ჩამომამორებდა ქურდებს. მინდოდა, თავი  
დამეღწია ჩემი საქმიანობისთვის, მაგრამ ვერ  
ვახერხებდი. იმ ღამით პირველად გავბედე  
მეკითხა, რატომ იყო დაპატიმრებული. მან  
მწარედ გაიღიმა, როგორც ბავშვს, ისე გად-  
ამისვა თავზე ხელი და ნალვლიანად მითხრა:

„მე მძიმე, ძალზე მძიმე, დანაშაულისათვის  
ვარ დასჯილი, თუმცა ის, რასაც მებრალე-  
ბენ, არასოდეს ჩამიდენია, ჩემო შეილო“.

შემდეგ წამოგდა და ბარაკისაკენ წავიდა.  
მეც უკან მივყვი. ბარაკიდან ასიოდე ნაბიჯზე,  
სამი პატიმარი შემოგვეყარა. ჩვენ გვერდის  
ავლა დავაპირეთ, მაგრამ ისინი წინ გადა-  
გვიდგნენ და შეუვალი ხმით მოითხოვეს,  
ცოტა ხნით გვერდზე გაგყოლოდი. მე მზად  
ვიყავი, შემესრულებინა მათი მოთხოვნა,  
მაგრამ „კომისარმა“ ხელი მტაცა და წინ

ამეფარა.  
„რა გინდათ ამ ბავშვთან?“ — შეეკითხა  
მათ მკაცრად.

„შენ გვერდზე მიდექი, „უპარტიო კო-  
მისარი“, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ!“,  
— უთხრა ერთმა მათგანმა.

„ქურდების საქმეში ნუ ერევი, თავს  
ნააგებ!“ — მიახალა მეორემ.

„ახლავე გზიდან ჩამოგვეცალეთ!“ — შეუ-  
ტია ჩემმა თანმხლებმა.

იმავე წამს სამმა დანამ იელვა, მაგრამ  
„კომისარი“ ლომივით დატრიალდა და ვი-  
დრე მე გონს მოვიდოდი, სამივე თავდამ-  
სხმელი ცხვირბირდასისხლიანებული ეგდო  
ძირს. ეს ამბავი, ჩემი თხოვნით, კომისარს  
არავისთვის გაუმხელია, მაგრამ ამის შემდეგ  
იგი გვერდიდან არ მიშორებდა და შეილივ-  
ით მმფარველობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ,  
ორივე სხვა კოლონიაში გადავიყვანეს. ექვ-  
სი თვის შემდეგ კი, იგი ტიფით გახდა ავად.  
ორი კვირა ტანზე არ გამიხდია, არც დავ-  
წოლილვარ, ერთგულ ლაქიასავით ვადექი  
თავზე. ექიმიც არ აკლებდა ზრუნვას და  
წამალს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა,  
იგი გარდაიცვალა“, — დამთავრა ივანისელმა.

მე უინტერესოდ ვუსმენდი ივანისელს.  
ჩემზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია  
ამ „უპარტიო კომისარად“ წოდებული კაცის  
თავდადებას, კაცთმოყვარეობას და მოუ-  
მენლად ველოდი, როდის იტყოდა ივანისე-  
ლი იმას, რაც მე მაინტერესებდა, მაგრამ  
ივანისელი დუმდა და სიბნელეში ვხედავდი,  
როგორ მისჩერებოდა ჭერს. „მერე, — და-  
ვარღვიე დუმილი, — შენც კომისარს მიჰ-  
ბაძე?“ — შევეკითხე დაცინვით.

ივანისელი წამოჯდა. დიდხანს დაჟინებით  
მიცქერდა.

„არა, მათე. არავითარი ნაბაძვის სურ-  
ვილი არ მქონია. საქმე ის არის, რომ ის  
კაცი, ის „უპარტიო კომისარი“ და შენ...  
გაჭრილი ვამლივით ჰგავხართ ერთმანეთს“.

დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ტახ-  
ტიდან არ წამოგჭრილიყავი. გულმა საშინ-  
ლად დამინყო ძგერა და უეცრად მოწო-  
ლილმა სისხლმა ჩაქუჩივით დამკრა  
საფეთქლებში.

„მე მგავდა? რა სისულელეა! — წარ-  
მოვთქვი რაც შეიძლებოდა მშვიდად. — რა  
გვარი იყო ის შენი „უპარტიო კომისარი“?

„გვარი და სახელი არ მახსოვს, დიდი  
ხნის ამბავია, ხოლო მსგავსება კი მართლაც  
ძალზე დიდია“.

„ეგ სისულელეა, ფირუზ, მე საქართველ-  
ში“.

**ინფორმაციული  
ბელეფონი**

**822-006-008**  
**822-006-088**  
**822-006-108**

(ზარი უასიანია)  
18 წლიდან





ველოში არავინ მყავს. მაინც რამდენი წლის იქნებოდა ის შენი კომისარი?"

„წლოვანებას ზუსტად ვერ გეტყვი, ასე 50 წლის მაინც იქნებოდა: გულახდილად უნდა გითხრა — მისი სიკვდილი რომ არა, მე დღეს სულ სხვა ადამიანი ვიქნებოდი“.

„სისულელეა! თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, — მიუხედავად ამისა შენ და შენდგე სიცილით დაუფიქრებ: — ასეა თუ ისე, მე მაინც მადლობელი ვარ იმ ჩემი მსგავსი „კომისარისა“, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი სამსახური გამინია და სიკვდილს გადაამარჩინა. შენ ნუ დარდობ, „კომისარი“ უეჭველად სამოთხეში მოხვდებოდა. ღმერთს უყვარს ასეთი ხალხი და ჯოჯოხეთს მათი მიღებით სიამოვნებას არ მიანიჭებს“.

ივანისელება არაფერი მიპასუხა. ცოტა ხნის შემდეგ ჩაეძინა კიდევ. მას კი დაეძინა, მაგრამ მე ძილი არც მომეკრებოდა.

„ქართველი, მეცნიერი, დიდი თანხების გამფლანგველი, — ლურსმანივით ჩამეჭედა თავში ივანისელის ნათქვამი. — „იქნებ მამაჩემი იყო?“ — ამეკვიბათა ეს აზრი და მოსვენება დავკარგე. ის ლამე თეთრად გავათენე, მაგრამ აკვირებული აზრი შემდეგ დღეებშიც ვლარ მოვიშორე. „რა სისულელეა! — ეპასუხოვდი ჩემს თავს, — ჩემს მშობლებს დახვრება მიუსაჯეს და დახვრიტეს კიდევ. სიკვდილიმისჯილს ციხეში აღარ აჩერებენ, ხოლო სასჯელი რომ შეეცვალათ, დეიდაჩემი უეჭველად გაიგებდა. ცხადია, ისინი დახვრიტეს, მორჩა და გაათავდა! მორჩა და გაათავდა!“

მაგრამ არც მორჩა და არც გაათავდა, ეჭვი, რომელმაც თავიდანვე მოსვენება დამიკარგა, თანდათან გამიძლიერდა და ბოლოს სრულიად დამიმორჩილა. პაპროსის ბოლში გახვეული, თეთრად ვათუნებდი ლამებს. ძილი შემეშლდა, ჩავთვლემდი თუ არა, სიზმრები მანვალებდა. თითქმის ყოველ ღამით მე-სიზმრებოდა მშობლები, ჩვენი ბინა თბილისში, ელდისაგან უეცრად დაბერებული დედა და გაფითრებული მამა, ნაძალადევი სიმშვიდით რომ მიპყვებოდა „ჩეკისტებს“. წერები დაწყებულა მქონდა, გაჭიდი, თვალები ჩამიცივდა, სულ ცოტა რამ მყოფნიდა წონასწორობის დასაკარგავად. ბოლოს ისე გამაღიზიანა ამ ამბავმა, მეშინოდა, ჭკუიდან არ შევმლიღიყავი. ერთ ღამეს გვიან დავბრუნდი ოთახში. გაუხდელად მივეგდე სანოლზე და უაზროდ მივაჩერდი ჭერს. ფიქრებმა წამილი. მომაგონდა უკანასკნელი 10 იან-

ვარი ჩემი ბედნიერი ბავშვობისა, გაჩახახებული ოთახი, მხიარული სტუმრები, ბედნიერი დედა-მამა, სკამებს შორის ქურციკივით მოხტუნავე თვალებფოფინა ევა, ცილა... შემდეგ „ჩეკისტები“, მშობლების წაყვანა, მამის თბილი გამოხედვა.

„მისმინე, თამაზ, რაც არ უნდა მოხდეს, გახსოვდეს, მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის“, — მომესმა გარკვევით.

გიუივით ნამოვვარდი, მთელი სხეული მიცახცახებდა, კარადას ვეძგერე, კონიაკის ბოთლი მოვიყუდე და სულმოუთქმელად გამოვცალე... ის ღამეც თეთრად გავათენე, მეორე დღეს კი მტკიცედ გადავწყვიტე, თბილისში წავსულიყავი. ივანისელი სიხარულით ცას უნია.

„თბილისი კარგი ქალაქია, საგზოდ დიდი. იქ ჩვენი ხალხიც არის, ჯერ ვერ მოსაპეს „ლეგაზებმა“. გაიცნობ, იქნებ ორიოდე საქმეც წავიღოთ და მერე მოვუსვათ ოთხივე კუთხივ“, — მითხრა მან მხიარულად.

მწარედ გამეცინა. რა იცოდა ივანისელება, თუ თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქი იყო და პირველი ნათლობაც იქ მქონდა მიღებული. გადაწყდა. მეორე დღეს ბილეთი ავიღე და თვითმფრინავში ჩავჯექი. ტანამ იცოდა, რომ მე წყალტუბოში მივდიოდი, ივანისელი კი ცალკე უნდა წამოსულიყო და სასტუმრო „თბილისში“ მოვექებნე. ტანია ჯერ არ მიშვებდა, მაგრამ შემდეგ დამთანხმდა იმ პირობით, რომ 4 კვირის შემდეგ ისიც წამოვიდოდა და ერთმანეთს წყალტუბოში შევხვდებოდით. თბილისში 16 დეკემბერს ჩამოვედი. სასტუმრო „თბილისში“ დავბინავდი, სადაც ასე სტუმართმოყვარედ მიმიღეს ამ რამდენიმე წლის წინათ. მალე უცხო ფრანტივით გამოპრანჭული ივანისელიც მეწვია. მისალმებაც არ ვაცალე, ნავეჩხუბე. მის ასეთ თავისუფლად მოსვლას შეიძლებოდა ორივე ჩვენგანის დალუპვა მოჰყოლოდა. სწრაფად გავისტუმრე და ვუბრძანე, 4 დღის შემდეგ მოსულიყო, ისიც ღამით. მეორე დღესვე რომელიღაც იურიდიული კონსულტაცია მოვებნე, ვიკითხე, სად და როგორ შეიძლებოდა მომეძიებინა ჩემი მშობლების საქმე და იმავე დღესვე, სათანადო განცხადებით უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შევედი. პასუხისთვის ხუთი დღის შემდეგ დამიბარეს, მაგრამ ნასვლა აღარ დამჭირდა. სწორედ მესამე დღეს, სასტუმროში ადმინისტრატორმა პაკეტი გადამოცა. დახვებდი თუ არა საფოსტო შტამპს,

ყველაფერს მივხვდი — პაკეტი უმაღლესი სასამართლოდან იყო. სწრაფად წავახიე კონვერტს თავი და მოუთმენლად გავშალე გერბიანი ფურცელი. თვალები ამიჭრულდა, ძლიერ ჩავიკითხე მოკლე ცნობა და მონყვევით დავეშვი სკამზე.

„რა მოგივიდათ, ცუდად ხომ არ ხართ?“ — მომესმა შემფოთებული ხმა. გამოვერკვიე, ადმინისტრატორი ქალი თანაგრძნობით მიცქერდა.

„არაფერია, ახლავე გამივლის!“ — ჩავილაპარაკე და წამოვდექი.

ძლიერდღივობით მივალწიე ჩემს ოთახამდე, სანოლზე გაუხდელად მივეგდე და ხელთ შერჩენილი ფურცელი ხელმოერედ გავშალე. ნაკვირთხე, ერთხელ, მეორედ, მესუთედ... საეჭვო არაფერი იყო. მოკლე ცნობით მატყობინებდნენ, რომ ჩემი მშობლების მიმართ საქმე წარმოებით იყო შეწყვეტილი და ორივენი, სიკვდილის შემდეგ, რეაბილიტებული იყვნენ „მათ მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო“.

„მათ მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო!“ — ჩაქუჩივით მეცემა თავში ამოკითხული სიტყვები და გაგიჟებას ალბათ არაფერი მაკლდა. ათასწილ მერჩია, მკვდარი ვყოფილიყავი, ოღონდაც ასეთი ცნობა არ მიმელო. თავზარს მეცემა იმაზე ფიქრი, რომ მეც სხვებივით და იქნებ ყველაზე ადრეც დავიჯერე ჩემი მშობლების დანაშაულობა და არც ერთხელ, ვიდრე შავ ნაპრაღში ჩავიჩხებოდი, სიბრაღული არ მიგრძნია მათ მიმართ, არ დამანებია მათი სიკვდილი.

„ღმერთო, ღმერთო!“ — წამოვიძახე სასონარკვეთილმა და იმწუთასვე ფეხზე წამოვიჭერი.

„ღმერთი ალბათ არასოდეს ყოფილა, თორღე ასეთ ბოროტებას არ დაუშვებდა. მე თვითონ ვარ ჩემი თავის ღმერთიც, ხატიც და ამას იმით დავამტკიცებ, რომ შურს ვიძიებ! შურს ვიძიებ-მეთქი ყველაფრისთვის: დედის მამის, პატარა ევასა და ჩემი მიზეზით საფლავში ნაადრევად ჩანოლილ დედა თამარისთვის, ჩემი დაღუპული სიცოცხლისთვის, ყველა ბოროტებისთვის, რაც ამ 20 წლის განმავლობაში ჩამიდენია!“ — ვიბლაველე მუშტებმოღერებულმა და ოთახში ცოფიანივით დავიწყე სირბილი.

„მერე ვისზე, ვისზე გინდა იძიო შური?“ — ჩამძახა ვიღაცამ და შევეჩერდი.

მიმოვიხედე — ოთახში თმბაბურძნელი, გაფითრებული და ტუჩებდასისლიანებული უცნობი შემოსულიყო და ბოროტად მომჩერებოდა.

„შენ ვინა ხარ?“, — შევძახე გაშმაგებით და გამეტებით ვკარი ფეხი მუცელში. ზრიალით ჩამოცივდა დამსხვრული სარკე... გამოვერკვიე — კარადის წინ ვიდექი, უცნობი აღარსად იყო. ცოტა ხანს გაოგნებული შევყურებდი გამოშინებულ კარადას, შემდეგ იატაკზე დავცივი და ავტირდი. ავტირდი, როგორც ბავშვობისას, ზღუქუნით. მივხვდი, ჩემი მუქარა ფუჭი სიტყვები იყო მხოლოდ, გულს ვერ მოვიოხებდი, ჯავრს ვერ ამოვიყრიდი, რადგან აღარავინ იყო შურსაგები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



## ყველაზე მომყიშ Volvo



ბოლო დრომდე, შვედური ავტომობილები დიდ, საიმედო და უსაფრთხო სედანებთან ასოცირდებოდა, ამავე დროს, მათ გარკვეულწილად, „ფლეგმატურ ხასიათს“ მიაწერდნენ და აქედან გამომდინარე, ავტომოყვარულებმა სპეციალური ტერმინიც კი გამოიგონეს — Volvo driver — ე.ი. ადამიანი, რომელიც მანქანას იძენს არა საკუთარი სპორტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ უსაფრთხოდ გადაადგილდეს ერთი წერტილიდან მეორემდე... ახლა ფირმის მენეჯერები ცდილობენ, შეებრძოლონ ამ სტერეოტიპს და შეუცვალონ მარკას იმიჯი — სპორტულობა შემატონ და ამგვარად, მისი მყიდველთა რაოდენობის გაზრდას მიაღწიონ. პირველი შედეგებიც უკვე აშკარაა: შვედური კომპანიის ახალი მოდელები დინამიკურობითა

და ძრავას სიმძლავრით უკვე გერმანულებს მიუახლოვდა. ამავე დროს, ფირმამ ტრადიციას არ უღალატა და კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს უსაფრთხოების საკითხებს.

სწორედ ამ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს „ვოლვოს“ მორიგი მოდელი — Volvo C30, რომლის პირველი ოფიციალური ფოტოსურათები სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა პრესაში და ინტერნეტსაიტებზე. მწარმოებელი მას, გოლფკლასის მანქანების — BMW 1-Series და Audi A3-ის — მომავალ კონკურენტად მოიაზრებს. ისინი C30-ს „ორკარიან კუპეს“ უწოდებენ, თუმცა გარეგნულად, ის კომპაქტურ ჰეჩბეკს უფრო ჰგავს. „ვოლვოს“ წარმომადგენელთა თქმით, ის უფრო დიდი კუპე-კაბრიოლეტის — C70-ის „უმცროსი ძმია“. როგორც ვარაუდობენ, მის ძირითად მომხმარებლებად,

ის ახალგაზრდები ესახებათ, რომლებიც დიდ ქალაქებში ცხოვრობენ და ჯერ-ჯერობით არ დაცოლშვილებულან.

C30-ის ბაზას, სედანის — S40-ის მოდერნიზებული პლატფორმა წარმოადგენს, ოღონდ, მისი ძარა 25 სმ-ით მოკლეა. წინა ნაწილის დიზაინი პრაქტიკულად არ განსხვავდება სედანის დიზაინისგან, ხოლო უკანა მხარე თითქოს ჩამოჭრილია. ეს „ოპერაცია“ კომპაქტური „ვოლვოსთვის“ სასიკეთო აღმოჩნდა: მანქანა უფრო დინამიკურად და აგრესიულად გამოიყურება. C30-ის იერის ყველაზე შთაბეჭდავი დეტალებია — დიდი უკანა მინა და ასევე დიდი უკანა მარჯვენა.

რაც შეეხება სალონს — ის ოთხადგილიანია, უკანა სავარძელიც ორად გაყოფილი აქვს. სალონის წინა ნაწილი კი, სედანის — S40-ისას მოგაგონებთ: „მოფარფატე“ ცენტრალური კონსოლით გამორჩეული იმავე პანელითაა აღჭურვილი.

Volvo C30-ისთვის საკმაოდ მძლავრ ძრავებს ამზადებენ. საბაზო, 1,6 ლ მოცულობის, 100 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატი იქნება, ხოლო ყველაზე ძლიერი — 5-ცილინდრიანი ტურბოდრავა 220 ცხ.ძ-ს განავითარებს. ამ ორის გარდა, მომხმარებლებს 109 და 180 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატებით არჭურვლი ვერსიების შექმნის შესაძლებლობა ექნებათ.

Volvo C30-ის ოფიციალური პრემიერა პარიზის საერთაშორისო ავტოსალონზე სექტემბერში გაიმართება. კომპანიის მესვეურები იმედოვნებენ, რომ წელიწადში 65 ათას ახალ სედანს გაყიდვან. მისი გასაღების მთავარ ბაზრებად მათ დასავლეთ ევროპის ქვეყნები — იტალია, გერმანია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი ესახებათ.

## ამერიკელებს საკუთარი ავტომხენველობისადმი ნოხა შეეხათ

აშშ-ის ისტორიაში პირველად, იმპორტული მანქანების გაყიდვათა მოცულობამ ამერიკული ავტომობილების რეალიზაციას გადააჭარბა და წლის გასული 5 თვის მანძილზე, 52,9%-ს მიაღწია, რაც შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 3,9%-ით აღემატება. საინტერესოა, რომ სტატისტიკა მხოლოდ პირადი საარგებლობისთვის შექმნილი ავტომობილების რაოდენობას ითვალისწინებს.

აშშ-ში ამერიკული მანქანების პოპულარობის დაქვეითებას ექსპერტები იმით ხსნიან, რომ ევროპული წარმოების მოდელები ხარისხითაც სჯაბნიან მათ და სანჯავის ხარჯვის მაჩვენებლითაც. ბენზინის გაძვირების გამო, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, დიდი სედანებიდან და ჯიპებიდან, კომპაქტურ და ეკონომიურ მანქანებში გადასხდნენ.



# „სხვა რაჭველებიდან განსხვავებით, შენელებული ტემპი არ მახასიათებს“...

2004 წელს გამართულ „მის საქართველოს“ კონკურსზე რაჭველმა გოგონამ — სალომე ჩიკვილაძემ გაიმარჯვა. ის ონის რაიონშია დაბადებული-გაზრდილი და რატომღაც, ყოველთვის დედაქალაქში ცხოვრების სურვილი ჰქონდა.

— ბავშვობაში თბილისში ხშირად ჩამოვდიოდი ხოლმე. 15 წლის ასაკიდან კი, უკვე დედაქალაქში ვცხოვრობ.

— თბილისამდე ჩამოსაღწევად გრძელი გზის გავლა მოგიხდა?

— კი, ძალიან ბევრი ვიარე (იციანის).

— რომელი გზით ჩამოსვდი?

— შემოვლითი — სამაჩაბლო არ გადმომიჭრია, ტყიბულით წამოვდი...

— გავიდა წლები და დედაქალაქში, 2004 წლის საქართველოს ყველაზე ლამაზ გოგონად დაგასახელეს. ალბათ, რაჭველებმა გაიხარეს.

— რა თქმა უნდა, ჩემით ძალიან ამაყობდნენ.

— რაჭიდან თბილისამდე რამდენი კილომეტრია?

— აუ, ზუსტად აღარ მახსოვს...

— და როგორი გზაა?

— ქვემო რაჭამდე (ამბროლაური), ცუდი გზა იყო, ახლა აკეთებენ. მერე კი, არა უშავს. ამ გზის გავლა ჩემი ავტომანქანით მიყვარს.

— რაჭიდან თბილისამდე ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით არ გიმგზავრია?

— როგორ არა? — ავტობუსშიც ვმჯდარვარ და სამარშრუტო ტაქსიშიც. ერთი პერიოდი, რაჭიდან ქუთაისში ჩავდიოდი და იქიდან, თბილისში მატარებლით მოვდიოდი ხოლმე. საერთოდ, მგზავრობისას ძალიან მიყვარს მუსიკის მოსმენა და იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანით ვმგზავრობ — გზაში მანქანის გაჩერება და მწვადის ჭამაც „ასწორებს“ (იციანის).

— რაჭველები საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლები-სგან რით გამოირჩევი?



— აფერისტები არ ვართ. გვახასიათებს სიღინჯე. ონში განათლებული ხალხი ცხოვრობს. რაჭა ის კუთხეა, რომელმაც ბევრი ცნობილი ადამიანი მისცა დედაქალაქს და საერთოდ, საქართველოს — მოჭიდავე გობეჯიშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, შალვა ჯაფარიძე...

— შენ როგორი რაჭველი ხარ?

— სხვა რაჭველებისგან განსხვავებით, ოდნავ სწრაფი გახლავართ, შენელებული ტემპი არ მახასიათებს.

— შენი აზრით, როგორია თბილისი?

— თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ძალიან მინდა, რომ უკეთესი, უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე დღეს არის. ამაზე თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიფიქროთ — ჩამოსულებმაც და ძირძველმა თბილისელებმაც. ტყუილია, რომ ამბობენ: დედაქალაქი ჩამოსულებმა დაანაგვიანესო. რამდენი თბილისელი მიხსნავს, ჩამოსულზე მეტად რომ აბინძურებს ქალაქს. თბილისი ყველასია და მას თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მიხედოს.

## აჩიკო გულედანს ბიჭი შეეძინა

ბრაზილიის წაგებით გულდანყვეტილი ფეხბურთის თავგადაკლული ფანი — აჩიკო გულედანი საოცარ დეპრესიასა და პესიმიზმში იყო გადავარდნილი, თუმცა, რეალობის გრძნობა არ დაუკარგავს, რადგან მეუღლე, მამა და ოჯახის უფროსია და კიდევ, მეორე შვილის დაბადებას მოუთმენლად ელოდა. მისი პირველი შვილი ლოყებდაბრანული გოგონაა, მეორე კი, ექოსკოპიის თანახმად, ბიჭი უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა — ქვეყნიერებას მოვედინა პატარა ალექსანდრე გულედანი (3 კილო და 700 გრამი), რომლის მამა, მეუღლის მშობიარობას დაეხსნო. აჩიკო პირველი შვილის დაბადებასაც სამშობიარო ბლოკში ელოდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს, ისინი უკვე შინ არიან და მათ, ოჯახის უფროსი მზრუნველობას არ აკლებს.



## გვანცა ზაქარეიშვილი ურნალისტი გახდა

ამ ზაფხულს, მომღერალი გვანცა ზაქარეიშვილი აბიტურიენტი გახლდათ. ის თეატრალურ უნივერსიტეტში, ტელე-რადიოგადაცემის ნაწყვანის სპეციალობაზე აბარებდა, რადგან სიმღერასთან ერთად, ძალიან მოსწონს ჟურნალისტიკის პროფესია. აბიტურიენტობის პერიოდში, მას რადიოში — „ახალი ტალღა“, სავტორო გადაცემა — „ქართული საბავშვო სიმღერა“ მიჰყავდა. როგორც გაირკვა, მას გამოცდები არცთუ ისე ურიგოდ, საკმაოდ მაღალი ქულებით ჩაუბარებია. მართალია, შედეგების გამოცხადებამდე, ჯერ დრო კიდევ არის, თუმცა, მისი მაღალი ქულები გარანტირებული სტუდენტობის ტოლფასია. მიუხედავად იმისა, რომ გვანცა დიდ ინტერესს იჩენს ჟურნალისტიკისადმი, სიმღერისთვის თავის დანებებას არ აპირებს. ამბობს, რომ პარალელურ რეჟიმში, შეძლებს თავი გაართვას ამ რთულ სფეროს — აქამდეც ასე იყო, რამდენიმე საქმეს ერთდროულად ვაკეთებდი და მომავალშიც ასე გავაგრძელებო.

# „ვარ საშუალო „სტატისტიკური ქართველი“...“

- ისე, როგორ ხარ?
- რა მიჭირს.
- **პრინციპში, სახის მშვიდი გამომეტყველება გაქვს. ისვენებ?**
- მართალი ხარ, დავისვენე.
- **დასვენებას დიდხანს აპირებ?**
- იმედი მაქვს, აგვისტომდე.
- **სულ ასე სიმშვიდეში უნდა იყო?**
- მშვიდი დასვენება მიყვარს — აქტიურ დასვენებას არ ვცნობ.
- **აქტიურ დასვენებად რას მიიჩნევ?**
- ზღვაზე ბანაობას, დისკოთეკებზე სიარულს და ა.შ. ეს კი, სიამოვნებას მანიცდამინც არ მანიჭებს.
- **ზღვაზე წასვლას არ აპირებ?**
- ზღვა არ მიყვარს. თან, ცურვა არ ვიცი და ამასთან, მზეზე გარუჯვაც არ მიზიდავს.
- **ცურვა წყლის შიშის გამო ვერ ისწავლე?**
- არა, შიში არაფერ შუაშია — რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ვერ ვისწავლე.
- **კიდევ, რა ვერ ისწავლე?**
- სხვა რაც ვცადე, ყველაფერი ვისწავლე.
- **მინც, რა ისწავლე?**
- ინგლისური ენის შესწავლა ბავშვობიდანვე, 6 წლის ასაკში ვცადე და ვისწავლე კიდევ.
- **სულ, რამდენ ენას ფლობ?**
- სამს: ქართულს, რუსულსა და ინგლისურს.
- **მეტი ენის სწავლა არ**

### გიცდია?

— კი, ვცადე, დავიწყე კიდევ გერმანულია და ფრანგულის სწავლა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა დამეზარა



და შევეშვი.

- **„ზარებს“ (სიზარმაცეს) არასდროს იხსნი?**
- თუ საჭიროება მოითხოვს, მაშინ და კიდევ, როცა ეს საერთო საქმისთვის არის აუცილებელი.
- **შიში შეიქმს სიყვარულსაო**
- **ნათქვამია. როგორ ფიქრობ**
- **მართალია?**
- არა. შიში არაფერს შეიქმს, გარდა შიშისა.

— **მე მელაპარაკები და პარალელურად, მესიჯს აგზავნი. ლექსებს ხომ არ წერ?**

— არა (იცინის), ლექსები არ მიყვარს და რომ მკითხო, ვერც ერთ ლექსს ვერ გავისხენებ...

— **წელან, რალაცას ლილინები?**

— ჰო, მერაბ სეფაშვილის „თეთრ რაშს“ ვლილინებდი. მთელი გზა, მანქანაში ამას ვუსმენდი და ამეკვივიატა.

— **„თეთრი რაში“ ხომ არა ხარ?**

— არა, არა... „თეთრი რაში“ არ ვარ (იცინის).

— **არც თეთრი ყვავი ხარ?**

— მით უმეტეს, თეთრი ყვავი არ ვარ.

— **მაშ, ვინ ხარ?**

— ჩვეულებრივი ადამიანი, საშუალო სტატისტიკური ქართველი.

— **ოპტიმისტი ხარ?**

— რა თქმა უნდა, რადგან ცხოვრება პესიმიზმად არ ღირს!..

— **ანდაზა შენებურად გააგრძელებ — ვინც რა უნდა თქვასო, ნისქვილმა კი...**

— რთული გასაგრძელებელია... ნისქვილმა კი, თავისი ქნასო.

— **ეს ხომ, თითქმის პირველ წყაროს ჰგავს?!**

— აბა, რა ვქნა, სხვა შემთხვევაში, უხამსი გაგრძელება ექნებოდა (იცინის).

— **რას ეტყობი მაყურებელსა და ჩვენს მკითხველს?**

— სეზონის გათვალისწინებით, მათ კარგ ზაფხულსა და დასვენებას ვუსურვებ. დასვენების სეზონი რომ დამთავრდება, ახალი შემართებით უყურონ ჩვენს გადაცემებს და იკითხონ თქვენი ჟურნალი.

## ლელა წურნუშიამ ფონოგრამაზე უარი თქვა

მომღერალი ლელა წურნუშია პატიმარი ქალის — ცისანა ქოთილაიძის თექის ნამუშევრების პრეზენტაცია-აუქციონზე შევნიშნეთ. მან მშვენიერი რამ შეიძინა — თექით შესრულებული პეიზაჟი, რომელშიც 400 ლარი გადაიხადა. აქვე გავარკვეით, თუ რა შემოქმედებითი გემები აქვს უახლოეს პერიოდში — ის ბათუმში სოლო კონცერტის გასამართავად ემზადება, რომელიც 4 აგვისტოს უნდა ჩატარდეს. მისმა მეუღლემ — მამულიჩამ ბენდი აიყვანა, რომელიც ლელას კონცერტებზე აკომპანირებას გაუწევს. მომღერალი და მისი პროდიუსერი ამბობენ, რომ მათ საბოლოოდ უარი თქვეს ფონოგრამაზე.



## ირაკლი ფირცხალავა ბათუმში კონცერტს გამართავს

მომღერალი ირაკლი ფირცხალავა თბილისში ყვარჯნებზე დაყრდნობილი ჩამოვიდა. გაირკვა, რომ მას მოსკოვში საქველმოქმედო აქციაში მიუღია მონაწილეობა, ცნობილ ადამიანებთან ერთად, ფეხბურთი უთამაშია (შემოსული თანხა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად გადაურიცხავთ) და ფეხის სამმაგი მოტეხილობა მიუღია... ირაკლი საქართველოში კონცერტის გასამართავად ჩამოვიდა — 16 აგვისტოს, ბათუმში დიდ ღონისძიებას მართავს, მანამდე კი, მოსამზადებელი ეტაპია გასაველი, ბევრი ტექნიკური ნიუანსია მოსასინჯი. მასთან ერთად, კონცერტზე გამოვლენ „ფაბრიკა-ზვიოზდის“ წევრები.



# kviris astrologiuri prognozi

(27 ivlisi – 2 agvisto)

### პირი 2103-2004

წინასწარ შეეშადათ იმისთვის, რომ ამ პერიოდში, შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რომელიც თქვენს სოციალურ მდგომარეობას და გეგმებს მთლიანად შეცვლის. მზად იყავით რისკის გასაწევად. შეეცადეთ, სწრაფად იმოქმედოთ და ძალიან მაღალ საფეხურზე ახვიდეთ.

### ჰორო 2104-2005

ამ კვირას, ცვალებადი განწყობილება, ქრონიკული დაავადებების გამწვავება და დაღლილობა მოსალოდნელია. ამ რთული პერიოდის გასაველად მოგზაურობა, მშვიდი ოჯახური გარემო და ახლობლებთან ურთიერთობა გესაჭიროებათ.

### ტყუი 2105-2106

ამ დღეებში მომხდარი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, თქვენს გეგმებზე დიდ გავლენას იქონიებს — შეიძლება, შეხვდეთ ადამიანებს, რომლებიც ძირითადად შეცვლიან თქვენს მსოფლმხედველობას. თუ საშუალება გაქვთ, შეეცადეთ, შევხულებთ აიღოთ და დასასვენებლად გაემგზავროთ.

### ჰორო 2206-2207

ამ პერიოდში, ფინანსურ საკითხებსა და კოლეგებთან ურთიერთობაში დიდი სიფრთხილე გმართებთ. შესაძლებელია, თქვენ-

მა მატერიალურმა დანახარჯებმა არ გაამართლოს და სერიოზულად დაზარალებდეთ.

### ლონი 2307-2308

ამ კვირას, თქვენ შეძლებთ აღიდგინოთ ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენმა იმპულსურობამ, შეიძლება დამანგრეველი შედეგი მოგიტანოთ. უქმე დღეები, მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

### ახლული 2408-2309

ამ დღეებში, სამსახურში მოსალოდნელია ისეთი უსიამოვნებები, რომლებმაც შეიძლება, ახალი სამსახურის მოძებნის სურვილი გაგიჩინოთ. ამიტომ, ჯობია პირად საქმეებს მიხედოთ და სხვის საქმეში ნუ ჩაერევით.

### სასური 2409-2310

ადამიანის ხასიათის ცოდნა და გარემო მყოფების კეთილგანწყობილება, ყოველდღიური ყოფითი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ. თუმცა, ამ პერიოდს მშვიდს ვერ დავარქმევთ, რადგანაც უკვე დასახული მიზნის რადიკალურად შეცვლა მოგიწევთ.

### მოილი 2410-2211

ამ დღეებში, სამსახურში სერიოზული ცვლილებები გელით. თუ უფროსებთან ურთიერთობის სტაბილურობაში დარწმუნებული არ ხართ, მაშინ ჯობია, შევხულებში გახვიდეთ.

### მზილდონი 2311-2112

ამ კვირას, ყურადღებით მიიღეთ გადაწყვეტილებები, რადგან ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც დაგეგმეთ — თქვენ შეიძლება ძალიან მაღლა ახვიდეთ, ან პირიქით, დაბლა დაენარცხოთ. შაბათ-კვირა კი, დახარჯული ენერჯის აღდგენას დაუთმეთ.

### ოქის რაბ 2212-2001

ამ დღეებში, თქვენ მზად უნდა იყოთ ნებისმიერი მოულოდნელობისთვის. შეეცადეთ, ნებისმიერი სარისკო საქმიანობა სხვა, უფრო მშვიდი პერიოდისთვის გადადოთ. ახლა კი, თქვენ სიზარმაცეც გეპატიებათ.


### პირული 2101-902

ამ პერიოდში, შესაძლებელია საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც დაკავშირებული იქნება პარტნიორული ურთიერთობების გარკვევასთან. ეს, ერთი მხრივ კარგიცაა, რადგან შეიძლება, გათავისუფლდეთ ძველი ვალეზისგან და გადაჭრათ ბევრი პრობლემა, რომელიც როგორც საქმიან, ისე სასიყვარულო ასპარეზზე დაგიგროვდათ.

### თიფზი 2002-2003

ამ დღეებში, ჯობია საკუთარ საქმეებს მეტი ყურადღება დაუთმოთ და სხვებისთვის რჩევების მიცემას შეეშვათ. უქმე დღეები, ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

# პრ გამოგზავნი აგვისტოს ნომერი



თქვენ სოციალური გამოგზავნიანი  
აკითხვალნი გრძანდებით...

# შენ დაშინდები, თქვენი მამა და მამა...

რამდენი მშვენიერი გულსაბნევი და კულონი ამშვენებს ქალებს! ზოგჯერ მამაკაცის ფართო მკერდზე გაიღვებოქროს ძეგლები ჩამოკიდებული რაიმე უცნაური მედალიონი. ხშირად, როდესაც ოქროს სოჭოს ან ობობას ყიდულობენ, მყიდველები მიიჩნევენ, რომ უბრალოდ ლამაზი და ძვირად ღირებული ნივთი შეიძინეს და მტყი არაფერი. მაგრამ ეს მთლად ასე როდია.

ზოგიერთი სამკაული თურმე, პატრონს ბედის უკუღმართობისაგან იცავს ან ფათერაკის დაძლევაში ეხმარება. ასეთ ნივთს თილისმა ეწოდება, იგი დადებით ენერგიას გამოყოფს, მფლობელს უბედურებისაგან იცავს და მისთვის წარმატება მოაქვს.

ხშირად ადამიანს ისეთ პიროვნებებთან უნევს ურთიერთობა, ვის გარემოცვაშიც თავი სტკივდება, ან უბრალოდ, აუხსნელ დიკომფორტს განიცდის. რა თქმა უნდა, უმჯობესია, რომ მათთან შეხვედრას მოერიდოს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, თუ ეს შეუძლებელია?.. მაშინ, ამ ადამიანებმა გარკვეულ ზომებს უნდა მიმართონ — ვთქვათ, ინგლისური ქინძისთავი (Булавка) დაიმარგონ. ეს პრიმიტიული და ყველასთვის ხელმისაწვდომი ნივთი არცთუ ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ინგლისური ქინძისთავი გველის სიმბოლური გამოხატულებაა, რომელსაც თავისთავად კუდი მოუქცევია პირში. ძველ ეგვიპტეში გველი მუდამ ამშვენებდა ფარაონის თავსაბურავს. გველი — ძალაუფლების ამ სიმბოლოს მხოლოდ სრულყოფილი ადამიანი, დედამიწაზე ღმერთის ნაცვალი — ფარაონი ფლობდა.

მოდურ მეცნიერებას — ბიოენერგეტიკას თუ დაფუძვრებით, გველი სიმბოლურად კუნდალინის ენერგიას გამოხატავს, რომელიც ადამიანის კუდასუნში წარმოიქმნება და ხერხემლის გავლით, შუბლის მთავარ ჩაკრასთან (სხეულის ნებისმიერი ორგანოს ყველაზე მგრძობიარე ნერტილი. — რედ.) ადის. ამ პროცესის დროს, ადამიანს შეუძლია, ადვილად შეასხას ხორცი საკუთარ ჩანაფიქრს და ყველაზე თამამი იდეაც კი რეალურად აქციოს. სწორედ ამიტომ, ინგლისური ქინძისთავის დამაგრებისთანავე ადამიანს ლიდერობისა და ხელმძღვანელობის სურვილი ეუფლება. უმჯობესია, ინგლისური ქინძისთავი კუდასუნთან ახლოს, კანის ან პიჯაკის კალთაზე დაიმარგოთ. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს ვერც ახირებული ხელმძღვანელი დააკლებს რამეს და ვერც დესპოტი მუღალე.

„ღვთიური თვალი“ არანაკლებ ეფექტიანი თილისმაა. ჩვეულებრივ, იგი მოგრძო, ნუშინებრი ფორმისაა. მისი მფლობელი უფლის მფარველობის ქვეშ იმყოფება.



ყოველისმხილველი თვალი „კისრულობს პასუხისმგებლობას“ არა მარტო იმაზე, რომ ადამიანს არაფერი ევნოს, არამედ იმაზეც, რომ თავად მან არ ჩაიდინოს უმსგავსი საქციელი და ზნეობის და ეთიკის ნორმებს არ გადაუხვიოს.

ძველევგვიპტურ ნახატებს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩინთ ყოველისმხილველ თვალგორას, რომელსაც წამწამები მხოლოდ ქვედა ქუთუთოზე აქვს. რეცეპტის გამოწვევას, ექიმი მასზე გორას მსგავს ნიშნას გამოსახავს. ყურადღება მიაქციეთ — ექიმის რეკომენდაციები ყოველთვის ლათინური „R“-ით იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა სამედიცინო მითითება გორას მფარველობის ქვეშ იმყოფება, შესაძლოა, ეს ყველა ექიმმაც კი არ იცის...

მეორე ტიპის თვალი — გადმოკარკულუმა — ჩვენამდე ამერიკელი ინდიელებისგან მოაღწია. თუკი ბოროტი განზრახვით მოსული ადამიანი ამ „მზერას“ წაანყდება, იმწუთს დაიბნევა და აფორიაქდება, თვალის პატრონს კი, ბოროტი ძალა ვერაფერს დააკლებს...

ბიოენერგეტიკოსები გვიჩვენებენ, ასეთი თვალი გულის ჩაკრასთან ახლოს ვატაროთ, რადგან იგი იცავს ადამიანს იმუ-

ნიტეტს. „თვალი“ ორგანიზმის დამცავი ფუნქციების გაძლიერებაში ეხმარება ადამიანს. ასეთი „თვლების“ ყიდვა მიღებულია თურქეთის სუვენიერების ჯისურებში, თუმცა მათ არავითარი კავშირი არა აქვთ მუსლიმანურ ტრადიციებთან.

ხოჭო — ფუნაგორიაც ადამიანის ღვთიური მფარველია. ეგვიპტელები მას წმინდა მწერად მიიჩნევდნენ. იგი უზადო ფორმის ბურთულეს ქმნიდა, რომლებიც მზეს — სიცოცხლის საწყისს, სრულყოფილების სიმბოლოს მოგაგონებდათ. როდესაც სალაშქროდ მიმავალი ჯარი გზად ხოჭო — ფუნაგორიას ნაანყდებოდა, ჩერდებოდა და დაუყოვნებლივ უკან ბრუნდებოდა. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მოიქცევა თქვენს მკერდზე მშვენიერი ფუნაგორიის დანახვისას ხელმძღვანელი, რომელიც დატუქსვას გიპირებთ?!

თუკი ჯანმრთელობა შეგერყათ, მხოლოდ თილისმა — ბაყაყი დაგეხმარებათ. ამ სამკურნალო სიმბოლოს მისი მფლობელისთვის სულიერი სიმშვიდე მოაქვს.

თუ აქტიური მოქმედების, გადამწყვეტილებების მიღების დრო დაგიდგათ, წარმატების მიღწევაში თილისმა — ნიანი (ეგვიპტეში „მაკარად“ ნოდებული) შეგეშეგვლება. ეს აგრესიული ცხოველი მიზნის მისაღწევად, მუდამ უმოკლეს გზას ირჩევს.

ცხოვრებისეული ძალების გააქტიურებას ხელს უწყობს თილისმა — ხელი, სამი თითის კომბინაციით, ცერა თითი გონების სიმბოლოა, საჩვენებელი — ფხიანობის, შუა თითი კი — შეუპოვრობის.

თუკი ბედი ისე გათამაშებთ, როგორც პატარა ნავს ღია ზღვაში, დროა, შეიძინოთ თილისმა — კუ — დღეგრძელობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების სიმბოლო. მას გამძლე ჯავშანი იცავს, მყარად დგას ოთხივე ფეხზე და იშვიათად კარგავს წონასწორობას.

ბოლო რჩევა ქალებს ეხებათ. თუკი შინ ხშირად გიფუჭდებთ ონკანი, აბაზანიდან წყალი ჩასდის მუზობელს, მაცივარში პროდუქტი ფუჭდება, სტუმრები ყოველთვის უდროო დროს მოდიან, შინაური ცხოველები ავადმყოფობენ, ყვავილები კი ჭკნებიან, ეს იმის მანიშნებელია, რომ თქვენს ოჯახში ქალებს უპატივცემულოდ ეყვრობიან. რა თქმა უნდა, ყველაფერი მაშინვე მოგვარდება, როგორც კი მამაკაცი მიხვდება, რომ ქალი, ნივთი არ არის და მას სათანადოდ მოეპყრობა. მაგრამ როგორც ცხოვრებამ ცხადყო, ეს ძალზე ხანგრძლივი პროცესია. მისი დაჩქარების მიზნით, შეიძინეთ თილისმა — მთვარე, რომელიც შეგიძლიათ, კედელზე დაკიდოთ და კისერზეც ჩამოიკიდოთ.

ახირებული ქმრის მორჯულებაში მზემთვარეც დაგეხმარებათ. იგი ქალისა და მამაკაცის ენერგიას ჰარმონიულს ხდის. მისი წყალობით, ოჯახში ურთიერთგაგება და სიყვარული დაისადგურებს.



ლიპა ქაჩაია

— დავიბადე 1961 წლის 3 მარტს, თბილისში. გამოვიცვალე ძალიან ბევრი სკოლა (ყველას ვერ ჩამოვთვლი) და უზომოდ განათლებულ ადამიანად ჩამოვყალიბდი (იცი-ნის).

— სკოლას ასე ხშირად რატომ იცვლიდით?

— იმიტომ, რომ ბავშვობის ასაკიდანვე ვცვკავდი, სპორტის სხვადასხვა სახეობაზე დავდიოდი — კარატე, ჩიდაობა... მერე, სუნიშვილების სტუდიიშიც ჩავაბარე, თან, რალაცებს ვხატავდი და ჩემი სკოლის განრიგი მთლიანად შეიცვალა. მოკლედ, იმდენად უგზო-უკვლოდ განათლებული ვიყავი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და ამიტომაც, ჩემი ატანა შეუძლებელი იყო. სკოლის „ჩაძაღლებს“ მერე, სახელმწიფო უნივერსიტეტში, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკური დაგეგმვის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც სუხიშვილების ანსამბლის წევრი ბავშვები შევიკრიბეთ და მოცეკვავეთა ჯგუფი ჩამოვყალიბეთ.

— ამ ფაკულტეტმა რითი დაგანტერესათ?

— სკოლის შემდეგ, სწავლა სადაც ხომ უნდა გამეგრძელებინა?! ჰოდა, სადაც ნაკლები კონკურსი იყო, საბუთებიც იქ შევიტანე... მერე, 1979 წელს, შემთხვევით (შეიძლება ითქვას, ქუჩიდან ამიყვანეს), ერთ-ერთ ფილმზე (თეატრ ფალავანდიშვილის — „წერილები ბამიდან“ — ავტ.), მთავარი გმირის როლის შესასრულებლად მიმიწვიეს.

— რას ნიშნავს — ქუჩიდან აგიყვანეს?

— რას და იმას, რომ ქუჩაში მეგობრებთან ერთად ვიდექი და რალაცებს ვყვებოდი. ფალავანდიშვილის ასისტენტმა — ლალი კოლბინაშვილმა შემამჩნია, ჩემში რალაც აღმოაჩინა, მოვეწონე და ძველ კინოსტუდიაში წამიყვანა, სადაც უამრავი ფოტო გადამიღეს.

— ფილმში მონაწილეობის მიღებას ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე დათანხმდით?

— ამ საქმეს იმდენად არასერიოზულად მივეუდექი, რომ ვიფიქრე — რატომაც არ უნდა წავიდე, ცოტას გავერთობი-მეთქი. კინოსტუდიაში მისულს, კარგი ფოტოები

„ტელევიზიამ თავისი იაფფასიანი ფილმებით, საშინელი დალი დაასვა ხალხს“, — ამბობს მსახიობი გიბა აბაშაშაშვილი, რომელიც მიუხედავად ასეთი მოსაზრებისა, სწორედაც რომ იაფფასიან ფილმებში თავადაც იღებს მონაწილეობას — „აბა, რა ვენა?! მსახიობები, ისევე, როგორც სხვა პროფესიის ადამიანები — ვჭამთ, ვსვამთ და ა.შ. ჰაერით რომ ვიკვებებოდე, მაშინ“...

მაშინ, ალბათ, ბევრ სხვა რამეზე ფიქრაც არ მოუწევდათ მსახიობებს; ბატონი გიაც, საცხოვრებლად ბამზე დარჩენას არასდროს ისურვებდა და მისი ოჯახის წევრებაც არ „გაგიჟდებოდნენ“.

„ქუჩიდან ამიყვანეს და 5 თვით, ციშირში მიყრეს თავი“ უგზო-უკვლოდ განათლებული მსახიობი, გველბის შიშით ტანზე პალის ჩსოვილს იხვევდა

გადამიღეს, მერე, დილოში წამიყვანეს, სადაც სინჯები იყო დანიშნული. იქ უამრავი ადამიანი გახლდათ, რომელთა შორის, ჩემთვის ცნობილი მსახიობებიც იყვნენ. არ ვიცი, ჩემში ისეთი რა აღმოაჩინეს და როლზე დამამტკიცეს. მერე, 5 თვით ციშირში მიყრეს თავი, რადგან გადაღებები იქ დაინიშნა — 14 დღე მატარებლით ვიმგზავრეთ და ბამზე ძლივს ჩავალწიეთ, სადაც თავისუფალ დროს, სამხერხაოში ვმუშაობდი.

— დამატებითი შემოსავლის წყარო იბოვებ?

— ჰო, თან, იქ რამე რომ არ გააკეთო, შეიძლება გაგიუდე — ყველა მუშაობს და მარტო შენ ხომ არ იქნები უსაქმური?

— ალბათ, ციშირში ყოფნა გიჭირდათ, არა?

— ამას რატომ ამბობ? პირიქით, ციშირთან შესანიშნავი ყმანილკაცური მოგონებები მაკავშირებს — პირველად იქ გავსინჯე კვიცი, ბანანი, ანანასი, ფრანგული შამპანური, შოტლანდიური ვისკი და ა.შ. ბამიდან მეგობრებს „დუბლიონებს“, „უშანკებს“ და სხვა რალაცებს ვუგზავნიდი. მოკლედ, იქ სიამოვნებით დავრჩებოდი.

— სად, ციშირში?

— ჰო, რა იყო?!

— მაშინ, რატომ არ დარჩით?

— ოჯახის წევრებმა ისეთი ამბავი ამიტხეს, რომ საქართველოში ლამის ყურით ჩამომიყვანეს... აქ რომ ჩამოვედი, უნივერსიტეტიდან უკვე გაგდებული ვიყავი და აღარ მიმიღეს. მერე, რალაც ტექნიკური დავამთარე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ცოტა ხანში, რეზო ჩხეიძემ კინომსახიობთა თეატრში — რეკვიზიტორ-გამნათებლის ადგილი „გამიკეთა“, მერე კი, შტატშიც ჩამსვეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონი მიშა, საოცარი ადამიანი გავიცანი, მსახიობობა მომინდა და თეატრალურ ინსტიტუტში (თუმანიშვილის ჯგუფში) ჩავაბარე. პარალელურად, სუხიშვილებშიც ვცეკვავდი.

— ეი, თქვენი მსახიობობა მიშა თუმანიშვილთან შესყდრამ განაპრობა?

— აბა, რა?! ის საოცარი კაცი იყო, მასთან ურთიერთობამ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. ვიფიქრე — ალბათ, ჩემი ადგილი აქ არის-მეთქი და მალე, ცეკვასაც დავანებე თავი.

— ამბობენ — თუმანიშვილის დროს, რეპეტიციებს ძველი ბიჭებიც

ესწრებოდნენო, მართალია?

— აბა, რა გეგონათ?! მაშინ ჩვენი თეატრი ძალიან პოპულარული იყო — აქ პლენაროველი ძველი ბიჭები ხშირად შემოდოდნენ, არც ერთ სპექტაკლს არ „მარავდნენ“, რეპეტიციებსაც კი ესწრებოდნენ და ამბობდნენ: ვა, ეს თუმანიშვილი რა მაგარია და მსახიობებმაც ყველაფერი როგორ იციანო... საერთოდ, ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ის, რომ ნებისმიერ ადამიანს ვაკვირდებით, გვანტერესებს — რა პროფესიის ადამიანია? ვის როგორი ხელი, თვალი აქვს? ფეხზე რა აცვია? სიარულის როგორი მანერა აქვს? რა და სად უჭერს? — მერე კი, საჭიროების შემთხვევაში ამ ყველაფერს ჩვენვე ვირგებთ და ეს, ამა თუ იმ გმირის ხასიათის სრულყოფილად განსორციელებაში გვეხმარება.

— მაშინდელი მაცურებელი დღევანდელისგან რით განსხვავდება?

— მაშინ უფრო განათლებული მაცურებელი გვყავდა, დღევანდელმა კი, არ იცის — როგორ დასრულდება ესა თუ ის ცნობილი პიესა.

— ეს კარგია თუ ცუდი?

— რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. ახლა მარტო ის აინტერესებთ, რომ რალაცაზე იცინონ, იკისკისონ... ტელევიზიამ თავისი იაფფასიანი ფილმებით საშინელი დალი დაასვა ხალხს. იქ მეც ვმუშაობდი და ვიცი — რას როგორ და რა ფასად ყიდულობენ. მაგალითად, სერიალებში რომ გადის, ამწუთას, მათ შინაარსს ნებისმიერი ადამიანი მოგიყვებათ, მაგრამ დრო გავა და ვილაც მარხის ცრემლიანი თვალების მეტი, მათ აღარაფერი ემასხოვრებათ. საერთოდ, უინტერესოა ფილმი, სადაც ყველა მოქმედება წამებში ხდება, წინასწარ ხედები — რა როგორ დამთავრდება და ა.შ. ასეთ იაფფასიან სერიალებში საჭირო არაა სექსუალური ელემენტების შეტანა. თუ ვინმეს აინტერესებს — ვინ უფრო მოქნილად გააკეთებს ამ „ფიზიკულტურას“, დაიმასოვროს, რომ ეს სხვა ხელოვნებაა და არა ასე მასშტაბურად საჩვენებელი. ასეთი ფილმების ჩვენება ჩვენს საზოგადოებას აკნინებს.

— ასეთი ტიპის სერიალებში თქვენ თუ მიიღებდით მონაწილეობას?

— მონაწილეობა უკვე მივიღე — „წერილ ვარსკვლავთა ლაშქარი“ და კიდევ, რალაც

სერიალში, რომლის რეჟისორიც დათო ურუშაძეა.

**— იაფფასიან სერიალში მონაწილეობის მიღებაზე რატომ დათანხმდით?**

— იმიტომ, რომ მსახიობები, ისევე როგორც სხვა პროფესიის ადამიანები, ვჭამთ, ვსვამთ... ჰაერით რომ ვიკვებებოდე, მაშინ ნამდვილად არ მივიღებდი მონაწილეობას.

**— მაგრამ თუ ის ადამიანზე ცუდად მოქმედებს?**

— მინახავს მსახიობები, რომლებიც ამბობენ — მართალია, პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ ვაკეთებ იმას, რისი „ხოშიც“ მაქვსო. პროფესიონალი კი, ყველა იმ როლს, რასაც მას რეჟისორი ეტყვის — უნდა მოერგოს.

**— სად უფრო იოლია თამაში კინოში თუ თეატრში?**

— ორივეში ადვილია და ამასთანავე, ძნელი, გააჩნია — სად რას აკეთებ. მაგრამ ფილმი უკვდავია — გადაიღებ და წლების შემდეგ გაქვს შესაძლებლობა, რომ ისევ უყურო. ესა თუ ის სპექტაკლი კი, იმწუთასაა აქტუალური და რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ, შეიძლება იქიდან რაღაც მნიშვნელოვანი მოქმედებაც არ დაგამახსოვრდეს — მარტო კინომსახიობთა თეატრში 31-მდე სპექტაკლი მივიღე მონაწილეობა და შეიძლება იტიქვას, რომ არც ერთი აღარ მახსოვს... არა, კაცო, როგორ არ მახსოვს, უბრალოდ, დეტალებს ვგვლისხმობ.

**— რეპეტიციები სად უფრო სახალისოა?**

— რა თქმა უნდა, კინოგადაღებები უფრო საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სულ ესპედიციებში ხარ. ახლა, მაგალითად, ვიმუშავე დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც „დისქავერმა“ გადაიღო — თვენახევარი ვიყავით ბრინჯაოს ხანის გამოკვებულში, უდაბნოში, თრიპლიტის ქედზე, იქ, სადაც მდინარე ცისხეობა (ქესპედიციის უფროსი ნოდარ ბახტაძე გახლდათ). ვცხოვრობდით გამოქვავულში, სადაც თემურლენგის მერე, ფეხი არავის დაუდგამს. იქ ვნახეთ მტრის მიერ დახოცილი ადამიანების საფლავები, ბავშვების დატოვებული სათამაშოები... ამ გაყინულ გამოქვავულებში მუხლამდე მტკვრი იყო და საიდან რა გამოქვებოდა — არ ვიცოდით.

**— არ შეგეზინდათ?**

— გველების მეშინოდა (ძალიან ბევრნი იყვნენ) და ამიტომ შალის რაღაცებს ვწვავდით ხოლმე.

**— შალის ქსოვილს?**

— დიან და მას ტანზეც ვიხვევდით... ამ ფილმში ასახეს თემურლენგის შემოსვლა საქართველოში, სადაც დამპყრობლის როლს მე ვთამაშობ და რაღაც უცნაური ფორმის ქუდი მახურავს... ჰოდა, მსახიობებს ეს გვახალისებს — ხან მთაში ხარ, ხან ბარში, შენტვის უცნობ კუთხეებს ეცნო-

ბი, ხალხს ელაპარაკები...

**— როგორ ფიქრობთ, მსახიობების ახალი თაობა ძველისგან რით განსხვავდება?**

— არაფრით, გარდა იმისა, რომ ესენი უფრო პრაქტიკულები არიან — სამსახურის დასაწყებად მივლენ თუ არა, ხელმძღვანელობას პირდაპირ ფულზე ელაპარაკებიან. ჩვენ ყოველთვის გვერიდებოდა და დღემდე ვერ მივეჩვიეთ, რომ ვილაყვას რაღაც ხელშეკრულების დადებზე ველაპარაკოთ. პრინციპში, ეს ის კარგი თვისებაა, რომელიც ალბათ, დრომ მოიტანა — მთავარი ფული გახდა და ბავშვი ერთ ლექსსაც არ წაგაკითხავს, თუ არ იცის, რომ ამაში რაღაცას გადაუხდინან.

**— მათ რას ურჩევდით?**

— ძალიან ბევრ მუშაობას და ბევრი რაღაცის წავითხვას — თუ აქეთ საშუალება, უცხოურ კულტურას საფუძვლიანად გაეცნონ, ბევრ კარგ სპექტაკლს უყურონ, ისწავლონ — რა არის კარგი შოუ, ვინ რისი გამკეთებელი იყო, ნებისმიერი მსახიობის შემოქმედებას გაეცნონ...

**— ეი. თქვენც იმ მოსაზრებას ეთანხმებით, რომ ახალი თაობა უნიგნურია?**

— კი, იმიტომ, რომ რამდენიმე ხანი, ლიტერატურულ კაფეში, ბავშვებს ხან ზღაპრებს, ხან მითოლოგიას, ქართველი მეფეების ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ვუკითხავდი და ვხედავდი იქვე მსდომ მოზრდილ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ამ ამბებს ყბაჩაშოვარდნილები უსმენდნენ ხოლმე. ადვილი მისახვედრია, რომ მათ ზღაპრებიც კი არასდროს ნაუკითხავთ, ამიტომაც არიან დღევანდელი ახალგაზრდები ფანტაზიას მოკლებულნი.

**— როგორც ვიცო, თქვენ კარგად ხატავთ კიდევ გამოფენის მონცობას ხომ არ აპირებთ?**

— კი არ ვხატავ, არამედ, რეპეტიციების დროს, სუფთა ფურცელზე რაღაცებს ვვლანბნი.

**— რეპეტიციის დროს ამის საშუალება გაქვთ?**

— კი და საერთოდ, თუ რამე არ დავხატე, ისე რეპეტიციავ არ გავდივარ, რადგან ვარ „მანიაკი“ — ყველაფერზე რაღაცას ვვლანბნი, სუფთა კედლებს რომ ვუყურებ, ერთი სული მაქვს — დავეტაკო და დავვლანბნო, მაგრამ თავს რაღაცნაირად ვიკავებ. სკოლაში რომ დავდიოდი, ჩემს მერსს კვირაში ერთხელ ღებავდნენ ხოლმე, რადგან სულ საღებავით ან მელანით იყო მოხატული.

**— როგორც ვიცო, 2 ქალიშვილი გყავთ...**

— და არა მარტო — მყავს მეუღლე, და და მამა. ჩემი გოგონები კი, ჯერ პატარები — 12-ის და 6 წლის არიან.

**— მათ მსახიობობა რომ მოინდომონ, ამ ამბავს სხარულით შევვდებით?**

— მეტი საქმე არა მაქვს... მსახიობი რომ გახდე, ჯერ ძალიან ძლიერი უნდა იყო, კინოში ან კლიპში გადაღება მარტო გართობა არ არის და თუ გინდა, ამ სფეროში რამეს მართლა მიაღწიო, თუ გინდა, რომ სცენაზე სუფილით არ იარო და ხალხს თავი კარგად ისეთი ახამახოვრო, მაშინ ჯოჯოხეთური სამუშაოსთვის მზად უნდა იყო.

**— ეი. შეწინააღმდეგებით?**

— თუ რომელიმეს მსახიობობის ნიჭი აღმოაჩნდება, ამას ყველაზე ადრე მე მივხვდები, მაგრამ მას პირდაპირ სინჯებზე კი არ წავიყვან, არამედ შევეცდები, ჯერ რაღაცები ისწავლოს... მე და გოგა პიპინაშვილს საბავშვო სტუდია გვექონდა, ბავშვები საფრანგეთში და სად აღარ ვატარებთ, დაბოლოს, გადავიღეთ ფილმი — „გადილალა“. ჩვენთან იყვნენ ისეთი ბავშვები, რომლებიც მსახიობობისთვის არიან მოწოდებული და მათ მშობლებს ვთხოვეთ, რომ შეივლინათ ისეთი ყურადღება მიექციათ, ზოგს კი, პირიქით, ვუბნებოდათ — ნაიყვანეთ თქვენი შვილი, ტყუილად ნუ აწვავთთ თქო. არ მესმის იმ ადამიანების, ბავშვი რაღაცის სასწავლებლად ძალით რომ მიჰყავთ. სწორედ, ამ თემაზე გადავიღეთ ეს ფილმი, სადაც ბავშვს თავისი თანატოლები ეუბნებიან: მოდი, ვეხებურთი ვითამაშოთო, ის კი, პასუხობს: ახლა არ მცალია, ინგლისურზე მივიდივარო. ბავშვებს უყვირთ — კი, მაგრამ იქიდან ახლა არ მოხვედით? — არა, ახლა ჭადრაკის და მუსიკის გაკვეთილზე ვიყავითო. — შეუხებელი სახით ამბობს ბიჭუნა, რომელსაც თანატოლები არ ეუბნებიან — მაშინ, მერე ჩამოდიო. — არა, მერე სხვანაირად მივიდივარო — პასუხობს ის. მეგობრებს ბიჭუნა შეეცოდებათ — აუ, შენ რა დღეში ყოფილხარო?! — და ერთ-ერთი მათგანი მას ასეთ რაღაცას ურჩევს: მეც ასე ვიყავი, მერე თავი მოვიგოთიანე და შემეწინეო. ამ ბავშვმა მეგობრის რჩევა გაითვალისწინა, თავი მოიგოთიანა და... მშობლებს გაუკვირდათ: ვა, ამას რა მაგარი პლასტიკა ჰქონიაო და ცუკვავზე შეიყვანეს.

**— სპორტს რატომ არ გააყვეთ?**

— არა, კი არა, ვეღარ გავყვი, რადგან ყველაფერი მოვიტყე, სულ „დამტყრეული“ დავდიოდი. საერთოდ, საშუალოს ვერაფერს ვიტან — როლში თუ შევალ, ბოლომდე უნდა დავისარჯო, თუ სროლა, უნდა მესროლონ.

**— და თუ საქმე მოითხოვს, დაგჭრან კიდევ არა?**

— აბა, არა? ერთხელ, რაღაც ფილმს იღებდნენ, სადაც მე და გურამ ფირცხალავს გვესვრიან და გემში უნდა ჩავსტეთ — გემში კი ჩავსტით, მაგრამ ქუსლი მოვიტყე და იქიდან „დაფეილი“ წამოიყვანეს. ასეა, ბატონო, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.



ახლა ვიმუშავე დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც „დისქავერმა“

# ვინ ხართ თქვენ მისთვის?

ვინ ხართ მამაკაცისთვის — დედა, შვილი თუ თანასწორუფლებიანი მოკავშირე? უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ქალების უმეტესობის დამოკიდებულება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, თურმე დედობრივი ან შვილური გრძნობით გამოიხატება. არსებობს მესამე ვარიანტიც — უფრო ჰარმონიული, ქვეშაირითად ქალური ქალი. რომელ ტიპს განეკუთვნებით თქვენ, ამას ტესტის შევსების შემდეგ შეიტყობთ.

## 1. როგორ ცდილობთ მამაკაცთან ახალდანიწყებული ურთიერთობის განმტკიცებას?

- ა) ცდილობთ გააგებინოთ, რომ შესანიშნავი დიასახლისი ხართ — 2;
- ბ) კვლევით და უშუალოდ იტყვიან — 1;
- გ) მამინვე არ იხსნებით, ცდილობთ, მისთვის გამოცანად დარჩეთ — 0.

## 2. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მამაკაცები არიან...

- ა) დიდი ბავშვები, რომლებიც გამუდმებით მზრუნველობას საჭიროებენ — 2;
- ბ) ძლიერები და ისინი ქალის დაცვასა და უზრუნველყოფაზე ზრუნავენ — 1;
- გ) ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვთ — 0.

## 3. თქვენი ქმარი/მეგობარი მივლინებაში აპირებს წასვლას. ჩვეულებრივ, თქვენ წინა საღამოს...

- ა) ძირითადად, მის მომზადებას უნდებოდა და თვალყურს ადევნებთ, რომ არაფერი დარჩეს — 2;
- ბ) განსაკუთრებულ სინანულს ავლენთ და უფრო მეტ დროს მის მოფერებას უთმობთ — 1;

გ) მისთვის თავის მობუნრება არ გასურთ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარებით — 0.

## 4. შესაკეთებლად წაღებული მტვერსასრუტი ხელსინისგან წამოსაღები გაქვთ. მას კი არ სცალია თქვენ...

- ა) მოთმინების ფილა გვეყვებათ და თავად მიდისართ მტვერსასრუტის წამოსაღებად, რადგან ხვნისასა და ლოდის გირჩევიანთ, ასე მოიქცეთ — 2;
- ბ) მოწყობით სკანდალს: რათა იმავე საღამოს მოიტანოს მტვერსასრუტი! — 1;
- გ) ძალას არ დაატანთ, მაგრამ ტუბილი სიტყვით შეეცდებით მიახვედროთ, რომ მტვერსასრუტი მოიტანოს — 0.

## 5. მალაზიაში რაღაც ნივთი მოგიფიქრებოდათ თვალში და გასურთ, რომ სადღესასწაულოდ სწორედ ეს ნივთი მიიღოთ საჩუქრად როგორ სთხოვთ ამის თაობაზე თქვენს ქმარს/სატრფოს?

- ა) მოგერიდებათ თხოვნა, ვიდრე თავად არ წამოინწყება ამაზე საუბარს — 2;
- ბ) შემოვლით ეტყვიან, რომ ეს ნივთი ძალიან გჭირდებათ და ძალიან გაგიხარდებათ, თუ საჩუქრად სწორედ მას მიიღებთ — 1;

გ) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მოსთხოვთ, რომ ეს ნივთი მოგართვათ საჩუქრად — 0.

## 6. როგორ დამოკიდებულა გაქვთ ფლირტის მიმართ?

- ა) ვიდრე მამაკაცისგან არ ვიგრძნობ ინიციატივას, ფლირტს არ დავიწყებ — 2;
- ბ) მამაკაცებს ყოველთვის ვეკვლევები — 1;
- გ) ფლირტზე არასოდეს ვამბობ უარს, თუკი მამაკაცის მიმართ ინტერესი მაქვს — 0.

## 7. ჩვეულებრივ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას — თქვენ თუ ის?

- ა) უფრო ხშირად მე — 2;
- ბ) უფრო ხშირად ის — 1;
- გ) ჩვენთან თანასწორუფლებიანობა სუფევს. როცა რაღაც საკითხში უფრო კომპეტენტური მე ვარ, გადაწყვეტილებას მე ვიღებ, ხოლო როცა ის უფრო კომპეტენტურია — ის — 0.

## 8. რომელ პერსონაჟს უფრო მგაფხარებთ ხასიათით?

- ა) მელანის — „ქარნალებული“ — 2;
- ბ) ჯულია რობერტსის გმირს — „ლამაზმანი“ — 1;
- გ) მილედის — „სამი მუშუტერი“ — 0.

## 9. როგორი ტიპის მამაკაცებთან უფრო გიიოლდებათ ურთიერთობა? ან როგორ მამაკაცებს უფრო მოსწონხართ?

- ა) უწინასწარიანთ — „ბედის ირონია ანუ აბანო გაამოთ“ — 2;
- ბ) გომასწარიანთ — „მოსკოვს ცრემლებს არ სჯერა“ — 1;
- გ) რეტ ბატლერისნაირთან — „ქარნალებული“ — 0.

## ტესტის შედეგები

12-18 ქალბ. „ქალი-დედა“: ის თავად უნდა აკონტროლებდეს ყველაფერს. გადაჭარბებულად ზრუნავს მის გვერდით მყოფ მამაკაცზე და შვილივით მეურვეობს მას. ყოველთვის თავად იღებს გადაწყვეტილებას, არც პასუხისმგებლობას გაურბის და თანამედროვე ოჯახის პრობლემების დიდ ნაწილს თავადვე ტვირთულობს. „ქალი-დედების“ ერთი ნაწილი იმორჩილებს ქმარს და ისე მართავს, როგორ თავად სურს. მეორე ნაწილი კი, მსხვერპლად ეწირება მეუღლეს და მთელი ცხოვრება ხელით დაათრევს მას. მამაკაცები, რომლებიც ამ ტიპის ქალებს ირჩევენ პარტნიორებად, არ არიან დამოუკიდებლები. მტკიცე ნებისყოფის ქალი მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ ცხოვრებაში მიმართულა მისცეს. როგორც წესი, ამ ტიპის მამაკაცები ცხოვრებაში დიდ სიმაღლებს ვერ აღწევენ.

6-11 ქალბ. „ქალი-გოგონა“: პირველი ტიპისგან განსხვავებით, გამუდმებულ ყურადღებასა და ზრუნვას ის თავად საჭიროებს. ექებს მამაკაცს, რომელიც მის ცხოვრებაზე მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იტვირთებს. წინასწარ დაუგეგმავს რა უნდა აკეთოს და გაანებივრებს მას. ამ ტიპის ქალი ან მოხერხებულად ნიღბავს იმას, რომ არაფრის კეთება არ სურს, ან მართლაც, უსასოდ გრძნობს თავს მამაკაცის გარეშე. მისი აზრით, მამაკაცები იმიტომ არსებობენ, რომ იზრუნონ და დაიცვან ქალი. ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის თანაცხოვრება მამაკაცთან „მამაშვილური“ დამოკიდებულების მკაფიო მოდელს წარმოადგენს. შე-


საბამისად, სიყვარულშიც არათანასწორი მდგომარეობაა — ქალი ყველაფერს იღებს, თავად კი, ბევრს არაფერს გასცემს. „ქალი-გოგონები“ უშუალოები, კვლევები და კაპრიზები არიან, ხანდახან — ინფანტილურებიც. ზოგჯერ მათი კაპრიზულობა ისტერიული ბამდე მიდის. იმისათვის რომ „ქალი-გოგონამ“ წარმატებას მიაღწიოს, ის აუცილებლად უნდა გაიზარდოს და დამოუკიდებელი გახდეს.

0-5 ქალბ. „ქალური-ქალი“: ის თავისუფლად ახერხებს მამაკაცთან ადეკვატურ ურთიერთობას და არც შვილში ურევს პარტნიორს და არც მამაში. მოქნილობა მისი უმთავრესი თვისებაა. მას შეუძლია, თავადაც მიხედოს საკუთარ თავს და სიამოვნებით მიიღოს მამაკაცის მიერ გამოვლენილი ყურადღება თუ მზრუნველობა. დარწმუნებულია საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში. ის არ აღიქვამს მამაკაცს როგორც ცხოვრების საყრდენს და არა აქვს იმის მოთხოვნა, რომ პარტნიორი გამუდმებით მის გვერდით იმყოფებოდეს. არ ცდილობს, თავბრუ დაახვიოს და მოხიბლოს ყველა მამაკაცი, რათა შემდგომ მათ დახმარება გაუწიონ მას. ის ისევე დარწმუნებულია ცხოვრების თანამგზავრში, როგორც საკუთარ თავში, ამიტომ ის ყოველთვის მზადაა თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცეს პარტნიორს. თანასწორი ურთიერთობა აქვს მამაკაცთან. ეს არის ორი ზრდასრული, დამოუკიდებელი პიროვნების კავშირი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება ძალუძს.





## უძველესი აბლაბუდა 110 მცნ ნღისაა



უნიკალური აღმოჩენა ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში დაფიქსირდა. ეს გახლავთ ქარვის სტალაქტიტში გაყინული, მწერიანი აბლაბუდის ფრაგმენტი, რომელშიც გაბმული

იყო ბუზი, ხოჭო და ბზიკი. აბლაბუდა დიდ სამეცნიერო ფასეულობას წარმოადგენს: მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მისი მეშვეობით მიიღებენ ბევრ ინფორმაციას აღნიშნულ ტერიტორიაზე მილიონობით წლის წინ მოხინადრე მწერების შესახებ და აგრეთვე, გაიზიარებენ აბლაბუდის ძაფების უჩვეულო ნახაზის ალგორითმს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება დედამიწაზე დღეს მოხინადრე ობობას ყველა სახეობის მიერ მოქსოვილი აბლაბუდისაგან.

## მსუქნები გონებრივად ჩამოხრებიან...



ასეთი დასკვნა გამოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა გრეგორ საიმონმა, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა ჩატარა. ის ირწმუნება, რომ მსუქანი ადამიანები ნაკლებად ხალისიანები არიან, ვიდრე ნორმალური წონის მქონენი, რადგან ჭარბი წონა ხშირი დეპრესიისა და ფსიქიკური აშლილობის მიზეზი ხდება, ეს სწეულებანი კი, თავის მხრივ, გასუქებას იწვევს. დეპრესიული ადამიანი უმეტეს შემთხვევაში, თავს ანებებს ჩვეულ საქმიანობას, ნაკლებად მოძრაობს და შესაბამისად, სუქდება. 9125 ადამიანის გამოკითხვის შედეგად, რომელთა მეოთხედს, „მიიმეწონოსნები“ წარმოადგენდნენ, ისიც დაადასტურა, რომ ჭარბწონიანები გონებრივად ჩამორჩებიან ნორმალური „გაბარიტების“ მქონე ადამიანებს, რადგან ჭამაზე გამუდმებული ფიქრი თავის ტვინის იმავე სივრცეს იკავებს, რომელიც ინფორმაციის დასაგროვებლადაა განკუთვნილი.



## „საფრთხის გემო“

შვეიცარიაში მდებარე რესტორანი — „ბარეგი“ ძალზე საშიშ ადგილას — ეიგერის მთის ფერდობზეა აშენებული და ყველა მხრიდან მონაბერი ქარის ცენტრშია მოქცეული. უფრო მეტიც — მის თავზე ჩამოკიდებულია მყინვარი, რომელიც გლობალური დაბობის გამო, ერთხელაც, შესაძლოა, ჩამოინგრეს. აქედან გამომდინარე, თითქოსდა, ყველამ მისგან შორს უნდა დაიჭიროს თავი. მაგრამ ნურას უყავრავად — სწორედ ამ საფრთხის წყალობით, „ბარეგი“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ტურისტებს შორის, პირველ რიგში — ალპინისტებში, რომლებსაც შვებულების მთებში გატარება გადაუწყვტიათ. წარმოიდგინეთ, რომ არიან ისეთებიც, ვინც ამ რესტორანში მხოლოდ ფინჯანი ყავის მისართმევად ჩადის, რათა ამგვარად, „საფრთხის გემოს“ ეზიაროს.

### იაპონური სენსაცია

### სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ვეროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

9	3	5	1	7	6	2	8	4
8	6	4	9	5	2	1	3	7
7	1	2	8	4	3	9	5	6
3	4	9	2	6	1	8	7	5
6	7	1	3	8	5	4	9	2
5	2	8	4	9	7	3	6	1
4	8	7	5	1	9	6	2	3
2	9	6	7	3	4	5	1	8
1	5	3	6	2	8	7	4	9

5	4	3	1	2	8	6	7	9
9	7	2	6	4	3	8	1	5
6	8	1	7	9	5	2	3	4
3	6	9	2	5	4	1	8	7
1	2	4	8	6	7	9	5	3
7	5	8	3	1	9	4	2	6
8	9	7	4	3	1	5	6	2
4	1	6	5	7	2	3	9	8
2	3	5	9	8	6	7	4	1

#### \* მარტივი

1	8	6	2		
9	3	1	8	6	
7	8		1	5	
7		4	2		3
3				1	
5		1	7		8
6	7			4	3
1	9		7	6	5
5	6	8		7	


#### \*\* საშუალო

3	9	7	5			
		4				
1	4			6	8	
9	8		3		2	1
		2	6			
5	6		8		4	7
6	1			7	4	
			5			
8	7	4		2		

#### \*\*\* რთული

4	8		3		5	2
1			6	5		9
			8	2		
	7	3			1	2
5						7
	6	1			4	9
			2	9		
6			4	7		3
9	4		1		6	8

# ფოტოკუჩიონები






# Premier by Dead Sea Premier

ნიღბი ღამის ფაზაში

ბ 46 / 25

სახელწოდების უფლება



დაჯილდოვებული  
ჰომოლის სანაჯილდო  
პრემია

ტელ: (+995 32) 38 44 54  
ფაქს: (+995 99) 54 66 66  
შ.პ.ს. ი.ი. პრემიერი  
[www.il-premier.ge](http://www.il-premier.ge)